

შრომითი დავაბი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე**

2023, №9

**Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)**

2023, №9

**Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)**

2023, №9

**Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)**

2023, №9

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი
კეთევან გენერალი

**ტექნიკური რედაქტორი
გარივა გაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;
www.supremecourt.ge

ურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების
დეპარტამენტის მხარდაჭერით

საქითხები

1. შრომითი ხელშეკრულების შენიშვნეტის საფუძვლები	
შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა	
ორგანიზაციული ცვლილების საფუძვლით	4
დასაქმებულის მიერ სამუშაოს	
წერილობითი განცხადების საფუძველზე დატოვება	18
ბანკის თანამშრომლის აზარტულ თამაშობებში მონაწილეობის	
საფუძვლით შრომითი ხელშეკრულების	
შეწყვეტის მართლზომიერება	26
შრომის შინაგანაწესით	
დაკისრებული ვალდებულების დარღვევა	45
2. შრომითი ხელშეკრულების შენიშვნეტის წესი	
შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დამსაქმებლის	
გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა	57
კომპენსაციის განსაზღვრა	
უვადო შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას	65; 107; 119
კომპენსაციისა და იძულებითი განაცდურის	
მოთხოვნის საფუძველი	131
3. პასუხისმგებლობა	
მიყენებული ზიანისთვის მატერიალური პასუხისმგებლობა	160
შრომითი ხელშეკრულებით	
გათვალისწინებული შეზღუდვები	183

1. შრომითი ხელშეკრულების შეცვალის საფუძვლები

შრომითი ხელშეკრულების შეცვალა რჩქანიზაციული ცვლილების საფუძვლით

განჩინება საქართველოს სახელით

№ას-797-2021

26 დეკემბერი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მიქაელიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ერემაძე,
ვ. კაკაბაძე

დავის საგანი: ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგე-
ნა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

აწერილობითი ნაწილი: სასარჩელო მოთხოვნა:

1. 6. შ-ძემ (შემდგომ – მოსარჩელე, დასაქმებული, მონინააღ-
მდეგე მხარე) სარჩელი აღძრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტე-
ტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის
სამსახურის (შემდგომ – მოპასუხე, არქიტექტურის სამსახური,
დამსაქმებელი, აპელანტი, კასატორი) წინააღმდეგ სამსახურიდან
გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის, სამსახურ-
ში აღდგენის, იძულებითი განაცდურის ანაზღაურებისა და ანგა-
რიშსწორების დაყოვნებისათვის პირგასამტებლოს დაკისრების
მოთხოვნით.

სარჩელის საფუძვლები:

2. მოსარჩელის განმარტებით, 2010 წლიდან სტაჟიორად, 2011
წლიდან კი ჯერ შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო
შემდეგ 2013 წლიდან კონკურსის წესით გამოსაცდელი ვადით ინ-
ფორმაციული უზრუნველყოფის საზოგადოებასთან ურთიერთო-
ბის განყოფილების სპეციალისტის თანამდებობაზე დაინიშნა (2015
წლის 9 იანვრის №13 ბრძანებით ცვლილება შევიდა ადმინისტრა-
ციული დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 25 მარტის №53 ბრძა-
ნებაში, რომლის მიხედვით, არქიტექტურის სამსახურის ინფორ-
მაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის საზოგადოებასთან
ურთიერთობის განყოფილების ნაცვლად დაფიქსირდა არქიტექტუ-

რის სამსახურის კანცელარიისა და საკონსულტაციო განყოფილება). გამოსაცდელი ვადის წარმატებით გავლის შემდგომ, 2014 წლის 25 მარტიდან იმავე თანამდებობაზე დასაქმდა.

3. მოსარჩელე სამსახურში მიღების დღიდან გათავისუფლებამდე კეთილსინდისიერად და ჯეროვნად ასრულებდა დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს, მის მიმართ არასადროს ყოფილა გამოყენებული დისციპლინური პასუხისმგებლობის არცერთი ზომა.

4. 2017 წლის 12 დეკემბრის ბრძანების შესაბამისად, სამსახურში დასაქმებულ პირებს, მათ შორის, მოსარჩელეს ეცნობა სამსახურში დაწყებული რეორგანიზაციისა და შესაძლო გათავისუფლების თაობაზე, ხოლო 2018 წლის 7 მარტს მოსარჩელეს ჩაჰავდა არქიტექტურის სამსახურის კანცელარიისა და საკონსულტაციო განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ სამსახურის უფროსის 2018 წლის 23 თებერვლის ბრძანება.

5. მოსარჩელის მითითებით, არქიტექტურის სამსახურში მართლაც განხორციელდა რეორგანიზაცია, შემცირდა და გაერთიანდა გარკვეული განყოფილებები, ამასთან, ზოგიერთს შეეცვალა სახელწოდება, მათ შორის, იმ განყოფილებას, სადაც მოსარჩელე გათავისუფლებამდე მუშაობდა, თუმცა რეორგანიზაციის შემდგომ საქმისნარმოების განყოფილება სწორედ იმ უფლებამოსილებას ასრულებს, რასაც – კანცელარიისა და საკონსულტაციო განყოფილება, სადაც მოსარჩელე იყო დასაქმებული, შესაბამისად, არქიტექტურის სამსახურში დღემდე არსებობს იმავე უფლება-მოვალეობებით ის განყოფილება, სადაც მოსარჩელე გათავისუფლებამდე მუშაობდა.

6. მოსარჩელის განმარტებით, განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტების რაოდენობა 26 საშტატო ერთეულიდან, 6 საშტატო ერთეულამდე შემცირდა. რეორგანიზაციის შედეგად ახლად ჩამოყალიბებულ საქმისნარმოების განყოფილებას, გამოეყო ერთადერთი უფლება-მოვალეობა, კერძოდ, „სამსახურის, კომპეტენციას შეიუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით, მოქალაქეებისათვის კონსულტაციის განვევა“, რასაც ამჟამად ასრულებს ა(ა)იდ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო“, სწორედ, ზემოაღნიშნულ ა(ა)იდ-ში იქნენ გადაყვანილი ამ განყოფილების 17 მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი. ამასთან, 5 ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი უცვლელად აგრძელებს მუშაობას საქმისნარმოების განყოფილებაში, ხოლო მე-6 ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშნულ იქნა სრულიად სხვა განყოფილების თანამდებობაც რეორგანიზაციის შედეგად გაუქმდა.

7. მოსარჩელის განმარტებით, მისი გათავისუფლება არ შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, ვინაიდან დღემდე არსებობს განყოფილება და საშტატო ერთეული, სადაც მოსარჩელე იყო გათავისუფლებამდე დასაქმებული, შესაბამისად, მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლება დაუსაბუთებელი და უკანონოა.

მოპასუხის პოზიცია:

8. მოპასუხემ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ რეორგანიზაციის შედეგად გაუქმდა კანცელარიისა და საკონსულტაციო განყოფილება, სამსახურს გამოეყო საკონსულტაციო მიმართულება, რომელიც რეორგანიზაციის შედეგად სტრუქტურულად დაექვემდებარა ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს, ხოლო, ხსენებული განყოფილების სახელწოდებად, სამსახურის დებულების თანახმად, განისაზღვრა საქმისნარმოების განყოფილება.

9. არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 26 იანვრის ბრძანებით დამტკიცებული საშტატო ნუსხის თანახმად, კანცელარიისა და საკონსულტაციო განყოფილებაში განსაზღვრული იყო 31 საშტატო ერთეული, ხოლო რეორგანიზაციის შედეგად, არქიტექტურის სამსახურის უფროსის 2018 წლის 23 თებერვლის ბრძანებით დამტკიცებული საშტატო ნუსხის თანახმად, საქმისნარმოების განყოფილებაში განისაზღვრა 8 საშტატო ერთეული.

10. მოპასუხის მითითებით, ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტომ მოქალაქეებისთვის კონსულტაციების განვის მიმართულებით შეითავსა სამსახურის ფუნქციები, რომლის განსახორციელებლად კანცელარიისა და საკონსულტაციო განყოფილებიდან 18 საშტატო ერთეული გამოაკლდა არქიტექტურის სამსახურს და გადაეცა ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს.

11. მოპასუხის განმარტებით, ეფექტური მმართველობის განხორციელებისთვის საქმისნარმოების განყოფილებაში 8 საშტატო ერთეულის არსებობით თავიდან არის აცილებული შტატების ხელოვნურად გაზრდა და აღნიშნული რაოდენობა არის ოპტიმალური, რაც შედეგობრივად აისახება განყოფილების საქმიანობაში.

12. მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების გადაწყვეტილება დამსაქმებლის მიერ მიღებულ იქნა „გონივრული საფუძვლის“ პრინციპის დაცვით. ამ მიზნით სამსახურში გაიმართა გასაუბრება, რომლის ფარგლებშიც თანამშრომლებს დაესვათ შეკითხვები დაკისრებული ფუნქციებიდან გამომდინარე.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

13. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილებით დასაქმებულის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 23 თებერვლის № ბ60.011805420 პრანება; დამსაქმებელს დასაქმებულის სასარგებლოდ კომპენსაციის – 6000 ლარის (ხელზე ასაღები) გადახდა დაეკისრა; სარჩელი სამუშაოზე აღდგენის, სამსახურში აღდგენამდე იძულებითი განაცდურის ანაზღაურებისა და პირგასამტებლოს დაკისრების მოთხოვნის ნაწილში, არ დაკმაყოფილდა.

14. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხემ საპელაციო წესით გაასაჩივრა, მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოიხოვა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაილი და ფაქტობრივსამართლებრივი დასაბუთება:

15. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 17 მაისის განჩინებით, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

16. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მართებულია საქალაქო სასამართლოს განმარტება მასზე, რომ მხოლოდ რეორგანიზაცია და სტრუქტურული ცვლილებები არ წარმოადგენს დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლების, როგორც უკიდურესი ღონისძიების გამოყენების ლეგიტიმურ საფუძველს. რეორგანიზაციის შედეგად დასაქმებულთა სამსახურიდან გაშვების ერთ-ერთ განმაპირობებელ კანონისშიერ საფუძვლად შეიძლება მიჩნეულ იქნეს შტატების შემცირება. გარდა შტატების შემცირებისა, ერთ-ერთი ასეთი მართლზომიერი საფუძველი შეიძლება იყოს ფუნქციების მატება და, შესაბამისად, რეორგანიზაციამდე დასაქმებული კადრების უკვე არასაქმარისი კვალიფიკაცია. რეორგანიზაცია იმ შემთხვევაში წარმოშობს მუშავის სამსახურიდან განთავისუფლების მართლზომიერ საფუძველს, თუ დადგინდება, რომ რეორგანიზაცია, თავისი შინაარსის გათვალისწინებით, ეკონომიკური სიდუხჭირის, შტატების ან/და ხელფასების შემცირების ან სხვა ობიექტური საჭიროების გამო, დამსაქმებელს აყენებს კონკრეტული თანამდებობიდან მუშავის განთავისუფლების აუცილებლობის წინაშე.

17. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში არ დგინდება, რა აუცილებლობით არის გამოწვეული სამუშაო ძალის შემცირება, ხომ არ შეექმნა ფორმალური საფუძველი რეორგანიზაციას. აღნიშნულ კითხვებზე მოპასუხის მიერ წარმოდ-

გენილი მტკიცებულებები პასუხს ვერ სცემს. გარდა აღნიშნული-სა, ეკონომიკური გარემოებების, ტექნოლოგიური ან ორგანიზაცი-ული ცვლილებების შემთხვევაში, უნდა დასტურდებოდეს კონკრე-ტული მუშაკის გათავისუფლების აუცილებლობაც, როდესაც მხედ-ველობაში უნდა იქნეს მიღებული დასაქმებულის კვალიფიკაცია, სამუშაო გამოცდილება და სხვა გარემოებები, ვინაიდან დამსაქ-მებელი ვალდებულია, ინდივიდუალურად შეაფასოს დასაქმებუ-ლისთვის სასარგებლო გარემოებები, რომელთა გათვალისწინები-თაც უნდა მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება თითოეული და-საქმებულის მიმართ.

18. სასამართლოს განმარტებით, შტატების შემცირების პირო-ბებში მოსარჩელის მიმართ გადაწყვეტილების მიღების განმაპი-რობებელ გარემოებად და თანამშრომელთა შერჩევის კრიტერიუ-მადაც, შესაგებელში მოპასუხებ მიუთითა მოსარჩელის კვალიფი-კაციაზე, თუმცა იმ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებუ-ლება, რომ მოსარჩელეს მისივე კატეგორიის სპეციალისტებთან შე-დარებით ჰქონდა ნაკლები კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდი-ლება, მოპასუხეს სასამართლოსათვის არ ნარუდგენია. მოცუმულ შემთხვევაში, არც სამუშაო სტაჟის მიხედვით გათავისუფლება, როგორც შრომითი ურთიერთობის ორივე მხარის ინტერესების გათ-ვალისწინებით, ისე წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მი-ხედვით დასაქმებულთა შერჩევა არ დასტურდება. საყურადღე-ბოა ის გარემოებაც, რომ დასაქმებულის მიმართ დისციპლინური ღონისძიების გამოყენების ფაქტი არ დასტურდება. არ იყვეთება მოსარჩელის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების შეუძლებ-ლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების ფაქტიც.

19. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამარ-თლოს მითითებით, მართებულია საქალაქო სასამართლოს შეფა-სება, რომ მოპასუხებ ვერ დაადასტურა ორგანიზაციული, ეკონო-მიკური თუ ტექნოლოგიული გარემოებებით განპირობებული სა-მუშაო ძალის შემცირების აუცილებლობით მოსარჩელის გათავი-სუფლების კანონიერება, ვერ დაასაბუთა კონკრეტულად მოსარ-ჩელის მიმართ გადაწყვეტილების მიღების განმაპირობებელი ისე-თი გარემოებების არსებობა, რომელთა საფუძველზეც სხვა თა-ნამშრომლებს მიენიჭათ სამუშაოზე დარჩენის უპირატესობა.

20. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ვინაიდან, მოსარ-ჩელის სამუშაოზე აღდგენა შეუძლებელია (ვაკანტური თანამდე-ბობის არარსებობის გამო), მას უნდა მიეცეს შრომითი ხელშეკრუ-ლების უსაფუძლოდ შეწყვეტისათვის სშე-ის 48.8 მუხლით გათ-ვალისწინებული კომპენსაცია. სასამართლოს მითითებით, კომპენ-საციის გონივრული ოდენობის განსაზღვრის მიზნით, საქალაქო სა-

სამართლომ მართებულად გაითვალისწინა მხარეთა შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის ვადა (უვადო), ხელფასის ოდენობა, ის გარემოება, რომ მოსარჩელეს მიღებული აქვს 1 თვის კომპენსაცია. ამასთან, სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ, 2018 წლის 2 აპრილიდან, მოსარჩელე დასაქმდა ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტომ დასტანციური მომსახურების სამსახურის ოფიცრის თანამდებობაზე, სადაც მუშაობდა 2018 წლის 18 ივნისამდე (მისი შრომის ანაზღაურება შეადგინდა 1300 ლარს). 2018 წლის 18 ივნისიდან კი დასაქმებულია სსიპ სახელმწიფო ქინების ეროვნული სააგენტოს კორესპონდენციის მართვის სამსახურის შტატგარეშე მოსამსახურედ.

21. ზემოაღნიშნული გარემოებების მხედველობაში მიღების შედეგად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შრომითი ხელშეკრულების არამართლზომიერად შეწყვეტის გამო მოსარჩელისათვის ასანაზღაურებელი კომპენსაციის ოდენობა სწორად განისაზღვრა 6000 (ხელზე მისაღები თანხა) ლარით. ამასთან, არ არსებობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების წინაპირობები.

კასატორის მოთხოვნა:

22. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოპასუხემ (დამსაქმებელმა) შეიტანა საკასაციო საჩივარი, გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილებით მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

23. კასატორის მითითებით, სტრუქტურული რეორგანიზაციის საფუძვლებიდან გამომდინარე, ცალსახად ფგინდება, რომ სისტემური და ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელ ღონისძიებას წარმოადგენდა რეორგანიზაციის დაწყება და შესაბამისი ცვლილებები. რეორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისა და საკრებულოს მიერ შესაბამისი განკარგულებების საფუძველზე.

24. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსის 2018 წლის 26 იანვრის ბრძანებით დამტკიცებული საშტატო ნუსხის თანახმად, კანცელარიისა და საკონსულტაციო განყოფილებაში განსაზღვრული იყო 31 საშტატო ერთეული, ხოლო რეორგანიზაციის შედეგად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსის 2018 წლის 23 თებერვლის ბრძანებით დამტკიცებული საშტატო ნუსხის მიხედვით, საქმისარმოების განყოფილებაში განისაზღვრა 8 საშტატო ერთეული. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცალსახად დგინდება მიზეზშედეგობრივი კავშირი ორგანიზაციული ცვლილებების თაობაზე მი-

ლებულ გადაწყვეტილებასა და მოსარჩელის გათავისუფლების შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილებას შორის. ამასთან, ცალსახად დასტურდება, არქიტექტურის სამსახურის ორგანიზაციული ცვლილებების აუცილებლობა, რომელიც გამომდინარეობს კანონმდებლობის შესაბამისად გამოცემული თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული და თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ინდივიდუალური აქტებიდან, რომლებიც სადაც არ ყოფილა გამხდარი.

25. კასატორის მითითებით, გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე სამსახურში გამართული გასაუბრება (კალსახად დაადასტურა მისარჩელებ პროცესის მიმდინარეობისას. გასაუბრების ფარგლებში თანამშრომლებს დაესვათ შეკითხვები დაკისრებული ფუნქციებიდან გამომდინარე. სწორედ გასაუბრების შედეგების, თანამშრომლების სტაჟის, კვალიფიკაციისა და დაკისრებული უფლება-მოვალეობებიდან გამომდინარე, მიღებულ იქნა მოწინააღმდეგებ მხარის გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება. თუმცა გაურკვეველია რატომ არ იქნა აღნიშნული სასამართლოს მიერ გაზიარებული, ამის შესახებ გასაჩივრებულ განჩინებაში არაფერია ნათქვამი, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს მის არასაკმარისად დასაბუთებაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

26. საკასაციო პალატა საქმის შესწავლისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

27. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ ნამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება – დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ ნარმოუდგენია დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

28. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ბრძანების ბათილად ცნობისა და უფლებრივი რესტიტუციის შესახებ მოსარჩელის მოთხოვ-

ნის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს შრომის კოდექ-
სის (შემდგომ – სპკ, განჩინებაში მითითებულია და შეფასებულია
სშკ-ის ნორმები დასაქმებულის გათავისუფლებისას მოქმედი რე-
დაქციით), 38-ე მუხლის მე-8 პუნქტი (სასამართლოს მიერ დასაქ-
მებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დამსაქ-
მებლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში, სასა-
მართლოს გადაწყვეტილებით, დამსაქმებელი ვალდებულია, პირ-
ვანდელ სამუშაო ადგილზე აღადგინოს პირი, რომელსაც შეუწყდა
შრომითი ხელშეკრულება ან უზრუნველყოს ის ტოლფასი სამუშა-
ოთი, ან გადაუხადოს მას კომპენსაცია სასამართლოს მიერ გან-
საზღვრული ოდენობით) და 44-ე (შრომითი ურთიერთობისას მხა-
რის მიერ მეორე მხარისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება
საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით) მუხლი, ასე-
ვე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგ – სსკ) 394.1 (მო-
ვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია
მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება) და 408.1 (იმ
პირმა, რომელიც ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღად-
გინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგა-
რიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება) მუხლები.

29. სამუშაოდან გათავისუფლების თაობაზე შრომითი დავის
განხილვისას, პირველ რიგში, სასამართლო ამონმებს, რამდენად
მართლზომიერად მოქმედებდა დამსაქმებელი დასაქმებულის სა-
მუშაოდან გათავისუფლებისას. ამ საკითხის გამორკვევა კი, შე-
საძლებელია მხოლოდ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის თაო-
ბაზე მიღებულ გადაწყვეტილებაში მითითებული გათავისუფლე-
ბის საფუძვლის კვლევის შედეგად (შდრ. სუსგ №ას-235-2021, 18
ივნისი, 2021 წელი; №ას-151-147-2016, 19 აპრილი, 2016 წელი). მო-
ცუმულ შემთხვევაში, დამსაქმებლის 2018 წლის 23 თებერვლის
ბრძანებით, მოსარჩევესთან შრომითი ხელშეკრულება შეწყდა რე-
ორგანიზაციის საფუძვლით. ამ საფუძვლით ხელშეკრულების შეწ-
ყვეტას საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი
ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი (ეკონომიკური გარემოებები, ტექნოლო-
გიური ან ორგანიზაციული ცვლილებები, რომლებიც აუცილებელს
ხდის სამუშაო ძალის შემცირებას) ითვალისწინებს.

30. მოპასუხის მითითებით, რეორგანიზაციის შედეგად გაუქ-
მდა კანცელარიისა და საკონსულტაციო განყოფილება, სადაც მო-
სარჩევე იყო დასაქმებული. ახალი განყოფილების სახელწოდებად,
სამსახურის დებულების თანახმად, განისაზღვრა საქმისწარმოე-
ბის განყოფილება, ხოლო მისი სამტატო ნუსხა დადგინდა 8 ერთე-
ულით. გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე
სამსახურში გამართული გასაუბრების ფარგლებში თანამშრომლებს

დაესვათ შეკითხვები დაკისრებული ფუნქციებიდან გამომდინარე. სწორედ გასაუბრების შედეგების საფუძველზე გათავისუფლდა მოსარჩელე დაკავებული თანამდებობიდან.

31. საკასაციო პალატის განმარტებით, დამსაქმებლის საკასაციო საჩივრის ფარგლებში, სამსახურიდან განთავისუფლების ბრძანების ბათილობის საფუძვლიანობის შემოწმების მიზნით, უნდა შეფასდეს რეორგანიზაციის გამართვისა და მოსარჩელის მიმართ რეორგანიზაციის შედეგების მართლზომიერება, კერძოდ, რეორგანიზაციის მოტივით მართლზომიერად გათავისუფლდა თუ არა მოსარჩელე დაკავებული თანამდებობიდან, დამსაქმებელმა უფლება ბოროტად ხომ არ გამოიყენა, რაც ენინააღმდეგება სშეის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტს, სსკ-ის 115-ე, მე-8 მუხლებსა და საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ შრომის უფლებას, ვინაიდან რეორგანიზაცია მუშაკთან ხელშეკრულების შეწყვეტის ფორმალური საფუძველი არ არის და ორგანიზაციაში მიმდინარე სტრუქტურული, ორგანიზაციული ცვლილებები არ უნდა იქცეს უმართებულო გადაწყვეტილების მიღების კანონისმიერ საფუძვლად (შდრ. სუსგ №ას-931-2022, 30სექტემბერი, 2022 წელი; №ას-466-2021, 27 სექტემბერი, 2022 წელი; №ას-115-111-2016, 8 აპრილი, 2016 წელი).

32. ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში საკასაციო პალატამ განმარტა: „ორგანიზაციაში მიმდინარე სტრუქტურული, ორგანიზაციული ცვლილებები მხოლოდ იმ შემთხვევაში ნარმოშობს მუშაკის სამსახურიდან გათავისუფლების მართლზომიერ საფუძველს, თუ დადგინდება, რომ იგი თავისი შინაარსის გათვალისწინებით, ეკონომიკური სიდუხეჭირის, შტატების ან/და ხელფასების შემცირების ან სხვა ობიექტური საჭიროების გამო, დამსაქმებელს აყენებს კონკრეტული თანამდებობიდან მუშაკის გათავისუფლების აუცილებლობის წინაშე. სხვა შემთხვევაში, ორგანიზაციაში მიმდინარე სტრუქტურული, ორგანიზაციული ცვლილებებიც, თავისთავად, არ არის მუშაკთან ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში, ე.წ. „რეორგანიზაციის“ საფუძვლით პირის სამსახურიდან გაშვების დისკრიმინაციული მოტივები შეიძლება დაიიფაროს და იქცეს ადმინისტრაციის მიერ უმართებულო გადაწყვეტილების მიღების კანონისმიერ საფუძვლად. შესაბამისად, დასაქმებულის სამსახურიდან ნებისმიერი, მათ შორის, რეორგანიზაციის, საფუძვლით დათხოვნის საკითხის გადაწყვეტისა და არჩევანის დროს დამსაქმებელი ვალდებულია, იხელმძღვანელოს გონიერული და დასაბუთებული კრიტიკული, რაც გამორიცხავს ეჭვის საფუძველს გადაწყვეტილების მიღების პროცესში და დაუსაბუთებლად არ ხელყოფს დასაქმებულის კანონიერ ინტერესს, მის

შრომით უფლებებს“ (სუსგ. №ას-1334-2021, 2 მარტი, 2022 წელი; №ას-224-224-2018, 18 მაისი, 2018 წელი).

33. შრომითსამართლებრივი დავები მტკიცების ტვირთის განაწილების გარკვეული თავისებურებით ხასიათდება, რასაც, მტკიცებულებების წარმოდგენის თვალსაზრისით, დამსაქმებლისა და დასაქმებულის არათანაბარი შესაძლებლობები განპირობებს. მოსარჩელე, დასაქმებული, რომელიც სამსახურიდან უკანონოდ დათხოვნის თაობაზე აპელირებს, ვერ დაადასტურებს სამსახურიდან დათხოვნის უკანონობას, შესაბამისად, მოსარჩელის მითითება მასზე, რომ იგი უკანონოდ გაათავისუფლეს სამსახურიდან, მტკიცების ტვირთს აბრუნებს დამსაქმებლის მხარეს, რომელსაც აკისრებს დასაქმებულის სამსახურიდან მართლზომიერად გათავისუფლების მტკიცების ვალდებულებას (შრომითსამართლებრივ დავაში შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის მართლზომიერი საფუძვლის მტკიცების სტანდარტზე იხ. ი. გაგუა, „მტკიცებულებები და მტკიცების პროცესი კერძო ხასიათის სამართლებრივ დავებზე“, რედ: ზ. ძლიერიშვილი, ნ. კვანტალიანი, 2020 წ., გვ. 255-261). ამდენად, ფაქტების მითითების ტვირთი მოსარჩელეს ეკისრება, ხოლო შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ ბრძანების კანონიერების დადგენა დამოკიდებული მოპასუხის მტკიცების ტვირთის რეალიზებაზე, კერძოდ, მისი მხრიდან დამაჯერებელი საფუძვლებისა და მტკიცებულებების წარდგენაზე (იხ. სუსგ №ას-1483-2019, 19 დეკემბერი, 2019 წელი; №ას-223-223-2018, 20 აპრილი, 2018 წელი; №ას-103-2019, 31 ოქტომბერი, 2019 წელი).

34. დამსაქმებელმა რეორგანიზაციის საფუძვლით შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის დროს კუმულაციურად უნდა დაასაბუთოს და დაამტკიცოს შემდეგი წინაპირობები: სანარმოო აუცილებლობა, რომელიც შესაძლოა ლეგიტიმურ მიზანს წარმოადგენდეს რეორგანიზაციისა და შტატების შემცირებისათვის და შტატების რეალურად და კანონთან შესაბამისად შემცირების ფაქტი – კერძოდ, რეორგანიზაციის ფაქტობრივად განხორციელება კანონის შესაბამისად ისე, რომ პროცესში არ მოხდეს თვალთმაქცურად არასასურველი მუშაკების განთავისუფლება (შდრ. სუსგ №ას-1440-2020, 28 აპრილი, 2021 წელი). დამსაქმებელმა უნდა წარმოაჩინოს თანმიმდევრული სურათი, რომელიც გონიერ დამკვირვებელს დაარწმუნებს მთელი ამ პროცესის სისწორესა და კანონიერებაში.

35. საკასაციო პალატის მითითებით, განსახილველ შემთხვევაში, დამსაქმებელმა ვერ დაასაბუთა რეორგანიზაციის შედეგად მოსარჩელის განთავისუფლების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების მიზანშეწონილობა, ვერ წარმოადგინა სათანადო არგუმენტები, რომლითაც ის ხელმძღვანელობდა ამ გადაწყვეტილების მიღე-

ბისას. საქმეში წარმოდგენილი არ არის მტკიცებულება, რამდენად ობიექტურ და სამართლიან კრიტერიუმებს ემყარებოდა სამსახურიდან მოსარჩელის გათავისუფლების თაობაზე დამსაქმებლის გადაწყვეტილება.

36. საქმის მასალების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 20 ნოემბრის №43.03.841 განკარგულებით განისაზღვრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ზოგიერთი საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირების სისტემური და ეფექტური მმართველობის უზრუნველყოფის მიზნით მისაღები ღონისძიებები. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 29 ნოემბრის №44.15.865 განკარგულებით, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინადადება წარედგინა თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის რეორგანიზაციაზე გადაწყვეტილების მისაღებად. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 5 დეკემბრის №52 განკარგულებით საკრებულომ გადაწყვეტა არქიტექტურის სამსახურში რეორგანიზაციის დაწყება და კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება. ამასთან, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 26 იანვრის №260.01180261 ბრძანებით დამტკიცებული საშტატო ნუსხის მიხედვით, არქიტექტურის სამსახურის 147 საშტატო ერთეული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსის 2018 წლის 23 თებერვლის №ბ60.01180548 ბრძანებით დამტკიცებული საშტატო ნუსხით შემცირდა 93 საშტატო ერთეულამდე, 54 ერთეულით, ხოლო თანამდებობრივი სარგო 260 450 ლარიდან 172 600 ლარამდე.

37. 2018 წლის 26 იანვრის №260.01180261 ბრძანებით დამტკიცებული საშტატო ნუსხის მიხედვით, კანცელარიისა და საკონსულტაციო განყოფილებაში განსაზღვრული იყო 31 საშტატო ერთეული, მათ შორის, უფროსი სპეციალისტის 26 შტატი, ხოლო რეორგანიზაციის შედეგად, არქიტექტურის სამსახურის უფროსის 2018 წლის 23 თებერვლის №ბ60.01180548 ბრძანებით დამტკიცებული ახალი საშტატო ნუსხით, შეიქმნა საქმისნარმოების განყოფილება, რომლითაც განისაზღვრა 8 საშტატო ერთეული, საიდანაც, მესამე კატეგორიის სპეციალისტთა რაოდენობა შეადგენს 6 ერთეულს. ამასთან, უდავოა, რომ კანცელარიისა და საკონსულტაციო განყოფილების უფლებამოსილებას მიეუთვენებული მოქალაქეებისთვის კონსულტაციების განვევის მიმართულებით სამსახურის

ფუნქციები გამოეყო და გადაეცა ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს, რომლის განსახორციელებლად კანცელარიისა და საკონსულტაციო განყოფილებიდან 19 შტატი გამოაკლდა არქიტექტურის სამსახურს და გადაეცა ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს.

38. საკასაციო პალატის განმარტებით, სისტემური და ეფუძნილი ანი მმართველობის უზრუნველყოფის მიზნით უდავოა, რომ არქიტექტურის სამსახურში რეორგანიზაციის შედეგად გაუქმდა კანცელარიისა და საკონსულტაციო განყოფილება და ამის ნაცვლად, მისთვისვე განსაზღვრული ფუნქციებით (გარდა, ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოსათვის გადაცემული მოქალაქეებისთვის კონსულტაციების განევის მიმართულებისა), შეიქმნა საქმისარმოების განყოფილება. უფროსი სპეციალისტის 26 შტატიდან 19 ერთეული გადაეცა ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს, მოქალაქეებისთვის კონსულტაციების განევის ფუნქციით, ხოლო დარჩენილი 7 შტატი შემცირდა ერთით და განისაზღვრა 6 ერთეულით. სწორედ ამ 6 ერთეულ საშტატო თანამდებობაზე ჩატარდა გასაუბრება, რომლის შედეგების საფუძველზე, მოსარჩევე დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა.

39. საკასაციო პალატის მითითებით, ხელშეკრულების მოშლა დამსაქმებლის ცალმხრივი ნების გამოხატვაა, რომელსაც დასაქმებულთან არსებული შრომითსამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტა მოსდევს. მოცემულ შემთხვევაში, სწორედ დამსაქმებელს უნდა ედასტურებინა, კონკრეტულად რა კრიტერიუმი ვერ დააკმაყოფილა დასაქმებულმა გასაუბრებისას (შდრ: სუსგ №ას-325-2020, 28 სექტემბერი, 2021 წელი; №ას-151-147-2016, 19 აპრილი, 2016 წელი). არც ქვემდგომში წესით საქმის განხილვისას და არც საკასაციო საჩივარში არ არის მითითებული მტკიცებულებებზე და არ არის მოყვანილი წონადი არგუმენტები, რომლებიც, დამსაქმებლის მიერ გამოვლენილი ცალმხრივი ნების კანონიერებას დაადასტურებდა და სასამართლოს მისცემდა შესაძლებლობას, შეეფასებინა მოსარჩელის მიერ დაკავებულ თანამდებობაზე მომუშავე სხვა პირებთან შედარებით რატომ იყო გამართლებული კონკრეტულად მოსარჩელესთან შრომითი ურთიერთობის მოშლა და დაცული იყო თუ არა ამ პროცესში დასაქმებულის ინტერესები, მით უფრო, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ როგორც სარჩელშია აღნიშნული 5 ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი უცვლელად აგრძელებს მუშაობას საქმისარმოების განყოფილებაში, ხოლო მე-6 ვაკანტურ თანამდებობაზე (შტატით გათვლისწინებულია 6 უფროსი სპეციალისტის თანამდებობა) დანიშნულ იქნა სრულიად სხვა

განყოფილების თანამშრომელი, რომლის თანამდებობაც რეორგანიზაციის შედეგად გაუქმდა (აღნიშნულის საწინააღმდეგო მტკიცებულებები დამსაქმებელს სასამართლოში არ წარმოუდგენია).

40. პალატა მიუთითებს, რომ, ვინაიდან ტესტირებისაგან (წერილობითი გამოცდისაგან) განსხვავებით, გასაუბრება ზეპირია, დამსაქმებელმა უნდა შექმნას ისეთი მტკიცებულება, რომელიც სადაცობისას, კონკურსანტს აძლევდეს თავისი პოზიციის დაცვისა და კანონიერი უფლებების სრულად რეალიზების საშუალებას, ხოლო კონკურსის შედეგის წინააღმდეგ შეტანილი საჩივრის განხილვისას, სასამართლოს გასაუბრების კანონიერების შეფასება შეეძლოს.

41. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, წარმოდგენილი არ არის მტკიცებულება, კანდიდატთა გასაუბრების თაობაზე და ინფორმაცია მათ მიერ გაცემული პასუხების შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან საქმის მასალები არ იძლევა გასაუბრებასთან შედარებისა და შეჯერების შესაძლებლობას, დამსაქმებლის მხრიდან მოსარჩელის სუბიექტურად შეფასების შესაძლებლობა ვერ გამოირიცხება, რისი გათვალისწინებითაც, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას რეორგანიზაციის პროცესში ჩატარებული გასაუბრება შეაფასოს როგორც ობიექტური და გამჭვირვალე. ამასთან, საყურადღებოა ის გარემოება, რომ დასაქმებულის მიმართ დისციპლინური ღონისძიების გამოყენების ფაქტი არ დასტურდება, ისევე როგორც არ იკვეთება მოსარჩელის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების ფაქტი. ამასთან, არ გამოვლენილა დასაქმებულის არასაკმარისი კვალიფიკაცია, ისევე როგორც – საქმისწარმოების დეპარტამენტის ფუნქციების განახლება ან ზრდა, რის გამოც, მოსარჩელე ვერ დააკმაყოფილებდა დაწესებულ მოთხოვნებს.

42. განსახილველ შემთხვევაში კასატორმა ვერ უზრუნველყოდა დაედასტურებინა რეორგანიზაციის განხორციელების საფუძველზე მოსარჩელის გათავისუფლების გარდაუვალობა. მხოლოდ მითითება რეორგანიზაციის გზით ორგანიზაციული ცვლილებების აუცილებლობაზე და გასაუბრების შედეგებზე, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ვერ მიიჩნევა საკმარის საფუძვლად უშუალოდ მოსარჩელესთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისათვის.

43. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამსაქმებელმა ვერ დასაბუთა რეორგანიზაციის საფუძვლით გასაუბრების შედეგად მოსარჩელის განთავისუფლების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების მიზანშეწონილობა. აღნიშნული კი, გამორიცხავს რეორგანიზაციის მოტივით მოსარჩელის გათავისუფლების კა-

ნონიერების შესახებ მოპასუხის პოზიციის გაზიარების შესაძლებლობას. ამ პირობებში კი, თავად სადაც ნება ენინაალმდეგება მის სამართლებრივ საფუძვლად მითითებულ კანონის მოთხოვნას და, სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად, ბათილია, შესაბამისად, ამკარაა შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილით განსაზღვრული უფლებრივი რესტიტუცია. ამ მხრივ საკასაციო საჩივარი არ შეიცავს შედავებას, შესაბამისად, საკასაციო პალატა დაკისრებული კომპენსაციის ოდენობაზე დამატებით აღარ იმსჯელებს.

44. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დაკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: а) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივრებს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 410-ე მუხლებით

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 17 მაისის განჩინება;

3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დასაქმებულის მიერ სამუშაოს წერილობითი გაცეხადვის საფუძველზე დატოვება

განჩინება
საქართველოს სახელით

№ას-224-2020

23 თებერვალი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მიქაბერიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ერემაძე,
ვ. კაკაბაძე

დავის საგანი: განკარგულების ბათილად ცნობა, სამსახურში
აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

აღნერილობითი ნაწილი:

სასარჩელო მოთხოვნა:

1. კ. მ-ძემ (შემდგომ – მოსარჩელე, დასაქმებული, აპელანტი, კატორი) სარჩელი აღძრა სასამართლოში სს „თ. ბ-ის“ (შემდგომ – ბანკი, დამსაქმებელი, მოპასუხე, მოწინააღმდეგე მხარე) მიმართ და მოითხოვა მოპასუხე კომპანიის 2016 წლის 13 სექტემბრის №347.00, 2016 წლის 14 სექტემბრის №348.00 და 2016 წლის 14 სექტემბრის №353 განკარგულებების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის გათავისუფლებიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველთვიურად 900 ლარის ანაზღაურება.

სარჩელის საფუძვლები:

2. მოსარჩელე მხარეთა შორის 2016 წლის 1 თებერვალს დადებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მუშაობდა ბანკში დისტანციური გაყიდვების მენეჯერის თანამდებობაზე. 2016 წლის 13 სექტემბრის განკარგულების საფუძველზე მოსარჩელე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან საქართველოს შრომის კოდექსის (შემდგომ – სშე) 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ. ქვებუნქტის საფუძველზე. მოსარჩელე მიუთითებს, რომ მასთან შრომითი ურთერთობა შეწყდა მხარეთა შორის დადებული შრომითი ხელშეკრულებისა და მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით, რაც აღნიშნული ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველია.

3. ამის შემდგომ, მოპასუხემ 2016 წლის 14 სექტემბერს დაწერა განცხადება სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ, რის საფუძვლზეც მოპასუხე კვლავ გათავისუფლდა სამსახურიდან. აღნიშ-

ნული მიუთითებს, რომ მოსარჩელის განცხადებას, რომლითაც ის ითხოვდა სამსახურიდან გათავისუფლებას, სამართლებრივი ძალა არ ჰქონდა. მან განცხადება დაწერა მოპასუხის მხრიდან მოტყუებისა და გაუმართლებელი ფსიქოლოგიური ზემოქმედების შედეგად.

მოპასუხის პოზიცია:

4. მოპასუხებ წარდგნენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ მოსარჩელე სამსახურიდან 2016 წლის 14 სექტემბრის №353 განკარგულების საფუძველზე გათავისუფლდა, რომელსაც საფუძვლად დაედო თავად დასაქმებულის პირადი განცხადება. 2016 წლის 13 სექტემბრის №347.00 განკარგულება კი, რომლითაც მოსარჩელე არა 13 სექტემბრიდან, არამედ 14 სექტემბრიდან გათავისულდა, გაუქმდა.

5. მოპასუხის განმარტებით, მას შემდეგ, რაც მოსარჩელე გაეცნო საბოლოო გაფრთხილებისა და დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ბანკის 2016 წლის 13 სექტემბრის განკარგულებას, რამდენიმე საათის შემდეგ, 2016 წლის 14 სექტემბერს გააზრდებულად და შეგნებულად მიმართა დამსაქმებელს და პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლება ითხოვა. ბანკმა მის მიმართ ლოიიალური დამოკიდებულება გამოიჩინა, შრომით ბაზარზე ამჟამად არსებული დასაქმების სირთულე გაითვალისწინა და 2016 წლის 14 სექტემბერს გამოსცა მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ახალი განკარგულება.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 10 აგვისტოს გადაწყვეტილებით – დასაქმებულის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

7. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მოსარჩელე სააპელაციო წესით გაასაჩივრა, მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივსამართლებრივი დასაბუთება:

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 5 ივნისის განჩინებით – აპელანტის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 10 აგვისტოს გადაწყვეტილება.

9. პალატამ მიუთითა, რომ 2016 წლის 13 სექტემბერს, მომზადდა №347.00 განკარგულება მოსარჩელის საბოლოო გაფრთხილებისა და სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე, შრომის შინაგანაწესის უხეში დარღვევის გამო. მოპასუხებ 2016 წლის 14 სექ-

ტემპერის №348.00 განკარგულებით თავად გააუქმა მოსარჩელის მიმართ გამოცემული №347 განკარგულება და გამოსცა 2016 წლის 14 სექტემბრის №353.00 განკარგულება მოსარჩელის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე, რომლის საფუძველი გახდა მოსარჩელის 2016 წლის 14 სექტემბრის განცხადება საკუთარი წებით თანამდებობის დატოვების თაობაზე. შესაბამისად, მოსარჩელე სამსახურიდან გათავისუფლდა არა დამსაქმებლის ინიციატივით, არამედ პირადი განცხადების საფუძველზე. ასეთი შემთხვევისათვის კი არც მხარეთა შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება და არც საქართველოს შრომის კანონმდებლობა დამსაქმებლის მიერ სამსახურში აღდგენასა და იძულებითი განაცდურის გადახდის ვადებულებას არ ითვალისწინებს.

10. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელის 2016 წლის 14 სექტემბრის განცხადება დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, არ იყო დაწერილი მის მიმართ იძულების, ზეწოლისა და მუქარის შედეგად, რის გამოც ნამდვილად მიიჩნია. შესაბამისად, დასასკნა, რომ მოპასუხის მიერ გამოცემული ბრძანება მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ კანონიერი იყო და არ არსებობდა მოსარჩელის სამსახურში აღდგენის საფუძველი.

კასატორის მოთხოვნა:

11. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოსარჩელემ შეიტანა საკასაციო საჩივარი, გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილებით მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

12. ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა მოსარჩელის წების გამოვლენა არ შეაფასეს შრომითი ურთიერთობის კონტექსტით და განიხილეს მისგან განყენებულად. თანამედროვე პირობებში იშვიათია ნების გამოვლენის იძულების აშკარა და ცხადი ფორმები. ფაქტია, რომ შრომით ბაზარზე არსებული უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლის ფონზე, რთულია სამუშაოს დაწყება. მოსარჩელეს არ გააჩნდა ალტერნატიული სამსახური ანდა შემოთავაზება დასაქმებაზე, მისი არსებობა დამოკიდებული იყო ყოველთვიურ შემოსავალზე და ნებისმიერი გონიერი ადამიანის ინტერესი იქნებოდა მუშაობის გაგრძელება, თუმცა მოსარჩელე იძულებული იყო, დაწერა განცხადება, რადგან აღელვებულ და მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში ყოფნის პირობებში მიუთითეს, თავად დაენერა განცხადება, რადგან სხვა შემთხვევაში ახალი სამსახურის დაწყებას ვეღარ შეძლებდა. ამდენად, უდავოა, რომ მოსარჩელეს თავისუფალი წება არ გამოუვლენია.

13. კასატორის მითითებით, ბანკის მხრიდან ძველი ბრძანების

გაუქმება და დასაქმებულის თავისი ნებით გაშვება სამსახურიდან იყო არა დადებითი ნაბიჯი მოსარჩელის მიმართ, არამედ მომავალი სასამართლო დავის თავიდან არიდების გარანტის მიღების მცდელობა.

14. იმ დროს, როდესაც დასაქმებულმა გათავისუფლების თაობაზე, განცხადება დაწერა მხარეები აღარ იყვნენ შრომითსამართლებრივ ურთიერთობაში. შესაბამისად, ბანკის ბრძანებას ძალა აღარ ჰქონდა.

15. კასატორი ასაჩივრებს სააპელაციო სასამართლოს საოქმო გაჩინებას, რომლითაც უარი ეთქა მტკიცებულებათა დართვაზე. მტკიცებულებები ადასტურებს, რომ დამსაქმებლის 2016 წლის 13 სექტემბრის ბრძანება, რომლითაც მოსარჩელე გათავისუფლა თანამდებობიდან შინაგანანესის დარღვევის საფუძვლით, უკანონოა.

სამოტივაციო ნაწილი:

16. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემონაბეჭის შედეგად მიიჩნევს, რომ საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

17. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება – დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ წარმოუდგენიათ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

18. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ბრძანების (განკარგულების) ბათილად ცნობისა და უფლებრივი რესტიტუციის შესახებ მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სშკ-ის (განჩინებაში მითითებულია და შეფასებულია სშკ-ის ნორმები დასაქმებულის გათავისუფლებისას მოქმედი რედაქციით), 38-ე მუხლის მე-8 პუნქტი (სასამართლოს მიერ დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეცყვეტის შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილებით, დამსაქმებელი ვალდებულია, პირვანდელ სამუშაო ადგილ-

ზე აღადგინოს პირი, რომელსაც შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება ან უზრუნველყოს ის ტოლფასი სამუშაოთი, ან გადაუხადოს მას კომპენსაცია სასამართლოს მიერ განსაზღვრული ოდენობით) და 44-ე (შრომითი ურთიერთობისას მხარის მიერ მეორე მხარისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით) მუხლი, ასევე, საქართველოს სამიერაქო კოდექსის (შემდგომ – სსკ) 394.1 (მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამონვეული ზიანის ანაზღაურება) და 408.1 (იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება) მუხლები.

19. სამუშაოდან გათავისუფლების თაობაზე შრომითი დავის განხილვისას, პირველ რიგში, სასამართლო ამონმებს, რამდენად მართლზომიერად მოქმედებდა დამსაქმებელი დასაქმებულის სამუშაოდან გათავისუფლებისას. ამ საკითხის გამოირკვევა კი, შესაძლებელია მხოლოდ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებაში მითითებული გათავისუფლების საფუძვლის კვლევის შედეგად (შდრ. სუსგ №ას-151-147-2016, 19.04.2016ნ.; №ას-145-2019, 05.07.2019წ.). დამსაქმებლის სადავო ბრძანების მიხედვით, 2016 წლის 14 სექტემბრიდან მოსარჩევესთან შრომითი ხელშეკრულება შეწყდა დასაქმებულის პირადი განცხადების საფუძველზე, რასაც სშკ-ის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი (შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია დასაქმებულის მიერ თანამდებობის/სამუშაოს საკუთარი ნებით, ნერილობითი განცხადების საფუძველზე დატოვება) ითვალისწინებს. ხორმის თანახმად, დასაქმებულის ნებით განპირობებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა წარმოადგენს ამ სამართალურთიერთობის დასრულების ლეგიტიმურ საფუძველს.

20. განსახილველ შემთხვევაში, სადავოა შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ გამოვლენილ ნების ნამდვილობა. მოსარჩელის მტკიცებით, მან სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ განცხადება დამსაქმებლის ფისქალოგიური ზეწოლის, იძულების შედეგად დაწერა.

21. პალატა განმარტავს, რომ დასაქმებულის მიერ ხელშეკრულების მოშლის მიმართ ვრცელდება ბათილობისა და შეცილების ზოგადი საფუძვლები. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მოშლის შესახებ გადაწყვეტილება შეცდომის, მოტყუების ან იძულების შედეგია, ის დასაქმებულის მიერ ნამდვილი შეცილების შედეგად ბათილი იქნება. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე ფსიქიკურ იძულებაზე აპელირებს. პალატა მითითებული სა-

კითხის კვლევისას მტკიცების სტანდარტზე გაამახვილებს ყურადღებას. მხარემ, რომელიც აპელირებს ნების გამოხატვის იძულების საფუძველზე, უნდა ამტკიცოს კიდევ მისი წინაპირობები. როდესაც მოსარჩევე დაამტკიცებს, რომ იძულების ხასიათი საკმარისია „ნების მოდრეკისათვის“, მეორე მხარემ უნდა ამტკიცოს, რომ, კონკრეტულ შემთხვევაში, ნების გამოხატვა იძულების შედეგი არ იყო და, გამონაკლისის სახით, გამომხატველის თავისუფალ გადაწყვეტილებას ემყარებოდა.

22. პალატა მიიჩნევს, რომ კასატორის მიერ ნების გამოვლენის ხელყოფის საფუძვლად მითითებული გარემოებები (დამსაქმებელმა ის ფაქტის წინაშე დააყენა, კერძოდ, გამოსცა მოსარჩელის გათავისუფლების შესახებ ბრძანება, რაც დასაქმებულისათვის იყო წნევი და, შესაბამისად, მან განცხადება გაუაზრებლად დაწერა, დამსაქმებლის მხრიდან ფსიქიკურ იძულებას არ ადასტურებს. პალატა განმარტავს, რომ მუქარა (ფსიქიკური იძულება) სამომავლო საფრთხის შესახებ შეტყობინებაა. მითითება ობიექტურად არსებულ გარემოებაზე, რომელზეც დამტუქრებელს არანაირი ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლია, ვერ ჩაითვლება მუქარად, ისევე, როგორც რეალიზებული საფრთხე. უფრო მეტიც, უკვე არსებული არახელსაყრელი მდგომარეობა, რომელიც არ შექმნილა ნების გამოძალვის მიზნით, არ წარმოადგენს მუქარას (შდრ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბილის, 2017, მუხლი 85, გვ. 496).

23. პალატა მიიჩნევს, რომ არ დგინდება მოპასუხის მხრიდან მოსარჩელის ნების თავისუფლების ხელყოფა, რადგანაც ის გამოვლენილი არ იყო სამსახურისგან გაშვების შიშით. უდავოდ დადგენილი გარემოებაა, მოპასუხემ განკარგულება მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე, შრომის შინაგანნებელის უხეში დარღვევის გამო 2016 წლის 13 სექტემბერს გამოსცა, ხოლო მოსარჩელემ განცხადება 2016 წლის 14 სექტემბერს დაწერა. შესაბამისად, დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შიში ვერ იქნებდა ის ფსიქოლოგიური ფაქტორი, რომელიც აიძულებდა დასაქმებულს დაეწერა სამსახურიდან გათავისუფლების განცხადება. დასაქმებულის ქმედება ფსიქიკურ იძულებად შესაძლოა, შეფასებულიყო იმ შემთხვევაში, თუ მიმართული იქნებოდა დასაქმებულის ნების გამოძალვისაკენ იმდაგვარად, რომ დაეყოლიებინა, განცხადება თავად დაეწერა, წინააღმდეგ შემთხვევაში, დამსაქმებელი გამოსცემდა ბრძანებას მისა გათავისუფლების თაობაზე. მოცემულ შემთხვევაში კი, მოსარჩელე მიუთითებს მისთვის არახელსაყრელ მოცემულობაზე, რასაც შემდეგ მოჰყვა განცხადების დაწერა.

24. დამსაქმებლის მიერ 2016 წლის 13 სექტემბრის ბრძანების გამოცემა დასაქმებულზე არამართლზომიერ ზენოლად ვერ შეფასდება იმიტომაც, რომ მოსარჩელე არ მიუთითებს, გათავისუფლების თაობაზე პირადი განცხადების დაწერა ინიცირებული იყო დამსაქმებლის მხრიდან და მან ბრძანება იმიტომ გამოსცა, რომ შემდგომ დასაქმებულს თავისი განცხადების საფუძველზე დაეტოვებინა სამსახური. მოსარჩელის მითითებით დასაქმებულს თავისმა თანამშრომელმა ურჩია დაენერა განცხადება საკუთარი ნებით სასამხურიდან წასვლის შესახებ, რაც მოსარჩელემ გაითვალისწინა. ამასთან, დადგენილია, რომ თანამშრომელს, თანამდებობიდან გამომდინარე, თანამშრომელების სამსახურიდან გათავისუფლების საკითხებთან დაკავშირებით არანაირი შემხებლეობა არ ჰქონდა და არც რაიმე ზენოლა არ შეეძლო მოსარჩელეზე. ასეთზე არც თავად მოსარჩელე არ მიუთითებს.

25. ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, მოცემული შემთხვევა არ შეიძლება განვიხილოთ იმ ვითარებად, როდესაც შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა ფორმალურად დასაქმებულის ინიციატივით იყოს განპირობებული, შეფარულად კი, ინიცირებული იყო დამსაქმებლის მხრიდან. შესაბამისად, დამსაქმებლის მხრიდან არც უფლების ბოროტად გამოყენება არ დგინდება, რაც შეეწინააღმდეგება სშკ-ის 37-ე შუბლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტს, სსკ-ის 115-ე, მე-8 მუხლს და საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ შრომის უფლებას. პალატა განმარტავს, რომ, როდესაც შრომითი ხელშეკრულება დასაქმებულის ინიციატივით, მისი პირადი განცხადების საფუძველზე წყდება, სასამართლო აფასებს ნების ნამდვილობას, მისი თავისუფალი გამოვლენის საკითხს, დამსაქმებლის არაკეთილსინდისიერი ქცევის ზემოქმედებისაგან დაცვის კონტექსტითაც, რათა ამ უკანასკნელის მხრიდან ზენოლას არ ჰქონდეს ადგილი.

26. ამდენად, პალატის დასკვნით, დამსაქმებლის 2016 წლის 13 სექტემბრის ბრძანებამ, შესაძლოა, ზეგავლენა მოახდინა დასაქმებულის ნების ფორმირებაში, რაც დასაქმებული ნების გამოვლენას იმთავითვე არანამდვილს არ ხდის. მას არჩევანის თავისუფლება არ წართმევია. დასაქმებული თუ მიიჩნევდა, რომ ბრძანება იყო უკანონო, შეეძლო მის კანონიერებაზე სამართლებრივი გზებით ედავა, თუმცა მან არჩია, პირადი განცხადების საფუძველზე შეეწყვიტა შრომითსამართლებრივი ხელშეკრულება. შესაბამისად, პალატა იზიარებს მოპასუხის განმარტებას, რომ ბანკმა დასაქმებულის მიმართ ლოიალური დამოკიდებულება გამოიჩინა და ამიტომ გამოსცა 2016 წლის 14 სექტემბერს მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ახალი ბრძანება. ამდენად, თუნ-

დაც 2016 წლის 13 სექტემბრის ბრძანებას გავლენა მოეხდინა და-საქმებულის გადაწყვეტილებაზე, დაენერა განცხადება, ბრძანე-ბის გამოცემა დასაქმებულის თავისუფალ ნებაზე დაუშვებელ ზე-მოქმედებად, ბუნებრივია, ვერ შეფასდება.

27. რაც შეეხება 2016 წლის 13 სექტემბრის ბრძანების მარ-თლზომიერებას, პალატა მასზე ვერ იმსჯელებს, რამდენადაც დამ-საქმებელმა ის თავადვე გააუქმა მოსარჩელის განცხადების საფუძ-ველზე. პალატა, კიდევ ერთხელ, აღნიშნავს, რომ, თუკი მოსარჩე-ლე მიიჩნევდა, რომ 2016 წლის 13 სექტემბრის ბრძანება არამარ-თლზომიერად გამოიცა, მას სწორედ ამ ბრძანების კანონიერებაზე უნდა ედავა და არა დაენერა სამსახურიდან გათავისუფლების შე-სახებ განცხადება. რაკი სასამართლო გაუქმებულ ბრძანებაზე არ მსჯელობს, პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელეს სწორედ ეთქვა უარი იმ მტკიცებულების დართვაზე, რომლითაც იგი 2016 წლის 13 სექტემბრის ბრძანების უკანონობის დადასტურებას ცდილობდა. შესაბამისად, არ არსებობს საოქმო განჩინების გაუქმების საფუძ-ველი.

28. ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელემ ვერ მიუთი-თა და არც საქმის მასალებიდან არ გამომდინარეობს ფაქტი, რომ დასაქმებულის მიერ სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ნე-ბის გამოვლენა მის თავისუფალ ნებაზე მოპასუხის დაუშვებელმა ზემოქმედებამ განაპირობა. მხოლოდ ის ფაქტი, რომ მოსარჩელეს სამსახურის დაკარგვა არ სურდა, სამართლებრივად მისი ნების გა-მოვლენას არანამდვილად არ აქცევს. პალატა ასკვნის, რომ ნების გამოხატვა იძულების შედეგი არ იყო და გამომხატველის თავისუ-ფალ გადაწყვეტილებას ემყარებოდა (შდრ. სუსგ №ას-560-2021, 14 ივლისი, 2021 წელი; №ას-1221-2018, 8 თებერვალი, 2019 წელი).

29. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის მიხედ-ვით, საკასაციო სასამართლო არ დაკმაყოფილებს საკასაციო სა-ჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევების არა აქვს ადგილი; ბ) საპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) საპელაციო სასამართლოს გადაწ-ყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწ-ყვეტილების სამოტივით ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუ-თებას. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკ-მაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან საპელაციო სასამარ-თლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-

მოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 410-ე მუხლებით

დ ა ა დ გ ი ნ ა:

- კ. მ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
- უცელელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სა-
მოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 5 ივნისის განჩინება;
- განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განცის თანამშრომლის აზარტულ თამაშობები მონაცილეობის საფუძვლით შრომითი ხელშეკრულების გაცემის მართლზომიერება

განცინება საქართველოს სახელით

№ას-1280-2019

23 ივნისი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგე-
ნა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

აღნერილობითი ნანილი:

1. მ. ბ-ძე (შემდეგში: მოსარჩევე, დასაქმებული ან მოლარე-ოპე-
რატორი) 2015 წლის 1 ივნისის შრომითი ხელშეკრულების საფუძ-
ველზე დასაქმებული იყო სს „ლ. ბ-ის“ აქარის რეგიონალური ფი-
ლიალის სარფის საბაჟო სერვის ცენტრში (შემდეგში: მოპასუხე,
დამსაქმებელი, ბანკი, აპელაციური ან კასატორი) მოლარე-ოპერატო-
რის პოზიციაზე. მისი დარიცხული სახელფასო ანაზღაურება თვე-
ში 497 ლარს შეადგენდა (ხელზე ასაღები 397.6 ლარი);

2. დამსაქმებლის 2018 წლის 2 მაისის №75 ბრძანების საფუძ-
ველზე, დასაქმებული გათავისუფლდა დაკავებული თანამდებო-
ბიდან. გათავისუფლებას საფუძვლად დაედო ის გარემობა, რომ
ის არაერთგზის აზარტულ და მომგებიან (ტოტალიზატორი) თამა-
შობებში მონაწილეობდა, რაც დამსაქმებლის მიერ შეფასდა რო-

გორც ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით და კორპორატიული სახელმძღვანელოთი ნაკისრი ვალდებულებების უხეში დარღვევა. ბრძანების გამოცემის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს შრომის კოდექსის (შემდეგში: სშკ) 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად გათავისუფლების საფუძველია დასაქმებულის მიერ მისთვის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან კოლექტიური ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევა;

3. დასაქმებული სადაცოდ არ ხდიდა იმ ფაქტს, რომ მართლაც დებულობდა მონაწილეობას აზარტულ და მომგებიან თამაშებში, რაც დადასტურებული იქნა საქმეში ნარმოდგენილი საბანკო გა-დარიცხვების ამონანერით;

4. სადაცო ბრძანება გამოიცა უსაფრთხოების და ინკასაციის ორგანიზების დეპარტამენტის 2018 წლის 1 მაისის შეტყობინების და დასაქმებულის 2018 წლის 30 აპრილის წერილობითი ახსნა-განმარტების საფუძველზე, რომლითაც დარღვევა გამოვლენილი იქნა 2018 წლის 30 აპრილს აუდიტისა და უსაფრთხოების დეპარტამენტის მიერ. ამავე შეტყობინებით აჭარის ფილიალის მოლარე-ოპერატორი თავისი სახელფასე ანგარიშიდან რიცხავდა თანხებს აჭარაბეთის ტოტალიზატორის ანგარიშზე და თამაშობდა;

5. დადგენილი იქნა, რომ 2016 წლის მარტიდან 2018 წლის აპრილის ჩათვლით დასაქმებული საკუთარი ანგარიშიდან პერიოდულად ფულს ტოტალიზატორში რიცხავდა;

6. დადგენილი იქნა, რომ არც შრომითი ხელშეკრულება და არც კორპორატიული სახელმძღვანელო არ შეიცავდა მითითებას დამსაქმებლის მხრიდან დასაქმებულის პირად ანგარიშებზე წვდომის შესაძლებლობის შესახებ;

7. დადგენილი იქნა, რომ შრომითი ურთიერთობის მანძილზე და-საქმებული მოლარე-ოპერატორის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის არც ერთი ღონისძიება გამოყენებული არ ყოფილა. მისი შერიდან სამსახურეობრივი მოვალეობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების რაიმე ფაქტზე დამსაქმებელს მხარეს არ მიუთითებია;

8. დადგენილი იქნა, რომ რაიმე სახის ფინანსური ზიანი დასაქმებულის ქმედებას ბანკისათვის არ მიუყენებია.

9. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

9.1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2019 წლის 18 მარტის გადაწყვეტილებით დასაქმებული მოლარე-ოპერატორის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათიად იქნა ცნობილი დამსაქმებელი ბანკის 2018 წლის 2 მაისის №75

ბრძანება მოსარჩელის მოლარე-ოპერატორის პოზიციიდან გათავისუფლების შესახებ;

9.2. დასაქმებული აღდგენილი იქნა ბანკის აჭარის რეგიონალური ფილიალის სარფის საბაჟო სერვისის ცენტრში მოლარე-ოპერატორის თანამდებობაზე; მის სასარგებლოდ ბანკს იძულებითი განაცდური 397 ლარი (ხელზე ასაღები) დაეკისრა 2018 წლის 3 მაისიდან სამუშაოზე აღდგენამდე;

9.3. მოსარჩელეს უარი ეთქვა ანგარიშსნორების დაყოვნების ყოველი დღისათვის 0.07%-ის დაკისრების თაობაზე;

9.4. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მიქ-ცეული იქნა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მუმაკისათვის არაუმტეს 3 თვის ხელფასის მიკუთვნების ნაწილში;

9.5. მოსარჩელის სამუშაოზე დაუყოვნებლივ აღდგენის ნაწილში პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსასრულებლად გადაცემაზე მოსარჩელეს უარი ეთქვა.

9.6. საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ მისი კვლევისა და სამართლებრივი შეფასების საგანს წარმოადგენდა შეესაბამებოდა თუ არა დასაქმებულის ქმედება 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის შემადგენლობას. საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, სასამართლომ მიიჩნია, რომ დამსაქმებელმა არასწორად შეაფასა მიცა დასაქმებულის ქმედება, როდესაც იგი დააკვალიფიცირა უხეშ დარღვევად. სასამართლომ მიიჩნია, რომ დასაქმებულის გათავისუფლების ბრძანება უნდა შეიცავდეს მყარ და არგუმენტირებულ დასაბუთებას, თუ რატომ ვერ გამოილებდა შედეგს უფრო მსუბუქი სანქცია, მით უფრო, იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელის მიმართ ადრე არც ერთი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა გამოყენებული არ ყოფილა, არ გამოვლენილა მატერიალური ან სხვა სახის ზიანი. ვალდებულების დარღვევის გამო შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დარღვევას იმდენად მძიმე შედეგი მოჰყვა, რომ მისი გამოსწორება ვერ მოხდება ან შრომითი ხელშეკრულების გაგრძელება შეუძლებელია ობიექტური საფუძვლებიდან გამომდინარე. ობიექტური ვერ იქნება საფუძველი, რომელიც დამყარებულია მხოლოდ ვარაუდებზე საზოგადოებაში გაბატონებულ აზარტულ თამაშებში ჩართულ პირებთან დაკავშირებით და სტერეოტიპებზე;

9.7. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხის ვალდებულებას წარმოადგენდა არა მხოლოდ იმის დადასტურება, რომ პირმა დაარღვია შიდა კორპორატიული რეგულირების დოკუმენტით განსაზღვრული ვალდებულება, არამედ მისი მტკიცების საგანს განეკუთვნებოდა მოცემულ ვითარებაში დისციპლინირების უფრო

მსუბუქი ფორმის გამოყენების შეუძლებლობა, მით უფრო იმ პირობებში, როცა შიდა კორპორაციული სახელმძღვანელოს თანახმად, აზარტულ და მომგებიან თამაშობებში მონაწილეობის მიღებისას სამსახურიდან გათავისუფლება რეკომენდირებული ღონისძიებაა და არა – სავალდებულო და უპირობო;

9.8. საქალაქო სასამართლომ დასაქმებულის სარჩელის დაკაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის მე-20, 26-ე მუხლებზე; ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის მე-8 მუხლზე; ადამიანის უფლებათა საყოველთავ დეკლარაციის 23-ე მუხლზე; ევროპის სოციალური ქარტიის 24-ე მუხლზე; სშკ-ის მე-13, 37-ე (1 „ზ“) მუხლებზე.

10. სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დასკვნები

10.1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა დამსაქმებელმა ბანკმა, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, დასაქმებულის სარჩელის დაკაყოფილებაზე უარის თქმა.

10.2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილებით დამსაქმებლის სააპელაციო საჩივარი არ დაკამაყოფილდა და უცვლელად დარჩა გაასაჩივრებული გადაწყვეტილება.

10.3. სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები (იხ. წინამდებარე განჩინების 1-8 პუნქტები) და დამატებით დაადგინა შემდეგი გარემოებები:

10.3.1. დადგენილია, რომ დამსაქმებელი ბანკის დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებული იქნა კორპორატიული სახელმძღვანელო, რომელშიც განერილი წესების დაცვა ნარმოადგენდა იქ მომუშავე თანამშრომლების ვალდებულებას. ამ სახელმძღვანელოს თანახმად: კორპორატიული სახელმძღვანელო განსაზღვრავს ბანკის და მისი დასაქმებულის ქცევის სტანდარტს, რომელიც მიმართულია: ა) ბანკის ეფექტურობის, ფინანსური მომგებიანობის გაზრდაზე, ბ) ბანკის კორპორატიული კულტურის ჩამოყალიბებაზე (1.2 პუნქტი); დასაქმებულს, რომლის სამუშაო უკავშირდება ბანკში ან/და მის აფილირებულ პირებთან განთავსებული მატერიალური ფასეულობების (ნაღდი ფული, ძვირფასი ლითონები, ძვირფასი ლითონებისაგან დამზადებული ნანარმი, მკაცრი აღრიცხვის ბლანკები, ბანკის საკუთრებაში სარგებლობაში არსებული ნებისმიერი უძრავი და მოძრავი ქონება და ა.შ.) მოვლა-პატრონობას, ასევე ნებისმიერ სხვა დასაქმებულს, რომელმაც თავისი ქმედებით

შეიძლება ზიანი მიაყენოს ბანქს, ეკრძალება მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ აზარტულ (მათ შორის აზარტული ტურნირი, სათამაშო აპარატები) და მომგებიან (ტოტალიზატორი) თამაშობებში მონაწილეობა, ან/და ასეთი თამაშობების ორგანიზება. თუ ბანქისათვის ცნობილი გახდება მსგავს თამაშობებში დასაქმებულის მონაწილეობის შესახებ, ბანქი უფლებამოსილი იქნება ბანქის ან/და მისი საქმიანი რეპუტაციისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით გამოიყენოს დასაქმებულის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები სამსახურიდან გათავისუფლების ჩათვლით (7.27 პუნქტი);

10.3.2. ბანქში დადგენილი იყო შემდეგი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები: სიტყვიერი საყვედური; წერილობითი საყვედური; სასტკიკი საყვედური (დასაქმებულს რეკომენდირებულია მიეცეს ხელშეკრულების, კორპორატიული სახელმძღვანელოს, ბანქის მიერ განსაზღვრული პროცედურების/ინსტრუქციების, ხელმძღვანელის მითითებების განმეორებით ან უხეში დარღვევის შემთხვევაში, რომლის შემდეგაც შესაძლებელია განხილულ იქნას დასაქმებულის გათავისუფლების საკითხი); სრული მატერიალური პასუხისმგებლობა; ფულადი სანქცია; სამსახურიდან გათავისუფლება (12.7 პუნქტი);

10.3.3. სამსახურიდან გათავისუფლება პასუხისმგებლობის უკიდურესი ფორმა, რომელიც გამოიყენება ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების უხეში დარღვევისას. სამსახურიდან გათავისუფლება რეკომენდირებულია დასაქმებულის აზარტულ და მომგებან თამაშობებში მონაწილეობის მიღებისას (12.7.8 პუნქტი).

10.4. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ წინამდებარე სამოქალაქო დავაში სადაც არ არის ფაქტობრივი გარემოებები, არამედ სადაც დადგენილ ფაქტობრივ გარემოებათა შეფასება. მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა შრომითი დავა. შრომით ურთიერთობებს ანესრიგებს საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“, რომლის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანაბმად, შრომით ურთიერთობა არის შრომის ორგანიზაციული მოწესრიგების პირობებში დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის სამუშაოს შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ. შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა მხარეთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად მიღწეული შეთანხმებით. შრომითი ურთიერთობისას მხარეებმა უნდა დაიცვან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. შრომითი დავა, როცა საქმე შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას ეხება, მოითხოვს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის დეტალურ და გულმოდგინე შეს-

წავლასა და შეფასებას. ამ დროს უკიდურესად მნიშვნელოვანია მხარეთა ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსის დაცვა;

10.5. საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტია, რომ დასაქ-მებულის სამუშაო ადგილიდან დათხოვნისას, თუნდაც სშე-ის 37-ე მუხლის რომელიმე პუნქტის წინაპირობისას, უნდა არსებობდეს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის გონივრული საფუძველი. გო-ნივრულობის პრინციპი ასახული უნდა იყოს სახელმწიფოს შიდა-სახელმწიფოებრივ რეგულაციების დონეზე და განმტკიცებული უნდა იყოს საკანონმდებლო სისტემაში; შრომით უფლებებს იცავს და განამტკიცებს ისეთი საერთაშორისო აქტები, როგორიცაა 1996 წლის 3 მაისის „ევროპის სოციალური ქარტია“ და 1950 წლის 4 ნო-ემბერის „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაც-ვის კონვენცია“. დასახელებულ საერთაშორისო აქტებზე ხელმომ-ნერ სახელმწიფოთა შორის არის საქართველო და შესაბამისად, ქვეყანას აღებული აქვს პასუხისმგებლობა მათში გაწერილი მოვა-ლეობების შესრულებაზე. „ევროპის სოციალური ქარტიის“ 24-ე მუხლის თანახმად, მუშავთა მიერ დაცვის უფლების ეფექტურად განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, მხარეები ვალდებუ-ლებას იღებენ აღიარონ. ა) ყველა მუშავის უფლება არ შეუწყდეთ დასაქმება ასეთი შეწყვეტის თაობაზე საპატიო მიზეზების გარე-შე, რაც დაკავშირებული უნდა იყოს მათ შესაძლებლობასთან ან ქცევასთან ან განპირობებული უნდა იყოს შრომითი დაწესებულე-ბის, საწარმოს ან სამსახურის ოპერატორიული მოთხოვნებით...

10.6. სშე-ის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის თა-ნახმად, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია: და-საქმებულის მიერ მისთვის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრუ-ლებით ან კოლეგიური ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანა-ნესით დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევა; შესაბამი-სად, სამსახურიდან გათავისუფლების მართლზომიერების შეფა-სების მიზნით, დადგენილ უნდა იქნეს დასაქმებულის მიერ მასზე დაკისრებული ვალდებულებების უხეში დარღვევის ფაქტი. ამ მი-მართებით, სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა შრომის კოდექსის ჩანაწერზე, რომლის თანახმადაც, დასაქმებულ-თან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია არა ვალ-დებულების დარღვევა, არამედ ვალდებულების უხეში დარღვევა, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სამსა-ხურიდან დათხოვნის მართლზომიერების მიზნით შეფასებულ უნ-და იქნეს სამსახურებრივ მოვალეობათა შეუსრულებლობის ფაქ-ტი, დარღვევის ხარისხი, დარღვევის სიბშირე, დასაქმებულის ბრა-ლეულობა, ასევე ის სამართლებრივი შედეგები, რაც დარღვევას მოჰყვა;

10.7. მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის სადაცო არაა ის გარემოება, რომ 2016 წლის მარტიდან 2018 წლის აპრილის ჩათვლით დასაქმებული მოლარე-ოპერატორი პერიოდულად საკუთარი ანგარიშიდან ფულს რიცხავდა ტოტალიზატორში და თამაშობდა მომგებიან/აზარტულ თამაშებს, რითაც დაარღვია დამსაქმებელი ბანკის დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებული კორპორატიულ სახელმძღვანელოში განერილი წესები. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გათავისუფლებამდე ამ ფაქტის გამო მის მიმართ არანაირის სახის დისციპლინური ღონისძიება გამოყენებული არ ყოფილა. აღნიშნული დარღვევის გამო, კომპანიაში მოქმედი დადგენილი წესების თანახმად, ბანკი უფლებამოსილი იყო ბანკის ან/და მისი საქმიანი რეპუტაციისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით გამოყენებინა დასაქმებულის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები სამსახურიდან გათავისუფლების ჩათვლით. ამავე წესების თანახმად, ბანკში ერთ-ერთ დისციპლინური ზომის სახით გათვალისწინებული იყო სასტიკი საკვედური, რომელიც რეკომენდირებული იყო დასაქმებულს მისცემოდა ხელშეკრულების, კორპორატიული სახელმძღვანელოს, ბანკის მიერ განსაზღვრული პროცედურების/ინსტრუქციების, ხელმძღვანელის მითითებების განმეორებით ან უხეში დარღვევის შემთხვევაში, რომლის შემდეგაც შესაძლებელი იყო განხილულიყო დასაქმებულის გათავისუფლების საკითხი. ამასთან, სამსახურიდან გათავისუფლება პასუხისმგებლობის უკიდურეს ფორმას წარმოადგენს, რომელიც გამოიყენება ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების უხეში დარღვევისას. დასაქმებულის აზარტულ და მომგებიან თამაშობებში მონაწილეობის მიღებისას, რეკომენდირებული იყო (რეკომენდირებული და არა სავალდებულოდ მისაღები) სამსახურიდან გათავისუფლება;

10.8. განსახილველ შემთხვევაში უდავოა, რომ მოსარჩელის მხრიდან გამოვლინდა კორპორატიულ სახელმძღვანელოში დადგენილი წესების დარღვევის ფაქტი. მხარეთა შორის სადაცო ამ გადაცდომების გათვალისწინებით, სამუშაოდან გათავისუფლების სანქციის გამოყენების მიზანშეწონილობა;

10.9. სააპელაციო სასამართლო განმარტავს, რომ შრომითი დავის განხილვისას უმნიშვნელოვანესი პრინციპი, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას, ესაა პროპორციულობისა და გონივრული საფუძვლის პრინციპი. პროპორციულობის, იგივე თანაზომიერების პრინციპი ნიშნავს, რომ კანონის მიზნის მისაღწევად გამოყენებული ღონისძიება უნდა იყოს დასაშვები, აუცილებელი და პროპორციული. გონივრული საფუძვლის პრინციპს საერთაშორისო სამართალში უნი-

დებენ – Ultima Ratio-ს. გერმანულ სამართალში იგი განიმარტება, როგორც უკანასკნელი საშუალება, რაღაც მიჩნეულია, რომ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტამდე გამოყენებულ უნდა იქნეს უფრო მსუბუქი ზომა, თუკი ამის საშუალებას, ჩადენილი დარღვევიდან გამომდინარე, დასაქმებულის კანონიერი ინტერესი იძლევა. შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა უკიდურეს და ძალიან მწვავე მსუსხავი ეფექტის მქონე დისციპლინურ ღონისძიებას წარმოადგენს, რომელიც შესაძლოა დამსაქმებელმა გამოიყენოს დასაქმებულის მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში. შესაბამისად, იმ შემთხვევებში, როდესაც კანონმდებლობა დამსაქმებელს ანიჭებს განსაზღვრული თავისუფლების შესაძლებლობას, აუცილებელია, რომ დამსაქმებელმა გაითვალისწინოს, არამართლზომიერი ქცევის-ვალდებულების დარღვევის ხსიათიდან გამომდინარე, სხვა უფრო ნაკლებად მყაცრი დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა;

10.10. ერთ-ერთ საქმეში საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, სწორედ პროპორციულობის პრინციპი გამოიყენა და განმარტა: შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა დამსაქმებლის მიერ დასაშვები უნდა იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაუმართლებელია დამსაქმებლის უფლების დაცვისათვის სხვა საფუძვლების გამოყენება. მაშასადამე, არასათანადო მოქმედებები, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გახდეს დათხოვნის საფუძველი, როცა იგი მიაღწევს მნიშვნელოვან დონეს. შრომის სამართალში Ultima Ratio-ს პრინციპი მოითხოვს დამსაქმებლის მხრიდან დასაქმებულის სამსახურიდან დათხოვნამდე მისი ქმედების შეფასებას მიზეზ-შედეგობრივი თვალსაზრისით, რა დროსაც პასუხი უნდა გაეცეს შეკრისა – არის თუ არა გათავისუფლება დარღვევის (გადაცდომის) ადეკვატური. ნიშანდობლივია, რომ ამავე პრინციპის შესაბამისად, დარღვევის (გადაცდომის) ჩადენისას, დამსაქმებლის მიერ გამოყენებულ უნდა იქნეს ისეთი ზომები, რომელიც არსებულ ვითარებას გამოასწორებს, გააუმჯობესებს, დასაქმებულ მუშაკს უკეთესს გახდის, კვალიფიკაციას აუმაღლებს, უფრო ზინდახედულად და გულისხმიერად მიქცევას აიძულებს. აქედან გამომდინარე, მიზან-შეწყვეტილობის კუთხით, გადაცდომის დროს, არჩეულ უნდა იქნეს პროპორციული დასჯის მექანიზმი, რაც შედეგობრივად, გარდა იმისა, რომ დამრღვევს დასჯის, მას და სხვა დასაქმებულებს უფრო ეფექტუანი შრომის მოტივაციას შეუქმნის;

10.11. იმისათვის, რომ დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლება დამსაქმებლის მხრიდან ადეკვატურ, საჭირო და პროპორციულ ღონისძიებად იქნეს მიჩნეული, აუცილებელია, სახეზე იყოს ისეთი მძიმე დარღვევა, რომელიც სხვა უფრო მსუბუქი სან-

ქციის გამოყენებას სრულიად გამორიცხავს. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით კონკრეტულ შემთხვევაში დასაქმებულის (მოსარჩელის) მიმართ უფრო მსუბუქი სანქციის გამოყენება იქნებოდა არა თუ შესაძლებელი, არამედ – სამართლანი მიდგომა საკითხის მიმართ. იმ პირობებში, როცა მოსარჩელის მიმართ გათავისუფლებამდე არანაირი დისციპლინური ღონისძიება არ ყოფილა გამოყენებული, დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული იყო სტაბილური შრომითსამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ფარგლებშიც დასაქმებულ მოლარეოპერატორს მუშაობის პერიოდში არ მიუღია არც ერთი შენიშვნა. პირიქით, იგი საჭიროების შემთხვევაში მენეჯერის ფუნქციებსაც ითავსებდა, ამასთან, არც ის გარემოებაა უმნიშვნელო, რომ დასაქმებულის ქმედებას ბანკისათვის რაიმე სახის ფინანსური ზიანი არ მიუყენებია. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით მოპასუხის (აპელანტის) მიერ გამოყენებული სანქცია მეტისმეტად მკაცრია. სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებასაც, რომ როგორც მონიტორინგის შედეგებმა გამოავლინეს, დასაქმებულს აზარტული თამაშები არ დაუწყია ერთი ან ორი დღის ან თვის უკან, არამედ იგი წლებია ამ თამაშების მონაწილეა (მომხმარებელია). მიუხედავად ამისა, დასაქმებული არც ერთხელ არ მოქცეულა ისე, რომ თუნდაც შენიშვნა ან საყვედლური დაემსახურებინა, ან მინიმალური სახით მატერიალური ზიანი მიეყენებინა მოპასუხისათვის, პირიქით, როგორც ჩანს, მისი ქცევა სამსახურში სანიმუში იყო, რადგან საჭიროების შემთხვევაში სწორედ მას ანდობდნენ მენეჯერის ფუნქციების შესრულებას;

10.12. ზემოხსენებულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ სარწმუნოდ მიიჩნია მოსარჩელი მითითება იმის თაობაზე, რომ მსგავსი თამაშები მისთვის წარმოადგენდა ეპიზოდურ გართობას და არა – პათოლოგიურ დამოკიდებულებას. ცხადია, სასამართლო ვერ წაახალისებს მოსარჩელის დამოკიდებულებას, თუნდაც გართობის მიზნით, აზარტული თამაშებისადმი, მაგრამ ერთმნიშვნელოვნად მივიდა დასკვნამდე, რომ სანქცია, რომელიც შექმნილი რეალობის პირობებში შეეფარდა მოსარჩელე მხარეს არასამართლიანი არის;

10.13. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, დამსაქმებელი ბანკის კორპორაციული სახელმძღვანელოს დათქმებში თავად მოპასუხესაც აზარტული თამაშები იმ სახის დარღვევად მიაჩნია, რომლისათვისაც შესაძლებელი და არა-უალტერნატივოდ აუცილებელი იყო პირის სამსახურიდან დათხოვნა.

10.14. საქმეზე დადგენილი გარემოებების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ მიუხედავად

იმისა, რომ დამსაქმებელი საფინანსო ორგანიზაციას წარმოადგენს, დამსაქმებელის მიერ გამოყენებული დისკიპლინური პასუხისმგებლობის ზომა მოსარჩელის მიმართ ძალიან მძიმეა, უსამართლოდ მკაცრია, არაადეკვატურია, რადგან მოსარჩელეს არ ჩაუდენია კანონით გათვალისწინებულ სამსახურებრივ ვალდებულებათა იმგვარი დარღვევა, რომელიც მისთვის უფრო მსუბუქი სახის სანქციის, ვიდრე სამსახურიდან დათხოვნაა, გამორიცხავდა. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, დამსაქმებელს დასაქმებულის მიმართ შეეძლო გამოეყენებინა დისკიპლინური პასუხისმგებლობის თუნდაც მკაცრი ზომა, მაგრამ არა – უკიდურესი, სამსახურიდან გათავისუფლების სახით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით არ არსებობს დასაქმებულთან სშ-ის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საკმარისი საფუძველი, რის გამოც დამსაქმებელი ბანკის სააპელაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ არსებობს მისი დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები, შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

11. საკასაციო სამართლნარმობის ეტაპი

11.1. დამსაქმებელმა ბანკმა საკასაციო წესით გაასაჩივრა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 4 ივნისის განჩინება, მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

11.2. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით დამსაქმებელი ბანკის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე და მიღებულ იქნა არსებითად განსახილვად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა განააღმდინების, მხარეთა ახსნა-განმარტებების შემოწმებისა და მოპასუხის საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთებულობის არსებითად განხილვის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ დამსაქმებელი ბანკის საკასაციო განაცხადი დაუსაბუთებულია და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

12. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონტებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარ-

ტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებსა და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ ზამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). საკასაციო სასამართლოს შეფასებით კასატორს ასეთი დასაბუთებული საკასაციო შედავება არ აქვთ წარმოდგენილი.

13. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. ჯდარკავა საქართველოს წინააღმდეგ, № 7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81). საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობასა და დასკვნებს, რაც საკასაციო პრეტენზიის არსებითად განხილვის ეტაპზე, საკასაციო საჩივრის უარყოფისა და გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების საფუძველია.

14. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და სწორედ ამ ფარგლებში არსებითად განიხილავს და ამონტებს საკასაციო პრეტენზიის დასაბუთებულობას (სსსკ-ის 407-ე მუხლი), ამასთან, მიაჩნია, რომ საქმეზე გადაწყვეტილების მისაღებად არ ვლინდება სააპელაციო სასამართლოსათვის საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი (სსსკ-ის 412-ე მუხლი).

15. სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში სადაცო არაა საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, არამედ სამართლებრივად შესაფასებელია დამსაქმებლის მიერ გამოყენებული ზემოქმედების ღონიძიების – სამუშაოდან გათავისუფლების პროცენტულობა და გონივრულობა იმ პირობებში, როდესაც, სამუშაოს შესრულებას არ უკავშირდება დასაქმებულის მიერ აზარტულ თამაშებში მონაწილეობა და დადგენილია, რომ დასაქმების მთელი პერიოდის მანძილზე მოლარეოპერატორს არათუ რაიმე სახის შენიშვნა არ მიუღია დამსაქმებლისაგან, არამედ, საჭიროების შემთხვევაში, იგი მენეჯერის ფუნქციას ასრულებდა და არასოდეს გამოვლენილა მის მიერ შესასრულებელი სამუშაოსადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება.

16. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კასატორის ძირი-

თადი პრეტენზია იმას ეფუძნება, რომ ის საფინანსო ორგანიზაცია, შემუშავებული აქვს კორპორაციული სახელმძღვანელო დასაქმებულებისათვის, რაც ბანკის საქმიანობის პოლიტიკისა და სპეციფიკის ნაწილია; ამასთან, დასაქმებული გაეცნო და სადავოდ არ გაუხდია ეს გარემოება, დამსაქმებლის კორპორატიულ სახელმძღვანელოს, კერძოდ 7.26 პუნქტს აზარტულ და მოგებან თამაშობებთან დაკავშირებით, რაც მხარისათვის მარტივად აღსაქმებული სახითაა ფორმულირებული, შესაბამისად, დასაქმებულისათვის ცნობილი იყო ხელშეკრულების ყველა არსებითი პირობა; კასატორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში საუბარია იმ პირზე, რომელსაც კონკრეტულად ფულად თანხასთან აქვს ხელმისაწვდომობა, არაერთი შემთხვევა არსებობს, როდესაც ბანკის კუთვნილი თანხები გამოიყენება აზარტულ თამაშობებში მონაწილეობის მისაღებად; მხარემ იცოდა მასთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობები, თუმცა, განზრაა და სისტემატურად არღვევდა მას; მარტომდენ ის ფაქტი, რომ დასაქმებულის ქმედებას რაიმე სახის მატერიალური ზიანი არ მიუყენებია დამსაქმებლისათვის, არ ნარმოადგენს დასაბუთებულ არგუმენტს ბანკის (კასატორის) ნინააღმდეგ, რომელსაც სპეციალური ჩანაწერი აქვს კორპორაციულ სახელმძღვანელოში, რომელიც არა მხოლოდ კონკრეტული შემთხვევების პრევენციას ისახავს მიზნად, არამედ ბანკისათვის რეპუტაციული ზიანის მიყენების არიდებასაც ემსახურება.

17. სასამართლოსათვის ამოსავალია ის კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას. სწორედ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და გარემოებები განსაზღვრავენ მისი მოთხოვნის შინაარსს. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის განმსაზღვრელია სარჩელში მითითებული ფაქტები და გარემოებები. სარჩელის ინდივიდუალიზაცია სარჩელის ელემენტების მეშვეობითაა შესაძლებელი. სსსკ-ის მე-3, მე-4, 83-ე და 178-ე მუხლების ანალიზით შესაძლებელია, დაგასკვნათ, რომ სარჩელი შედგება ორი ელემენტისგან: სარჩელის საგნისა და სარჩელის საფუძვლისგან. სარჩელის საგანია მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი), ხოლო სარჩელის საფუძველი – კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი).

18. საკასაციო სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში/განჩინებაში უთითებს, რომ ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადაწყვეტა სასამართლოში, დაკავშირებულია გარკვეული

ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის ნარმოშობილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან ნარმოშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი, როგორც ეს ცნობილია, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. სწორედ მტკიცების ტვირთსა და მის სწორ განაწილებაზეა დამოკიდებული დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილების მიღება.

19. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება უმეტესწილად დამოკიდებულია და გულისხმობს სასამართლოს მიერ დასაბუთებული, მტკიცებულებათა ურთიერთშეჯერებისა და გაანალიზების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების მიღებას. მტკიცების ტვირთის როლი განსაკუთრებით ვლინდება სამოქალაქო სამართალწარმოებაში, სადაც მხარეთა ნების ავტონომიას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. შესაძლებელია მხარის მოთხოვნა საფუძვლიანი იყოს, მაგრამ შეუძლებელია მხარემ მიიღოს თავისი სასარგებლო გადაწყვეტილება, თუ ვერ დაამტკიცებს თავის სასარგებლო გარემოებებს საპროცესო სამართლით დადგენილი წესით. ამიტომაც, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს ნარმოადგენს მტკიცების ტვირთის მართებული გადანაწილება მოღავე მხარეებს შორის.

20. სსსკ-ის მე-3 მუხლის მიხედვით, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესის შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი. ამავე კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარნებულონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული შესაგებლები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

21. მტკიცების ტვირთს აწესრიგებს სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვითაც თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთ-

ხოვნებსა და შესაგებელს. მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს ის გარე-
 მოებები, რომლებზედაც დაფუძნებულია სასარჩელო მოთხოვნა,
 ხოლო მოპასუხებ გარემოებები, რომლებსაც მისი შესაგებელი ემ-
 ყარება. მტკიცების ტვირთი არის სამოქალაქო სამართალწარმოე-
 ბაში საქმის სწორედ გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტე-
 ბის დამტკიცების მოვალეობის დაკისრება მხარეებზე, რომლის
 შესრულება უზრუნველყოფილია მატერიალურ-სამართლებრივი
 თვალსაზრისით არახელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანით იმ
 მხარის მიმართ, რომელმაც ეს მოვალეობა სათანადოდ არ (ვერ)
 შეასრულა. მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი –
 ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადაწყვეტისათ-
 ვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. სასამარ-
 თლოს დაურნმუნებლობა კი, მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს
 იწვევს. მტკიცების ტვირთი დამოკიდებულია არა მხარის როლზე
 პროცესში, არამედ მოთხოვნის საფუძველზე. ის ვინც ითხოვს ვალ-
 დებულების შესრულებას, უნდა დაამტკიცოს მოთხოვნის საფუძ-
 ვლის არსებობა არა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ითხოვს თავისი
 მოთხოვნის შესრულებას, ან აღიარებას, არამედ მაშინაც, როდე-
 საც იგი თავს იცავს მონინაალმდევე მხარის ნეგატიური აღიარები-
 თი სარჩელისაგან (მოთხოვნისაგან). მტკიცების ტვირთისაგან უნ-
 და გაიმიჯნოს ფაქტებს მითითების ტვირთი, როგორც მხარის ფა-
 კულტატური მოვალეობა. მხარეები სსკ-ის მე-4 მუხლის თანახმად
 სრულიად თავისუფალი არიან მიუთითონ ნებისმიერ ფაქტზე. ეს
 მათი უფლებაა, მაგრამ მათ მიერ მითითებული ფაქტობრივი გარე-
 მოებების სამართლებრივი შეფასება, ე.ი. იმის დადგენა და გარ-
 კვება, თუ რამდენად ასაბუთებენ ეს ფაქტები იურიდიულად მხა-
 რეთა მოთხოვნებს და შესაგებელს – ეს უკვე სასამართლოს პრე-
 როგატიგაა. ამასთან, საკმარისი არ არის, რომ მხარემ ზოგადად
 გამოთქვას მოსაზრება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარე-
 მოებაზე, მაგალითად, განაცხადოს, რომ იგი მთლიანად უარყოფს
 მეორე მხარის მიერ მოხსენებულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს.
 მხარის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები კონკრეტულად და დე-
 ტალურად უნდა ჩამოყალიბდეს და ეხებოდეს საქმის გადაწყვე-
 ტისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას. მხარეთა მი-
 ერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები უნდა იყოს დასაბუთებუ-
 ლი და ეხებოდეს იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი
 აქვს დაგასთან. მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს
 ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმომო-
 ბის საფუძველს, ხოლო მოპასუხებ კი – ყველა გარემოება, რომე-
 ლიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის
 საფუძველს (იხ. ჰაინ ბიოლინგი, ლადო ჭანტურია, სამოქალაქო საქ-

მეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, თბ., 2003, გვ.64) – იხ. შეად. სუსგ-ებს №ას-1298-2018; 22.03.2019; №ას-1329-2018, 22.02.2019; №ას-1610-2019, 07.02.2020.

22. საკასაციო სასამართლოს შეფასებით იმ სამართლებრივი შე-დეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩევეს სურს, კერ-ძოდ, სადაც პრძანების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნა სშე-ის 38.8 (სასამართლოს მიერ დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილებით, დამსაქ-მებელი ვალდებულია, პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღადგინოს პირი, რომელსაც შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება ...) და 44-ე (შრომითი ურთიერთობისას მხარის მიერ მეორე მხარისათვის მი-ყენებული ზიანი ანაზღაურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით), ასევე, სსკ-ის 394.1 (მოვალის მიერ ვალდებუ-ლების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია, მოითხოვოს ამით გა-მოწვეული ზიანის ანაზღაურება. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, რო-ცა მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარ-ღვევისათვის) და 408.1 (იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზ-ღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარ-სებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მაგალდებულებე-ლი გარემოება) მუხლებიდან გამომდინარეობს. საპროცესო კანო-ნის მიზანს წარმოადგენს არა მარტო მოსარჩელის დავალდებუ-ლება, წარმოუდგინოს სასამართლოს ის მტკიცებულებები, რომ-ლებიც მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის მის სასარგებლოდ გა-მოყენების ნინაპირობებს ქმნიან, არამედ მოიაზრებს მოპასუხის დავალდებულებასაც, შესაგებლის ფარგლებში უზრუნველყოს მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა გაქარწყლე-ბა.

23. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დამსაქმებელი კანონით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობისას უფლე-ბამოსილია, შეწყვიტოს დასაქმებულთან შრომითსამართლებრივი ურთიერთობა, თუმცა, აღნიშნული უფლება უნდა განხორციელ-დეს ჯეროვნად, კანონით გათვალისწინებული დანაწესის ზუსტი დაცვით და ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შრომის სამართალში მოქმედ „Ultima Ratio“-ს პრინციპის დაცვას, რაც იმას ნიშნავს, რომ დასაქმებულის სამსახურიდან გა-თავისუფლება გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევა-ში, როდესაც დასაქმებულის მიმართ, მის მიერ ჩადენილი გადაც-დომის (დარღვევის) ხასიათიდან და სიმძიმიდან გამომდინარე, უფ-რო მსუბუქი სანქციის შეფარდებას აზრი აქვს დაკარგული (შეად.

სუსგ №ას-787-336-2017, 10.11.2017წ.) შრომითი ხელშეკრულების შენყვეტის მართლზომიერი საფუძველი არა მხარის მიერ შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა „უბრალოდ დარღვევაა“, არამედ – მითითებულ ვალდებულებათა „უხეში დარღვევა“. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კასატორს არ წარუდგენია დასაბუთებული შედავება სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საწინააღმდეგოდ, რომლითაც დაადასტურებდა, თუ რატომ იყო შეუძლებელი არა უკიდურესი ღონისძიების – თანამდებობიდან გათავისუფლების, არამედ კორპორაციული სახელმძღვანელოთი გათვალისწინებული სხვა ღონისძიების გამოყენება. იმ არგუმენტების გათვალისწინებით, რასაც საკასაციო პრეტენზიაში უთითებს დამსაქმებელი ბანკი, ამ უკანასკნელისავე კორპორაციული სახელმძღვანელო განსაზღვრავს, რომ დადგენილი წესების თანახმად, ბანკი უფლებამოსილი იყო ბანკის ან/და მისი საქმიანი რეპუტაციისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით გამოეყენებინა დასაქმებულის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები სამსახურიდან გათავისუფლების ჩათვლით. ამავე წესების თანახმად, ბანკში ერთ-ერთ დისციპლინური ზომის სახით გათვალისწინებული იყო სასტიკი საყვედური, რომელიც რეკომენდირებული იყო დასაქმებულს მისცემოდა ხელშეკრულების, კორპორატიული სახელმძღვანელოს, ბანკის მიერ განსაზღვრული პროცედურების/ინსტრუქციების, ხელმძღვანელის მითითებების განმეორებით ან უხეში დარღვევის შემთხვევაში, რომლის შემდეგაც შესაძლებელი იყო განხილულიყო დასაქმებულის გათავისუფლების საკითხი.

24. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას და დასკვნას იმის თაობაზე, რომ მონიტორინგის შედეგებმა გამოავლინეს, დასაქმებულს აზარტული თამაშები არ დაუწყია ერთი ან ორი დღის ან თვის უკან, არამედ იგი წლებია ამ თამაშების მონაწილეა (მომხმარებელია). მიუხედავად ამისა, დასაქმებული არც ერთხელ არ მოქცეულა ისე, რომ თუნდაც შენიშვნა ან საყვედური დაემსახურებინა, ან მინიმალური სახით მატერიალური ზიანი მიეყენებინა მოპასუხისათვის, პირიქით, როგორც ჩანს, მისი ქცევა სამსახურში სანიმუშო იყო, რადგან საჭიროების შემთხვევაში სწორედ მას ანდობდნენ მენეჯერის ფუნქციების შესრულებას.

25. საკასაციო სასამართლო ხაზგასმით განმარტავს, რომ ფინანსური ინსტიტუტის პასუხისმგებლობისა და შესაძლო რეპუტაციული ზიანის ასარიდებლად, საესებით მართებულად არის დასაქმებულისათვის ინფორმაცია მიწოდებული იმ ვალდებულებათა შესახებ, რაც უკავშირდება ფულად თანხასთან ხელმისაწვდომ პო-

ზიციაზე მომუშავე პირისათვის შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების შესრულებას, თუმცა, განსახილველ საქმეზე დადგენილი ფაქტების საფუძველზე და სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოკვლეული გარემოებების მიხედვით, სრულიად ცალსახად დგინდება, რომ დასაქმებულ მოლარე-ოპერატორს მისი დასაქმების პერიოდში არც ერთი შენიშვნა ან საყვედური არ მიუღია დამსაქმებლისაგან. რაც შეეხება პერიოდულად მისი აზარტული თამაშობებით დაკავებას, აღნიშნული პირადი ცხოვრების უფლების ნაწილია, რასაც, მოცემულ შემთხვევაში, არ ჰქონია ისეთი ხასიათი და შინაარსი, რომელიც უკავშირდება სამუშაო დროის გამოყენებას პირადი ინტერესებისათვის, სამუშაო დროის არამიზნობრივად განკარგვას, შრომითი რესურსების არამართებულად დახარჯვას, უკანონო და დაუშვებელ ტრანზაქციებს, ბანკის ფინანსების გამოყენებას, მისთვის მატერიალური ან რეპუტაციული ზიანის მიყენებას. საკასაციო სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ მოცემული მსჯელობა და დასკვნები ამ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტებს უკავშირდება და არამც და არამც არ წარმოადგენს საბანკო საქმიანობის სფეროში მოქმედი რეგულაციების, თუნდაც, შიდა კორპორაციული სახელმძღვანელო დებულებების გადახედვის მცდელობას, მით უფრო, აზარტული თამაშობებისადმი რაიმე სახით წაეჭირდას; საერთო სასამართლოებისათვის სრულიად ცხადია ფინანსურ სფეროში მოქმედი საბანკო დანესებულებების კანონმდებლობით განსაზღვრული პასუხისმგებლობა, შესაძლო რისკები და ანგარიშვალდებულება ეროვნული ბანკის რეგულაციებისადმი. განსახილველი შემთხვევა უკავშირდება დასაქმებული მოლარე-ოპერატორის სამუშაოდან გათავისუფლების საფუძვლის მართლზომიერების კვლევას, თანაც იმ პირობებში, როდესაც მისი დასაქმების პერიოდში 2015 წლის 1 ივლისიდან 2018 წლის 2 მაისამდე, მას არც ერთი დარღვევა არ ჰქონია, ასევე, დადგენილია, რომ არც შრომითი ხელშეკრულება და არც კორპორატიული სახელმძღვანელო არ შეიცავდა მითითებას დამსაქმებლის მხრიდან დასაქმებულის პირად ანგარიშებზე წვდომის შესაძლებლიბის შესახებ; საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანია დასაქმებულის სშვ-ის 37.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით გათავისუფლების დასაბუთებულობის კვლევა, რადგან დამსაქმებელმა დასაქმებულის პირად ანგარიშზე არამართლზომიერი წვდომით, მის პირად უფლებაში, იყოს ამა თუ იმ თამაშობის მომხმარებელი, ჩარევით მოიპოვა ინფორმაცია, რომ დასაქმებული არაერთგზის მონაწილეობდა აზარტულ თამაშობებში. აღსანიშნავია, რომ დამსაქმებელმა უკიდურესი ღონისძიება გამოიყენა და გაათავისუფლა დასაქმებული, როდესაც მას შეეძლო ეხელმძღვა-

ნელა კორპორაციული სახელმძღვანელოთი და გათავისუფლებას-თან შედარებით უფრო მსუბუქი დისციპლინური ღონისძიება გა-მოეყენებინა, რაც სამართლიანი, დასაბუთებული, დარღვევის ხა-სიათისა და სიმძიმის პროპორციული იქნებოდა, იმავდროულად შე-ასრულებდა პრევენციულ ფუნქციასაც, რომლის ინტერესი, ცხა-დია, გააჩნია საბანკო დაწესებულებას. საკასაციო სასამართლო საგვებით იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობასა და დასკვნებს დასაქმებულის გათავისუფლების საფუძველთან დაკავ-შირებით, ამასთან, განმარტავს, რომ შიდა კორპორაციული სახელ-მძღვანელო, მისი 7.26-7.27 პუნქტების თანახმად, ბანკს უფლება-მოსილებას ანიჭებს მსგავს თამაშობებში დასაქმებულის მონაწი-ლეობის შემთხვევაში ბანკის ან/და მისი საქმიანი რეპუტაციისათ-ვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით გამოიყენოს და-საქმებულის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები სამსახურიდან გათავისუფლების ჩათვლით.

26. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ იმგვარი დაშვე-ბით, რომ დასაქმებულმა აზარტულ თამაშობებში მიიღო მონაწი-ლეობა, საამისოდ გამოიყენა სამუშაო დრო და რესურსი, გამოიყე-ნა საბანკო დაწესებულების თანხები, მაღალი ალბათობით, დად-გება მისი გათავისუფლების საკითხი სშკ-ის 37.1 მუხლის „ბ“ ქვე-პუნქტის საფუძველზე, ხოლო მოცემულ შემთხვევაში, როდესაც დადგენილია, რომ დასაქმებული პერიოდულად მონაწილეობდა აზარტულ თამაშობებში, თუმცა, მას საამისოდ არ გამოიყენებია სამუშაო დრო და რესურსი, საბანკო დაწესებულების ფინანსური სახსრები და სხვა, უნდა იყოს შესაძლებლობა ამ ორი მოცემულო-ბის ერთმანეთისაგან განსხვავებისა და პასუხისმგებლობის ინდი-ვიდუალიზაციისათვის, დარღვევის შინაარსისა და სიმძიმის გათვა-ლისწინებით. საბანკო დაწესებულების კორპორაციული სახელ-მძღვანელო სწორედ ამიტომ არ ადგენს აზარტული თამაშობის მო-ნაწილე დასაქმებულის უპირობოდ გათავისუფლებას და შესაძლებ-ლობას იძლევა, თითოეული შემთხვევა ინდივიდუალური გარემო-ებების შესწავლისა და დადგენის გზით იქნეს შეფასებული.

27. საქართველოში შრომითი ურთიერთობების შეწყვეტა მოწეს-რიგებულია სშკ-ის 37-ე და 38-ე მუხლებით. რომელთაგან, პირვე-ლი მოიცავს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებს, ხოლო მეორე არეგულირებს შეწყვეტის პროცესუალურ მხარეს. აღ-ნიშნული მუხლების კუმულაციური საფუძვლით შეგვიძლია დავას-კვნათ, რომ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას დამსაქმებლის პოზიტიური ვალდებულებაა დასრულოს დასაქმებულთან შრომი-თი ურთიერთობა მხოლოდ ლეგიტიმური გზებით, ხოლო ნეგატიუ-რი ვალდებულება წარმოადგენს იმას, რომ დამსაქმებელს არ უნ-

და შეეძლოს დასაქმებულის სამსახურიდან გაშვება შესაბამისი და გამართლებული საფუძვლის გარეშე, ამიტომ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის იმ რეგულაციებს, რომლებიც სშვ-ის 37-ე და 38-ე მუხლებშია მოცემული, აქვთ ერთგვარი „შემაკავებელი ეფექტი“, რომლის საფუძვლიც არის წინაპირობა შრომითი ურთიერთობის მხარეების თვითხებური, გაუმართლებელი გადაწყვეტილებების ადგევეთისთვის (შეად. სუსგ-ებს: №ას-1531-2019, 16.12.2019; №ას-732-732-2018, 14.02.2019; №ას-90-2020, 20.05.2020).).

28. „საქართველოში განხორციელებული შრომის კანონმდებლობის რეფორმის ერთ-ერთი მიზანი სწორედ დასაქმებულის უფლებების დაცვა იყო, ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ შრომის სამართალი დაკავშირებულია ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან და თითოეული დასაქმებულის საქმის ინდივიდუალური შეფასებისას გამოყენებული უნდა იქნეს ე.ნ. „favor prestatoris“ პრინციპი, რაც დასაქმებულთათვის სასარგებლო წესთა უპირატესობას ნიშნავს. სწორედ აღნიშნული პრინციპის გამოყენებისას, საჭიროა დამსაქმებლის და დასაქმებულის მოთხოვნებისა და ინტერესების წონას-წორობის დაცვა სამართლიანობის, კანონიერებისა და თითოეული მათგანის ქმედების კეთილსინდისიერების კონტექსტში“ (იხ. სუსგ №ას-941-891-2015, 29.01.2016; შეად. საქმე №1124-1080-2016, 10.03.2017).).

29. კასატორმა ვერ შეძლო დასაბუთებული საკასაციო შედავების წარდგენა, რაც მისი მტკიცების გაზიარების შესაძლებლობას მისცემდა სასამართლოს. საქმის არსებითი განხილვის შედეგად უარყოფილია მოპასუხე ბანკის საკასაციო საჩივრის დასაბუთებლობა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, რაც სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. სს „ლ. ბ-ის“ საკასაციო საჩივრი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 4 ივლისის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შრომის შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულების დარღვევა

გადაცყველება საქართველოს სახელით

№ას-169-2020

13 ოქტომბერი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. კაკაბაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მიქაბერიძე,
მ. ერემაძე

დავის საგანი: ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ვ. ჩ-ი (შემდეგში: მოსარჩელე, დასაქმებული, კასატორი), 2015 წლის 24 ივლისის ბრძანებით დაინიშნა სს „ს. რ-ის“ (შემდეგში: მოპასუხე, დამსაქმებელი, კომპანია, მოწინააღმდეგე მხარე) ინფრასტრუქტურის ფილიალის ელექტრომობარაგების დეპარტამენტის, დასავლეთის ელექტრომობარაგების სამართველოს აპარატის საწარმოს ტექნიკური განყოფილების კომენდანტის თანამდებობაზე.

2. დამსაქმებლის 2019 წლის 20 მარტის ბრძანების საფუძველზე, დასაქმებული, ორ პირთან ერთად, მასალების მისაღებად მივლინებით თბილისში გაემგზავრა (2019 წლის წლის 20 მარტიდან 22 მარტამდე).

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 5 აპრილის განაჩენით, მოსარჩელეს მსჯავრი დაედო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260.3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისათვის.

4. 2019 წლის 16 მაისის ოპერატიულ თათბირზე, დამსაქმებელმა განიხილა დასაქმებულის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 5 აპრილის განაჩენით დადგენილი გარემოებები. აღნიშნულ თათბირზე მიღებული გადაწყვეტილებით, მოსარჩელე თანამდებობიდან გათავისუფლდა საქართველოს შრომის კოდექსის (შემდეგში – სტ) 37.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მოპასუხის შრომის შინაგანესისა და ქცევის კოდექსის დარღვევის გამო.

5. დამსაქმებლის 2019 წლის 20 მაისის ბრძანებით (შემდეგში –

სადაცო ბრძანება ან გასაჩივრებული ბრძანება), მოსარჩელესთან შრომითი ურთიერთობა შეწყდა, რის საფუძვლადაც მიეთითა ოპერატორიული თათბირის ზემოხსენებულ იქმზე.

6. იმ თანამდებობის სამუშაო აღნერილობის თანახმად, რომელზეც მოსარჩელე მუშაობდა, კონკრეტულად გაწერილ ფუნქციებთან ერთად, მითითებულია შემდეგი: „მოვალეა შეასრულოს ხელმძღვანელის სხვა დაგალებები ორგანიზაციის ინტერესებიდან გამომდინარე...“ (4.4. პუნქტი), „დაიცვას შრომის შინაგანაწესი და დისციპლინა“ (4.6. პუნქტი).

7. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 5 აპრილის განაჩენის მიხედვით, 2019 წლის 21 მარტს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ქ. თბილისში, ...-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, მოსარჩელის პირადი ავტომანქანისა და საცხოვრებელი ბინის ჩხრევისას ამოიღეს 0.077563 გრამი დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება (ბუპრენორფინის შემცველი 8 ცალი თეთრი ფერის ექსკუთხა ფორმის ტაბლეტი; 3 ცალი ერთ მხარეს ნახნაგობრივი ფორმის ტაბლეტის ნატეხი და მცირე ზომის ტაბლეტის ნატეხები ფხვიერ ნივთიერებასთან ერთად; თეთრი ფერის ფხვნილი და 2 ცალი ერთჯერადი მოხმარების შპრიცში არსებული გამჭვირვალე სითხე).

8. დამსაქმებლის დირექტორთა საბჭოს 2018 წლის 27 აპრილის დადგენილებით დამტკიცებული შრომის შინაგანაწესის შესაბამისად: შრომის შინაგანაწესი დამსაქმებელსა და დამსაქმებულს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია, რომელიც მათ შორის შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებს აწესრიგებს (1.2. პუნქტი);

დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის შრომითი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობები, რაც შრომითი შინაგანაწესით არაა გათვალისწინებული, წესრიგდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, შრომის კოდექსით და სხვა აქტებით, რომელიც კომპანიაში დადგენილი წესის შესაბამისად, მიღებულია კომპანიის შესაბამისი ორგანოების მიერ (1.4. პუნქტი);

კომპანიის უფლებამოსილი ორგანოების/პირების მიერ მიღებული აქტები (წესი, ინსტრუქცია, სამუშაოს აღნერილობა და სხვა), რომლებიც დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის შრომითი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობას აწესრიგებს, შრომის ხელშეკრულების (ბრძანების) განუყოფელი ნაწილია (1.5. პუნქტი);

მიღლიერება არის დამსაქმებლის მიერ, დასაქმებულის სამუშაო ადგილის დროებით შეცვლა, სამუშაოს ინტერესებიდან გამომდინარე (6.1. პუნქტი); დამსაქმებლის მიერ, დასაქმებულის მივლინე-

ბაში გაგზავნა არ მიიჩნევა ხელშეკრულების პირობების შეცვლად...
(6.2. პუნქტი).

9. კომპანიის დირექტორთა საბჭოს 2017 წლის 27 ოქტომბრის დადგენილებით დამტკიცებული, დასაქმებულთა ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების თანახმად: წინამდებარე დოკუმენტი აღწერს კომპანიის დასაქმებულთა ქცევის ზოგად პრინციპებს (1.1 პუნქტი); კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დაცვა სავალდებულოა კომპანიის თითოეული დასაქმებულისათვის, განურჩევლად დაკავებული თანამდებობისა.

კოდექსის დაუცველობა გამოიწვევს დასაქმებულის მიმართ დისციპლინური საჯეოლის გამოყენებას, მათ შორის, სამსახური-დან გათვალისუფლებას (1.3 პუნქტი);

კომპანიის თითოეული დასაქმებული ვალდებულია იმოქმედოს იმ სტანდარტებით და პიროვნული ქცევის წესებით, რაც პასუხობს კომპანიის აღიარებულ ვალდებულებებს და ტრადიციებს (2.1 პუნქტი);

პიროვნული ქცევის უმაღლესი სტანდარტები დასაქმებულისა-გან მოითხოვს პატიოსნებას, კეთილსინდისიერებას და პატივის-ცემას საკუთარი კოლეგების, ორგანიზაციის, ფართო საზოგადოების თუ მისი ცალკეული წევრის წინაშე, განურჩევლად მდგომარეობისა (2.2. პუნქტი);

კომპანიის დასაქმებულს უნდა ახსოვდეს, რომ იგი წარმოადგენს კომპანიის სახეს და კომპანიის სახელით წარმოებულ გარემოსთან ნებისმიერ ურთიერთქმედებაში უნდა მოუფრთხილდეს კომპანიის რეპუტაციას (2.7. პუნქტი); კომპანიას აქვს საკუთარი დასაქმებულების პატიოსნებისა და კეთილსინდისიერების რწმენა და მოელის, რომ თითოეული მათგანი განუხრელად დაიცავს გათვალისწინებულ პრინციპებს და წესებს (14.1 პუნქტი);

წინამდებარე წესები წარმოადგენს კომპანიისა და მასში დასაქმებულების შრომითა ურთიერთობების განუყოფელ ნაწილს, შესაბამისად, გათვალისწინებული ვალდებულებების/პრინციპების დარღვევა მიიჩნევა შრომის ხელშეკრულების დარღვევად (14.4. პუნქტი).

10. დასაქმებულმა სასამართლოში სარჩელი აღძრა დამსაქმებლის წინააღმდეგ, სადაც პრძანების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნით.

11. სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 31 ივლის გადაწყვეტილებით დასაქმებულის სარჩელი დაქმუშოფილდა.

12. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა დამსაქმებელმა, რომელმაც ამ გადაწ

ყვეტილების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის უარყოფა მოითხოვა.

13. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილებით: მოპასუხის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა; ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაგმაყოფილდა.

13.1. სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად ცნო წინამდებარე განჩინების 1-9 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და მიიჩნია, რომ მოსარჩელის სამუშაოდან გათავისუფლება, ამ უკანასკნელის მიერ ჩადენილი დარღვევის (გადაცდომა) ადეკვატური იყო.

13.2. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას, გასათვალისწინებელია, პროპორციულობისა (იგივე თანაზომიერების) და გონივრულობის საფუძვლის პრინციპები.

პროპორციულობის პრინციპი იმას გულისხმობს, რომ კანონის მიზნის მისაღწევად გამოყენებული ღონისძიება უნდა იყოს დასაშვები, აუცილებელი და პროპორციული. დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლება ადეკვატურ, საჭირო და პროპორციულ ღონისძიებად მხოლოდ მაშინ ჩაითვლება, როდესაც არსებული მძიმე დარღვევა არამიზანშეწონილს ხდის სხვა უფრო მსუბუქი სანქციის გამოყენებას.

გონივრულობის პრინციპის არსი ისაა, რომ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტამდე, დამსაქმებელმა უფრო მსუბუქი ზომა უნდა გამოიყენოს, თუკი დასაქმებულის კანონიერი ინტერესი ამის საშუალებას (ჩადენილი დარღვევიდან გამომდინარე) იძლევა. ამდენად, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა უკიდურესი დასციპლინური ღონისძიებაა და დამსაქმებელმა უნდა გაითვალისწინოს, ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, ხომ არ არსებობს სხვა უფრო ნაკლებად მკაცრი დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა.

13.3. სადაც ბრანდის კანონიერების შეფასებამდე, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა მთავარ სხდომაზე დასაქმებულის მიერ გაკეთებულ შემდეგ განმარტებაზე: გარდა შრომითი ხელშეკრულებით კონკრეტულად განერილი თანამდებობრივი ფუნქციებისა, ხელმძღვანელის დავალებით, ის ახდენდა თბილისიდან პროდუქციის ჩამოტანის მიზნით სამსახურებრივი ავტომანქანის მართვას, ვინაიდან, თბილისში ცხოვრობდა, თბილისის ქუჩებში კარგად ერკეოდა და იქ მოძრაობის წესები იცოდა.

13.4. სააპელაციო სასამართლოს განსჯით, დასაქმებულის მიერ, მივლინებისას, მძიმე დანაშაულის ჩადენა, როდესაც, სამსა-

ხურებრივი ავტომანქანიდანაც ამოიღეს დანაშაულის საგანი – მის მიერ უკანონოდ შეძენილი და შენახული დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება, ენინაალმდეგებოდა არა მხოლოდ კომპანიაში, არამედ საზოგადოებაში დამკვიდრებული პიროვნული ქცევის უმაღლეს სტანდარტებს: პატიოსნებას, კეთილსინდისიერებას, საკუთარი კოლეგების, ორგანიზაციისა თუ განურჩევლად მდგომარეობისა, ფართო საზოგადოების ცალკეული წევრის წინაშე პატივისცემას, რაც სამსახურში მოქმედი რეგულაციების (შრომის შინაგანაწესი; თანამშრომელთა ქცევის კოდექსი) უხეში დარღვევაა და საკმარისია იმისათვის, რომ კომპანიას დაუკარგოს საკუთარი დასაქმებულის პატიოსნებისა და კეთილსინდისიერების რწმენა (ნდობა).

აქედან გამომდინარე, მართლზომიერი იყო დამსაქმებლის მოქმედება – სშკ-ის 37.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტზე დაყრდნობით, დასაქმებულთან შრომის ხელშეკრულების შენკვეტა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის 115-ე მუხლი).

საქმეზე გამოიკეთა ისეთი მძიმე დარღვევა, რომელიც სხვა უფრო მსუბუქი სანქციის გამოყენებას არამიზანშეწონილს ხდიდა. შესაბამისად, მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლება, ჩადენილი დარღვევის ადეკვატური ღონისძიება იყო და ვერ მიიჩნეოდა საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების, ასევე, თავად შრომის კოდექსით დადგენილი პრინციპების დარღვევად.

13.5. ზემოაღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გააუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით დასაქმებულის სარჩელი არ დააკმაყოფილა.

14. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შემოიტანა მოსარჩელემ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით.

საკასაციო საჩივარი შემდეგნაირადაა დასაბუთებული:

14.1. მოსარჩელის მიერ ჩადენილი ქმედება არ უნდა შეფასდეს, შრომის შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულების უხეშ დარღვევად, ვინაიდან, აღნიშნული ქმედება არ უკავშირდება მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას, მით უმეტეს, როცა ამით სამსახურის ფუნქციონირება არ შეფერხებულა. სამსახურებრივი ავტომანქანიდან ნარკოტიკული საშუალების ამოღება, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი ვერ გახდება, რამდენადაც იგი დამსაქმებლის მიერ მისთვის შრომითი ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულე-

ბის უხეშ დარღვევაზე არ მიუთითებს.

15. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2020 წლის 20 თებერვლის განჩინებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში – სსკ) 391-ე მუხლის მიხედვით, მოსარჩელის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში დასაშვებობის შესამოწმებლად.

2020 წლის 8 ივლისის განჩინებით, სსკ-ის 391.5 მუხლის „ა“ ქვე-პუნქტის საფუძველზე, საკასაციო პალატამ საკასაციო საჩივარი დასაშვებად ცნო და დაადგინა საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივ-რის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მოსარჩე-ლის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარე-მოებათა გამო:

16. მოცემული დავის საკანონო საკითხისა, დასაქმებულის სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ სადავო ბრძანების კანონიერების განსაზღვრა, ე.ი. შესამოწმებელია, თუ რამდენად მართლზო-მიერად მოქმედებდა დამსაქმებელი დასაქმებულის სამუშაოდან გათავისუფლებისას.

17. ზემოაღნიშნული საკითხის დადგენა, შესაძლებელია, მხო-ლოდ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე მიღებულ გა-დაწყვეტილებაში მითითებული გათავისუფლების საფუძვლის კვლევის შედეგად. მუშავის სამუშაოდან დათხოვნის შესახებ ყო-ველ კონკრეტულ ბრძანებას თავისი საფუძველი გააჩნია, რაც ამარ-თლებს ან არ ამართლებს მის გამოცემას. ასეთ დროს, სასამარ-თლოს როლი სწორედ ბრძანების საფუძვლის მართლზომიერების საკითხის გამორკვევაა, რაც დასაქმებულის სარჩელის იურიდიუ-ლი ბედის განმსაზღვრელია (მდრ. იხ. სუსგ: №ას-1304-2020, 11.06.2021; №ას-151-147-2016, 1 9.04.2016).

18. სანამ სადავო ბრძანების საფუძვლის კანონიერების შემოწ-მებაზე გადავალთ, რამდენიმე საკითხს უნდა მიექცეს ყურადღე-ბა:

1). არსებობს დასაქმებულთა შრომითი უფლებების დაცვის კონ-სტიტუციური პრინციპი, რომლის თანახმად, დასაქმებულის მიერ ჩადენილი ყოველი დარღვევა უნდა შეფასდეს მისი ჩადენის სიხ-შირის, სიმძიმისა და დარღვევით გამოწვეული შედეგის თვალსაზ-რისით. ამავე პრინციპის შესაბამისად, დამსაქმებლის მიერ დარ-ღვევის (გადაცდომის) ჩადენისას გამოყენებულ უნდა იქნეს ისე-თი ზომები, რომლებიც არსებულ ვითარებას გამოასწორებს, გაა-

უმჯობესებს, დასაქმებულ მუშაქს უკეთესს გახდის, კვალიფიკაციას აუმაღლებს, უფრო ნინდახედულად და გულისხმიერად მოქმედევას აიძულებს. შესაბამისად, მიზანშეწონილობის კუთხით, გადაცდომის დროს არჩეულ უნდა იქნეს პროპორციული დასჯის მექანიზმი, რაც შედეგობრივად, გარდა იმისა, რომ დამრღვევს დასჯის, მას და სხვა დასაქმებულებს უფრო ეფექტურ შრომის მოტივაციას შეუქმნის. ამდენად, იმისათვის, რომ დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლება დამსაქმებლის მხრიდან ადეკვატურ, საჭირო და პროპორციულ ღონისძიებად ჩაითვალოს, აუცილებელია, ვლინდებოდეს ისეთი დარღვევა, როდესაც სხვა უფრო მსუბუქი სანქციის გამოყენება მიზანშეწონელია (მდრ. იხ. სუსგ: №ას-267-2021, 11.06.2021; №ას-997-2020, 10.02.2021; №ას-658-2020, 4.12.2020).

2). სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში მოქმედებს მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგადი წესი, რომლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებები, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს (სსსკ-ის 102-ე მუხლი). შრომითსამართლებრივ დავებში კი, მტკიცების ტვირთის განაწილების წესი განსხვავებული და თავისებურია. ამ წესის თანახმად, დამსაქმებელი ვალდებულია, ადასტუროს დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერი და საკმარისი საფუძვლის არსებობა. ეს იმითავ გამოწვეული, რომ მტკიცებულებების წარმოდგენის თვალსაზრისით, დამსაქმებელსა და დასაქმებულს არათანაბარი შესაძლებლობები აქვთ, დამსაქმებელს მტკიცებითი უპირატესობა აქვს, სასამართლოს მისთვის ხელსაყრელი მტკიცებულებები წარუდგინოს. ამდენად, მოსარჩელის მითითება, რომ იგი სამსახურიდან უკანონოდ გაათავისუფლეს, მტკიცების ტვირთს დამსაქმებლის მხარეს აბრუნებს, რომელსაც აკისრებს დასაქმებულის სამსახურიდან მართლზომიერად გათავისუფლების მტკიცების ვალდებულებას (მდრ. იხ. სუსგ: №ას-151-147-2016, 19.04.2016; №ას-483-457-2015, 7.10.2015; №ას-1276-1216-2014, 18.03.2015).

19. რაც შეეხება განსახილველ შემთხვევას, სადაცო ბრძანების სამართლებრივი საფუძველია სშკ-ის 37.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი (ნორმის ამჟამინდელი რედაქციით 47.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი. საქართველოს 2020 წლის 29 სექტემბრის ორგანული კანონი №7177 – ვებგვერდი, 5.10.2020წ.). ამ მუხლის მიხედვით, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია, დასაქმებულის მიერ მისთვის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან კოლექტური ხელშეკრულებით ანდა შრომის შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევა.

ამავე ბრძანებაში, მოსარჩელის სამსახურიდან დათხოვნის ფაქტობრივ საფუძვლად დასახელებულია კომპანიის დასავლეთის ელექტრომობარაგების სამმართველოში 2019 წლის 16 მაისს ჩატარებული №16 ოქმი, სადაც აღნიშნულია შემდეგი:

2019 წლის 16 მაისს, კომპანიის დასავლეთის ელექტრომობარაგების სამმართველოში ჩატარებულ ოპერატორულ თათბირზე განიხილეს მოსარჩელის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 5 აპრილის განაჩენით დადგენილი გარემოებები, კერძოდ, დასაქმებულის მხრიდან კომპანიის შრომის შინაგანაწესისა და ქცევის კოდექსის უხეშად დარღვევის ფაქტი.

2019 წლის 20-22 მარტს, დამსაქმებლის ბრძანებით, დასაქმებული, ორ პირთად ერთად, მასალების მისალებად მივლინებით თბილისში გაემგზავრა; თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 5 აპრილის განაჩენით, მოსარჩელეს მსჯავრი დაედო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260.3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისათვის.

20. ხენცბული განაჩენით, რომელიც სადაცო ბრძანების ფაქტობრივ საფუძვლად დასახელებული დოკუმენტის – კომპანიის დასავლეთის ელექტრომობარაგების სამმართველოს 2019 წლის 16 მაისს №16 ოქმის ძირითადი საფუძველია, ირკვევა შემდეგი:

2019 წლის 21 მარტს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ქ. თბილისში,ის მიმდებარე ტერიტორიაზე, მოსარჩელის პირადი ავტომანქანისა და საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოილეს 0.077563 გრამი დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება (ბუპრენორფინის შემცველი 8 ცალი თეთრი ფერის ექვსკუთხა ფორმის ტაბლეტი; 3 ცალი ერთ მხარეს წახნაგობრივი ფორმის ტაბლეტის ნატეხი და მცირე ზომის ტაბლეტის ნატეხები ფხვიერ ნივთიერებასთან ერთად; თეთრი ფერის ფხვნილი და 2 ცალი ერთჯერადი მოხმარების შპრიცში არსებული გამჭვირვალე სითხე).

21. ზემომითითებული ფაქტობრივი გარემოებები სააპელაციო სასამართლომ დამტკიცებულად ცნო, ხოლო კასატორს მათ მიმართ დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) არ ნარმოუდგენია, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოსათვის ისინი სავალდებულოა (სსსკ-ის 407.2 მუხლი). ამასთან, ეს გარემოებები იმის მაუწყებელია, რომ სადაცო ბრძანებით მოსარჩელის სამუშაოდან დათხოვნას საფუძვლად დაედო, ამ უკანასკნელის მიერ შრომითი ხელშეკრულებითა და შრომის შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევა.

გასაჩივრებული ბრძანების ფაქტობრივ საფუძვლად დასახელებული, დამსაქმებლის 2019 წლის 16 მაისს №16 ოქმი სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ მძიმე ნარკოტიკული დანაშაულის (დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვა) ჩადენის შედეგად, მოსარჩევემ შრომის შინაგანაწესი დაარღვია, რითაც „მიშვენელოვნად შეიღავა“ კომპანიის რეპუტაცია რაც ასევე, ნარმოადგენს კომპანიის თანამშრომელთა ქცევის კოდექსის დარღვევას. მითითებული ოპერატორი თათბირის დღის წესრიგიც შემდეგნაირად იყო დასათაურებული: კომპანიის „შრომის შინაგანაწესისა და ქცევის კოდექსის უხეში დარღვევის ფაქტის განხილვა“.

22. ამდენად, გასაჩივრებული ბრძანებით მოსარჩელის სამუშაოდან განთავისუფლების საფუძველი გახდა, მის მიერ შრომითი ხელშეკრულებითა და შრომის შინაგანაწესით დაკისრებული მოვალეობის უხეში დარღვევა. შესაბამისად, აღნიშნული ბრძანების კანონიერების საკითხის განსაზღვრისას, დღის წესრიგში დგება, მხარეთა შორის დადგებული შრომითი ხელშეკრულებისა და კომპანიის შრომის შინაგანაწესის, დასაქმებულის მიერ ჩადენილ ქმედებასთან ერთობლიობაში შეფასება.

23. კომპანიის დირექტორთა საბჭოს 2018 წლის 27 აპრილის დადგენილებით დამტკიცებული შრომის შინაგანაწესის 1.2 პუნქტის მიხედვით, შრომის შინაგანაწესი წარმოადგენს დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის დადგებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნანილს და აწესრიგებს შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებს, დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის. ამავე შინაგანაწესის 1.4 პუნქტის თანახმად, დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის შრომითი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობები, რაც შრომითი შინაგანაწესით არა გათვალისწინებული, წესრიგდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, შრომის კოდექსით და სხვა აქტებით, რომელიც კომპანიაში დადგენილი წესის შესაბამისად, მიღებულია კომპანიის შესაბამისი ორგანოების მიერ. კომპანიის უფლებამოსილი ორგანოების/პირების მიერ მიღებული აქტები (წესი, ინსტრუქცია, სამუშაოს აღწერილობა და სხვა), რომლებიც დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის შრომითი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობას აწესრიგებს, შრომის ხელშეკრულების (ბრძანების) განუყოფელი ნაწილია (შრომის შინაგანაწესის 1.5 პუნქტი).

24. ამდენად, შრომის შინაგანაწესის ზემომითითებული პუნქტები იმაზე მიუთითებს, რომ მხარეთა შორის დადგებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია, ამავე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობის მომწერიგებელი ყველა აქ-

ტი, მათ შორის, კომპანიის დირექტორთა საბჭოს 2017 წლის 27 ოქტომბრის დადგენილებით დამტკიცებული – „დასაქმებულთა ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესები“. შესაბამისად, სადაც ბრძანების კანონიერება, ხსენებული „წესების“ კონტექსტშიც უნდა შემონ-მდეს.

პალატის მოსაზრებით, დასახელებული „წესებიდან“, მოცემული დაგისათვის საგულისხმოა, რამდენიმე პუნქტის შინაარსი, კერძოდ:

კომპანიის თითოეული დასაქმებული ვალდებულია იმიქემედოს იმ სტანდარტებით და პიროვნული ქცევის წესებით, რაც პასუხობს კომპანიის აღიარებულ ვალდებულებებს და ტრადიციებს (2.1 პუნქტი);

პიროვნული ქცევის უმაღლესი სტანდარტები დასაქმებულისაგან მოითხოვს პატიოსნებას, კეთილსინდისიერებას და პატივისცემას საკუთარი კოლეგების, ორგანიზაციის, ფართო საზოგადოების თუ მისი ცალკეული წევრის წინაშე, განურჩევლად მდგომარეობისა (2.2 პუნქტი);

კომპანიის დასაქმებულს უნდა ახსოვდეს, რომ იგი წარმოადგენს კომპანიის სახეს და კომპანიის სახელით წარმოებულ გარემოსთან ნებისმიერ ურთიერთჯემედებაში, უნდა მოუფრთხილდეს კომპანიის რეპუტაციას (2.7 პუნქტი);

კომპანიას აქვს რჩენა, საკუთარი დასაქმებულების პატიოსნებისა და კეთილსინდისიერებისა და მოელის, რომ თითოეული მათგანი განუხრელად დაიცავს გათვალისწინებულ პრინციპებს და წესებს (14.1 პუნქტი);

წინამდებარე წესები წარმოადგენს კომპანიისა და მასში დასაქმებულების შრომითი ურთიერთობების განუყოფელ ნაწილს, შესაბამისად, გათვალისწინებული ვალდებულებების/პრინციპების დარღვევა მიიჩნევა შრომის ხელშეკრულების დარღვევად (14.4. პუნქტი).

25. დამსაქმებლის შრომის შინაგანაწესის 1.5 პუნქტიდან გამომდინარე, მხარეთა შორის დადებულ შრომითი ხელშეკრულების ნაწილია, აგრეთვე, კომპანიის დირექტორთა საბჭოს 2014 წლის 11 ივნისის დადგენილებით დამტკიცებული, ელექტრომომარაგების დეპარტამენტის ელექტრომომარაგების სამმართველოს ტექნიკური განყოფილების კომენდანტის სამუშაოს აღნერილობა, რომლის 1.2 პუნქტითაც დადგენილია, რომ ელექტრომომარაგების დეპარტამენტის ელექტრომომარაგების სამმართველოს ტექნიკური განყოფილების კომენდანტი თავის საქმიანობას წარმატებას წარმატებას მოქმედი კანონმდებლობისა და ნორმატიული აქტების, კომპანიის წესდების, შინაგანაწესისა და წინამდებარე სამუშაოს

აღწერილობის შესაბამისად. ამავე აქტის 4.6 პუნქტების მიხედვით, კომენდანტი მოვალეა, დაიცვას შრომის შინაგანანესი და დისციპლინა.

26. როგორც ზემოთ აღინიშნა, მოცემულ საქმეზე დადგენილადაც აცნობილი ფაქტი იმის თაობაზე, რომ მოსარჩელემ, სამსახურებრივი მივლინებისას, ჩაიდინა დანაშაული, კერძოდ, მისი პირადი ავტომანქანისა და საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოიღეს 0.077563 გრამი დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება (ბუპ-რენორფინის შემცველი 8 ცალი თეთრი ფერის ექვსკუთხა ფორმის ტაბლეტი; 3 ცალი ერთ მხარეს წახნაგორივი ფორმის ტაბლეტის ნატეხი და მცირე ზომის ტაბლეტის ნატეხები ფხვიერ ნივთიერებასთან ერთად; თეთრი ფერის ფხვნილი და 2 ცალი ერთჯერადი მოხმარების შპრიცში არსებული გამჭვირვალე სითხე).

სწორედ ამ დანაშაულის გამო, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 5 აპრილის განაჩენით, მოსარჩელეს მსჯავრი დაედო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260.3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისათვის.

პალატის განსჯით, ზემომითითებული გარემოება საქმარის საფუძველს ქმნის დასკვნისათვის, რომ დასაქმებულმა დაარღვია პიროვნული ქცევის უმაღლესი სტანდარტები – პატიოსნება, კეთილსინდისიერება და პატივისცემა, საკუთარი კოლეგების, ორგანიზაციის, ფართო საზოგადოებისა თუ მისი ცალკეული წევრის წინაშე („დასაქმებულთა ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების“ 2.2 პუნქტი).

მოცემული საკითხის შეფასებისას, კიდევ ერთი გარემოებაა საგულისხმო, პიროვნული ქცევის ზემომითითებული სტანდარტების დაუცველობას, შესაძლებელია, რომ დამსაქმებლისათვის დასაქმებულის მიმართ პატიოსნებისა და კეთილსინდისიერების რჩმენა გამოეცალა („დასაქმებულთა ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების“ 14.1 პუნქტი).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მართებულია დასკვნა იმის შესახებ, რომ მოსარჩელის ქმედება, მის მიერ შრომითი ხელშეკრულებით (ზემოთ განიმარტა, რომ „დასაქმებულთა ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესები“, მხარეთა შორის დაფებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია) ნაკისრი ვალდებულების უხეშად დარღვევის ტოლფასი ქმედებაა. ასეთ შემთხვევაში, მოპასუხეს ვერ მოეთხოვება, რომ შრომითი ურთიერთობა გააგრძელოს დასაქმებულთან, რომელიც მისი ნდობით აღარ სარგებლობს და რომლის მიერ ჩადენილი ქმედებაც, კომპანიის რეპუტაციისთვის შემლახველია („დასაქმებულთა ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესე-

ბის“ 2.7 პუნქტი).

ამდენად, საკასაციო პალატის მოსაზრებით, არამართლზომიერად ვერ შეფასდება დამსაქმებლის ნება – მოსარჩელესთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის თაობაზე, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონისაწინააღმდეგობას გამორიცხავს.

27. სსკ-ის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: а) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე, 399-ე, 372-ე, 264.3, 407-ე, 408.3, 410-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ვ. ჩ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად;
3. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია;
4. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. მროვითი ხელშეკრულების შეცვალის წესი

მროვითი ხელშეკრულების შეცვალის შესახებ
დამსაქმნებლის გადაცყვატილების გასაჩივრების ვალა

გადაცყვატილება საქართველოს სახელით

№ას-781-2021

23 თებერვალი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. კაკაბაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
გ. მიქაუტაძე,
მ. ერემაძე

დავის საგანი: ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. a. b. (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოსარჩევე ან დასაქმებული) 2009 წლიდან საიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელში“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოპასუხე, აპელაციი, კასატორი ან დამსაქმებელი) მუშაობდა.

1.1. 2017 წლის 17 ივლისიდან კი, მოსარჩევე განუსაზღვრელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, მოპასუხესთან ტელეპროდუქციის წარმოების ჯგუფში წამყვანის თანამდებობაზე დასაქმდა. ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო – 1129 ლარით (დასაქმებრი) განისაზღვრა.

1.2. შეთანხმების მიხედვით, დასაქმებულის სამუშაო დრო 5 – დღიანი სამუშაო კვირით, კვირის განმავლობაში სამუშაო დროის ხანგრძლივობა – 40 საათით, ხოლო შაბათ–კვირა და საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრული უქმე დღეები დასვენების დღედ განისაზღვრა. სამუშაო დღის დაწყების, დასრულებისა და შესვენების დრო შინაგანაწესით დადგინდა (იხ. შეთანხმების მე-4 მუხლი).

1.3. მხარეთა უფლებები და მოგალეობები საქართველოს კანონმდებლობით, ხელშეკრულებით, შინაგანაწესითა და სხვა შიდა ღო-კალური აქტებით წესრიგდებოდა (იხ. შეთანხმების 10.2 მუხლი).

2. მხარეთა მორის შრომითი ხელშეკრულების გაფორმებისას, მოსარჩევე პარალელურად სს „ს-ში“ იყო დასაქმებული.

3. მოსარჩევე 2018 წლის 22 მაისს სამსახურში გამოცხადდა – 2

ნუთი, 25 მაისს – 41 ნუთი, 30 მაისს – 95 ნუთი, იმავე წლის 5 ივნისს – 40 ნუთი, 11 ივნისს – 71 ნუთი და 2 ივლისს – 67 ნუთი, ჯამურად 2018 წლის მაისს-ივლისში მოპასუხე სამსახურში დაახლოებით ხუთი საათის მანძილზე იმყოფებოდა.

4. 2018 წლის 25 ივლისს მოსარჩელეს შეთანხმებით – გათვალისწინებულზე 903.20 ლარით ნაკლები ხელფასი ჩაერიცხა, კერძოდ, 615,82 ლარი. კორპორაციული სატელეფონო მომსახურებაც გაეთიშა.

5. 2018 წლის 1 აგვისტოს მოსარჩელემ ხელფასის დაკლებისა და კორპორაციული ტელეფონის გათიშვასთან დაკავშირებით წერილობით მიმართა დამსაქმებელს.

6. პასუხად დასაქმებულს ზეპირსიტყვიერად განემარტა, რომ გათავისუფლებული იყო დაკავებული თანამდებობიდან.

7. 2018 წლის 15 აგვისტოს დასაქმებულმა წერილობითი განცხადებით მიმართა მოპასუხეს და იმავე წლის 1 აგვისტოს განცხადებაში მითითებულ საკითხებზე ინფორმაციის მიღება ითხოვა. 2018 წლის 8 ნოემბერს, მოსარჩელემ იმავე წლის 1 და 15 აგვისტოს წერილებზე პასუხის გაცემის მოთხოვნით კვლავ მიმართა მოპასუხეს.

8. დამსაქმებლის 2018 წლის 18 ივლისის № 188-კ ბრძანებით (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც სადავო ბრძანება), ვალდებულების უხეში დარღვევის გამო, მოსარჩელე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. გათავისუფლებას სშ-ის, 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი დაედო საფურცლად.

9. 2018 წლის 6 დეკემბერს მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ ბრძანების ბათილად ცნობის, სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნით.

10. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო, წარადგინა როგორც მოთხოვნის გამომრიცხელი, ისე შემაფრხებელი შესაგებელი და მიუთოთა, რომ მოსარჩელე სამსახურიდან გათავისუფლდა ობიექტური გარემოების შედეგად, ამასთან, სასარჩელო მოთხოვნა იყო ხანდაზმული.

11. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 4 მარტის გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი გასაჩივრებული ბრძანება და მოსარჩელე აღდგენილ იქნა ტელეპროდუქციის წარმოების ჯგუფის წამყვანის თანამდებობაზე; 2018 წლის 23 ივლისიდან სამსახურში აღდგენამდე მოპასუხეს ყოველთვიურად იძულებითი განაცდურის – 1129 (დასაბეგრი) ლარის გადახდა დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ.

12. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის უარყოფა მოითხოვა.

13. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილებით, სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის იმ პუნქტის შეცვლით, რომლითაც მოსარჩელე აღდგენილ იქნა ტელეპროდუქციის წარმოების ჯგუფის წამყვანის თანამდებობაზე და 2018 წლის 23 ივნისიდან სამსახურში აღდგენამდე მოპასუხეს ყოველთვიურად იძულებითი განაცდურის – 1129 (დასაბეგრი) ლარის გადახდა დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ, მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; თანამდებობაზე აღდგენისა და განაცდურის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა უარყოფილ იქნა; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ კომპენსაციის – 20 322 ლარის გადახდა დაეკისრა; სხვა ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

13.1. სააპელაციო სასამართლომ მოპასუხის მითითება სარჩელის ხანდაზმულობასთან მიმართებით უარყო, ვინაიდან დამსაქმებელმა თავისი მტკიცების ტვირთის ფარგლებში დასაქმებულისთვის გათავისუფლების ბრძანების ან გათავისუფლების საფუძვლის წერილობითი დასაბუთების გადაცემის შესახებ, შესაბამისი მტკიცებულება ვერ ნარადგინა.

13.2. სააპელაციო პალატის დასკვნით, ის ფაქტი, რომ მოსარჩელე სს „ს-ში“ იყო დასაქმებული, გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე მის აღდგენას შეუძლებელს ხდიდა.

14. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღება და სარჩელის უარყოფა, ხოლო დასაქმებულმა შეგებებული საკასაციო საჩივარი წარადგინა.

14.1. კასატორის მტკიცებით, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ არასწორად დაადგინა ის გარემოება, რომ სარჩელი არ იყო ხანდაზმული.

14.2. გარდა ამისა, კასატორის მითითებით, არასწორად დადგინდა ის გარემოებაც, რომ მოსარჩელის მხრიდან შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება უხეშად არ დარღვეულა.

15. დასაქმებულის შეგებებული საკასაციო საჩივარი შემდეგ არგუმენტებზე დამყარებული:

15.1. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ სს „ს-ი“ არის მაუწყებელი, რადგან ის სატელეკომუნიკაციო ოპერატორია, მისი მოსაზრებით, ასეც რომ იყოს, ეს არ არის თანამდებობაზე აღდგენის უარის თქმის საფუძველი.

16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 9 თებერვლის განჩინებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ-ის, 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ ქვე-

პუნქტის საფუძველზე, საკასაციო საჩივრები ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულია განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია, შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელი უარყოფილ იქნეს, ხოლო შეგებებული საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

17. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ ნამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო საპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოპასუხებ/კასატორმა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) წარმოადგინა.

18. იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურდა, კერძოდ, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენისა (უფლებრივი რესტიტუცია) და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველია საქართველოს შრომის კოდექსის 2.1 (შრომითი ურთიერთობა არის შრომის ორგანიზაციული მოწესრიგების პირობებში დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის სამუშაოს შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ), 2.2 (შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა მხარეთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად მიღწეული შეთანხმებით), 38.8 (სასამართლოს მიერ დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილებით, დამსაქმებელი ვალდებულია, პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღადგინოს პირი, რომელსაც შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება, ან უზრუნველყოს ის ტოლფასი სამუშაოთი, ან გადაუხადოს მას კომპენსაცია სასამართლოს მიერ განსაზღვრული ოდენობით), 44-ე (შრომითი ურთიერთობისას მხარის მიერ მეორე მხარისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით), (სადაც ურთიერთობის წარმოშობისას არსებული რედაქცია) ასევე, საქართველოს სამოქალაქო

კოდექსის 394.1 (მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრე-დიტორს შეუძლია, მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება) და 408.1 (იმ პირმა, რომელიც ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემო-ება) მუხლები. თუმცა, სარჩელის წარუმატებლობას მოთხოვნის განხორციელების სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლა გა-ნაპირობებს.

19. სშპ-ს 38.4 (სადავო ურთიერთობის წარმოშობისას არსებუ-ლი რედაქცია) მუხლის თანახმად, დასაქმებულს უფლება აქვს, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე დამსაქმებლის შეტყობინების მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში გაუგ-ზავნოს მას წერილობითი შეტყობინება ხელშეკრულების შეწყვე-ტის საფუძვლის წერილობითი დასაბუთების მოთხოვნის თაობაზე. ამავე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, დამსაქმებელი ვალდე-ბულია, დასაქმებულის მოთხოვნის წარდგენიდან 7 კალენდარუ-ლი დღის ვადაში წერილობით დასაბუთოს შრომითი ხელშეკრუ-ლების შეწყვეტის საფუძველი. ამავე მუხლის მე-6 ნაწილის მიხედ-ვით, დასაქმებულს უფლება აქვს, წერილობითი დასაბუთების მი-ღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში სასამართლოში გაასაჩივ-როს დამსაქმებლის გადაწყვეტილება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. მე-7 ნაწილის თანახმად კი, თუ დამსაქმებელი დასაქმებულის მოთხოვნის წარდგენიდან 7 კალენდარული დღის ვადაში წერილობით არ დაასაბუთებს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს, დასაქმებულს უფლება აქვს, 30 კალენ-დალური დღის ვადაში სასამართლოში გაასაჩივროს დამსაქმებლის გადაწყვეტილება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. ამ შემთხვევაში დავის ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი ეკისრება დამსაქმებელს. ამდენად, კანონმდებელმა შრო-მითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დამსაქმებლის გადაწ-ყვეტილების გასაჩივრებისთვის დაადგინა სპეციალური – 30-დღი-ანი ვადა, რაც ემსახურება კანონმდებლის მიზანს, მოკლევადიანი გასაჩივრების პროცედურის შემოღებით აღმოფხვრას გრძელვა-დიანი შრომითი დავების არსებობა (შდრ.სუსგ. №ას-11-11-2018, 04.03 2019წ; №ას-1418-2018, 13.12.2019წ).

19.1. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვე-ვაში, დასაქმებულმა გაუშვა შრომითი ხელშეკრულების შეწყვე-ტის შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილების გასაჩივრების 30-დღიანი ვადა, რამაც სარჩელის ხანდაზმულობა განაპირობა. პალა-ტა განმარტავს, რომ, სსკ-ის 128-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახ-მად, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედე-

ბისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხან-დაზმულობა. აღნიშნული დანაწესით კანონმდებელმა განსაზღვრა სამოქალაქო უფლების დაცვის გარკვეული ვადებით შეზღუდვის აუცილებლობა, რომელიც მყარ სამოქალაქო ბრუნვაზეა ორიენტი-რებული და მოთხოვნის ხახდაზმულობის ვადის გასვლით მხარე კარგას იმ სამართლებრივ ბერკეტებს, რომელთა საშუალებითაც მოთხოვნის იძულებით აღსრულების შესაძლებლობა ჰქონდა. ხან-დაზმულობის ვადის სწორად გამოთვლისათვის უმნიშვნელოვანე-სია მისი დენის დაწყების მომენტის განსაზღვრა, ხანდაზმულო-ბის ვადის დასაწყისი შეესაბამება დღეს, როდესაც წარმოიშვა მოთ-ხოვნის უფლება, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევისა, როდესაც მოთხოვნის წარმოშობის ვადის განსაზ-ღვრა ზოგადი წესისაგან განსხვავებულადაა მოწესრიგებული, მი-სი წარმოშობა დაკავშირებულია მომენტით, როდესაც პირმა გაი-გო უფლების დარღვევის თაობაზე. სსკ-ის 130-ე მუხლი (ხანდაზ-მულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვ-ნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ). ხანდაზმულობის ვადის ათვლის დასაწყისის სუბიექტური ფაქტორის განსაზღვრი-სას პოზიტურ ცოდნასთან ერთად ბრალეულ არცოდნასაც ითვა-ლისწინებს – დრო, როდესაც უფლებამოსილი პირისათვის უფლე-ბის დარღვევის შესახებ ცნობილი გახდა ან გარემოებათა გათვა-ლისწინებით უფლების დარღვევის ფაქტი უნდა შეეტყო. ნორმის აღწერილობითი ნაწილის მითითება – როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო, არ შეიძლება გაგებულ იქნა იმგვარად, რომ გარემოების შეტყობა რაიმე განსაკუთრებულ ფაქტს ან მოვლენას უნდა უკავ-შირდებოდეს, კანონის ზემოაღნიშნული დანაწესი, პრაქტიკულად, ერთმანეთთან თანხვდენილია და ორიენტირებულია კრედიტორის ობიექტურ აღქმაზე ვალდებულების დარღვევის მიმართ. შრომის კოდექსი უფლების რეალიზაციის ვადის ათვლას სწორედ შრომი-თი ურთიერთობის შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილების ფაქ-ტობრივად შეტყობის მომენტს უკავშირებს (შდრ. სუსგ. №ას-1298-1218-2015, 15.03.2016; №ას-905-871-2016, 02.11.2016; 2021 წლის 20 მაისის №ას-790-2020, 20.05.2021; №ას-920-2021, 27.10.2021).

19.2. დაფგენილია, რომ უფლების ფაქტობრივად დარღვევის შე-სახებ დასაქმებულმა, როგორც თავად სარჩელში უთითებს, 2018 წლის 25 ივლისს შეიტყო, როდესაც შეთანხმებით გათვალისწინე-ბულზე ნაკლები ხელფასის ჩარიცხვისა და კორპორაციული ტელე-ფონით სარგებლობის უფლების შეწყვეტის თაობაზე დაუკავშირდა დამსაქმებელს და რა დროსაც ზეპირსიტყვიერად ეცნობა სამსახუ-რიდან გათავისუფლების შესახებ; ამავე პერიოდიდან მოსარჩელე

რეალურადაც აღარ ასრულებდა შრომით მოვალეობას, ამდენად, 2018 წლის 25 ივნისიდან მოსარჩელისთვის სუბიექტურად ცნობილი იყო შრომითი ურთიერთობის ფაქტობრივად შეწყვეტის თაობაზე და ვადის ათვლაც სწორედ ამ დროიდან უნდა დაიწყოს.

შესაბამისად, სარჩელის სასამართლოში წარდგენისას გასული იყო შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილების გასაჩივრებისთვის დაადგინა სპეციალური – 30-დღიანი ვადა. ამასთან, ხანდაზმულობის ვადის დენის საწყისად 2018 წლის 25 აგვისტო რომც მივიჩნიოთ, როცა დასაქმებულს შრომის ანაზღაურება საერთოდ აღარ ჩაერიცხა და კიდევ ერთხელ სარწმუნოდ დადასტურდა შრომის ხელშეკრულების შეწყვეტა, ეს სამართლებრივ სურათს მაიც ვერ შეცვლის, რადგან სარჩელი სასამართლოში აღძრულია – 2018 წლის 6 დეკემბერს, ამდენად სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმულია, რაც მისი უარყოფის საკმარისი საფუძველია.

20. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა გულისხმობს დროის გარეულ მონაცემს, რომლის განმავლობაშიც პირს, რომლის უფლებაც დაირღვა, შესაძლებლობა აქვს, მოითხოვოს საკუთარი უფლებების სამართლებრივი გზით (იძულებით) განხორციელება ან დაცვა. ამ ვადის გაცდენა კი, გულისხმობს ამ პირთა მიერ ასეთი შესაძლებლობის გამოყენების უფლების მოსპობას, გაქარწყლებას. „მხარეთა სასარჩელო შესაძლებლობები ხშირად არის ვადით შეზღუდული. სამოქალაქო სამართალში სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ პირი კარგავს უფლების სასამართლო გზით დაცვის შესაძლებლობას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება №... საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ო. ს. და ო. ბ. საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“).

21. ადამიანის უფლებათა ეკროპული სასამართლო 1996 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე „სტაბინგი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ განმარტავს: „.... ხანდაზმულობის ვადები ემსახურება რამდენიმე მნიშვნელოვან მიზანს, კერძოდ, სამართლებრივ განსაზღვრულობას და საბოლოობას, პოტენციური მოპასუხების დაცვას ძევლი სარჩელებისგან, რომლებისგან თავის დაცვაც შეიძლება რთული აღმოჩნდეს და უსამართლობის თავიდან აცილებას, რომელიც შეიძლება წარმოიშვას, თუ სასამართლოები იძულებული გახდებიან, გადაწყვიტონ საქმეები, რომლებიც შორეულ წარსულში მოხდა იმ მტერცებულებებზე დაყრდნობით, რომლებიც, შესაძლოა, დროის გასვლის გამო არასამედო ან არასრული იყოს“ (პარ.51).

22. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ წინამდებარე გადაწყვე-

ტილებაში განვითარებული მსჯელობების გათვალისწინებით, არ არსებობს მოსარჩელის შეგებებული საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველიც.

23. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გადატყვეტილების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადანყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადანყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადანყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მინიშნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიერ მხარეებმა საქმის საპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადანყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადანყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. ამდენად, მოპასუხის სასარგებლოდ მოსარჩელეს უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 1828,98 (812,88+1016,1) ლარის ანაზღაურება;

24. შეგებებულ საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 408-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ს:

1. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალა-ქო საქმეთა პალატის 2021 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ა. ხ-ს სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

4. ა. ხ-ს შეგებებული საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

5. სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან, 1,098 ლარიდან (საგადახდო მოთხოვნა №12028, გადახდის თარიღი 01.06.2021), ზედმეტად გა-დახდილი 81,9 ლარი, შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, „სახელ-მწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...;

6. ა. ხ-ს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სასარგებლოდ და-ეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო ინსტან-ციის სასამართლოებში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 1828,98 ლარის გადახდა;

7. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კომანდაციის განსაზღვრა უვალო შრომითი ურთიერთობის შეცვალისას

გადაცვალება საქართველოს სახელით

№ას-1114-2022

23 დეკემბერი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემაღებენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
მ. ერემაძე

დავის საგანი: სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძა-ნების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და განაცდურის ანაზ-ლაურება

აღნერილობითი ნაწილი:

1. ლ. მ-მა (შემდეგში: დასაქმებული ან მოსარჩელე ან პირვე-ლი კასატორი) სარჩელი ალდრა სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს (შემდეგში: დამსაქმებელი ან სააგენტო ან მოპასუ-ხე ან მეორე კასატორი) მიმართ, რომლითაც მოითხოვა:

1.1. ბათილად იქნეს ცნობილი მოპასუხის 2019 წლის 3 ოქტომბრის №ს-48 ბრძანება (შემდეგში – პირველი სადაცო ბრძანება) მოსარჩელისათვის შენიშვნის გამოცხადების შესახებ;

1.2. ბათილად იქნეს ცნობილი მოპასუხის 2019 წლის 18 ოქტომბრის №გ-79 ბრძანება (შემდეგში – მეორე სადაცო ბრძანება) მოსარჩელის გათავისუფლების შესახებ და იგი აღდგენილ იქნეს დაცული ტერიტორიების სააგენტოს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის სწრაფი რეაგირების უფროსი რეინჯერის თანამდებობაზე;

1.3. მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისროს იძულებითი განაცდურის ანაზღაურება 2019 წლის 18 ოქტომბრიდან სამსახურში აღდგენამდე, ყოველთვიურად 784 ლარის ოდენობით.

2. სარჩელი დაფუძნებულია შემდეგ გარემოებებზე:

3. 2018 წლის 17 აგვისტოს სააგენტოს თავმჯდომარის №დ-77 ბრძანების საფუძველზე მოსარჩელე დაინიშნა სააგენტოს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში სწრაფი რეაგირების უფროსი რეინჯერის თანამდებობაზე. 2019 წლის 27 სექტემბერს დასაქმებულის მიმართ განხორციელდა მოკვლევა, მოსარჩელის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სამოქმედო ტერიტორიის დატოვების ფაქტზე. აღნიშნულ ფაქტზე მოსარჩელეს შენიშვნა გამოეცხადა პირველი სადაცო ბრძანებით.

4. 2019 წლის 12 ოქტომბერს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მოსარჩელე იმყოფებოდა სამოქმედო ტერიტორიაზე თანამშრომლებთან: კ. ჭ-თან და პ. ხ-თან ერთად და გადაადგილდებოდა სამოქმედო ტერიტორიაზე; მოსარჩელემ ისარგებლა შესვენების უფლებით; მოსარჩელეს პრობლემა ჰქონდა ფეხზე და უნდა შეეცვალა სახვევი. ამ დროს საგუშაგოზე იმყოფებოდა სხვა რეინჯერი – პ. ხ-ი, რომელიც მოსარჩელემ სამსახურებრივი ადგილის დროებით დატოვების საკითხზე საქმის კურსში ჩააყენა. ასევე, საგუშაგოზე იმყოფებოდა სხვა რეინჯერიც. 2019 წლის 12 ოქტომბერს მოსარჩელის მიერ გამოყენებული – შესვენების უფლებით სარგებლობის ფაქტზე კვლავ განხორციელდა სამსახურებრივი მოკვლევა, სადაც სხვადასხვა გარემოებებთან ერთად, დადგა მოსარჩელის მიერ სამოქმედო ტერიტორიის დატოვების, შესვენებაზე გასვლის, მანქანის სამართავად სხვისთვის გადაცემის, მანქანაზე ხმოვანი მოწყობილობის და ციმციმის დამაგრებისა და ნასვამობის საკითხები. მოსარჩელემ მიიჩნია, რომ დასახელებულ ფაქტებზე მოკვლევის მასალებში მითითებული გარემოებები არ შეესაბამება სიმართლეს.

5. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მოთხოვნის გამომრიცხველ შედავებაში აღნიშნა, რომ 2019 წლის 13 აგვისტოს მოსარჩელემ

მისი სამორიგეო ტერიტორია ხელმძღვანელობასთან შეთანხმების გარეშე დატოვა, რის გამოც, მის მიმართ სწორად გამოყენებული იქნა დოსციპლინური პასუხისმგებლობის ზომა „შენიშვნა“.

6. მოპასუხებ აღნიშნა, რომ 2019 წლის 12 ოქტომბერს მოსარჩელემ კვლავ დატოვა სამორიგეო ტერიტორია და არ აცნობა ხელმძღვანელობას. იგი იმყოფებოდა აღკოშოლური თრობის მდგომარეობაში. ამასთან, სამსახურებრივი ავტომანქანა, გადასცა კ. ჭ-ს, რომელსაც ავტომანქანის მართვის უფლება არ გააჩნდა. დასაქმებულმა მასზე გადაცემულ ავტომანქანაზე კანონის დარღვევით დაუშვა არასანქცირებული სასიგნალო სისტემის დამონტაჟება.

7. ამასთან, მოპასუხებ მიუთითა მოსარჩელის სამსახურში აღდგენის შეუძლებლობაზე, რაც განპირობებულია იმით, რომ მოსარჩელის თანამდებობაზე კონკურსის წესით დანიშნულია სხვა პირი და შესაბამისი თანამდებობა არ არის ვაკანტური.

8. ახალციხის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი დაქმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი სააგენტოს 2019 წლის 3 ოქტომბრის №ს-48 ბრძანება მოსარჩელისთვის შენიშვნის გამოცხადების შესახებ. ბათილად იქნა ცნობილი სააგენტოს 2019 წლის 18 ოქტომბრის №გ-79 ბრძანება მოსარჩელის გათავისუფლების შესახებ და მოსარჩელე აღდგენილ იქნა დაცული ტერიტორიების სააგენტოს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის სწრაფი რეაგირების უფროსი რეინჯერის თანამდებობაზე. სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება 2019 წლის 18 ოქტომბრიდან სამსახურში აღდგენამდე, ყოველთვიურად 784 ლარის ოდენობით.

9. პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გასაჩივრდა მოპასუხის მიერ, რომელმაც მოთხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის უარყოფა.

10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი სააგენტოს 2019 წლის 3 ოქტომბრის №ს-48 ბრძანება მოსარჩელისათვის შენიშვნის გამოცხადების შესახებ; ბათილად იქნა ცნობილი სააგენტოს 2019 წლის 18 ოქტომბრის №გ-79 ბრძანება მოსარჩელის გათავისუფლების შესახებ; სააგენტოს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა კომპენსაცია (ხელზე ასაღები) 12 544 ლარის ოდენობით (16 თვეს სახელფასო ანაზღაურების ჯამი). სარჩელი უარყოფილი იქნა სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში.

11. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

12. მოსარჩელე 2018 წლის 17 აგვისტოს დაინიშნა სააგენტოს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის სწრაფი რეაგირების უფროსი რეინჯერის თანამდებობაზე.

13. 2019 წლის 3 ოქტომბერს სააგენტოს შინაგანაწესის დარღვევის გამო, მოსარჩელეს გამოეცხადა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა „შენიშვნა“.

14. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დაცული ტერიტორიების სააგენტოს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის სწრაფი რეაგირების უფროსი რეინჯერი – მოსარჩელე 2019 წლის 18 ოქტომბრიდან გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, სამსახურებრივი მოვალეობების უხეში დარღვევის გამო.

15. მოსარჩელის თანამდებობრივი სარგო შეადგენდა 784 ლარს.

16. საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დადასტურდა, რომ 2019 წლის 13 აგვისტოს მოსარჩელემ სამუშაო დროის განმავლობაში სამუშაო ადგილი მიატოვა, რაც უსაფუძვლოს ხდის მის მიმართ 2019 წლის 3 ოქტომბერს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის „შენიშვნის“ გამოყენებას.

17. სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს შინაგანაწესის 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, შინაგანაწესი შრომითი ურთიერთობის განუყოფელი ნაწილი, ვრცელდება და შესასრულებლად სავალდებულოა სააგენტოს ყველა თანამშრომლისთვის, ხოლო მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დაუშვებელია სამუშაო დროის განმავლობაში თანამშრომლის მიერ სამუშაო ადგილის მიტოვება არასამსახურებრივ საკითხებზე, უშუალო უფროსთან (მის მოვალეობის შემსრულებელთან ან ზემდგომ ხელმძღვანელთან) შეუთანხმებლად. მე-15 პუნქტის „ვ“, „ზ“ ქ/ზ თანახმად, თანამშრომელს ეკრძალება სამუშაო ადგილის უნებართვოდ მიტოვება სამუშაო საათებში, ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ სამსახურში გამოცხადება აღნიშნული საშუალების მიღება (გარდა საზეიმო ან ოფიციალური ღონისძიებისა), აგრეთვე, ნარკოტიკული ან/და ფსიქოტროპული ან ძლიერმოქმედი საშუალებების მოხმარება, გარდა სამედიცინო დანიშნულებისა.

18. როგორც ირკვევა დასაქმებულის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენებას საფუძვლად დაედო მოსარჩელის მიერ 2019 წლის 13 აგვისტოს სამუშაო დროის განმავლობაში სამუშაო ადგილის მიტოვება. მოსარჩელის აღნიშნული ქმედება სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს ინსპექტირების სამსახურის მიერ შეფასდა, როგორც სააგენტოს შინაგანაწესის

დარღვევა. მის მიმართ გამოყენებული იქნა დისციპლინური სახ-ფელი. ალნიშნული ფაქტი მოსარჩელემ უარყო და განმარტა, რომ მას სამუშაო ადგილი არ მიუტოვებია, ვინაიდან ის ტერიტორია, სა-დაც მოსარჩელე მოძრაობდა, წარმოადგენს მის სამოქმედო ტერი-ტორიას. იგი იმყოფებოდა სამუშაო ადგილზე. მოპასუხემ საწინა-აღმდეგოს დამადასტურებელი მტკიცებულება არ წარმოადგინა.

19. სააპელაციო სასამართლომ შრომითსამართლებრივ დავებ-ში მტკიცების ტვირთის განაწილების დადგენილი სტანდარტის მი-ხედვით დამსაქმებელს დააკისრა ისეთი მტკიცებულებების წარ-მოდგენის ვალდებულება, რომლითაც დადასტურდებოდა მოსარ-ჩელის მიერ შრომის შინაგანანესის დარღვევა, კერძოდ, რომ მო-სარჩელემ სამუშაო საათებში მიატოვა სამეთვალყურეო ტერიტო-რია. მითითებული გარემოება მხოლოდ დამსაქმებლის ზეპირი გან-მარტებით ვერ დადასტურდებოდა.

20. დადგენილია, რომ 2019 წლის 12 ოქტომბერს მოსარჩელე კ. ჭ-თან ერთად მორიგე იყო და მოძრაობდა სამსახურებრივი ავტო-მანქინით. მოსარჩელეს ჰქონდა ფეხზე პრობლემა, რის გამოც, კ. ჭ-ი დასვა საჭესთან. იმის გამო, რომ მოსარჩელეს ფეხი სტკიოდა, ისარგებლა შესვენებით და წავიდა ქ. ბორჯომში, საკუთარ სახლში. შემდეგ დაუბრუნდა სამსახურში. აღნიშნულის შემდეგ მას დაუ-კავშირდა ადმინისტრაციის დაცვის განყოფილების უფროსი გ. მ-ძე, რომელიც რამდენიმე წუთში მივიდა მათთან და განუმარტა, რომ მათ სამსახურეობრივ ავტომანქანაზე უნებართვოდ ჰქონდათ დამონტაჟებული სპეციალური ხმოვანი და ციმციმა მოწყობილო-ბა, ასევე ისინი იმყოფებოდნენ ალკოჰოლური თრობის ქვეშ, რის გამოც, დაათვალიერეს ავტომანქანა, სადაც სალონში სავარდლის ქვეშ ელაგა ციმციმა მოწყობილობა, ხმოვანი მოწყობილობა კი, და-მონტაჟებული იყო ძრავზე. გ. მ-ძემ სპეციალური მოწყობილობით მოახდინა მოსარჩელის შემოწმება ალკოჰოლურ თრობაზე და მო-სარჩელეს დაუდგინდა – 0.327% BAC. აღნიშნულზე შედგა ოქმი. მოსარჩელე განმარტავს, რომ მან ალკოჰოლი მიიღო 2019 წლის 11 ოქტომბერს სახლში სტუმრებთან ერთად. მოსარჩელის და თავად კ. ჭ-ის განმარტებით, სასიგნალო და ციმციმა მოწყობილობა ეკუთ-ვნის კ. ჭ-ს და მანვე დაამონტაჟა ავტომანქანის ძარაზე, თუმცა არ გამოუყენებიათ, რადგან არ ჰქონდათ გამაძლიერებელი, ციმციმა მოწყობილობა კი მწყობრიდან იყო გამოსული.

21. სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტომ დაადგინა, რომ მოსარჩელემ სააგენტოს შინაგანანესით გათვალისწინებული ვალ-დებულებები უხეშად დაარღვია. კერძოდ დასაქმებული სამსახუ-რებრივი მოვალეობის დროს იმყოფებოდა ალკოჰოლური თრობის ქვეშ, მორიგეობის დროს სამოქმედო ტერიტორია მიატოვა ხელ-

მძღვანელობასთან შეთანხმების გარეშე, სარგებლობაში არსებულ სამსახურებრივ ავტომანქანაზე, შესაბამისი საკანონმდებლო ნებართვის გარეშე, დამონტაჟებული ჰქონდა ხმოვანი მოწყობილობა და სამსახურებრივი ავტომანქანა მართვის უფლებით გადასცა კ.ჭ-ს, რომელსაც არ ჰქონდა მართვის მოწმობა.

22. საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ სასიგნალო და ციმციმა მოწყობილობა ეკუთვნის კ.ჭ-ს, რომელმაც თავად მოახდინა მოწყობილობის მონტაჟი ავტომანქანის ძარაზე. ამასთან, მოსარჩელისათვის არ იყო ცნობილი, ის რომ კ.ჭ-ს არ ჰქონდა მართვის უფლება. კ.ჭ-ი თავად იყო ვალდებული ეცნობებინა აღნიშნულის თაობაზე მოსარჩელისათვის. მოსარჩელეს სტკიოდა ფეხი, რის გამოც, უჭირდა ავტომანქანის მართვა და სწორედ აღნიშნულის გამო, გადასცა მან ავტომანქანა სამართვად კ.ჭ-ს, რომელიც ვალდებული იყო ეცნობებინა მისთვის ავტომანქანის მართვის უფლების არარსებობაზე. შესაბამისად, აღნიშნული ფაქტების მოსარჩელის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევად მიჩნევა, პალატის შეფასებით არასწორია.

23. რაც შეეხება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ალკოჰოლური თრობის არსებობას, აღნიშნულს მოსარჩელე უარყოფს და განმარტავს, რომ იგი იმყოფებოდა ნაბახუსევ მდგომარეობაში და მას სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ალკოჰოლი არ მიუღია. საქმეში წარმოდგენილია 12.10.2019წ. სიმთვრალე სიფხიზლეზე შემოწმების ოქმი, რომელშიც მითითებულია, რომ მოსარჩელეს დაუდგინდა მცირეოდენი ალკოჰოლის მიღების ფაქტი.

24. საქალაქო სასამართლომ მართებულად არ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს იმყოფებოდა ალკოჰოლური თრობის მდგომარეობაში, რადგან საქმეში არ მოიპოვება შესაბამისი და სარწმუნო მტკიცებულებები აღნიშნული ფაქტის დასადასტურებლად.

25. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ერთ-ერთი ფაქტი რასაც მოსარჩელეს მოპასუხე ედავებოდა იყო მოსარჩელის მიერ, მისი მორიგეობის დროს სამოქმედო ტერიტორიის მიტოვება, ხელმძღვანელობასთან შეთანხმების გარეშე. აღნიშნულთან დაკავშირებით მოსარჩელემ განმარტა, რომ დილის 10 სთ-დან კ.ჭ-თან ერთად იმყოფებოდა სოფელ ..., ნეძვის აღკვეთილის ტერიტორიაზე. დაახლოებით 15:00 საათზე ნეძვის აღკვეთილის საგუმბაგოსთან არსებულ ხერგილის შიგნით შევიდა მერქნული რესურსის ერთ-ერთი მომხმარებელი, რის გამოც, მოსარჩელე და კ.ჭ-ი შეყვნენ მას, რადგან გაეკონტროლებინათ მომხმარებ-

ლის საქმიანობა. დაახლოებით 19:00 საათზე მომხმარებელმა დატოვა ტერიტორია, რის შემდეგ, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, მოსარჩელეს მოუწია სახლში მისვლა და ფეხზე სახვევის გამოცვლა. მოსარჩელემ განმარტა, რომ ისარგებლა კუთვნილი შესვენებით.

26. სსიპ დაცული ტერიტორიების სააგნეტოს შინაგანაწესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ტერიტორიული ადმინისტრაციების თანამშრომელთათვის განსაზღვრულია სამუშაო დღეებში დასაქმებულის დასვენების დრო – შესვენება. შესვენების სანგრძლივობა შეადგენს 1 საათს, რომელიც შესაძლოა გამოყენებული იქნეს 12:00 საათიდან 15:00 საათამდე ნებისმიერ დროს, გარდა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისებისა.

27. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მოსარჩელემ ისარგებლა შესვენებით, შინაგანაწესით დადგენილი წესის დარღვევით. დადგენილია, ისიც, რომ მან შინაგანაწესით დადგენილ დროს 12:00 საათიდან 15:00 საათამდე შუალედში ვერ ისარგებლა შესვენებით, იმის გამო, რომ აკონტროლებდა (ასრულებდა სამსახურებრვი მოვალეობას) ნებვის აღკვეთილის საგუშაგოსთან არსებულ ხერგილის შესულ მერქნული რესურსის ერთ-ერთ მომხმარებელს, რომლის მიერ ტერიტორიის დატოვების შემდეგ, მოსარჩელემ ისარგებლა შესვენებით. ამ საკითხთან მიმართებით, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მართალია, მოსარჩელე ვალებული იყო ეცნობებინა დამსაქმებლისათვის, შესვენებით სარგებლობის შესახებ, თუმცა, არსებული დარღვევა ვერ შეფასდება უხეშ გადაცდომად და ვერ მიიჩნევა შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისათვის საქმარის საფუძვლად.

28. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი მოწესრიგებისას, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო ბრძანებაში მითითებული დასაქმებულის გათავისუფლების საფუძვლის (სშკ-ის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი/მოქმედი კოდექსის 47.1 მუხლის „ზ“ პუნქტი) გათვალისწინებით, მართლზომიერად განხორციელდა თუ არა მოსარჩელესთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვებს: დაარღვია თუ არა დასაქმებულმა ვალდებულება, რამდენად უხეშად დააღვია დასაქმებულმა მასზე დაკისრებული სამსახურებრივი ვალდებულება და არის თუ არა ჩადენილი დარღვევის ადეკვატური ზომა მასთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა. დასახელებულ კითხვებზე პასუხის გაცემის საკანონმდებლო ვალდებულებას განსაზღვრავს შრომის კოდექსის 47-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი (სადავო ურთიერთობის დროს მოქმედი კო-

დექსის 37.1 მუხლის „ზ“ პუნქტი), რომლის მიხედვითაც, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია: დასაქმებულის მიერ მისთვის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან კოლექტიური ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანანესით დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევა. სშკ-ის 47-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით, დამსაქმებელს ენიჭება დასაქმებულის სამუშაოდან გათავისუფლების უფლება არა შრომითი ხელშეკრულების ყოველგვარი დარღვევის, არამედ ვალდებულების „უხეში დარღვევის“ შემთხვევაში. მუშაკის სამუშაოდან გათავისუფლების საფუძვლების კვლევისას, სასამართლო ამონტებს დამსაქმებლის უფლების გამოყენების მართლზომიერების საკითხს, რის საფუძველზეც აფასებს მხარეთა მიერ სასამართლოს წინაშე დაყენებულ მოთხოვნათა მართებულობას. ამისათვის აუცილებელია მისი გამოყენების განმაპირობებელი გარემოებების მართლზომიერების საკითხის შესწავლა. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლების მართლზომიერების შეფასების მიზნით, დადგინდეს დასაქმებულის მიერ მისთვის დაკისრებული ვალდებულებების უხეში დარღვევის ფაქტი, რაც შესაძლებელია მხოლოდ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე ადმინისტრაციის ბრძანებაში მითითებული დასაქმებულის გათავისუფლების საფუძვლის კვლევის შედეგად. განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, სააპელაციო სასამართლომ არ მიიჩნია დასაქმებულის მიერ შრომითი ხელშეკრულების პირობების უხეშ დარღვევად, რასაც სამსახურიდან გათავისუფლება შეიძლებოდა განეპირობებინა.

29. სააგნენტოს შინაგანანესის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თანამშრომლის მიერ სამსახურებრივი დისციპლინის დარღვევის ან მისთვის დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, სააგნენტოს თავმჯდომარე უფლებამოსილია მის მიმართ გამორიყენოს დისციპლინარული პასუხისმგებლობის შემდეგი ზომები: ა) სიტყვიერი გაფრთხილება, ბ) შენიშვნა, გ) საყვედური, დ) სასტიკი საყვედური, ე) არა უმეტეს 10 სამუშაო დღის ხელფასის დაკავება, ვ) თანამდებობრივი სარგოს 10 პროცენტიდან 50 პროცენტამდე დაკავება 1დან 6 თვემდე ვადით, ზ) 1 წლამდე ვადით უფრო დაბალ თანამდებობრივ სარგოზე გადაყვანა, თ) სტრუქტურულ ერთეულში ნუსხით გათვალისწინებულ უფრო დაბალ თანამდებობაზე გადაყვანა, ი) სამსახურიდან გათავისუფლება.

30. დადგენილია, რომ სასიგნალო და ციმციმა მოწყობილობა ეკუთვნოდა კ. ჭ-ს, რომელმაც თავად მოახდინა მოწყობილობის

მონტაჟი ავტომანქანის ძარაზე. გარდა აღნიშნულისა, მოსარჩე-ლისათვის არ იყო ცნობილი ის ფაქტი, რომ კ. ჭ-ს არ ჰქონდა მარ-თვის უფლება, შესაბამისად, აღნიშნული გარემოებების გამო, მო-სარჩელისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება არასწორია.

31. რაც შეეხება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მოსარჩელის ალკოჰოლური თრობის ქვეშ ყოფნას, საქმეზე წარმოდგენილი სათანადო მტკიცებულებებით არ იქნა დადასტუ-რებული მოსარჩელის მიერ ნასვამ მდგომარეობაში სამსახურში გა-მოცხადების ფაქტი და აღნიშნული გარემოება მხოლოდ დამსაქ-მებლის ზეპირი განმარტების საფუძველზე, უარყოფილი იქნა. დამ-საქმებელს ევალებოდა წარმოედგინა სათანადო მტკიცებულება, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა ფაქტის შეფასე-ბა პირის ნასვამობის შესახებ (სსკ-ს 102.3 მუხლი).

32. რაც შეეხება სამოქმედო ტერიტორიის მიტოვებასთან მი-მართებით დამსაქმებლის პრეტენზიას, დადგენილი იქნა, რომ მო-სარჩელები ისარგებლა კუთვნილი შესვენებით, თუმცა, შინაგანა-ნესით დადგენილი წესის დარღვევით. მან შინაგანანესით დადგე-ნილ დროს 12:00 საათიდან 15:00 საათამდე შუალედში ვერ შეძლო კუთვნილი შესვენებით სარგებლობა, რადგან აკონტროლებდა (ას-რულებდა სამსახურებრვი მოვალეობას) ნედვის ადკვეთილის სა-გუშაგოსთან არსებულ ხერგილის მერქნული რესურსის ერთ-ერთ მომებარებელს. მხოლოდ ის გარემოება, რომ შესვენების უფლე-ბით დასაქმებულმა ისარგებლა შინაგანანესით დადგენილისაგან განსხვავებულ დროს, ვერ მიიჩნევა შრომითი ხელშეკრულების იმ-გვარ დარღვევად, რაც გაამართლებდა შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას.

33. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ დამსაქმებელმა ვერ უზრუნველყო მტკიცების ტვირ-თის ჯეროვნად რეალიზება დასაქმებულის მიერ მასზე დაკისრე-ბული შრომითი მოვალეობების იმგვარი დარღვევის დასადასტუ-რებლად, რაც დასაქმებულის მიმართ გამორიცხავდა შრომითი ურ-თიერთობის გაგრძელებას და განაპირობებდა სამსახურიდან მის გათავისუფლებას.

34. სააპელაციო პალატამ დაუსაბუთებლად მიიჩნია პირველი სადაც ბრძანება (მოსარჩელისათვის „შენიშვნის“ გამოცხადება), შემდეგ გარემოებათა გამო:

35. დადგენილია, რომ მეორე სადაცო ბრძანებით შინაგანანესის დარღვევის გამო, მოსარჩელეს გამოეცხადა „შენიშვნა“ სსიპ და-ცული ტერიტორიების სააგენტოს შინაგანანესის მე-12 მუხლის „ა“ და „გ“ პუნქტების საფუძველზე სამუშაო ადგილზე არასაპატიო მი-ზეზით დაგვიანების და სააგენტოს შინაგანანესის დარღვევისათ-

ვის.

36. სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს შინაგანაწესის მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ და „გ“ ქ/ჰ თანახმად დისციპლინა-რულ გადაცდომას წარმოადგენს სამუშაო ადგილზე არასაპატიო მიზიზით დაგვიანება ან სამსახურში გამოუცხადებლობა და საა-გენტოს შინაგანაწესის დარღვევა. ამავე შინაგანაწესის მე-2 მუხ-ლის მე-2 პუნქტის თანახმად, დაუშვებელია სამუშაო დროის გან-მავლობაში თანამშრომლის მიერ სამუშაო ადგილის მიტოვება არა-სამსახურებრივ საკითხებზე, უშუალოდ უფროსთან (მის მოვალე-ობის შემსრულებელთან ან ზემდგომ ხელმძღვანელთან) შეუთან-ხმებლად.

37. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელემ განმარტა, რომ მას სამუშაო დროს სამუშაო ადგილი არ მიუტოვებია და ის ადგილი, სადაც იგი მოძრაობდა ეკუთვნოდა მის სამოქმედო ტერიტორიას. აღნიშნულის საწინააღმდეგო მტკიცებულება (რეინჯერის სამოქ-მედო ტერიტორიის საზღვრები) საქმეში წარმოდგენილი არ ყოფი-ლა. იმის გათვალისწინებით, რომ ვერ დადასტურდა მოსარჩელის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენა, სააპელაციო სასამარ-თლომ მიიჩნია, რომ არც მეორე სადავო ბრძანებას გააჩნდა გამო-ცემისათვის შესაბამისი წინაპირობები.

38. უარყოფილი იქნა სააგენტოს შედავება აღნიშნულ ნაწილში სარჩელის ხანდაზმულობასთან მიმართებითაც, რადგანაც დამსაქ-მებელმა ვერ შეძლო სასამართლოსათვის წარმოედგინა სადავო ბრძანების დასაქმებულისათვის ჩაბარების მტკიცებულება, რომ-ლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა კონკრეტული თარი-ლის განსაზღვრა გასაჩივრების უფლების წარმოშობისათვის.

39. რაც შეხება მოსარჩელის უფლებრივ რესტიტუციას, სადა-ვო ურთიერთობის დროს მოქმედი სქე-ის 38-ე მუხლის მე-8 ნაწი-ლის (მოქმედი რედაქციის 48.8 მუხლი) შესაბამისად, შრომითი ურ-თიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი სადავონობისას, დასაქ-მებული უფლებამოსილია მოითხოვოს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ბრძანების (გადაწყვეტილების) ბათილად ცნო-ბა და პირვანდელ ან ტოლფას სამუშაო ადგილზე აღდგენა, ან ბრძა-ნების ბათილად ცნობასთან ერთად, აღდგენის ნაცვლად, მოითხო-ვოს კომპენსაცია.

40. განსახილველ შემთხვევაში, სამსახურიდან გათავისუფლე-ბის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის წინაპირობები განხორ-ციელებულად იქნა მიჩნეული, შესაბამისად, მოსარჩელის სამსა-ხურში აღდგენასთან მიმართებით და დაფინდა, რომ დღეის მდგო-მარებით მოსარჩელის მიერ დაკავებული პოზიცია ვაკანტური არ არის, აღნიშნულის საპირისპირ მტკიცებულება მოსარჩელის მი-

ერ წარმოდგენილი არ ყოფილა, რაც მოსარჩელის მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც არ დგინდება სამსახურში აღდგენის შესაძლებლობა და გადაწყვეტილების აღნიშნული სახით აღსრულების შესაძლებლობა, გაუმართლებლად იქნა მიჩნეული სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში, მოთხოვნების დაკმაყოფილება, აღნიშნულის ნაცვლად მოსარჩელეს მიეკუთვნა კომპენსაცია, რომლის ოდენობა შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადის, სახელფასო ანაზღაურების ოდენობის, ასევე გათავისუფლების საფუძვლის გათვალისწინებით, განისაზღვრა 12 544 ლარით, რაც შეადგენს მოსარჩელის სახელფასო ანაზღაურების 16 თვის ოდენობის ჯამს (784 x 16).

41. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით გასაჩივრდა ორივე მხარის მიერ. პირველმა კასატორმა (მოსარჩელე) მოითხოვა სამსახურში აღდგენა და განაცდური ხელფასის მიკუთვნება, ხოლო მეორე კასატორმა (მიპასუხე) – სარჩელის უარყოფა.

42. პირველი საკასაციო საჩივრის საფუძვლები:

43. პირველი კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ სააგენტოს ამ ეტაპისთვის არ გააჩნია ვაკანტური ადგილი. შესაბამისი მტკიცებულება, გარდა დამსაქმებლის განმარტებისა, დამსაქმებელს სასამართლო სხდომაზე არ წარმოუდგენია. მტკიცებულებათა გამოკვლევა და შეფასება გულისხმობს ამ გარემოებათა შესაბამის მტკიცებულებების არსებობს ანუ, ყველა ცალკე აღებული გარემოება უნდა დადასტურდეს რელევანტური მტკიცებულებებით, მხარის ახსნა-განმარტებით, მოწმის ჩვენებით, წერილობითი მტკიცებულებებით და ა.შ. მოცემულ შემთხვევაში, დამსაქმებელი სააგენტოს განმარტება, რომ არ აქვს შესაბამისი ან ტოლფასი თავისუფალი ვაკანსია არ შეიძლება გახდეს ამ გარემოების დასამტკიცებლად ვარგისი მტკიცებულება. იმის დადასტურება, რომ სააგენტოში შესაძლო ვაკანსიები არსებობს ან არ არსებობს შეიძლებოდა შესაბამისი ვაკანსიების ამონაწერით ან ბრძანებით დადასტურებულიყო.

44. პირველი კასატორი აღნიშნავს, რომ მოსარჩელე პირველი ინსტანციის სასამართლოში ითხოვდა, რომ დამსაქმებელ მოპასუხეს წარმოედგინა შესაბამისი საშტატო ნუსხა და დასაქმებულ პირთა ვაკანსიები, რაც არ დაკმაყოფილდა, მიუხედავად სასამართლოს მოთხოვნისა.

45. რაც შეეხება კომპენსაციის ოდენობას, პირველი კასატორის მოსაზრებით, სასამართლო ნინააღმდეგობაში მოვიდა თავის-სავე მსჯელობასთან, კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ კომპენსაცია არ უნდა იყოს სახელფასო განაცდურის ტოლფასი ან

მსგავსი. განაცდურის გადახდა ხდება სამსახურში აღდგენის პარალელურად, რაც უზრუნველყოფს დაზარალებულის უფლებრივ რესტიტუციას, ხოლო კომპენსაციის შემთხვევაში, აღნიშნულმა თანხამ არამარტო უნდა გადაფაროს ზიანი განაცდურის სახით, არამედ სამსახურში აღუდგენლობით დამდგარი უარყოფითი შედეგი.

46. მოცემულ შემთხვევაში, კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას, სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღო ის გარემოებები, რომ მოსარჩელე არის დაქორწინებული, ყავს ორი შვილი. დაზარალებულის შესაბამისი სამსახურის გარეშე დატოვება კი კომპენსირებული უნდა იყოს. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ მოსარჩელეს კომპენსაციის სახით მიაუთვნა განაცდურ ხელფასზე ნაკლები ოდენობა, 16 თვის სახელფასო ანაზღაურება, მაშინ როდესაც განაცდური ხელფასი 19 თვეს მოიცავდა.

47. მეორე საკასაციის საჩივრის საფუძვლები:

48. მეორე კასატორი (მოპასუხე) მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება, რომ თავად კ. ჭ-ი იყო ვალდებული მოსარჩელისათვის ეცნობებინა მართვის უფლების არქონა. დამსაქმებელი აღნიშნავს, რომ მოსარჩელის სამუშაოს აღნერილობით დგინდება, რომ სწრაფი რეაგირების უფროსი რეინჯერის მოვალეობას მის უშუალო დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლების მართვა და კონტროლი შეადგენს. ამავე მტკიცებულებით დგინდება, რომ მოსარჩელის მიერ უშუალო დაქვემდებარებაში იმყოფებიან რეინჯერები და მათ შორის იმყოფებოდა სწრაფი რეაგირების რეინჯერი – კ. ჭ-ი. ამასთან, ავტომობილის უსაფრთხო ექსპლუატაციაზე პასუხისმგებელი იყო მოსარჩელე. სადაც შემთხვევაში, მოსარჩელემ მასზე გადაცემული სამსახურებრივი ავტომანქანა ისე გადასცა მისადმი დაქვემდებარებულ პირს (რომელსაც არ ჰქონდა მართვის მოწმობა), რომ არ შეამონმა ამ პირს ჰქონდა თუ არა ავტომანქანის მართვის უფლება, რითაც საფრთხის ქვეშ დააყენა მათი და ასევე მესამე პირების სიცოცხლე და ჯანმრთელობა, ასევე რისკის ქვეშ დადგა სააგნეტოს ქონებაც. მოსარჩელეს უნდა გაერკვია ჰქონდა თუ არა მის დაქვემდებარებაში მყოფ თანამშრომელს მართვის მოწმობა და მხოლოდ ამის შემდეგ მიეღო გადაწყვეტილება, რაც მან არ გააკეთა.

49. მეორე კასატორის (დამსაქმებელი) მითითებით, მოსარჩელემ არ აღკვეთა მისადმი დაქვემდებარებული რეინჯერ კ. ჭ-ის მიერ არასანქცირებული მოწყობილობის დამონტაჟება სამსახურებრივ ავტომანქანაზე.

50. მეორე კასატორის (დამსაქმებელი) მითითებით, მოსარჩელე იმყოფებოდა სამსახურში ალკოჰოლური თრობის მდგომარეობაში, რასაც თვითონვე აღიარებს.

51. მეორე კასატორს მიაჩნია, რომ მოსარჩელის ქცევები დამსაქმებელს ნდობას უკარგავს მუშავის მიმართ და შესაფასებელი ქმედება არ წარმოადგენს ისეთ დარღვევას, რომელიც დამსაქმებლის მიერ გამაფრთხილებელი ზომის გამოყენების შემთხვევაში, შესაძლებელია, გამოსწორდეს იმგვარად, რომ დამსაქმებელმა არ დაკარგოს მუშავთან შრომითი ურთიერთობის გაგრძელების ინტერესი.

52. რაც შეეხება სამსახურებრივ ავტომანქანაზე არასანქცირებული მოწყობილობების დამონტაჟებას, მეორე კასატორი აღნიშნავს, რომ როგორც სააპელაციო სასამართლო მიუთითებს საიგნალო და ციმიტიმა მოწყობილობა ეკუთვნოდა კ.ჭ-ს, რომელმაც თავად მოახდინა მოწყობილობის მოწყაჟი ავტომანქანის ძარაზე. აღნიშნული ფაქტის მოსარჩელის მიერ სამსახურეობრივი მოვალეობის დარღვევად მიჩნევა სააპელაციო სასამართლოს არასწორად მიიჩნია.

53. მეორე კასატორი მიუთითებს, რომ სწრაფი რეაგირების ჯგუფის ავტომანქანის მიღება-ჩაბარების ურნალით (ზ. შესაგებლის გვ.54-53) დგინდება, რომ სამსახურეობრივი ავტომანქანა სამართავად ჩაბარებული ჰქონდა მოსარჩელეს. ავტომობილის უსაფრთხო ექსპლოატაციაზე პასუხისმგებელი იყო მოსარჩელე. ამდენად, ავტომობილის ექსპლუატაციის წესების დარღვევისათვის (ავტომობილზე კანონის დარღვევით არასანქცირებული მოწყობილობების დამონტაჟება), ცხადია პასუხისმგებლობას აკისრებს პირს (მძლოლს), რომელსაც ავტომობილი სამართავად გადასცა სააგენტომ. ის გარემოება, რომ ავტომანქანაზე დამონტაჟებული არასანქცირებული მოწყობილობის შესახებ იცოდა მოსარჩელემ, დგინდება მის მიერ და ასევე, კ.ჭ-ის მიცემული წერილობითი ახსნა-განმარტებებით ასევე, დასკვინით №34.

54. მეორე კასატორი სადაცოდ ხდის, რომ მოსარჩელე არ იმყოფებოდა ალკოჰოლური თრობის მდგომარეობაში და მიუთითებს მოსარჩელის წერილობით ახსნა-განმარტებაზე, სადაც მითითებულია რომ ადმინისტრაციის დაცვის განყოფილების უფროსმა გ. მ-ემ, რეინჯერ ლ. კ-ძის თანდასწრებით მოახდინა ჯერ კ.ჭ-ის, ხოლო შემდეგ მოსარჩელის შემოწმება თრობის ხარისხზე, რა დროსაც, მოსარჩელეს დაუდგინდა 0.327 ერთეული თრობის ხარისხი. გ. მ-ემ მოახდინა ალკოჰოლურის მონაცემების ფოტოგრაფირება და შეადგინა შემოწმების ამსახველი ოქმი რომელსაც მოსარჩელე გაეცნო და ხელი მოაწერა. მეორე კასატორი აღნიშნავს, ის გარემოება, რომ მოსარჩელეს თრობის ხარისხი დაუდგინდა 0.327, მოსარჩელემ აღიარა სააგენტოს ადმინისტრაციაში მიცემულ ახსნა-განმარტებაშიც. აღნიშნული გარემოება დგინდება გ. მ-ძის წერილობითი

ახნა-განმარტებითაც; ალკოტესტის ფოტოთი, შემოწმების აქტებით, 12.10.2019 ოქმით, რომელსაც ხელს აწერს მოსარჩელე იგი აღიარებს ალკოჰოლური თრობის მდგომარეობაში ყოფნას.

55. რაც შეეხება მოსარჩელის მიერ სამუშაო ადგილის მიტოვებას, მეორე კასატორი მიუთითებს, რომ მოსარჩელე 2019 წლის 13 აგვისტოს მორიგეობდა ხედის ალკეთილის საგუშაგოზე ხერგილ-თან, რა დროსაც, დაუკავშირდა მისი ახლობელი, რომელმაც სთხოვა შეხვედრა პირად საკითხებთან დაკავშირდებით. მოსარჩელე მას შემ-ვდა სოფელ ... ცენტრში, რომელთანაც დაყო როი საათი, რის შემ-დეგაც დაბრუნდა საგუშაგოზე. მორიგეობის მიტოვების შესახებ აცნობა მასთან ერთად მყოფ რეინჯერ გ. ჩ-ს, რომელსაც სთხოვა მისი არ ყოფილი პერიოდში მიეხედა საგუშაგოსთვის. კითხვაზე, მო-სარჩელემ ჩააყენა თუ არა ხელმძღვანელობა მორიგეობის მიტო-ვების შესახებ საქმის კურსში, მოსარჩელემ მიუგო, რომ არ ჩაუყე-ნებია.

56. მეორე კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება, თითქოს მოსარჩე-ლებ ისარგებლა შესვენებით, ნაცვლად სამუშაო ადგილის მიტო-ვებისა, რადგან მერქნული რესურსების მომხმარებელი შევიდა 15:00 საათზე (ცხადია 12:00 საათიდან 15:00 საათამდე მოსარჩელე ვერ შეყვებოდა მომხმარებელს გასაკონტროლებლად), მოსარჩე-ლებ შეეძლო შინაგანანებისთ დადგენილ დროს 12:00 სთ-დან 15:00 სთ-მდე ესარგებლა შინაგანანებისთ დადგენილი 1 სთ-იანი შესვე-ნებით. ამიტომ 19:00 სთ-ის შემდეგ სახლში წასვლა ხელმძღვანე-ლობისათვის შეტყობინების გარეშე, ჩაითვლება არა შესვენებით სარგებლობად შინაგანანების დარღვევით, როგორც სასამართლო უთითებს, არამედ სამუშაო ადგილის მიტოვებად.

57. რაც შეეხება ხანდაზმულობის საკითხს, სარჩელის 31-ე გვერდზე დართული ბრძანების ასლზე მოსარჩელის ხელმოწერა და მინანერი „გავეცანი“, დგინდება რომ მოსარჩელე 2019 წლის 03 ოქტომბერს გაეცნო ბრძანებას „შენიშვნის“ გამოცხადების თაო-ბაზე.

58. მეორე კასატორი სადაცოდ ხდის სასამართლო ხარჯების გა-ნაწილებას და აღნიშნავს, მოსარჩელეს სრულად აუნაზღაურდა სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 100 ლარი, მაშინ როდე-საც სარჩელი სრულად არ დაკმაყოფილდა. შესაბამისად, სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით მხარეებს შორის საპ-როცესო ხარჯები პროპორციულად უნდა განანილებულიყო (გასა-ჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-9 პუნ-ქტი).

59. ამასთან, მოპასუხეს დაევალა, სახელმწიფო ბიუჯეტში ჩა-

რიცხოს მისთვის დაკისრებული საკომპენსაციო თანხიდან – 12544 ლარიდან 501,76 ლარი (სსსკ-ის 55-ე მუხლი). მეორე კასატორს მიაჩნია, რომ 501,76 ლარს უნდა გამოაკლდეს სააპელაციო სასამართლოში წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 376.32 ლარი, რაც შეადგენს (501,76-376,32) 125,44 ლარს. ამასთან, მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ სსსკ-ის 53-ე მუხლის უგულვებელყოფით დაკისრებულ 100 ლარს უნდა გამოაკლდეს სარჩელის იმ ნაწილის პროპორციული სახელმწიფო ბაჟი, რა ნაწილშიც სარჩელი უარყოფილია და საბოლოო ჯამში, სააგენტოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 25,44 ლარი (125,44-100= 25,44).

60. რაც შეეხება პირველი ინსტანციის სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის გადახდის დაკისრებას, მეორე კასატორს აღნიშნულიც კანონშეუსაბამოდ მიაჩნია, იმ მოცემულობაში, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გაუქმებულია. სსსკ-ის 53-ე მუხლის მესამე პუნქტი ადგენს, რომ თუ საპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

61. ამასთან, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-6 პუნქტში კომპენსაციის ოდენობად მითითებულია 12544 ლარი, მაშინ, როდესაც 687 ლარის 16-ზე ნამრავლი შეადგენს 10992 ლარს.

62. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 26 სექტემბრის განჩინებით პირველი საკასაციო საჩივარი, ხოლო ამავე წლის 4 ოქტომბრის განჩინებით მეორე საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო ამავე წლის 6 დეკემბრის განჩინებით საკასაციო საჩივრები ცნობილ იქნა დასაშვებად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მესუთე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საპროცესო სამართლებრივი საფუძვლით (საკასაციო საჩივარი ქონებრივ და არაქონებრივ დავებში დასაშვებია თუ საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას).

სამოტივაციო ნაწილი:

63. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზების, საკასაციო საჩივრების სამართლებრივი დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ პირველი საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დასაბუთებულია და ნაწილობრივ

უნდა დაკმაყოფილდეს არამართლზომიერად გათავისუფლების გამო კომპენსაციის სახით მიკუთვნებული თანხის განსაზღვრის ნაწილში, ხოლო მეორე საკასაციის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

64. სსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ ნამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომელებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

65. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია და საკასაციო საჩივრებით დასაშვები, დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია წამოყენებული არ არის, რომ:

66. მოსარჩელე 2018 წლის 17 აგვისტოს დაინიშნა სააგენტოს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის სწრაფი რეაგირების უფროსი რეინჯერის თანამდებობაზე.

67. 2019 წლის 3 ოქტომბერს (№ს-48 ბრძანება) სააგენტოს შინაგანაწესის დარღვევის გამო, მოსარჩელეს გამოეცხადა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა „შენიშვნა“.

68. 2019 წლის 18 ოქტომბერს (№გ-79 ბრძანება) სშკ-ის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის (კანონის მოქმედი რედაქციის 47-ე მუხლი) საფუძვლით სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვანი შესრულების გამო, სააგენტოს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის სწრაფი რეაგირების უფროსი რეინჯერი – მოსარჩელე 2019 წლის 18 ოქტომბრიდან გათავისუფლად დაკავებული თანამდებობიდან.

69. მოსარჩელის თანამდებობრივი სარგო შეადგენდა 784 ლარს.

70. საკასაციო საჩივრების ფარგლებში საკასაციო პალატის შეფასების საგანს წარმოადგენს: 1) დასაქმებულთან (მოსარჩელე) შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის კანონიერება, კერძოდ, გამოვლენილი გადაცდომა/გადაცდომები ქმნიდა თუ არა იმის საფუძველს, რომ დამსაქმებელს შეეწყვიტა ხელშეკრულება და, უარყოფით შემთხვევაში, არსებობს თუ არა პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის წინაპირობა; 2) პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში, კომპენსაციის ოდენობის გონივრულობა.

71. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სამოქალაქო საპროცე-

სო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციიდან გამომდინარე (საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში). საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამონმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), საკასაციო პალატის შეფასების საგანი იქნება კასატორის შედავებების საფუძვლიანობა, კერძოდ, კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს განჩინება ემყარება კანონდარღვევას, მან არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებოდა, გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მნიშვნელოვანი მატერიალური ნორმების დარღვევით;

72. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის თანახმად, საკასაციო საჩივრარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითა გამოტანილი. სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ: არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებონა; გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებონა; არასწორად განმარტა კანონი. საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება, განდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

73. განსახილველი დავის ფარგლებში საკასაციო სასამართლოს მიერ შეფასების საგანს წარმოადგენს მოსარჩელეებისათვის სადავო ბრძანებების ბათილად ცნობის მოთხოვნის წინაპირობების არსებობა. ამ ტიპის სარჩელის წარმატებულობა, ბუნებრივია, უნდა შემონმდეს მისი დამფუძნებელი ნორმის/ნორმების წინაპირობებთან მიმართებაში, რაც იმას ნიშნავს, რომ უპირველესად, სასამართლომ სწორად უნდა განსაზღვროს მოთხოვნის მარეგულირებელი სამართლებრივი საფუძველი – კანონის ნორმა, გამოარკვიოს სარჩელში მითითებული ფაქტების შესაბამისობა დამფუძნებელი ნორმის აბსტრაქტულ ელემენტებთან (ფორმალური გამართულობა), დადგებითი პასუხის შემთხვევაში, სარჩელსა და შესაგებელში გამოთქმული პოზიციების ურთიერთშეჯვრებით გამოარკვიოს სადავო და უდავო ფაქტობრივი გარემოებები (მტკიცების საგანი) და გაანაწილოს მხარეთა შორის მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების დადასტურების ტვირთი (მტკიცების ტვირთი).

74. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და როს საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სა-

მართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღნერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემონმებაც სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღნერილობა, რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი წანამდლვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას.

75. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარებულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში.

76. სადაც ურთიერთობის სამართლებრივი შეფასება სასამართლოს ვალდებულებაა, მიუხედავად იმისა, ედავებიან თუ არა ამ შეფასებას მხარები. ეს იმას ნიშნავს, რომ არც სააპელაციო და არც საკასაციო სასამართლო არაა შებოჭილი სააპელაციო თუ საკასაციო საჩივარში მითითებული კანონის დარღვევებით და ისინი ამონმებენ გადაწყვეტილებას მატერიალურსამართლებრივი ნორმების სწორად გამოყენების თვალსაზრისით. თუ ასეთი შემონმების შედეგად სასამართლო იმ დასკვნას გამოიტანს, რომ საჩივრის მოთხოვნა გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს, მაგრამ არა საჩივარში მითითებული, არამედ მატერიალურსამართლებრივი ნორმის (კანონის) სხვა დარღვევის გამო, სასამართლომ უნდა გამოიტანოს შესაბამისი გადაწყვეტილება. იმ შემთხვევაში კი, თუ არასწორი სამართლებრივი შეფასების შედეგად, ანუ კანონის (სსსკ-ის 393.2 მუხლის) დარღვევით მი-

ღებული გადაწყვეტილების ძალაში დატოვება შესაძლებელია სხვაგვარი სამართლებრივი შეფასებით, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, თავისი განჩინებით ძალაში დატოვოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ან ამ გადაწყვეტილების შეცვლით მიიღოს ახალი გადაწყვეტილება (სსკ-ის 386-ე მუხლი). ასეთივე შესაძლებლობითაა აღჭურვილი საკასაციო სასამართლოც, კერძოდ, მას შეუძლია, არ გააუქმოს გადაწყვეტილება და ძალაში დატოვოს იგი (სსკ-ის 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი) ან ახალი გადაწყვეტილებით დაადგინოს სხვა სამართლებრივი შედეგი (სსკ-ის 411-ე მუხლი).

77. საკასაციო სასამართლო ეთანხმება პრინციპს, რომ მოთხოვნის საფუძვლის განსაზღვრა სასამართლოს პრეროგატივაა და მხარის მიერ სარჩელის დამფუძნებელ ნორმად კანონის ამა თუ იმ დანაწესის მითითება არ არის გადაწყვეტილების მიღების პრიცესში სასამართლოსათვის ხელიშემშეღებით, ამგვარი მიდგომა გამომდინარეობს სამართალში დამკვიდრებული პრინციპიდან: „*jura novit curia*“ (სასამართლომ იცის კანონი).

78. სშკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად (წინამდებარე განჩინებაში მითითებულია და შეფასებულია სშკ-ის ნორმები დავის წარმოშობის პერიოდში მოქმედი რედაქციით), შრომითი ურთიერთობა არის შრომის ორგანიზაციული მოწესრიგების პირობებში დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის სამუშაოს შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ.

79. დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს შრომითი ურთიერთობის ის სახელმძღვანელო პრინციპები, რაც ამ სამართლებრივ ურთიერთობისაგან განასხვავებს. შრომითი ურთიერთობის სუბიექტები არიან დამსაქმებელი და დასაქმებული (სშკ-ის მე-3 მუხლი), ამასთან, დასაქმებული ეწევა დაქვემდებარებულ საქმიანობას, ასრულებს დამსაქმებლის მითითებას სათანადო ანაზღაურების პირობით. ამ შემთხვევაში, გადამწყვეტია სამუშაო პროცესი, რომელიც ორგანიზებულად წარიმართება დამსაქმებლის მიერ დადგენილი წესებითა და პირობებით (შრომითი ხელშეკრულება, შინაგანაწესი, საკანონმდებლო რეგულაცია და სხვა) (იხ. სუსგ წეს-934-2018, 05.06.2020წ.; წეს-1432-1352-2017, 16.03.2018წ.; წეს-1132-1088-2016, 17.02.2017წ.).

80. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ შრომითი ურთიერთობის სწორი სამართლებრივი რეგულაცია წარმოადგენს შრომის უფლების დაცვის გარანტის. შესაბამისად, დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის უფლებათა წონასაზორობას ემსახურება შრომითი ხელშეკრულების შეჩერების თუ შეწყვეტის კანონიერი საფუძვლების არსებობა. შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის კანონისმიერ

რეგულირებას აქვს შემაკავებელი ეფექტი, რომელიც ამ ურთიერთობის მონაწილეებს იცავს თვითნებობისა და სოციალური უსამართლობისაგან.

81. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოში განხორციელებული შრომის კანონმდებლობის რეფორმის ერთ-ერთი მიზანი სწორედ დასაქმებულის უფლებების დაცვა იყო. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ შრომის სამართალი დაკავშირებულია ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან და თითოეული დასაქმებულის საქმის ინდივიდუალური შეფასებისას გამოყენებული უნდა იქნეს ე.წ. „favor prestatoris“ პრინციპი, რაც დასაქმებულთათვის სასარგებლო წესთა უპირატესობას ნიშნავს. სწორედ აღნიშნული პრინციპის გამოყენებისას, საჭიროა დამსაქმებლისა და დასაქმებულის მოთხოვნებისა და ინტერესების წონასაწორობის დაცვა სამართლიანობის, კანონიერებისა და თითოეული მათგანის ქმედების კეთილსინდისიერების კონტექსტში (შდრ. სუსგ №ას-941-891-2015, 2016 წლის 29 იანვრის განჩინება; №ას-1502-1422-2017, 20 თებერვალი, 2018 წ., პ-14.4).

82. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოფილია შრომის თავისუფლება. შრომის თავისუფლება და სხვა სოციალური უფლებები ადამიანის სასიცოცხლო ინტერესებს უკავშირდება და ძირითადი უფლებების განვითარების წინაპირობაა. „შრომა თავისუფლია“, რაც, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „იმას ნიშნავს, რომ ადამიანს მინიჭებული აქვს უფლება, თავად განკარგოს საკუთარი შესაძლებლობები შრომით საქმიანობაში, თავად აირჩიოს შრომითი საქმიანობის ესა თუ ის სფერო, ასევე, შრომის თავისუფლებაში იგულისხმება სახელმწიფოს ვალდებულება, იზრუნოს მოქალაქეთა დასაქმებაზე და დაიცვას მათი შრომითი უფლებები. კონსტიტუციით დაცულია არამარტო უფლება, არჩიო სამუშაო, არამედ ასევე უფლება, განახორციელო, შეინარჩუნო და დათმო ეს სამუშაო“ (იხ., საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის გადაწყეტილება საქმეზე გადაწყვეტილება საქმეზე №2/2-389).

83. ვინაიდან საკითხი შეეხება დასაქმებულის კონსტიტუციურ უფლებას – „შრომის უფლება“ [კონსტიტუციის 26-ე მუხლის დისპოზიცია: შრომის თავისუფლება უზრუნველყოფილია. ყველას აქვს სამუშაოს თავისუფალი არჩევის უფლება. უფლება შრომის უსაფრთხო პირობებზე და სხვა შრომითი უფლებები დაცულია ორგანული კანონით], დამსაქმებლის მხრიდან ამ უფლების შეზღუდვა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს, რომ მიჩნეული იქნეს მართლზომიერად, კერძოდ, შრომის უფლების შეზღუდვა გათ-

ვალისწინებული უნდა იყოს კანონით, უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს და იყოს პროპორციული. დასახელებული კრიტერიუმებიდან პირველი – „გათვალისწინებული იყოს კანონით“ ნიშნავს იმას, რომ ამ უფლების შეზღუდვა სშე-ით გათვალისწინებულ კანონიერ საფუძველზე უნდა განხორციელდეს.

84. იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩევეს სურს, კერძოდ, სადავო ბრძანების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენისა (უფლებრივი რესტიტუცია) და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნა სადავო პერიოდში მოქმედი სშე-ის 38.8 (სასამართლოს მიერ დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილებით, დამსაქმებელი ვალდებულია, პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღადგინოს პირი, რომელსაც შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება, ან უზრუნველყოს ის ტოლფასი სამუშაოთი, ან გადაუხადოს მას კომპენსაცია სასამართლოს მიერ განსაზღვრული ოდენობით) და 44-ე (ინდივიდუალური შრომითი ურთიერთობისას მხარის მიერ მეორე მხარისთვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით), ასევე, სსკ-ის 394.1 (მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის) და 409-ე (თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება) მუხლებიდან გამომდინარეობს.

85. საკასაციო პალატა მეორე კასასტორის (დამსაქმებელი) საკასაციო საჩივრის ფარგლებში თავდაპირველად შეამოწმებს დასაქმებულთან (მოსარჩევე) შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის კანონიერებას, რაც შესაძლებელია შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე გამოცემულ ბრძანებაში მითითებული გათავისუფლების საფუძვლის კვლევის შედეგად (სუსგ №ას-151-147-2016, 19.04.2016; №ას-861-861-2018, 25.09.2018; სუსგ №ას-416-399-2016, 29.06.2016.). სასამართლო ზედამხედველობის ფარგლებში ყოველთვის უნდა შეფასდეს ის სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები, რომლებზე დაყრდნობითაც განისაზღვრება დამსაქმებლის მიერ ხელშეკრულების მოშლის შესახებ გამოვლენილი ცალმხრივი წების კანონიერების, თანაზომიერების საკითხი (სუსგ №ას-887-854-2016, 08.02.2019).).

86. განსახილველ შემთხვევაში, დასაქმებული სამუშაოდან გა-

თავისუფლდა სადაც პერიოდში მოქმედი სშე-ის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის (დასაქმებულის მიერ მისთვის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან კოლექტიური ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევა) საფუძველზე. მოსარჩელემ სადაც გახსადა სამუშაოდან მისი გათავისუფლების შესახებ დამსაქმებლის ბრძანების კანონიერება. ასეთ ვითარებაში გასათვალისწინებელია სადაც სამართლებრივი ურთიერთობის თავისებურება, რაც დავის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთის განაწილებაში მდგომარეობს. მოსამართლის ერთ-ერთი ვალდებულება მტკიცებით საქმიანობაში მხარეთა შორის საპროცესო ვალდებულებების სწორი გადანაწილებაა. აღნიშნული ემსახურება პროცესის მონაწილე სუბიექტების უფლებრივი მდგომარეობის დაცვას და იმავდროულად, უზრუნველყოფს მართლესრიგის ეფექტურ ფუნქციონირებას. მტკიცების ტვირთის გადანაწილების დროს, უაღრესად დიდი მნიშვნელობისაა ის, თუ როდის გადადის მტკიცების ვალდებულება ერთი მხარიდან მეორეზე. როგორც წესი, ფაქტის მითითების და მისი დამტკიცების ტვირთი მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, თუმცა, არც ისაა გამორიცხული, რომ მატერიალურ-სამართლებრივი ნორმით ერთ მხარეს მხოლოდ ფაქტის მითითების ტვირთი ეკისრებოდეს, ხოლო მეორე მხარეს საწინააღმდეგოს დამტკიცების ტვირთი. ამის თვალსაჩინო მაგალითა შრომითი დავა, რომლის დროსაც, ფაქტებზე მითითების ტვირთი და დამტკიცების ტვირთი პროცესის სხვადასხვა მონაწილეს ეკისრება, კერძოდ, დასაქმებული უთითებს სამუშაოდან მისი გათავისუფლებისათვის აუცილებელი სშე-ის შესაბამისი ნორმით გათვალისწინებული წინაპირობების არარსებობაზე, ხოლო დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის მნიშვნელოვანი საფუძვლის მტკიცების ტვირთი დამსაქმებელს ეკისრება (Protection Against Unjustified Dismissal, International Labour Conference, 82-nd session 1995, Report III (part 4B), Geneva, 7). ამდენად, შრომითისამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დავებზე, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისათვის მნიშნელოვანი საფუძვლის („Good Reason“) არსებობის მტკიცების ტვირთი, დამსაქმებელს ეკისრება. კანონმდებლის ასეთი მიღვომა განპირობებულია იმით, რომ შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე დავებში, „სუსტი მხარის“ – დასაქმებულის პროცესუალური თანადგომა პრიორიტეტულია. ცხადია, ეს არ უნდა მივიჩიოთ შეჯიბრებითობისა და პროცესუალური თანასწორობის კონსტიტუციური უფლების დარღვევად. მტკიცებულებების წარმოდგენის თვალსაზრისით, დამსაქმებელსა და დასაქმებულს არათანაბარი შესაძლებლობები აქვთ. დამსაქ-

მებელი სარგებლობს მტკიცებითი უპირატესობით, სასამართლოს წარუდგინოს მისთვის ხელსაყრელი მტკიცებულებები იმის თაობაზე, რომ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას საამისოდ გათვალისწინებული მართლზომიერი საფუძველი ჰქონდა“ (იხ., ილონა გაგუა „მტკიცებულებები და მტკიცების პროცესი კერძო ხასიათის სამართლებრივ დავებზე, თბ., 2020 წ., გვ: 229-231; 258-259.).

87. ზემოთქმულიდან გამომდინარე, მეორე კასატორია (მოპასუხე, სააგენტო) ვალდებული სათანადო მტკიცებულებებით დაადასტუროს დასაქმებულის (პირველი კასატორი, მოსარჩელე) მიერ, მასზე ხელშეკრულებით ანდა შრომის შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევის ფაქტები, რაც სშკ-ის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლით მოსარჩელის სამსახურიდან გათვისუფლების მართლზომიერ საფუძვლად იქნება მიჩნეული.

88. მეორე კასატორი მიუთითებს, რომ:

89. მოსარჩელემ მასზე გადაცემული სამსახურებრივი ავტომანქანა ისე გადასცა მისადმი დაქვემდებარებულ პირს (რომელსაც არ ჰქონდა მართვის მოწმობა), რომ არ შეამოწმა ამ პირს ჰქონდა თუ არა ავტომანქანის მართვის უფლება. მოსარჩელეს ევალებოდა მის უშუალო დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლების მართვა და კონტროლი. მოსარჩელის მიერ უშუალო დაქვემდებარებაში იმყოფებოდა სწრაფი რეაგირების რეინჯერი – კ. ჭ-ი. მოსარჩელემ არ აღკვეთა მისსადმი დაქვემდებარებული რეინჯერ კ. ჭ-ის მიერ არა-სანქცირებული მოწყობილობის (ციმ-ციმა) დამონტაჟება სამსახურებრივ ავტომანქანზე. სამსახურებრივი ავტომანქანა სამართავად ჩაბარებული ჰქონდა მოსარჩელეს და შესაბამისად ავტომობილის უსაფრთხო ექსპლუატაციაზე პასუხისმგებელი იყო მოსარჩელე. ავტომობილის ექსპლუატაციის წესების დარღვევისათვის (ავტომობილზე კანონის დარღვევით არასანქცირებული მოწყობილობების დამონტაჟება), პასუხისმგებლობას აკისრებს პირს (მძღოლს), რომელსაც ავტომობილი სამართავად გადასცა სააგენტომ. მოსარჩელე იმყოფებოდა სამსახურში ალკოჰოლური თრობის მდგომარეობაში, რასაც თვითონვე აღიარებს. მოსარჩელემ სამუშაო ადგილი მიატოვა, კერძოდ, იგი მორიგეობდა ნეძვის აღკვეთილის საგუშაგოზე ხერგილთან, რა დროსაც, დაუკავშირდა მისი ახლობელი, რომელმაც სთხოვა შეხვედრა პირად საკითხებთან დაკავშირდით. მოსარჩელე მას შეხვდა სოფელ ... ცენტრში, რომელთანაც დაყო 2 სთ, რის შემდეგაც, დაბრუნდა საგუშაგოზე. მორიგეობის მიტოვების შესახებ აცნობა მასთან ერთად მყოფ რეინჯერ გ. ჩ-ს, რომელსაც სთხოვა მისი არყოფნის პერიოდში მიეხედა საგუშაგოსთვის. არასწორია თითქოს მოსარჩელემ ისარგებლა შეს-

ვენებით, ნაცვლად სამუშაო ადგილის მიტოვებისა, რადგან მერქნული რესურსების მომხმარებელი შევიდა 15:00 საათზე (ცხადია 12:00 საათიდან 15:00 საათამდე მოსარჩელე ვერ შეყვებოდა მომხმარებელს გასაკონტროლებლად), მოსარჩელეს შეეძლო შენაგანანესით დადგენილ დროს 12:00 სთ-დან 15:00 სთ-მდე ესარგებლა შინაგანანესით დადგენილი 1 სთ-იანი შესვენებით. ამიტომ 19:00 სთ-ის შემდეგ სახლში წასვლა ხელმძღვანელობისათვის შეტყობინების გარეშე, ჩაითვლება სამუშაო ადგილის მიტოვებად.

90. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ საქმეზე დადგენილი გარემოებების საწინააღმდეგებოდ, მეორე კასატორს დასაშვები (დასაბუთებული) შედავება არ წარმოუდგენია, კერძოდ:

91. დადგენილადა მიჩნეული, რომ სასიგნალო და ციმციმა მოწყობილობა ეკუთვნის კ. ჭ-ს, რომელმაც თავად მოახდინა მოწყობილობის მონტაჟი ავტომანქანის ძარაზე.

92. ამასთან, მოსარჩელისათვის არ იყო ცნობილი, რომ კ. ჭ-ს არ ჰქონდა მართვის უფლება. კ. ჭ-ი თავად იყო ვალდებული ეცნობებინა აღნიშნულის თაობაზე მოსარჩელისათვის. მოსარჩელეს სტკორდა ფეხი, რის გამოც უჭირდა ავტომანქანის მართვა და სწორედ აღნიშნულის გამო გადასცა მან ავტომანქანა სამართავად კ. ჭ-ს, რომელიც ვალდებული იყო ეცნობებინა მისთვის ავტომანქანის მართვის უფლების არარსებობაზე.

93. რაც შეეხება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ალკოპოლურ თრობას, აღნიშნულს მოსარჩელე უარყოფს და გაანმარტავს, რომ იგი იმყოფებოდა ნაბახუსევ მდგომარეობაში და მას სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ალკოპოლი არ მიუღია. მოსარჩელის განმარტებით, 12 ოქტომბერს მას ალკოპოლი არ მიუღია და ის თრობა, რომელიც დაუდგინდა შემოწმებისას, არის წინა დღის ანუ 11 ოქტომბერს სახლში სატუმრებთან ერთად მიღებული ალკოპოლური სასმელის შედეგი. საქმეზე წარმოდგენილი სათანადო მტკიცებულებებითაც არ იქნა დადასტურებული მოსარჩელის მიერ ნასვამ მდგომარეობაში სამსახურში გამოცხადების ფაქტი და აღნიშნული გარემოება მხოლოდ დამსაქმებლის ზეპირი განმარტების საფუძველზე, სარწმუნო არაა. დამსაქმებელს ევალებოდა წარმოედგინა სათანადო მტკიცებულება, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა ფაქტის შეფასება პირის ნასვამობის შესახებ (სსსკ-ს 102.3 მუხლი).

94. რაც შეეხება მოსარჩელის მიერ მისი მორიგეობის დროს სამოქმედო ტერიტორიის მიტოვებას, ხელმძღვანელობასთან შეთანხმების გარეშე. აღნიშნულთან დაკავშირებით მოსარჩელემ განმარტა, რომ დილის 10 საათიდან კ. ჭ-თან ერთად იმყოფებოდა სოფელ ..., ნეძვის აღკვეთილის ტერიტორიაზე. დაახლოებით 15:00 საათზე

ნეძვის აღკვეთილის საგუშაგოსთან არსებულ ხერგილის შიგნით შევიდა მერქნული რესურსის ერთ-ერთი მომხმარებელი, რის გა-მოც, მოსარჩეულე და კ.ჭ-ი შეყვნენ მას, რადგან გაეკონტროლები-ნათ მომხმარებლის საქმიანობა. დაახლოებით 19:00 საათზე მომ-ხმარებელმა დატოვა ტერიტორია, რის შემდეგ, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, მოსარჩეულეს მოუწია სახლში მისვლა და ფეხ-ზე სახვევის გამოცვლა. მოსარჩეულემ განმარტა, რომ ისარგებლა კუთვნილი შესვენებით. სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს შინაგანანესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახ-მად, ტერიტორიული ადმინისტრაციების თანამშრომელთათვის განსაზღვრულია სამუშაო დღეებში დასაქმებულის დასვენების დრო – შესვენება. შესვენების ხანგრძლივობა შეადგენს 1 საათს, რომელიც შესაძლოა გამოყენებული იქნას 12:00 საათიდან 15:00 საათამდე ნებისმიერ დროს, გარდა მოქმედი კანონმდებლობით დადგნილი გამონაკლისებისა.

95. სადაცო შემთხვევაში, მოსარჩეულემ ისარგებლა შესვენებით, შინაგანანესით დადგენილ დროს 12:00 საათიდან 15:00 საათამდე შუა-ლედში ვერ ისარგებლა შესვენებით, იმის გამო, რომ აკონტროლებ-და (ასრულებდა სამსახურებრვი მოვალეობას) ნეძვის აღკვეთი-ლის საგუშაგოსთან არსებულ ხერგილის შესულ მერქნული რესურ-სის ერთ-ერთ მომხმარებელს, რომლის მიერ ტერიტორიის დატო-ვების შემდეგ, მოსარჩეულემ ისარგებლა შესვენებით. საკასაციო პა-ლატა იზიარებს ამ საკითხთან მიმართებით სააპელაციო სასამარ-თლოს დასკვნას, რომ მართალია, მოსარჩეულე ვალდებული იყო ეც-ნობებინა დამსაქმებლისათვის შესვენებით სარგებლობის შესახებ, თუმცა, არსებული დარღვევა ვერ შეფასდება უხეშ გადაცდომად და ვერ მიიჩნევა შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისათვის საკ-მარის საფუძვლად. მხოლოდ ის გარემოება, რომ შესვენების უფ-ლებით დასაქმებულმა ისარგებლა შინაგანანესით დადგენილისა-გან განსხვავებულ დროს, დამსაქმებლის მიერ სხვა დამატებით გარემოებებზე მითითების გარეშე, ვერ მიიჩნევა შრომითი ხელ-შეკრულების უხეშ დარღვევად.

96. მხარეებს შორის სადაცოდ ქცეულ ფაქტობრივ გარემოებებ-თან მიმართებით, სასამართლოს მიერ შეფასება უნდა მიეცეს იმ საკითხს, არის თუ არა ჩადენილი დარღვევის ადეკვატური მოცე-მულ შემთხვევში დასაქმებულის მიერ გამოყენებული სანქცია – დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა.

97. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არაერთ გადაწყვე-ტილებაში განმარტა, რომ დასაქმებულის მიერ ჩადენილი ყოველი დარღვევა უნდა შეფასდეს მისი ჩადენის სიხშირის, სიმძიმის და,

რაც მთავარია, შედეგობრივი თვალსაზრისით. შრომის სამართალ-ში პრინციპი – „Ultima Ratio“, ითხოვს დამსაქმებლის მხრიდან და-საქმებულის სამსახურიდან დათხოვნამდე მისი ქმედების შეფა-სებას მიზეზშედეგობრივი თვალსაზრისით, დარღვევასა (გადაც-დომას) და გათავისუფლებას შორის ზომიერი ბალანსის დაცულო-ბას. ნიშანდობლივია, რომ ამავე პრინციპის შესაბამისად, დამსაქ-მებლის მიერ დარღვევის (გადაცდომის) ჩადენისას გამოყენებულ უნდა იქნეს ისეთი ზომები, რომელიც არსებულ ვითარებას გამო-ასწორებს, გააუმჯობესებს, დასაქმებულ მუშაკს უკეთესს გახდის, კვალიფიკაციას აუმაღლებს, უფრო წინდახედულად და გულისხმი-ერად მოქცევას აიძულებს. შესაბამისად, მიზანშეწონილობის კუთ-ხით, გადაცდომის დროს არჩეულ უნდა იქნეს პროპორციული დას-ჯის მექანიზმი, რაც, შედეგობრივად, გარდა იმისა, რომ დამრღვევს დასჯის, მას და სხვა დასაქმებულებს უფრო ეფექტური შრომის მოტივაციას შეუქმნის (სუსგ-ები №ას-1101-2022, 17 ნოემბერი, 2022; №ას-1350-2019, 27.11.2019წ; №ას-368-2019, 31.07.2019წ., 3.23; №ას-416-399-2016, 29.06.2016წ.).

98. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა ვერ გაიზია-რებს მეორე კასატორის პოზიციას, რომ მოპასუხის მიერ მითითე-ბული ფაქტობრივი გარემოებები, ნარმოადგენს დასაქმებულის მი-ერ შრომითი ხელშეკრულების პირობების უხეშ დარღვევას, რაც სამსახურიდან გათავისუფლებას უპირობოდ განაპირობებდა. სა-კასაციო პალატა მეორე კასატორის ყურადღებას გაამახვილებს სა-ქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ სასამართლო პრაქტიკაზე, რომლის მიხედვით ხელშეკრულებით და-კისრებული გალდებულების დარღვევა რამდენადაა „უხეში“ ხასი-ათის, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, ინდივიდუალური შეფასე-ბის საგანია, რა დროსაც, მხედველობაში მიიღება საქმის კონკრე-ტული გარემოებები. იმისათვის, რომ დამრღვევის მოქმედების სიმ-ძიმე შეფასდეს თავდაპირველად, გამოკვლეულ უნდა იქნეს იმ სამ-სახურის დანიშნულება, სადაც დასაქმებული მუშაობს, დასაქმე-ბულის ფუნქცია და მისი მოვალეობები (შდრ: სუსგ №ას-816-782-2016, 2016 წლის 6 დეკემბრის განჩინება).

99. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ სსიპ დაცუ-ლი ტერიტორიების სააგენტოს შინაგანანესის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თანამშრომლის მიერ სამსახურებრივი დის-ციპლინის დარღვევის ან მისთვის დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, სააგენტოს თავმჯდო-მარე უფლებამოსილია მის მიმართ გამოიყენოს დისციპლინარული პასუხისმგებლობის შემდეგი ზომები: ა) სიტყვიერი გაფრთხილე-ბა, ბ) შენიშვნა, გ) საყვედური, დ) სასტიკი საყვედური, ე) არა უმე-

ტეს 10 სამუშაო დღის ხელფასის დაკავება, ვ) თანამდებობრივი სარგოს 10 პროცენტიდან 50 პროცენტამდე დაკავება 1 და 6 თვემ-დე ვადით, ზ) 1 წლამდე ვადით უფრო დაბალ თანამდებობრივ სარ-გოზე გადაყვანა, თ) სტრუქტურულ ერთეულში ნუსხით გათვალის-წინებულ უფრო დაბალ თანამდებობაზე გადაყვანა, ი) სამსახური-დან გათავისუფლება.

100. ზემოაღნიშნული ადასტურებს, რომ ყოველგვარი დარღვე-ვის ადეკვატურ ღონისძიებას სამსახურიდან გათავისუფლება არ წარმოადგენს. შესაძლოა, ზოგიერთ შემთხვევაში, დამსაქმებელ ორგანიზაციათა შინაგანაწესის მიხედვით დამსაქმებელი შეუზღუ-დავი იყოს არათანმიმდევრული პრინციპით დისციპლინური პასუ-ხისმგებლობის ზომების გამოყენების უფლებაში, თუმცა, საკასა-ციო პალატას მიაჩნია, რომ მიუხედავად კანონმდებლობით მინი-ჭებული მართვასა და საკადრო პოლიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებული საქმიანობის უფლებამოსილებისა, ორგანიზაცი-ის ხელმძღვანელი შეუზღუდავი არ არის (სსკ-ის 115-ე მუხლი) და არ სარგებლობს აბსოლუტური ავტონომიით, რაც საკმარისისაფუ-ველი იქნებოდა დასაქმებულის სამსახურიდან გასათავისუფლებ-ლად (იხ., სუსგ-ები №ას-1210-2018, 15 თებერვალი, 2019; №ას-1276-1216-2014, 18 მარტი, 2015 წელი). საკასაციო პალატამ არა-ერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ დისციპლინური გადაც-დომის ჩამდენი პირის მიმართ, დისციპლინური პასუხისმგებლო-ბის სახედ სამსახურიდან გათავისუფლება ყველაზე მკაცრი დის-ციპლინური სახდელია (სსკ-ის 37-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის სა-მართლებრივი საფუძვლით შრომით სამართლებრივი ურთიერთო-ბის შეწყვეტისათან დაკავშირებით არსებობს სასამართლოს მიერ მყარად დადგენილი პრაქტიკა (იხ., სუსგ-ები №ას-776-733-2015, 02 დეკემბერი, 2015 წელი; №ას-1028-970-2015, 03 თებერვალი, 2016 წელი; №ას-1276-1216-2014, 18 მარტი, 2015 წელი). შესაბამისად, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასე-ბას, რომ განსახილველ შემთხვევაში, დამსაქმებელმა ვერ შეძლო მასზე დაკისრებული მტკიცების ტვირთის განხორციელება, კერ-ძოდ, რომ მოსარჩელის მიერ ადგილი ჰქონდა ვალდებულების იმ-გვარ უხეშ დარღვევას, რაც უპირობოდ წარმოადგენს სამსახური-დან გათავისუფლების საფუძველს.

101. რაც შეეხება მოსარჩელის მიმართ პირველი სადაცვო ბრძა-ნების (მოსარჩელისათვის „შენიშვნის“ გამოცხადება) კანონიერე-ბის საკითხს, რომელიც შედავებულია მეორე კასატორის (დამსაქ-მებელი) მიერ, საკასაციო პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ დამ-საქმებლის 2019 წლის 03 ოქტომბრის ბრძანებით, მოსარჩელეს გა-მოეცხადა „შენიშვნა“ სააგენტოს შინაგანაწესის მე-12 მუხლის „ა“

და „გ“ პუნქტის საფუძველზე სამუშაო ადგილზე არასაპატიო მიზეზით დაგვიანების და სააგენტოს შინაგანანერების დარღვევისათვის.

102. განსახილველ საქმეზე დადგენილია, რომ სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს შინაგანანერების მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ და „გ“ პუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს სამუშაო ადგილზე არასაპატიო მიზეზით დაგვიანება ან სამსახურში გამოუცხადებობა და სააგენტოს შინაგანანერების დარღვევა. ამავე შინაგანანერების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დაუშვებელია სამუშაო დროის განმავლობაში თანამშრომლის მიერ სამუშაო ადგილის მიტოვება არასამსახურებრივ საკითხებზე, უშალოდ უფროსთან (მის მოვალეობის შემსრულებელთან ან ზემდგომ ხელმძღვანელთან) შეუთანხმებლად. მოსარჩელემ განმარტა, რომ მას სამუშაო დროს სამუშაო ადგილი არ მიუტოვებია და ის ადგილი, სადაც იგი მოძრაობდა ეკუთვნოდა მის სამოქმედო ტერიტორიას. აღნიშნულის საწინააღმდეგო მტკიცებულება (რეინჯერის სამოქმედო ტერიტორიის საზღვრები) დამსაქმებლის მიერ საქმეში წარმოდგენილი არ ყოფილა.

103. შესაბამისად, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნებს, რომ მოსარჩელის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტობრივი გარემოება სარწმუნო მტკიცებულებებით დამსაქმებელმა ვერ დაადასტურა, ამიტომაც არ არსებობს მოსარჩელის მიმართ შინაგანანერებით განსაზღვრული დისციპლინური სახდელის სახით – შენიშვნის გამოყენების საფუძველი.

104. რაც შეეხება მეორე კასატორის პრეტენზიას დისციპლინური სახდელის სახით – შენიშვნის გასაჩივრების ხანდაზმულობის თაობაზე, მეორე კასატორი მიუთითებს, რომ სარჩელის 31-ე გვერდზე დართულია ბრძანების ასლი მოსარჩელის ხელმოწერით „გავეცანი“, რომლითაც დგინდება, რომ მოსარჩელე 2019 წლის 03 ოქტომბერს გაეცნო ბრძანებას „შენიშვნის“ გამოცხადების თაობაზე, შესაბამისად მოთხოვნის ამ ხანილში გასულია კანონით დაგენილი გასაჩივრების ერთთვიანი ვადა.

105. საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოპასუხებ (დამსაქმებელი) განსახილველ შემთხვევაში დისციპლინური სახდელის სახით – შენიშვნის ნაწილში, წარადგინა არა მხოლოდ მოთხოვნის განხორციელების გამომრიცხველი, არამედ მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებელიც (ხანდაზმულობა).

106. საკასაციო პალატა მეორე კასატორის აღნიშნულ პრეტენზიასთან დაკავშირებით მიუთითებს, რომ დრო დიდ როლს თამა-

შობს დარღვეული თუ სადაცოდ ქცეული უფლების დაცვის საკითხები. მხარეთა შორის გარკვეული სამართლებრივი ურთიერთობები შეიძლება იმდენად დიდი ხნის წინ წარმოიშვას, რომ გავლენა მოახდინოს მხარეთა უფლება-მოვალეობებზე. მართლწესრიგი ითვალისწინებს ხანდაზმულობის ინსტიტუტს, რომლის ერთ-ერთ სახესაც წარმოადგენს სასარჩელო ხანდაზმულობა. მისი არსებობა განპირობებულია ხელშეკრულების მხარეთა თანასწორობისა და მათი ინტერესების თანაბარი დაცვის საჭიროებიდან გამომდინარე. გონივრული სასარჩელო ხანდაზმულობის ვადების არსებობა უფლების რეალიზაციის უცილებელი წინაპირობაა. განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ სამართლებრივი სტაბილურობის მოთხოვნა უფრო მეტად დაცვის ღირსია. სასარჩელო ხანდაზმულობა უფლების განხორციელებისათვის განსაზღვრულ ჩარჩოებს აწესებს. სასარჩელო ხანდაზმულობა წარმოადგენს მიზნის მიღწევის საშუალებას და არა თვითმიზანს.

107. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ უფლების წარმოშობა, ისევე როგორც მისი შეწყვეტა და კაეგშირებულია განსაზღვრულ დროსთან. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა ამცნობს უფლების სუბიექტს მისი დარღვეული უფლების სასამართლოს გზით განხორციელების ვადის თაობაზე. სასარჩელო ხანდაზმულობა იმ სამართლებრივი მნიშვნელობის მატარებელია, რომ რაღაც ურთიერთობას ადგილი ჰქონდა იმდენად დიდი ხნის წინ, რომ ხანგრძლვი დროის გასვლა პირდაპირ გავლენას ახდენს პირთა უფლებებზე (იხ. დამატებით: თენგიზ ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართლი, მეორე გამოცემა, თბილისი, 2005 წ., გვ. 133; ბესარიონ ზოძე, ქართული სამოქალაქო კოდექსის შექმნის ისტორიიდან, ურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“, თბილისი, 2003 წ. გვ. 110.).

108. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა გულისხმობს დროის გარკვეულ მონაკვეთს, რომლის განმავლობაშიც პირს, რომლის უფლებაც დაირღვა, შესაძლებლობა აქვს, მოითხოვოს საკუთარი უფლებების სამართლებრივი გზით (იძულებით) განხორციელება ან დაცვა, ანუ კრედიტორს შეუძლია დაიკავიოთილოს მოთხოვნა სასამართლოსათვის მიმართვის გზით. ამ ვადის გასვლა კი გულისხმობს ამ პირთა მიერ ასეთი შესაძლებლობის გამოყენების უფლების მოსპობას, გაქარწყლებას. „მხარეთა სასარჩელო შესაძლებლობები ხშირად არის ვადით შეზღუდული. სამოქალაქო სამართალში სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ პირი კარგავს უფლების სასამართლო გზით დაცვის შესაძლებლობას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება №1/3/161 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები –

ო. ს-ი და ი. ხ-ი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“). ხანდაზმულობის ვადის გასვლა მოთხოვნას არ აუქმებს (წყვეტს), არამედ მოვალეს შესაძლებლობას ანიჭებს, უარი თქვას მოთხოვნის შესრულებაზე. ანუ მოთხოვნის უფლება ობიექტურად არსებობს, თუმცა იგი განუხორციელებელია. (შდრ: გიორგი სვანაძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 144-ე, ველი 1. თბილისი, 2017 წელი. შდრ: სუსგ №ას-1437-1357-2018, 11 მაისი, 2018 წელი).

109. აღსანიშნავია, რომ ხანდაზმულობის ვადის გასვლით ისპობა სასამართლოს ან სხვა ორგანოს მეშვეობით პირის მოთხოვნის იძულებით განხორციელების შესაძლებლობა, მაგრამ არა სასამართლოსათვის ან სხვა ორგანოსათვის მიმართვის უფლება. ხანდაზმულობის ვადა სპობს უფლების იძულებით განხორციელების შესაძლებლობას მატერიალური და არა პროცესუალური თვალსაზრისით. სასამართლო ხანდაზმულობის ინსტიტუტი წარმოადგენს უფლების დაცვის მატერიალურ-სამართლებრივ საშუალებას, რადგან სასამართლო ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ მოთხოვნა მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არსებობს, თუმცა სასამართლო წესით ამ მოთხოვნის იძულებითი განხორციელება კონკრეტული წინაპირობის არსებობისას, არ ხდება.

110. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ხანდაზმულობის ვადების გათვალისწინება სასამართლოს მიერ ხორციელდება არა საკუთარი ინიციატივით, არამედ მხოლოდ საქმის განხილვაში მონაწილე მხარეების (მხარის) მიერ აღნიშნულზე მითითების შემთხვევაში. მაგალითად, მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებლების შემონმება მიმდინარეობს მოპასუხის შედავების შემოწმების ეტაპზე (იხ. დამატებით: ჰაინ ბოელინგი, ლადო ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, მეორე გამოცემა, თბ., 2004, გვ.170; მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში მოკლე შესავალი რელაციის მეთოდში სამოქალაქო კოდექსის მიხედვით შემუშავებული პრატიკული მაგალითებით, შტეფან შმიტი, ჰარალდ რიჰტერი, GIZ, 2013, გვ.20).

111. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სარჩელი აერთიანებს ორ ნაწილს: სარჩელის აღძვრისა და სარჩელის დაქმაყოფილების უფლებას. რადგან სასამართლო ხანდაზმულობა არის დარღვეული უფლების იძულებითი განხორციელების ვადა, ის უკავშირდება სწორედ სარჩელის დაკმაყოფილების უფლებას. სასამართლო ხანდაზმულობის ვადის გასვლით ისპობა უფლების იძულებითი განხორციელების შესაძლებლობა მატერიალური და არა საპროცესო-სამართლებრივი თვალსაზრისით. შესაბამისად, სასამართლო ხანდაზ-

მულობის ინსტიტუტი მიჩნეული უნდა იქნეს მატერიალური სამართლის კუთვნილებად კანონმდებლობაში მისი ადგილისა და სამართლებრივი შედეგების გათვალისწინებით.

112. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სასარჩელო ხანდაზმულობა არ არის აბსტრაქტული სამართლებრივი კატეგორია. კანონმდებლობა ითვალისწინებს მისი დაწყებისა და დასრულების მომენტს. მოთხოვნის შემოწმებისას აუცილებელია განისაზღვროს ხანდაზმულობის კონკრეტული ვადის გამოყენებისა და მისი ათვლის საკითხი. ერთმანეთისაგან განასხვავებენ ხანდაზმულობის ვადის ათვლის ობიექტურ და სუბიექტურ მომენტებს. ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყება დაკავშირებულია სუბიექტურ ფაქტორთან ანუ იმ მომენტთან, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლების დარღვევის შესახებ. სანინაალმდეგოს მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს აწევს. ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყების საფუძველია უფლების დარღვევა, რომელიც შესაძლოა კანონიდან გამომდინარეობდეს ან ხელშეკრულების საფუძველზე წარმოიშვას (შდრ: ნ. კანტალიანი, სამოქალაქო კოდექსის კომინტარი, წიგნი I, მუხლი 130-ე, ველი 2. თბილისი, 2017 წელი; ლადო ჭანტურია, საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011 წ., გვერდი 123).

113. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის სწორი გამოთვლისათვის არსებითა, ზუსტად დადგინდეს მოთხოვნის წარმოშობის დრო. საკასაციო სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში/განჩინებაში განმარტავს: „ხანდაზმულობის დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ მოთხოვნის უფლება ობიექტურად არსებობს, თუმცა, იგი იძულებით ვერ განხორციელდება, ანუ ამ უფლების რეალიზება სრული მოცულობით დამოკიდებულია მოთხოვნის ადრესატის ნება-სურვილზე (საკ-ის 144.1 მუხლი). საკ-ის 130-ე მუხლი ხანდაზმულობის დაწყებას მოთხოვნის წარმოშობის მომენტს უკავშირებს, ხოლო მოთხოვნის წარმოშობის მომენტად მიიჩნევა დრო, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. ამდენად, ხანდაზმულობის ვადის სწორად გამოთვლისათვის უმნიშვნელოვანებია მისი დენის დაწყების მომენტის განსაზღვრა. ხანდაზმულობის ვადის დასაწყისი შეესაბამება დღეს, როდესაც წარმოიშვა მოთხოვნის უფლება, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა, როდესაც მოთხოვნის წარმოშობის ვადის განსაზღვრა ზოგადი წესისაგან განსხვავებულადაა რეგულირებული, მისი წარმოშობა დაკავშირებულია მომენტთან, როდესაც პირმა გაიგო ან უნდა გაეგო უფლების დარღვევის თაობაზე (შდრ: სუსგები წეას-1937-2018, 15 მარტი, 2019 წ., პ-16).

114. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სსკ-ის 130-ე მუხლის

თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენის დასაწყისი დაკავშირებულია ობიექტურ მომენტთან – უფლების დარღვევის ფაქტთან და სუბიექტურ მომენტთან – დრო, როდესაც უფლებამოსილი პირისათვის უფლების დარღვევის შესახებ გახდა ცნობილი ან გარემოებათა გათვალისწინებით უფლების დარღვევის ფაქტი უნდა შეეტყო. როგორც წესი, იგარაუდება, რომ პირი უფლების დარღვევის ფაქტს მისი დადგომისთანავე შეიტყობს ან საშუალო გულისხმიერების გამოჩენის შემთხვევაში შეეძლო შეეტყო ამ ფაქტის თაობაზე. ალნიშნულის სანინააღმდეგოს, ანუ უფლების დარღვევის დაგვიანებით შეტყობის მტკიცების ტვირთი კა უფლებადარღვეულ პირს ეკისრება. თუ დადგინდება, რომ პირმა თავისი დაუდევრობის გამო ვერ გაიგო უფლების დარღვევის შესახებ, მაშინ ხანდაზმულობის ვადის დენა დაინტერესობა იმ მომენტიდან, როცა საქმის გარემოებების მიხედვით, პირს უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ (შდრ: ნ. კვანტალიანი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 130-ე, ველი 5. თბილისი, 2017 წელი).

115. ვინაიდან სასამართლო მოთხოვნის ხანდაზმულობას მხოლოდ მოპასუხის მითითების საფუძველზე იკვლევს, მოთხოვნის ვადაში წარდგენა მოსარჩელის მტკიცების ტვირთს წარმოადგენს. „თუ ხანდაზმულობის წარმოშობის მომენტის დადგენა აბიექტურად შეუძლებელია, ყურადღება უნდა მიექცეს სუბიექტურ მომენტს. ამასთან, იგულისხმება, რომ ხანდაზმულობის წარმოშობის ობიექტური და სუბიექტური მომენტები თანხმევედრია, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე არ ეთანხმება ხანდაზმულობის წარმოშობის ობიექტური და სუბიექტური მომენტების თანხმევედრას, მაშინ მტკიცების ტვირთი მოსარჩელს ეკასრება იმის გასარკვევად, თუ როდიდან უნდა დაიწყოს ხანდაზმულობის ვადის დენა“ (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, თბილისი, 2007 წ., გვერდი 64.).

116. საკასაციო პალატა ალნიშნავს, რომ შრომის ხელშეკრულების შეწყვეტა ცალმხრივი მიღებასაგალდებულო წების გამოვლენაა, შესაბამისად, იგი ნამდვილად ადრესატისათვის ჩაბარების მომენტიდან მიიჩნევა. სამოქალაქო კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, წების გამოვლენა ნამდვილია, როცა იგი მეორე მხარეს მიუვა (შდრ. სუსგ №ას-747-715-2016, 20 იანვარი, 2017 წელი). ხელშეკრულება შეწყვეტილად მეორე მხარისათვის შეტყობინების ჩაბარების მომენტიდან ითვლება (დამატებით იხ., საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2016, 247).

117. საკასაციო პალატა ალნიშნავს, რომ საქართველოს შრომის

კოდექსი დამსაქმებელს ხელშეკრულების შეწყვეტის დასაბუთების ვალდებულებას აკისრებს. თუმცა, აღნიშნული ვალდებულება უპირობოდ არ წარმოიშობა. დასაბუთების ვალდებულება დასაქმებულის მოთხოვნაზეა დამოკიდებული. დასაქმებულს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლის თაობაზე წერილობითი დასაბუთების მოთხოვნის უფლება შეტყობინების მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში აქვს. დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულის მოთხოვნის წარდგენიდან 7 კალენდარული დღის ვადაში წერილობით დაასაბუთოს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი. დასაქმებულს უფლება აქვს, წერილობითი დასაბუთების მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში სასამართლოში გაასაჩივროს დამსაქმებლის გადაწყვეტილება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. თუ დამსაქმებელი დასაქმებულის მოთხოვნის წარდგენიდან 7 კალენდარული დღის ვადაში წერილობით არ დაასაბუთებს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს, დასაქმებულს უფლება აქვს, 30 კალენდარული დღის ვადაში სასამართლოში გაასაჩივროს დამსაქმებლის გადაწყვეტილება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. ამ შემთხვევაში დავის ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტკირთი ეკისრება დამსაქმებულს. ამდენად, გაასაჩივრების ვადებთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ მითითებული ვადა სასამართლოსათვის მიმართვის ვადაა. აღნიშნული ვადის დაუცველად სარჩელის აღძვრა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის საფუძველს არ წარმოადგენს. კანონით გათვალისწინებული ვადის დაცვის გარეშე სასამართლოსათვის მიმართვა ერთ-ერთი ის არგუმენტთაგანია, რომელიც შესაგებლის ფარგლებში, დამსაქმებლის მტკიცების საგანში შემავალი გარემოებაა. აღნიშნული ვადის სიმტკიცეს შრომის სამართლის თეორიაში თავისი დატვირთვა აქვს, კერძოდ, სადაც ფაქტები მტკიცებადი უნდა იყოს, ასევე დარღვეული უფლების აღდგენა დროის მცირე მონაცემთში უნდა მოხდეს, რათა შემდგომ, ვითარების ცვლილებამ, დასაქმებულის უფლებრივი რესტიტუციის შეუძლებლობა არ განაპირობოს. მითითებული ვადის სიმტკიცეს თავის დატვირთვა აქვს ასევე დამსაქმებლის უფლებრივი გადასახედი-დანაც. დამსაქმებელი მუდმივად თავდაცვის რეჟიმში არ უნდა იყოს. მას საკადრო გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს. შესაბამისად, მისი მოლოდინი გათავისუფლებული დასაქმებულისაგან სარჩელის აღძვრის თაობაზე დროის გარკვეული პერიოდით უნდა იყოს შემოსაზღვრული. ამიტომაც, მიიჩნევა, რომ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის გაასაჩივრების ვადის ლიმიტით თავის დაცვა, პირველ რიგში, დამსაქმებლის უფლება და მისი შესაგებლის ფარგლებში სამტკიცებელი გარემოებაა.

წინააღმდეგ შემთხვევაში, სახეზე გვაქვს მოცემულობა, რომ და-საქმებულის მიერ კანონით განსაზღვრული ვადის გაშვების მიუ-ხედავად, დამსაქმებელი გამოხატავს მზადყოფნას, დასაქმებულ-თან შრომითი ხელშეკრულების შენყვეტის კანონიერება ამტკი-ცოს, რა დროსაც გასაჩივრების ვადის ფარგლებით აღნიშნული მტკიცება სასამართლომ არ უნდა შეზღუდოს. ხელშეკრულების შენყვეტის გასაჩივრების ვადის დაუცველად სარჩელის აღძრა მო-პასუხის სამტკიცებელია, მითითებული გარემოება ფაქტის საკით-ხია, შესაბამისად, საპროცესო-სამართლებრივად ფაქტები, რომ-ლითაც მოპასუხე, მოცემულ შემთხვევაში დამსაქმებელი, თავს იცავს, იმთავითვე კანონით დადგენილი წესით წარდგენილ შესა-გებელში უნდა მიეთითოს.

118. როგორც აღინიშნა, სშკ-ის შესაბამისად, დასაქმებულს სა-სამართლოში სარჩელის აღძრის უფლება აქვს წერილობითი და-საბუთების მიღებიდან 30 დღის ვადაში. წერილობითი დასაბუთება შესაძლოა ხელშეკრულებით შენყვეტის შეტყობინებაშიც იყოს მო-ცემული. თუ წერილობით შეტყობინებაში არ არის მითითებული ხელშეკრულების შენყვეტის საფუძვლის დასაბუთება (და რეალუ-რად დამსაქმებელს აღნიშნული არც ევალება), დასაქმებული, შე-საბამისი სურვილის შემთხვევაში, უფლებამოსილია მოითხოვოს დამსაქმებლისგან ხელშეკრულების შენყვეტის წერილობითი და-საბუთება. ლოგიკურია, რომ დასაქმებულს უფლება აქვს მოითხო-ვოს წერილობითი დასაბუთება იმ შემთხვევაშიც, თუ ხელშეკრუ-ლების შენყვეტის შესახებ წერილობით შეტყობინება მეტად ან ნაკ-ლებად მოიცავს ხელშეკრულების შენყვეტის საფუძვლის დასაბუ-თებას. ნებისმიერ შემთხვევაში, დასაქმებული შეზღუდულა შრო-მითი ხელშეკრულების შენყვეტის შესახებ დამსაქმებლის გადაწ-ყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების 30 დღიანი ვადით. აღ-ნიშნული ვადა უნდა აითვალის იმ დღიდან, როდესაც დასაქმებულს წერილობით განემარტა ხელშეკრულების შენყვეტის მიზეზი, და ყველაზე გვიან აღნიშნული 30 დღიანი ვადა აითვლება დასაქმებუ-ლის მოითხოვნის საპასუხოდ დამსაქმებლის მიერ ხელშეკრულე-ბის შენყვეტის შესახებ მიზეზის დასაბუთების დასაქმებულისათ-ვის ჩაპარების დღიდან. სშკ-ის არც 38-ე მუხლი და არც სხვა მუხ-ლები არ შეიცავენ იმ მდგომარეობის მომწერიგებელ ქცევის წესს, თუ რა ვადაში უნდა გასაჩივრდეს ხელშეკრულების შენყვეტის შე-სახებ გადაწყვეტილება იმ შემთხვევაში, თუკი დამსაქმებელი თა-ვისი ინიციატივით არ გადასცემს დასაქმებულს ხელშეკრულების შენყვეტის საფუძვლის წერილობით დასაბუთებას და არც დასაქ-მებული არ მოითხოვს დამსაქმებლისაგან ხელშეკრულების შენ-ყვეტის საფუძვლის წერილობითი დასაბუთების გადაცემას. ასეთ

შემთხვევაში, გათავისუფლების შესახებ ბრძანების გასაჩივრების უფლებაზე მაინც ვრცელდება სშკ-ის 38-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული 30 დღიანი ვადა, რომელიც აითვლება ხელ-შეკრულების შეწყვეტის შესახებ ბრძანების დასაქმებულისათვის ჩაბარების დღიდან (შდრ: სუსგ №ას-1210-2018, 15 თებერვალი, 2019, პ.74.).

119. საკასაციო პალატა დაუსაბუთებლობის გამო არ იზიარებს მეორე კასატორის პრეტენზიას შენიშვნის შესახებ ბრძანებასთან მიმართებით სშკ-ის 38-ე მუხლის მე-6 ნაწილით (დავის წარმოშობისას მოქმედი რედაქციით) გათვალისწინებული გასაჩივრების 30-დღიან ვადის გამოყენებასთან მიმართებით შემდეგ გარემოებათა გამო:

120. სშკ-ის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებსაც არ აწესრიგებს ეს კანონი ან სხვა სპეციალური კანონი, რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმებით.

121. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ აღნიშნულიდან ნათლად გამომდინარეობს კანონმდებლის ნება, რომ შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც პირდაპირ არ არის მოწესრიგებული სშკ-ით, უნდა გადაწყდეს სსკ-ის შესაბამისი ნორმებით, მათ შორის შენიშვნის გამოცხადების ბრძანების გასაჩივრების ვადასთან მიმართებით (დავის წარმოშობისას მოქმედი სშკ-ი).

122. საკასაციო პალატა მეორე კასატორის ყურადღებას დამატებით გაამახვილებს სშკ-ში 2020 წლის 29 სექტემბერს განხორციელებულ ცვლილებებსა და დამატებებზე, კერძოდ, სშკ-ის 74-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის ბრძანების თაობაზე სარჩელის შეტანის გარდა, ამ კანონიდან გამომდინარე სხვა სარჩელით დასაქმებულს (პირს) უფლება აქვს სასამართლოს მიმართოს 1 წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მან შეიტყო უფლების დარღვევის შესახებ. მაშასადამე, აღნიშნულიდანაც გამომდინარეობს კანონმდებლის ცალსახა ნება, რომ გასაჩივრების 30 დღიანი ვადა ვრცელდება მხოლოდ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ ბრძანების გასაჩივრებაზე და ამ მოწესრიგების გავრცელება სშკ-ით გათვალისწინებული სხვა შემთხვევების მიმართ დაუშვებელია. შესაბამისად, 2020 წლის 29 სექტემბრის შემდეგ შრომითი ურთიერთობის შეჩერების შესახებ ბრძანების გასაჩივრების მიმართ, გამოიყენება სშკ-ის 74-ე მუხლით გათვალისწინებული გასაჩივრების ერთნოლიანი ვადა და არა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით გათვალისწინებული სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა.

123. მეორე კასატორი (დამსაქმებელი) როგორც შესაგებელში, ასევე სააპელაციო საჩივარსა და საკასაციო საჩივარშიც მიუთითებს, რომ დისციპლინური სახდელის სახით შენიშვნის გამოცხადების შესახებ დამსაქმებლის 2019 წლის 03 ოქტომბრის ბრძანებას მოსარჩელე გაეცნო იმავე დღეს, რაც დასტურდება სარჩელის 31-ე გვერდზე თვითონ მოსარჩელის მიერ დართული ბრძანების ასლით, შესაბამისად აღნიშნული ბრძანების გასაჩივრების ერთვიანი ვადა დამთავრდა 2019 წლის 03 ნოემბერს, სამოქალაქო სარჩელი კი შეტანილია 2020 წლის 20 მაისს.

124. საკასაციო პალატას წინამდებარე გადაწყვეტილების პ. 120-122 განვითარებული მსჯელობების გათვალისწინებით მიაჩნია, რომ მოსარჩელის მიერ დაცულია სსკ-ის 129-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადა, ამიტომაც არ არსებობს მეორე კასატორის (დამსაქმებელი) წინამდებარე გადაწყვეტილების პ.104-ში მითითებული საკასაციო პრეტენზიის გაზიარების საფუძველი.

125. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სადაც ბრძანებათა ბათილად ცნობის ნაწილში, მეორე კასატორმა დასაშვები (დასაბუთებული) საკასაციო პრეტენზია ვერ წარმოადგინა.

126. სსკ-ის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს მეორე კასატორის საკასაციო საჩივარს სადაც ბრძანებათა ბათილად ცნობის ნაწილში, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას ამ ნაწილში, საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

127. საკასაციო პალატა შეამონებს პირველი კასატორის (მოსარჩელე) პრეტენზიებს, რომლებიც წარმოდგენილია უფლებრივი რესტიტუციის ნაწილში. პირველი კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ სააგენტოს ამ ეტაპისთვის არ გააჩნია ვაკანტური ადგილი. შესაბამისი მტკიცებულება, გარდა დამსაქმებლის განმარტებისა, დამსაქმებელს სასამართლო სხდომაზე არ წარმოუდგენია.

128. საკასაციო პალატა არ იზიარებს პირველი კასატორის მითითებულ პრეტენზიას და პირველ რიგში განმარტავს, რომ ბრძანების ბათილად ცნობის თანმდევ შედეგებს ადგენს საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ 38-ე მუხ-

ლის მე-8 ნაწილი (კანონის მოქმედი რედაქციით 48-ე მუხლი), რომლის თანახმად, სასამართლოს მიერ დასაქმებულთან შრომითი ხელ-შეკრულების შეწყვეტის შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილებით, დამსაქმებელი ვალდებულია პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღადგინოს პირი, რომელსაც შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება, ან უზრუნველყოს ის ტოლფასი სამუშაოთი, ან გადაუხადოს მას კომპენსაცია სასამართლოს მიერ განსაზღვრული ოდენობით. მოხმობილი ნორმის დისპოზიციიდან გამომდინარე, კანონმდებელი ითვალისწინებს დასაქმებულის უფლებრივი რესტიტუციის სამ საშუალებას, რომელიც თანმიმდევრობით უნდა შეამოწმოს სასამართლომ (სუსგ №ას-1210-2018, 15/02/2019 წ.). „ერთ-ერთ საქმეზე, რომელშიც ბათილად იქნა ცნობილი სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება, საკასაციო სასამართლომ იმსჯელა დასაქმებულის დარღვეული უფლების აღდგენის საკითხთან მიმართებით. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ როდესაც უკანონოდ დათხოვნილი დასაქმებული შრომითი ხელშეკრულების ბათილად ცნობასა და უფლებებში აღდგენას ითხოვს, სასამართლომ თავად უნდა შეაფასოს მოსარჩელის უფლებრივი რესტიტუციის საუკეთესო გზა შემდეგი პრიორიტეტული თანმიმდევრობით, კერძოდ, თუ მოსარჩელის ინტერესი პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღდგენაა, სასამართლომ დასაქმებულისა და დამსაქმებლის ორმხრივი პატივსადები ინტერესების დაცვით უნდა შეამოწმოს მითითებული მოთხოვნის საფუძვლიანობა და დაკმაყოფილების მიზანშენონილობა. პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღდგენის მოთხოვნა საფუძვლიანია, თუ ხელშეკრულების შეწყვეტა უკანონოა, თუმცა აღნიშნული ავტომატურად არ იწვევს დასაქმებულის პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას, ვინაიდან, აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილება დამოკიდებულია მისი აღსრულების შესაძლებლობასა და მხარეთა კანონიერი ინტერესების გათვალისწინებით, მისი აღსრულების შესაძლებლობასა და ეფექტიანობაზე“ (იხ. სუსგ №ას-792-2019, 18.02.2021წ.).

129. განსახილველ საქმეზე მოპასუხებ წარმოდგენილ შესაგებელში მიუთითა, რომ მოსარჩელის სამსახურში აღდგენა შეუძლებელია, რადგან მოსარჩელის თანამდებობაზე კონკურსის წესით დანიშნულია სხვა პირი და შესაბამისი თანამდებობა არ არის ვაკანტური. პირველი კასატორის მოსაზრებით, მხოლოდ მოპასუხის ახსნა-განმარტება არ არის საკმარისი იმის დასადასტურებლად, რომ მოსარჩელის თანამდებობა ვაკანტური არ არის, რასაც მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატა არ იზიარებს და მიუთითებს, რომ მოპასუხის მიერ შესაგებელში მითითებული გარემოების და-

სადასტურებლად შესაგებელს ერთვის დანართი №5, საიდანაც ირკვევა, რომ სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის სწრაფი რეაგირების უფროსი რეინჯერის თანამდებობაზე გადაყვანილია დაწინაურების წესით სხვა პირები.

130. რაც შეეხება პირვანდელ სამუშაოზე აღდგენის ნაცვლად, ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის საკითხს, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ შრომითი ურთიერთობის უკანონოდ შეწყვეტის ბათილად ცნობა უკანონოდ დათხოვნილი დასაქმებულისათვის ტოლფასი თანამდებობით უზრუნველყოფის ვალდებულებას ინვევს მაშინ, როდესაც პირვანდელ სამუშაო ადგილზე დასაქმებულის აღდგენა ობიექტურად შეუძლებელია. თუ სასამართლომ დაადგინა, რომ გათავისუფლების ბრძანება უკანონოა, თუმცა, უკანონოდ დათხოვნილი დასაქმებულის პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღდგენა შეუძლებელია ან მიზანშეუწონელია, ასეთ შემთხვევაში, სასამართლომ უნდა დაადგინოს, ხომ არ არის შესაძლებელი უფლებადარღვეული დასაქმებულის ტოლფას თანამდებობაზე აღდგინა. ამ მიზნით, მან უნდა გამოიკვლიოს რა ადამიანურ რესურსს ფლობს დამსაქმებელი, რა ტოლფასი ვაკანტური პოზიციები აქვს მას, რა ფუნქციური მსგავსებაა პირვანდელ და ტოლფას თანამდებობებს შორის. იმავდროულად, სასამართლომ კვლევის შედეგები უნდა შეუსაბამოს უკანონოდ დათხოვნილი პირის ნებას, ინტერესსა და შესაძლებლობას, დაიკავოს კონკრეტული ტოლფასი თანამდებობა (იხ. საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები, გვ: 270-272).

131. ზემოაღნიშნული გარემოების – ვაკანტური ტოლფასი თანამდებობის არსებობის – მტკიცების ტვირთი აწევს მოსარჩევეს და არა მოპასუხეს, როგორც პირველი კასატორი უთითებს. სწრედ მოსარჩევემ უნდა მიუთითოს და დაამტკიცოს, დამსაქმებელთან არსებული საშტატო ნუსხიდან კონკრეტულად რომელი სამუშაო (თანამდებობა) წარმოადგენს განთავისუფლებამდე მის მიერ დაკავებულ სამუშაოს (თანამდებობას), ხოლო, მოპასუხის ვალდებულებაა გააბათილოს მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოებები ვაკანტური ტოლფასი თანამდებობის არსებობის შესახებ. კერძოდ, დამსაქმებლის ვალდებულებაა მიუთითოს, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი კონკრეტული თანამდებობა მოსარჩელის მიერ გათავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობის ტოლფასი არ არის, ან თუ ტოლფასია, არ არის ვაკანტური. დამსაქმებელმა უნდა წარადგინოს რელევატური მტკიცებულებები, რომ ადგილი ვაკანტური არ არის (ტოლფასი თანამდებობის არსებობის მტკიცების ტვირთსა და სასამართლოს მიერ ტოლფასი თანამდებობის არსე-

ბობის კვლევის სტანდარტზე იხ. სუსგ-ები №ას-687-687-2018, 20 ივლისი, 2018 წელი; №ას-902-864-2014, 2015 წლის 30 მარტი; №ას-475-456-2016, 2016 წლის 24 ივნისი; №ას-761-712-2017, 2017 წლის 10 ივლისი; №ას-1281-2021, 21 აპრილი, 2022 წელი; №ას-1365-2021, 14 აპრილი 2022).

132. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა სწორი სამართლებრივი შეფასება მისცეს ფაქტობრივ გარემოებებს და მართებულად დაადგინეს, რომ სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანებების ბათილად ცნობის შედეგი უნდა ყოფილიყო არა სამსახურში პირვანდელ ან ტოლფას თანამდებობაზე აღდგენა, არამედ მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხისათვის კომპენსაციის გადახდის დაკისრება.

133. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ პირვანდელ ან ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის ნაწილში, პირველმა კასატორმა დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია ვერ წარმოადგინა.

134. როგორც პირველი, ასევე მეორე კასატორი სადაცოდ ხდიან მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ დაკისრებული კომპენსაციის ოდენობას.

135. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სშ-ი არ განსაზღვრავს კომპენსაციის გამოანგარიშების წესსა და კრიტერიუმებს. კომპენსაცია, როგორც დასაქმებულის უფლებრივი რესტიტუციის საშუალების დადგენა და მისი ოდენობის განსაზღვრა სასამართლოს დისკრეცია, რა დროსაც, გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ შრომითსამართლებრივი კომპენსაცია ერთდროულად ფარავდეს იმ მატერიალურ დანაკარგს, რაც მხარემ უკანონო დათხოვნით განიცადა და რასაც იგი სამუალოდ შესატყვისა სამსახურის მოძებნამდე განიცდის, ასევე, იმ მორალურ ზიანს, რაც მას უკანონო დათხოვნით მიადგა. ამავდროულად, მხედველობაშია მისაღები უკანონოდ დათხოვნილი სუბიექტის ასაკი, კომპენსაცია, სამსახურის შოვნის პერსპექტივა, ოჯახური მდგომარეობა, სოციალური მდგომარეობა, ასევე, დამსაქმებლის ფინანსური მდგომარეობა და ა.შ. (სუსგ №ას-1209-2021, 11 მარტი, 2022).

136. მეორე კასატორი მიუთითებს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-6 პუნქტში კომპენსაციის ოდენობად მითითებულია 12544 ლარი, მაშინ როდესაც 687 ლარის 16-ზე ნამრავლი შეადგენს 10992 ლარს (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების პ.61).

137. საკასაციო პალატა მეორე კასატორის აღნიშნულ საკასაციო პრეტენზიასთან დაკავშირებით განმარტავს, რომ კომპენსა-

ცია, როგორც დარღვეული უფლების აღდგენის საშუალება, წარმოადგენს არა ხელფასს, იძულებით განაცდურს ან სხვა რაიმე გა-საცემელს, არამედ ის თანხა, რომელიც შრომითი ურთიერთობის უკანონოდ შეწყვეტის გამო დასაქმებულის ინტერესების დაცვის საკანონმდებლო საშუალებაა და თავის თავში მოიცავს ზემოთ ჩა-მოთვლილ ყველა გასაცემელს (სუსგ. №ა-2851-გან-5-2019, 21.06.2019.). კომპენსაციის სახით დაკისრებული ფიქსირებული თანხა არ წარმოადგენს სახელფასო დავალიანებას და ამდრნად, საგადასახადო დაბეგვრის ინტერესებისათვის მასში მითითებული თანხის აღუსრულებლობა უმართებულო (სუსგ №ას-923-2020, 11 მარტი, 2021; №ა-2020-გან-4-2015, 17.06.2015.).

138. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 14 ივნისის სარეზოლუციო ნაწილის მე-6 პუნქტში მითითებულია ხელზე ასაღები თანხა 12544 ლარი (თანამდებობრივი სარგოს 787 ლარის 16 თვეზე ნამრავლი). შესაბამისად, ამ ნაწილშიც მეორე კასატორს არ წარმოუდგენია დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია.

139. „კომპენსაცია შრომითი ურთიერთობის არამართლზომიერი შეწყვეტის შემთხვევაში, სპეციალური ნორმით გათვალისწინებული დამსაქმებლის პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ზომაა, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს დასაქმებულისათვის მინიმალური სოციალური გარანტის შექმნას, რაც მას სავსებით განასხვავებს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენისაგან. კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრის თვალსაზრისით, უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული სამართლებრივი საკითხი განეკუთვნება სასამართლოს დისკრეციის სფეროს, რა დროსაც, გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ შრომით სამართლებრივი კომპენსაცია ერთდროულად ფარავს იმ მატერიალურ დანაკარგს, რაც მხარემ უკანონოდ დათხოვნით განიცადა და რასაც იგი საშუალოდ შესატყვისი სამუშაოს მოძებნამდე განიცდის, ასევე, იმ მორალურ ზიანს, რაც მას უკანონოდ დათხოვნით მიადგა. ამდენად, კომპენსაციამ შეძლებისდაგვარად უნდა უზრუნველყოს სამართლიანი ბალანსის აღდგენა გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის შემთხვევაში. კომპენსაციის განსაზღვრასთან დაკავშირებით, გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ ეს არის პასუხისმგებლობის ზომა, რაც ეკისრება დამსაქმებელს მუშაკის უკანონოდ დათხოვნისათვის და მანვე (კომპენსაციის ოდენობამ) უნდა უზრუნველყოს დასაქმებულის მინიმალური სოციალური გარანტის შექმნა, რითაც კომპენსაცია განსხვავდება ზიანის ანაზღაურებისას პირვანდელი მდგომარეობის აღდგენისგან. საგულისხმოა, რომ სპე-ის 38.8 მუხლი (ამჟამად მოქმედი რედაქციით 48.8 მუხლი) არ განსაზ-

ლვრავს კომპენსაციის ოდენობას. ამ მოცემულობაში, კომპენსაციის ოდენობა ყოველი კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით ხორციელდება“ (იხ. სუსგ №ას-792-2019, 2021 წლის 18 თებერვალი).

140. საკასაციი პალატას მიაჩნია, რომ პირველმა კასატორმა სააპელაციო სასამართლოს მიერ განსაზღვრული კომპენსაციის ოდენობის ნაწილში, წარმოადგინა დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია.

141. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, რაც მისი გაუქმების საფუძველია, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, ხოლო სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, კერძოდ, პალატას მიაჩნია, რომ პირველი საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილების ნაწილობრივი გაუქმებით მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე, რომლითაც მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრება კომპენსაცია – 18816 ლარი (ხელზე ასაღები).

142. საკასაციო პალატის მიერ საპროცესო ხარჯების განაწილება:

143. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც, ხოლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით განხეული ხარჯები და სახელმწიფო ბაჟი, რომელთა გადახდისაგან განთავისუფლებული იყო მოსარჩელე, გადახდება მოპასუხეს ბიუჯეტის შემოსავლის სასარგებლოდ, მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად,

რომელიც დაქმაყოფილებულია.

144. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე (პირველი კასა-ტორი) კომპენსაციის მოთხოვნის ნაწილში გათავისუფლებულია სა-ხელმწიფო ბაჟის გადახდისგან.

145. ვინაიდან, პირველი საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკ-მაყოფილდა და მეორე კასატორს მოსარჩელის სასარგებლოდ და-ეკისრა 18816 ლარის (ხელზე ასაღები) გადახდა, მეორე კასატორს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 314 ლა-რის გადახდა. რადგან მეორე საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილ-და, მეორე კასატორის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სა-ხელმწიფო ბაჟის თანხა ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადახ-დილად.

146. ამასთან, ვინაიდან სარჩელი სადაცო ბრძანებათა ბათილო-ბის ნაწილში დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებ-ლოდ უნდა დაეკისროს, მოსარჩელის მიერ სარჩელზე გადახდილი სა-ხელმწიფო ბაჟის ანაზღაურება 100 ლარის ოდენობით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ფ ა:

1. სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს საკასაციო საჩივა-რი არ დაკმაყოფილდეს;
2. ლ. მ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილების ნაწილობრივი გაუქმებით მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
4. ლ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
5. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ დაცული ტერიტორიების საა-გენტოს 2019 წლის 3 ოქტომბრის №ს-48 ბრძანება ლ. მ-ისათვის შენიშვნის გამოცხადების შესახებ;
6. ბათილად იქნა ცნობილი სსიპ დაცული ტერიტორიების საა-გენტოს 2019 წლის 18 ოქტომბრის №გ-79 ბრძანება ლ. მ-ის სამუ-შაოდან გათავისუფლების შესახებ;
7. სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს ლ. მ-ის სასარგებ-ლოდ დაეკისროს კომპენსაციის გადახდა 18816 ლარის (ხელზე ასა-ღები) ოდენობით;
8. სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს ლ. მ-ის სასარგებ-

ლოდ დაეკისროს მოსარჩელის მიერ სარჩელზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახვდილი 100 ლარის ანაზღაურება;

9. სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს სახელმწიფო ბიუ-ჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის 314 ლარის გადახდა;

10. საკართველოს სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

კომარსაციის განსაზღვრა უვალო შრომითი ურთიერთობის შეცვალისას

გადაცვალის საქართველოს სახელით

№ას-979-2021

28 აპრილი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: რ. ნადარაია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
თ. ზამბახიძე,
ლ. ქოჩიაშვილი

დავის საგანი: ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგე-
ნა და განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. თ. ბ-მა (შემდეგში – მოსარჩელემ) სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში შპს „თ.ს.კ-ის (შემდეგში – მოპასუხის) მიმართ, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბა-
თილად ცნობის, სამსახურში აღდგენისა და განაცდურის ანაზღა-
ურების მოთხოვნით.

1.1. მოპასუხემ წერილობით წარმოდგენილი შესაგებლით სარ-
ჩელი არ ცნო.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კო-
ლეგიის 2019 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებით, თ. ბ-ის სარჩელი
შპს „თ.ს.კ-ის“ მიმართ სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ
ბრძანების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენისა და განაცდუ-
რის ანაზღაურების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კო-
ლეგიის 2019 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება სააპელაციო სა-

ჩივრით გაასაჩივრა მოსარჩელემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით თ. ბ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. თ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. ბათილად იქნა ცნობილი შპს „თ.ს.კ-ის“ 2018 წლის 04 აპრილის №01/1-3/1/863 ბრძანება. თ. ბ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. მოსარჩელეს უარი ეთქვა სამსახურში ადლდგენასა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებაზე. შპს „თ.ს.კ-ას“ მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა კომპენსაცია 10000 ლარის ოდენობით.

5. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

5.1. 1995 წლიდან მოსარჩელე დასაქმებული იყო თბილისის მეტროპოლიტენში (ამჟამად შპს „თ.ს.კ-ა“) სხვადასხვა პოზიციებზე.

5.2. 2017 წლის 10 ივლისს, შპს „თ.ს.კ-ასა“ და თ. ბ-ს, როგორც ლაბორატორიული ცენტრის უფროსის მოადგილეს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა გაგრძელდა განუსაზღვრელი ვადით.

5.3. შპს „თ.ს.კ-ის“ 2017 წლის 19 დეკემბრის ბრძანებით, სისტემური და ეფექტური მმართველობის უზრუნველყოფის მიზნით კომპანიაში დაიგეგმა განხორციელებული იყო რგანიზაციული ცვლილებები. ამავე ბრძანებით, გაფრთხილებულ იქნა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულები დასაქმებული პირები მათთან დადგებული შრომითი ხელშეკრულების შესაძლო შენწყვეტის თაობაზე.

5.4. შრომითი ხელშეკრულების შენწყვეტის შესახებ მოსარჩელე გააფრთხილეს 2018 წლის 27 მარტს, ხოლო 2018 წლის 04 აპრილს კომპანიაში დასაქმებულ 6 პირს, მათ შორის თ. ბ-ს ეცნობა მასთან შრომითი ხელშეკრულების შენწყვეტის თაობაზე.

5.5. 2018 წლის 02 აპრილს მოსარჩელემ განცხადებით მიმართა მოპასუხე კომპანიას და მოითხოვა მისთვის შრომითი ხელშეკრულების შენწყვეტის წერილობითი დასაბუთება და გაითხოვა დოკუმენტები: მოსარჩელის პირადი საქმე და საშტატო ნუსხა, როგორც მოსარჩელის განთავისუფლებამდე, ისე განთავისუფლების შემდეგ.

5.6. შპს „თ.ს.კ-ის“ 2018 წლის 27 მარტის სხდომაზე ადამიანის რესურსების მართვის სამსახურის უფროსმა ლაბორატორიული

ცენტრის უფროსის მოადგილეს თ. ბ-ს კომპანიაში მიმდინარე რე-ორგანიზაციული პროცესის გათვალისწინებით შესთავაზა მგზავ-რთა მონიტორინგის სამსახურის კონტროლიორის თანამდებობა. აღნიშნულ შეთავაზებაზე მოსარჩელემ უარი განაცხადა.

5.7. თ. ბ-ს მიღებული აქვს სამსახურიდან გათავისუფლების კომ-პენსაცის ორი თვის შრომის ანაზღაურების ოდენობით.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრი-ვი დასაბუთება:

5.8. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექ-სის 115-ე მუხლზე (რომლის თანახმად, სამოქალაქო უფლება უნ-და განხორციელდეს მართლზომიერად) და განმარტა, რომ სამუ-შაოდან განთავისუფლების თაობაზე შრომითი დავის განხილვისას, სასამართლომ პირველ რიგში უნდა შეამოწმოს, რამდენად მარ-თლზომიერად მოქმედებდა დამსაქმებელი დასაქმებულის სამუ-შაოდან გათავისუფლებისას. შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ დამსაქმებლის მიერ ცალმხრივად გამოვლენილი ნების კა-ნონიერება კი მონმდება შეწყვეტის შესახებ აქტში მითითებული სამართლებრივი საფუძვლისა და ფაქტობრივი გარემოებების ურ-თიერთშეჯერებით (იხ. სუსგ 07/04/2017წ. №ას-210-199-2017).

5.9. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სამუშაო ძალის შემცი-რება ატარებდა ფორმალურ ხასიათს. საწარმოს ან მისი სტრუქტუ-რული ერთეულის რეორგანიზაცია იყო უკანონო და რეალურად ად-გილი არ ჰქონდა რეორგანიზაციას, ფორმალური ნიშნების მიხედ-ვით დარჩა იგივე სტრუქტურული ერთეული (ერთეულები), ან ცვლილებით გაუქმდებული სტრუქტურების ნაცვლად შემოღებულ იქნა ახალი სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც ფორმალური ნიშნით განსხვავდებოდა, მაგრამ შინაარსობრივად იმავე ფუნქციის მატარებელი იყო, რაც ძეველი სტრუქტურული ერთეულები. ყოვე-ლივე ზემოაღნიშნულთან ერთად, რეორგანიზაციის შედეგად პირ-თა გათავისუფლების უკანონობაზე მიუთითებდა, აგრეთვე, სამუ-შაო ძალის შემცირების არარსებობა.

5.10. სააპელაციო პალატამ მიუთითა მტკიცების ტვირთის გა-ნაწილების საკითხზე დადგენილ პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ დამ-საქმებლის ვალდებულებას შეადგენდა იმის მტკიცება, რომ რე-ორგანიზაცია შტატების შემცირებით, ეკონომიკური თვალსაზრი-სით გარდაუვალი იყო.

5.11. სააპელაციო პალატის მითითებით, დამსაქმებელმა ვერ უზრუნველყო დაესაბუთებინა კონკრეტულად მოსარჩელე თ. ბ-თან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის უცილებლობა და მის-თვის სხვა ვაკანტური/ტოლფასი თანამდებობის შეთავაზების შე-უძლებლობა. თ. ბ-ის გათავისუფლების შემდგომ კომპანიაში გან-

ხორციელებული დამატებითი ცვლილებების შესაბამისად გაიზარდა სახელფასო ფონდი და საშტატო განაკვეთი, შესაბამისად ვერ დასტურდებოდა მოპასუხის მტკიცება, რომ რეორგანიზაცია ემსახურებოდა გარკვეული ფინანსების დაზოგვასა, თუ კადრების ოპტიმიზაციას, რის ფარგლებშიდაც გარდაუვალი იყო მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლება.

5.12. ვარგის არგუმენტად არ იქნა მიჩნეული ფუნქციების დუბლირებაზე აპელირება, ვინაიდან, დამსაქმებელმა თავად შექმნა საშტატო ერთეულები და დაასაქმა პირები, შესაბამისად, მის ვალდებულებას შეადგენდა საშტატო განრიგის იმგვარი დაგეგმვის უზრუნველყოფა, რომ სამომავლოდ თავიდან აეცილებინა აღნიშნული საფუძვლით თანამშრომლების სამსახურიდან დათხოვა და შრომითი უფლების შეზღუდვა.

5.13. რაც შეეხება მოსარჩელისათვის გათავისუფლების შემდგომ კონტროლიორის პოზიციაზე დასაქმების შეთავაზებას, აღნიშნული ვერ განიხილებოდა დამსაქმებლის მხრიდან მასთან დასაქმებული თანამშრომლისადმი გულისხმიერ და კეთილსინდისუერ დამოკიდებულებად, რამეთუ თ. ბ-ი დასაქმებული იყო ერთ-ერთ ხელმძღვანელობით პოზიციაზე, რის ნაცვლადაც მისთვის იმგვარი პოზიციის შეთავაზება, რომელიც ვერც თანამდებობრივად და ვერც ხელფასის ოდენობით ვერ მიჩნევა ტოლფასად, ვერ განიხილებოდა იმგვარ შეთავაზებად, რაც დაადასტურებდა დამსაქმებლის ინტერესს შეენარჩუნებინა მასთან დასაქმებული კადრი.

5.14. სააპელაციო პალატამ მიმოიხილა მოწმე გ. ტ-ძის ჩვენება, მოსარჩელისათვის ზეპირი ფორმით ტექნიკური სახანძრო უსაფრთხოების სამსახურში შრომის დაცვის სპეციალისტის თანამდებობის შეთავაზებაზე და მიიჩნია, რომ ჩვენების ფარგლებში გადმოცემული გარემოებები ასახვდა მის სუბიექტურ შეფასებას გათავისუფლების ფაქტთან მიმართებით და არ ადასტურებდა რეალურად აღნიშნულ თანამდებობის მოსარჩელისათვის შეთავაზებას. მითუმეტეს, როდესაც კონტროლიორის პოზიციაზე შეთავაზება მოსარჩელისათვის განხორციელდა წერილობითი ფორმით.

5.15. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ დასტურდებოდა შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის კანონით განსაზღვრული სათანადო წინაპირობების არსებობა, რაც განაპირობებდა სადავონ ბრძანების ბათილად ცნობას. ბრძანების ბათილად ცნობის პირობებში კი ვინაიდან, რეორგანიზაციის შედეგად გაუქმდა მოსარჩელის მიერ დაკავებული ლაბორატორიული უფროსის მოადგილის პოზიცია და ამავე დროს არ დგინდებოდა ვაკანტური პოზიციის არსებობა, რომელზეც შესაძლებელი იქნებოდა მოსარჩელის აღდგენა სამსახურში, აღდგენის

ალტერნატივასა და მოსარჩელის შელახული კანონიერი უფლების ორსეული აღდგენის სამუალებას წარმოადგენდა კომპენსაცია.

5.16. სააპელაციო პალატამ თავად განსაზღვრა კომპენსაციის ოდენობა და მიზანშენონილად მიიჩნია მოსარჩელის უფლებების რესტრიციის მიზნით მოპასუხისათვის 5 თვის მისაღები თანამდებობრივი სარგოს, კერძოდ: 10000 ლარის ოდენობით კომპენსაციის დაკისრება.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „თ.ს.კ-მ“ და მოითხოვა გასასჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

შპს „თ.ს.კ-ის“ საკასაციო საჩივრის მოთხოვნის ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

6.1. კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და არასწორი განმარტა კანონი. კასატორი სადაცოდ ხდის დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ბრძანების ბათილობის საფუძვლის არსებობას, კომპენსაციის გადახდის მოვალეობასა და მის ოდენობას.

6.2. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა, არსებობდა თუ არა ორგანიზაციული ცვლილებების აუცილებლობა და რეორგანიზაცია განხორციელდა თუ არა კანონიერად.

6.4. კასატორი ასევე მიუთითებს, რომ განხორციელებული რეორგანიზაცია არ წარმოადგენდა მოწვენებით ცვლილებას და გამომდინარეობდა არსებული საჭიროებიდან. ცვლილება შეეხო არა მხოლოდ მოსარჩელეს, არამედ სხვა პირებსაც და ამასთან ძირითადად ხელმძღვანელ პირებს. მოსარჩელე მხარეს დამსაქმებელმა შესთავაზა მგზავრთა მონიტორინგის სამსახურის კონტროლიორის თანამდებობა, რაზეც თ. ბ-მა უარი განაცხადა. კასატორის პრეტენზია ასევე შეეხება სააპელაციო სასამართლოს შიერ მოწმის ჩვენების გაუთვალისწინებლობას.

6.6. სააპელაციო სასამართლო მხოლოდ ზოგადი მითითებებით შემოფარგლა და დასაბუთებისა და არგუმენტირების გარეშე განსაზღვრა კომპენსაცია 5 თვის ხელფასის ოდენობით.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით ასევე გაასაჩივრა თ. ბ-მა და მოითხოვა გასასჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

თ. ბ-ის საკასაციო საჩივრის მოთხოვნის ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

7.1. არასწორია მოსარჩელისთვის შპს „თ.ს.კ-ის“ ლაბორატორიული ცენტრის უფროსის ტოლფას თანამდებობაზე აღდგენაზე უარის თქმა, რადგან საქმეში არსებული მტკიცებულებები ასეთი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველს არ იძლევა, ხოლო ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის შეუძლებლობის შემთხვევაშიც, სასამართლოს უნდა დაედგინა კომპენსაციის განსაზღვრისთვის აუცილებელი ყველა გარემოება და მოსარჩელისათვის მისაკუთვნებელი თანხა გამოეანგარიშებინა გონივრულობისა და სამართლიანობის კრიტერიუმზე დაყრდნობით. ამასთან, მიკუთვნებული კომპენსაცია უნდა ყოფილიყო მისთვის ცნობილ გარემოებებთან (ხელფასის ოდენობა და შრომითი ურთიერთობის განუსაზღვრელი ვადა) ადეკვატური.

7.2. რეორგანიზაციის შემდგომ წარმოქმნილი მთელი რიგი საშტატო ერთეულებით გათვალისწინებულ ფუნქციას, მისი კვალიფიკაციიდან გამომდინარე, მოსარჩელე თავისუფლად შესარტულებდა. ტოლფასი თანამდებობა დამსაქმებელი კომპანიისგან არ შეთავაზებულა, ხოლო შეთავაზებული პოზიციები არ იყო ტოლფასი არც ფუნქციურად და არც შრომითი გასამრჯელოს თვალსაზრისით.

7.3. კასატორის პრეტენზია შეეხება მის სამსახურში აღდგენაზე უარის თქმას იმ მიზეზით, რომ თითქოს ტოლფასი თანამდებობის ვაკანტურობა არ დგინდებოდა. რეორგანიზაციას შედეგად არ მოჰყოლია შტატების შემცირება, პირიქით, შტატები გაიზარდა და მოსარჩელის ტოლფას თანამდებობაზე დასაქმება შესაძლებელი იყო.

8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 04 ოქტომბრის განჩინებებით სსსკ-ის 396-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო საჩივრები მიღებულ იქნა წარმოებაში, ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად დასაშვებობის შესამოწმებლად. ამავე სასამართლოს 2022 წლის 23 თებერვლის განჩინებით შპს „თ.ს.კ-ის“ საკასაციო საჩივრი დაუშვებლად იქნა მიჩნეული, ხოლო თ. ბ-ის საკასაციო საჩივრი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

სამოტივაციო ნაწილი:

9. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, თ. ბ-ის საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი უნდა დაკმაყო-

ფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

10. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასა-მართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარ-გლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკა-საციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარ-ტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვე-პუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თა-ნახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნო-ბილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასა-მართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასა-ბუთებული პრეტენზია (შედავება).

11. მოსარჩევეთა მიერ თავდაპირველად მოთხოვნილი შედე-გის – შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ ბრძანების ბა-თილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება – სამართლებრივი საფუძველია სშკ-ის 38.8 (იხ. შრო-მის კოდექსის მოქმედი რედაქციის 48.8 მუხლი), „სასამართლოს მი-ერ დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესა-ხებ დამსაქმებლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვე-ვაში, სასამართლოს გადაწყვეტილებით, დამსაქმებელი ვალდებუ-ლია, პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღადგინოს პირი, რომელსაც შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება, ან უზრუნველყოს ის ტოლფა-სი სამუშაოთი, ან გადაუხადოს მას კომპენსაცია სასამართლოს მი-ერ განსაზღვრული ოდენობით“ (დამატ. იხ. სშკ-ის 2.1, 2.2 მუხლი), 44-ე (იხ. შრომის კოდექსის მოქმედი რედაქციის 58-ე მუხლი), „შრო-მითი ურთიერთობისას მხარის მიერ მეორე მხარისათვის მიყენე-ბული ზიანი ანაზღაურდება საქართველოს კანონმდებლობით დად-გენილი წესით“, ასევე, სსკ-ის 394.1 „მოვალის მიერ ვალდებულე-ბის დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწ-ვეული ზიანის ანაზღაურება“ და 408.1 „იმ პირმა, რომელიც ვალ-დებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეო-ბა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მა-ვალდებულებელი გარემოება“ მუხლები.

12. მოცემულ შემთხვევაში, თ. ბ-ი სადაცოდ ხდის უფლებრივი რესტიტუციის სახით მისთვის კომპენსაციის მიკუთვნებას და სა-კასაციო საჩივრის პრეტენზიად მიუთითებს, რომ მისთვის სამსა-ხურში აღდგენაზე უარის თქმა, ან ტოლფას თანამდებობაზე აღ-დგენის შეუძლებლობა არ არის დასაბუთებული. კასატორი ასევე მიიჩნევს, რომ კომპენსაციის მიკუთვნების შემთხვევაშიც დამსაქ-მებელი კომპანიისათვის დაკისრებული კომპენსაციის ოდენობა

არაგონივრულია.

13. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ სრულად გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები, რაც დამატებით კვლევას არ საჭიროებს, თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 23 თებერვლის განჩინებით შპს „თ.ს.კ-ის“ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი და კანონიერ ძალაში შევიდა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მოსარჩელის გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე, დასაქმებულის საკასაციო საჩივრის ფარგლებში შესაფასებელია რამდენად სწორად იქნა გამოყენებული დასაქმებულის დარღვეული შრომითი უფლების რესტიტუციის სახედ კომპენსაცია და რამდენად განისაზღვრა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ მისი ოდენობა.

14. საქართველოს შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-8 პუნქტში (შრომის კოდექსის მოქმედი რედაქციის 48.8 მუხლი), მითითებულია დამსაქმებლის ვალდებულება, რომელიც რამდენიმე შესაბლებობას მოიცავს, კერძოდ, ნორმა დამსაქმებელს ავალდებულებს, პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღადგინოს პირი, რომელსაც შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება ან უზრუნველყოს ის ტოლფასი სამუშაოთი, ან გადაუხადოს კომპენსაცია სასამართლოს მიერ განსაზღვრული ოდენობით. მითითებული რეგულაციით დამსაქმებლისათვის დადგენილია უკანონოდ გათავისუფლებული დასაქმებულის პირვანდელ სამუშაოზე აღადგენა, ხოლო, თუკი აღნიშნული შეუძლებელია, მაშინ მომდევნო რიგითობით დადგენილი ვალდებულებების შესრულება (შდრ. სუსგ №ას-951-901-2015, 29.01.2016.; №ას-931-881-2015., 29.01.2015წ.).

15. უდავოა, რომ მოსარჩელის მიერ დაკავებულ თანამდებობას ახალი საშტატო ნუსხა აღარ ითვალისწინებს, შესაბამისად, მოთხოვნა სამუშაოზე აღადგენის შესახებ საფუძველს მოკლებულია. რაც შეეხება ტოლფას თანამდებობას, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ იშ შემთხვევაში, თუ აღარ არსებობს ის თანამდებობა, რომელზე აღდგენასაც ითხოვს მოსარჩელე, კონკრეტული საშტატო ერთეულის არარსებობის მტკიცება ეკისრება დამსაქმებულს, აღნიშნულის დამტკიცების შემთხვევაში კი, მოსარჩელე მხარეზე გადადის იმის მტკიცების ტვირთი, რომელია ტოლფასი (ფუნქციის, სამუშაოს აღწერილობისა და ხელფასს მიხედვით) თანამდებობა, რომელზეც მისი დასაქმება არის შესაძლებელი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი ერთგვარივანი სასამართლო პრაქტიკით, სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სწორედ მოსარჩელემ უნდა მიუთითოს, კონკრე-

ტულად რომელია მანამდე არსებული თანამდებობის შესაბამისი თანამდებობა. აღნიშნული შესაძლებელია გაირკვეს მოპასუხე საზოგადოების საშტატო ნუსხისა და შესაბამისი თანამდებობების ფუნქციური დატვირთვის გამოკვლევის შედეგად (სუსგ №ას-890-857-2016, 09.10.2017.; №ას-475-456-2016, 24.06.2016წ.).

16. პალატა განმარტავს, რომ სშე-ის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილის მიზნებისთვის ტოლფასი სამუშაო ნიშნავს, როგორც ფუნქციური დატვირთვით, ისე – შრომის ანაზღაურების მხრივ მსგავს თანამდებობას. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩევეს კონკრეტულ ვაკანტურ ტოლფას თანამდებობაზე, რომელზეც მისი აღდგენა იქნებოდა შესაძლებელი არ მიუთითებია. ამ დადგენილი ფაქტობრივი გარემოების ნინააღმდეგ კასატორს დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენია. მოსარჩევე გათავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობის ტოლფას თანამდებობად მიუთითებდა ლაბორატორიული ცენტრის უფროსის თანამდებობაზე, თუმცა აღნიშნული თანამდებობა ტოლფასი თანამდებობის შინაარსის გათვალისწინებით ვერ ჩაითვლება ლაბორატორიული ცენტრის უფროსის მოადგილის (უკვე გაუქმებულ) ტოლფას თანამდებობად, ამასთან, აღნიშნული თანამდებობა არც იყო ვაკანტური.

17. აღნიშნულიდან გამომდინარე, მართებულია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ არ არსებობს მოსარჩელის სამსახურში აღდგენის ნინაპირობა. გასაჩივრებული გადაწყვეტილება სამუშაოზე აღდგენაზე უარის თემის ნაწილში კანონიერია და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობს (სსსკ-ის 410-ე მუხლი).

18. რაც შეეხება კომპენსაციის განსაზღვრის საკითხს, პალატა განმარტავს, რომ სშე-ის 38-ე მუხლის მე-8 პუნქტით არ ადგენს კომპენსაციის გამოანგარიშების წესსა და კრიტერიუმებს. კომპენსაციის, როგორც დასაქმებულის უფლებრივი რესტიტუციის საშუალების, დადგენა და მისი ოდენობის განსაზღვრა სასამართლოს დისკრეცია, როდესაც გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ შრომითსამართლებრივი კომპენსაცია ერთდროულად ფარავს იმ მატერიალურ დანაკარგს, რაც მხარეებს უკანონოდ დათხოვნით განიცადა და რასაც იგი საშუალოდ შესატყვისი სამსახურის მოქებნამდე განიცდის, ასევე – იმ მორალურ ზიანს, რაც მას უკანონოდ დათხოვნით მიადგა. ამავდროულად, გასათვალისწინებელია უკანონოდ დათხოვნილი სუბიექტის ასაკი, კომპეტენცია, სამსახურის შოვნის პერსპექტივა, ოჯახური მდგომარეობა, სოციალური მდგომარეობა, ასევე, დამსაქმებლის ფინანსური მდგომარეობა, კომპანიის ლიკვიდურობა, გადახდისუნარიანობა და ა.შ. (სუსგ №ას-1540-2019, 30.09.2020წ.).

19. განსახილველ შემთხვევაში უდავოა, რომ მოსარჩელე უვა-დო შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შედეგად გათავისუფლდა თანამდებობებიდან, ხოლო, ამავე ურთიერთობის შეწყვეტის შე-სახებ ბრძანების არამართლზომიერად ცნობის მიუხედავად მისი პირვანდელ თანამდებობებზე აღდგენა ვერ მოხერხდა, ამდენად, ვერ აღდგა პირვანდელი მდგომარეობა, რომელიც მას უვადო შრო-მით ურთიერთობაში დასაქმებულ პოზიციაზე დაბრუნებას გამო-ინვევდა. მხედველობაში მისალები ისიც, რომ სასამართლო პრაქ-ტიკა ერთმანეთისაგან მიჯნავს განსაზღვრული და განუსაზღვრუ-ლი ვადით დასაქმებული პირებისათვის კომპენსაციის მიკუთხნე-ბას, რაც იმას ნიშნავს, რომ განსაზღვრული ვადით დასაქმებული პირის შემთხვევაში თუკი ბათილად იქნება ცნობილი დამსაქმებ-ლის ბრძანება პირის სამუშაოდან გათავისუფლების თაობაზე, ამას-თან, შეუძლებელია დასაქმებულის აღდგენა პირვანდელ ან ტოლ-ფას სამუშაოზე, მაშინ კომპენსაცია განისაზღვრება ხელშეკრუ-ლების დარჩენილი პერიოდის მიხედვით, რისგაბაც, ცხადია, ფაქ-ტობრივად და სამართლებრივად განსხვავდება განუსაზღვრული ვადით გაფორმებული შრომითი ურთიერთობის არამართლზომიე-რად შეწყვეტა, როდესაც თუკი შეუძლებელია იმ პირის პირვან-დელ ან ტოლფას თანამდებობაზე აღდგენა, ვისთანაც უვადო შრო-მითი ხელშეკრულება უკანონობ შეწყდა, დამსაქმებელს ზემოაღ-ნიშნული კრიტერიუმების შეფასების შედეგად უნდა დაეკისროს გასაცემი კომპენსაცია.

20. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კომპენსაცია შეძლების-დაგვარად უნდა უზრუნველყოფეს სამართლიანი ბალანსის აღ-დგენას გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის შემთხვევაში. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს იმ გარემო-ებებს, რომ მხარეებს ხანგრძლივი შრომითი ურთიერთობა აკავში-რებდათ; შრომითი ხელშეკრულება დადებული იყო განუსაზღვრუ-ლი ვადით და ამ კონტექსტით, მოსარჩელის თანამდებობიდან გა-თავისუფლებით მიღებული მორალური წნევის სიმძიმეს; მოსარ-ჩელის გათავისუფლებიდან დავის საბოლოო გადაწყვეტამდე გან-ვლილ ხანგრძლივ პერიოდს (გასულია 4 წელზე მეტი); საქართვე-ლოში შრომის ბაზარზე არსებულ მწვავე გამოწვევებს – და, რად-განაც შეუძლებელია დასაქმებულის აღდგენა, მიიჩნევს, რომ კომ-პენსაციის სამართლიანი და გონივრული ოდენობა მოსარჩელის ერ-თი წლის ხელფასით უნდა განისაზღვროს. ამდენად, მოპასუხეს მო-სარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს კომპენსაციის – 12 თვის შრომის ანაზღაურება, საქართველოს კანონმდებლობით დადგე-ნილი გადასახადების გათვალისწინებით. ანალოგიურ განმარტე-ბებს შეიცავს უზენაესი სასამართლოს არაერთი გადაწყვეტილე-

ბა, მათ შორის სუსგ №ას-1339-1259-2017, 30.07.2018წ.; №ას-1540-2019, 30.09.2019წელი.

21. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, კერძოდ, პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს; გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება მოსარჩელისათვის 10000 ლარის ოდენობით კომპენსაციის დაკისრების ნაწილში და მოპასუხისათვის დაკისრებული კომპენსაციის ოდენობა განისაზღვროს 24000 ლარით.

22. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გადებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, აღნიშნული წესები შექება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განახილებას, რომლებიც განიერ მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განახილებასაც.

23. განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით ირკვევა, რომ მოსარჩელეს პირველი ინსტანციის სასამართლოში სარჩელზე წინასწარ გადახდილი აქვს 100 ლარი, სააპელაციო სასამართლოში 150 ლარი, ხოლო საკასაციო ინსტანციის სასამართლოში 300 ლარი. აღნიშნული თანხების ანაზღაურება (სულ 550 ლარის ოდენობით) მოპასუხეს უნდა დაეკისროს მოსარჩელის სასარგებლოდ. ამასთან, მასვე უნდა დაეკისროს 1830 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, ვინაიდან, მოსარჩელე შრომის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის ნაწილში გათავისუფლებული იყო სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან, ხოლო მოპასუხისათვის დაკისრებული კომპენსაციის ოდენობიდან გამომ

დინარე, გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შეადგენს 1830 ლარს ($720+960+700=2380$, $2380-550=1830$).

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესი კოდექსის 399-ე, 372-ე, 264.3, 408.3, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ლ ე ბ ა:

1. თ. ბ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. თ. ბ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
4. შპს „ს. კ-ას“ თ. ბ-ის სასარგებლოდ დაეკისროს კომპენსაციის – 24000 ლარის ანაზღაურება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით;
5. შპს „ს. კ-ას“ თ. ბ-ის სასარგებლოდ დაეკისროს 550 (100+150+300) ლარის გადახდა, ამ უკანასკნელის მიერ სამივე ინსტანციის სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად;
6. შპს „ს. კ-ას“, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის 1830 ლარის გადახდა.
7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კომანდაციის განსაზღვრა უვალო შრომითი ურთიერთობის შეფიციტისას

გადაცემის გადაცემის საქართველოს სახელით

№ას-1075-2021

24 მარტი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მიქაბერიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ერემაძე,
ვ. კაკაბაძე

დავის საგანი: ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისათვის დაყოვნებული თანხის 0.07 პროცენტის გადახდა

აღწერილობითი ნაწილი:

1. ნ. ს-ქებ (შემდგომ – დასაქმებული, მოსარჩელე, აპელანტი, კასატორი) სარჩელი აღმრა სასამართლოში სს „დ.ს.კ.ი-ოს“ (შემდგომ – კომპანია, დამსაქმებელი, მოპასუხე) მიმართ ბრძანების ბათილად ცნობის, სამსახურში აღდგენის, იძულებითი განაცდურის ანაზღაურებისა ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისათვის დაყოვნებული თანხის 0.07 პროცენტის გადახდის მოთხოვნით.

სარჩელის საფუძვლები

2. მოსარჩელე 2010 წლის სექტემბერში დაინიშნა მოპასუხის აჭარის ფილიალის მმართველად. 2013 წლის 31 დეკემბერის ხელშეკრულებით კი – აჭარის რეგიონული გაყიდვების კოორდინატორად. მისი ყოველთვიური ანაზღაურება განისაზღვრა 1000 ლარით საშემოსავლო გადასახადის გამოკლებით. მოსარჩელე პირნათლად ასრულებდა ნაკისრ ვალდებულებებს და ხელფასთან ერთად იღებდა პრემიას. 2016 წლის 31 ოქტომბერს მოსარჩელეს ფოსტის მეშვეობით ჩაპბარდა 26.10.2016 წლის №პ153/16 ბრძანება ამავე წლის 27 ოქტომბრიდან სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე და ეცნობა, რომ აიღებდა ოქტომბრის ხელფასის მხოლოდ ნახევარს. ბრძანებაში გათავისუფლების საფუძვლად მითითებული იქნა საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტები. მოსარჩელეს მოპასუხისგან არ მიუღია შინა-

განაწესის დარღვევის ან ვალდებულების არაკეთილსინდისიერად შესრულების თაობაზე რაიმე გაფრთხილება და გათავისუფლებამ-დე ნაკისრ ვალდებულებებს ჩვეულებრივად ასრულებდა. მოსარ-ჩელის მტკიცებით, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება უკანონოა.

მოპასუხის შესაგებელი

3. მოპასუხემ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მოსარჩელე არღვევდა შრომითი ხელშეკრულებითა და შინაგანანესით დაკისრებულ ვალდებულებებს. 2016 წლის 20 ივლისის ბრძანებით გაფრთხილების მიუხედავად, იგი აგრძე-ლებდა ვალდებულების დარღვევას. მოსარჩელემ 2016 წლის 28 აგ-ვისტოდან ისე ისარგებლა შვებულებით, რომ არ შეათანხმა ეს სა-კითხის სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსთან – მოპასუხის რე-გიონული ფილიალის მმართველთან. თვითნებური შვებულების ამონურვის შემდეგ მოსარჩელე არ ცხადდებოდა სამსახურში. 2016 წლის 22 ოქტომბერს მოპასუხის გაყიდვებისა და მარკეტინგის დი-რექტორთან შეხვედრისას მოსარჩელემ ნაწილობრივ დაადასტუ-რა საპატიო მიზეზის გარეშე სამსახურში გამოუცხადებლობის ფაქ-ტი. მოსარჩელე უხეშად არღვევდა ხელშეკრულებითა და შინაგა-ნანესით დაკისრებულ ვალდებულებებს (უკვე შეფარდებული დას-ციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ჰილობი), რაც სჭ-ის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტების თანახმად, ნარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სა-რეზოლუციო ნაწილი:

4. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კო-ლეგიის 2019 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

5. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნა-წილი:

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 24 ოქტომბრის განჩინებით – მოსარჩელის სა-აპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა ბა-თუმის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 22 თებერვლის გადაწ-ყვეტილება.

კასატორის მოთხოვნა:

7. ზემოაღნიშნული განჩინება მოსარჩელემ საკასაციო წესით გაასაჩივრა, გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და, ახალი გა-დაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

საკასაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 6 ნოემბრის განჩინებით – საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივსამართლებრივი დასაბუთება:

9. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილებით – სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი მოპასუხის 2016 წლის 26 ოქტომბრის ბრძანება; მოპასუხეს დაეკისრა 20 000 ლარის (ხელზე ასაღები) გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ; სამუშაოზე აღდგენის, განაცდურის ანაზღაურების პირგასამტებლოს დაკისრების ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა; მოპასუხეს დაეკისრა მოსარჩელის მიერ საპროცესო ხარჯის სახით გაღებული 550 (100+150+300) ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ.

10. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, დადგენილი იყო, რომ დასაქმებულმა საშვებულებო განაცხადი 2016 წლის 14 აგვისტოს შეავსო, შემცვლელი პირიც დაასახელა და ელექტრონული ფოსტით გაგზავნა სათაო ოფისში. შვებულების მოთხოვნის შესახებ მან აცნობა უშუალო ხელმძღვანელსაც, რომელმაც ეს გარემოება დაადასტურა პირველი ინსტანციის სასამართლოში 2019 წლის 19 თებერვლის სხდომაზე. მხარეებმა სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე ისიც დაადასტურეს, რომ შვებულების გაცემის რიგითობა მოპასუხე კომპანიაში დადგენილი არ იყო. სტრუქტურული ხელმძღვანელისგან მოსარჩელემ დაუსაბუთებელი სიტყვიერი უარი მიიღო (შვებულებაზე უარის თქმის შესახებ წერილობითი დოკუმენტი საქმეში ნარმოდგენილი არ არის). პალატის მოსაზრებით, შვებულებაზე უარის თქმის შემთხვევაში (შინაგანანერის 10.3.), მოპასუხე ვალდებული იყო, წერილობით ეცნობებინა დასაქმებულისთვის, რომ არ იყო თანახმა, მოსარჩელეს შვებულებით ესარგებლა, რადგან დამსაქმებელი გადაუდებელი აუცილებლობის წინაშე იდგა და დასაქმებულისათვის მიმდინარე წელს ანაზღაურებადი შვებულების მიცემას შეიძლება უარყოფითად ემოქმედა სამუშაოს ნორმალურ მიმდინარეობაზე. ამასთან, დასაქმე-

ბულისგან უნდა მიეღო წერილობითი თანხმობა შვებულების მომ-დევნო წლისთვის გადატანის თაობაზე. უდავოა, რომ მსგავსი ფაქ-ტობრივი გარემოება საქმის მასალებით არ დასტურდება. ასეც რომ არ ყოფილიყო, დადგენილია, მოსარჩელეს წინა წელს შვებულებით არ უსარგებლია (რასაც მოპასუხე არ შესდავებია). შესაბამისად, შრომის კოდექსის იმ დანაწესიდან გამომდინარე, რომლითაც და-უშვებელია შვებულების გადატანა ზედიზედ 2 წლის განმავლობა-ში, მოპასუხეს არ ჰქონდა შინაგანაწესის 10.3 მუხლით გათვალის-წინებული უარის თქმის საფუძველი. მოსარჩელეს შვებულებით სარგებლობის უფლება წარმოეშვა იმ მომენტიდან, როდესაც დამ-საქმებელს მიუვიდა დასაქმებულის მოთხოვნა შვებულების თაო-ბაზე. ნების მისვლა კი, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა დაადასტურა.

11. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს (15.06.2021წ.) სხდომაზე მოპასუხის მითითება, შვებულების უფლების გამოყენებაზე დამ-საქმებლის მხრიდან სიტყვიერი უარის თქმის თაობაზე (რომც ყო-ფილიყო გაცხადებული ასეთი უარი, რასაც მოსარჩელე უარყოფს), რომ თითქოს ეს განპირობებული იყო კომპანიის ახალ ოფისში გა-დასვლის დაგეგმვით, რადგან მხარეთა განმარტებით, 2016 წლის ოქტომბრის ბოლოს დამსაქმებელი ჯერ კიდევ ძველ ოფისში აგ-რძელებდა საქმიანობას.

12. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის არც ის მტკიცება, რომ შვებულების ამონურვის შემდეგ მოსარჩელე არ ცხადდებოდა სამსახურში. მოპასუხე კომპანიაში დასაქმებულ მოწ-მეთა ჩვენებები, რომლითაც ისინი ადასტურებენ, რომ მოსარჩე-ლე არ დადიოდა სამსახურში, პალატამ არ მიიჩნია სანდო სამარ-თლებრივი ლირებულების მქონე მტკიცებულებად, რადგან ეს მოწ-მები მოპასუხესთან დასაქმებული პირები იყვნენ, შესაბამისად, სამსახურებრივ დაქვემდებარებაში მყოფნი. გარდა ამისა, ისინი კონკრეტულად ვერ უთითებენ, თუ რომელ დღეს არ გამოცხადე-ბულა მოსარჩელე სამსახურში. ისიც ფაქტია, რომ მოპასუხემ მო-სარჩელეს ოქტომბრის თვის ხელფასი (მართალია, ნაკლები, 50%, მაგრამ მაინც ჩაურიცხა) 50%, მოპასუხისვე განმარტებით, დაუქ-ვითა. თუ ოქტომბრის თვეში მოსარჩელე საერთოდ არ ცხადდებო-და სამსახურში, მაშინ ლოგიკურია კითხვა ნახევარი თვის ხელფა-სის ჩარიცხვასთან დაკავშირებით. საგულისხმოა მოსარჩელის მი-თითებებიც იმასთან დაკავშირებით, რომ, თუ იგი შვებულების შემ-დეგ სამსახურში არ დადიოდა, საიდან ეცოდინებოდა 2016 წლის 22 ოქტომბრის შეხვედრაზე მისულს, რა მდგომარეობა დახვდებოდა ოფისში, გამოსწორებული იყო თუ არა სამუშაო გარემო, რის სა-

ფუძევლზე გააკეთებდა ახსნა-განმარტებას იმის შესახებ, რომ ოფისში ისევ არ იყო სამუშაო პირობები. ამდენად, პალატამ გაიზიარა მოსარჩელის მითითება (და არც მოპასუხეს წარმოუდგენია საწინააღმდეგო მტკიცებულება), რომ არც სიტყვიერი, არც წერილობითი გაფრთხილება, სამსახურში გამოუცხადებლობის თაობაზე მოპასუხისან არ მოულია (მათ შორის – არც ელ. ფოსტით) ამის საჭიროების არარსებობის გამო, ვინაიდან იგი სამსახურში დადიოდა და მხოლოდ, 2016 წლის 11 ოქტომბერს საპატიო (შინაგანანესის 12.1.-12.4 მუხლები) მიზეზის გამო, ვერ გამოცხადდა სამსახურში.

13. პალატის მითითებით, დადგენილი იყო, რომ მოპასუხემ 2016 წლის 3 ნოემბერს, მოსარჩელეს ანგარიშზე ჩაურიცხა 425.00 ლარი. სხდომაზე მოპასუხის განმარტების თანახმად, ეს თანხა გათვავისუფლებამდე (26.10.2016), მოსარჩელის ოქტომბრის თვის ხელფასია, რომელიც კომპანიის შინაგანანესის 13.8 მუხლით გათვალისწინებული წესით, ამავე შინაგანანესით გათვალისწინებული დარღვევებისათვის დაექვითა (ერთჯერადად არაუმეტეს ხელფასის 50%-ისა). გამომდინარე აღნიშნულიდან, რომც ჩაეთვალით დადასტურებულად, მოსარჩელე იქტომბერში აცდენდა სამუშაოს (რაც პალატის აზრით, არ დასტურდება), ამ დარღვევისათვის მის მიმართ მოპასუხემ გამოიყენა სანქცია – ნახვარი თვის ხელფასი დაუქვითა, რაც შინაგანანესის მე-17 მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის სახე იყო. იმავე გადაცდომისთვის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების გამოცემა მოპასუხის მხრიდან სრულიად არაადეკვატური და უკანონო ქმედებაა და არ შეესაბამება არც თავად მოპასუხის შინაგანანესს და არც მოქმედ კანონმდებლობას, ვინაიდან დაუშვებელია პირისთვის ორი სხვადასხვა სახდელის დაკისრება ერთი და იმავე გადაცდომებისთვის.

14. რაც შეეხება გათავისუფლების ერთ-ერთ ფაქტობრივ საფუძვლად მითითებულ დასაქმებულის მხრიდან ე.წ. გეგმის შესრულებლობას, მხარეთა შორის არსებული შრომითი ხელშეკრულებით, ასევე, 2016 წლის 22 ოქტომბრის შეხვედრის ოქმზე თანდართული მოსარჩელის განცხადებითა და სააპელაციო სასამართლოს (15.06.2021.) სხდომაზე მოსარჩელისა და მისი წარმომადგენლის განმარტებებით, პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ხელშეკრულებით მოსარჩელეს (რომლის მოვალეობას გაყიდვების მენეჯერების ხელმძღვანელობა წარმოადგენდა) რაიმე გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებლობა არ აულია. დასაქმებულის გამარტებით, მართალია, იგი სადაზღვევო პროდუქტებსაც ყიდდა, მაგრამ ეს არ იყო მისი სახელშეკრულებო გალდებულება, ამისთვის იგი დამატებით იღებდა ანაზღაურებას ე.წ. „ბონუსების“ (საკომისიოს) სახით.

15. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მი-

იჩნია, რომ არ დგინდებოდა მოსარჩევის მხრიდან რომელიმე იმ გადაცდომის ჩადენის ფაქტი, რაც მხარეთა შორის დადგებული ხელ-შეკრულებისა და შინაგანანერსით დადგენილი ვალდებულებების დარღვევას დაადასტურებდა. შესაბამისად, დამსაქმებლის 2016 წლის 26 ოქტომბრის ბრძანება, როგორც უკანონო, პალატამ ბათი-ლად ცნო.

16. პალატის მითითებით, მოსარჩევესთან 2013 წლიდან გაფორმებული იყო შრომითი ხელშეკრულება, რომელიც შეწყდა 2016 წლის 26 ოქტომბრიდან. სამსახურიდან გათავისუფლებიდან გასული იყო, თითქმის, 5 წელი. პალატამ დაადგინა, რომ გათავისუფლებამდე მოსარჩელის მიერ დაკავებული – გაყიდვების რეგიონული კოორდინატორის თანამდებობა ბათუმის ფილიალში აღარ არსებობდა. კომპანიას ჰქონდა მხოლოდ შემდეგი პოზიციები: ფილიალის მმართველი, რეგიონალური გაყიდვების უფროსი მენეჯერი, გაყიდვების მენეჯერი და სერვის ცენტრის ადმინისტრაციული მენეჯერი. პალატამ დაადგინა, რომ მოპასუხე კომპანიაში არც ტოლფასი ვაკანტური თანამდებობა არ არსებობდა. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა დასაქმებულის პირვანდელ ან ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის ნინაპირობები. რაკი იძულებითი განაცდურის ანაზღაურება საქართველოს შრომის კოდექსის 32.1. მუხლის თანახმად, წარმოადგენს სამსახურში აღდგენის თანმდევ სამართლებრივ შედეგს, პალატამ დაასკვნა, რომ ამ ნაწილში არ არსებობდა სააპელაციო საჩივრის დაქმაყოფილებისა და მოპასუხისათვის იძულებითი განაცდურის დაკისრების ფაქტორივ-სამართლებრივი წანამძღვრები. პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელის დარღვეული უფლება დამსაქმებლისათვის კომპენსაციის დაკისრების გზით უნდა აღდგენილიყო.

17. პალატამ გაითვალისწინა, რომ მხარეებს ხანგრძლივი შრო-
მითი ურთიერთობა აკავშირებდათ და შრომითი ხელშეკრულება და-
დებული იყო განუსაზღვრელი ვადით, ასევე, მოსარჩევე არ იყო
დასაქმებული, სამსახურიდან გათავისუფლებით მისი ეკონომიკუ-
რი მდგომარეობა გაუარესდა, თუმცა ის ახალგაზრდა, კვალიფი-
ციური კადრი იყო დასაქმების პერსპექტივით. დადგენილი იყო
ისიც, რომ მოსარჩევის ყოველთვიური ანაზღლაურება რეგიონული
გაყიდვების კოორდინაციორის თანამდებობიდან გათავისუფლებამ-
დე თვეში 1000 ლარი იყო. შესაბამისად, პალატამ გონივრულად და
სამართლიანად მოსარჩევისათვის კომპენსაციის – 20 000 ლარის
ანაზღლაურება მიიჩნია.

18. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება ორივე მხარემ გაასაჩივ-
რა.

19. მოპასუხის საკასაციო საჩივარი საქართველოს უზენაესი სა-

სამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 25 თებერვლის განჩინებით, დაუშვებლობის გამო, დარჩა განუხილველად.

კასატორის მოთხოვნა და საფუძვლები:

20. მოსარჩელებ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

21. კასატორის მტკიცებით, სასამართლომ სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები. სასამართლომ გამოკვლევის გარეშე დაადგინა, რომ მოპასუხეს არ ჰქონდა თანამდებობა, რომელიც იყო მოსარჩელის მიერ დაკავებული თანამდებობის იდენტური ანდა ისეთი, რომელზე მუშაობასაც მოსარჩელე დასთანხმდებოდა. კასატორი, თავისი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, მნიშვნელობას არ ანიჭებს, რომელ ქალაქში ან რომელ ფილიალში დასაქმდება.

22. გარდა ამისა, სასამართლოს მსჯელობა, რომ მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლებიდან 5 წლის გასვლა დამაბრკოლებელი გარემოებამ მოსარჩელის სამსახურში აღსაღენად, დაუსაბუთებელია. 5 წელი გასულია არა მოსარჩელის ბრალით, არამედ მოპასუხის რისკით, მათ აირჩიეს სასამართლოში დავა და ისიც იცოდნენ, რომ სასამართლოში საქმის განხილვა რამდენიმე წელი გრძელდება და სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, იძულებითი განაცდური სოლიდურ თანხას შეადგენდა.

23. სასამართლოს მსჯელობა, რომ მოსარჩელისათვის ზიანის ანაზღაურების სახით განაცდურის დაკისრება შეუძლებელია, დაუსაბუთებელია. მოპასუხე კომპანიას რომ ასეთი სახსრები არ აქვს, თავად მოწინააღმდეგე მხარეს არ გაუშდერებია და არც შესაბამისი მტკიცებულება არ წარმოუდგენია. შესაბამისად, სასამართლოს მიერ კომპენსაციის განსაზღვრის კრიტერიუმად კომპანიის ლიკვიდურობის მითითება არარელევანტური იყო.

24. სასამართლომ კომპენსაციის განსაზღვრისას მიუთითა, რომ მოსარჩელის ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდა. იმ შემთხვევაში, თუ ამ გარემოებას მნიშვნელობა ჰქონდა საქმის გადაწყვეტისათვის, მაშინ სასამართლო ვალდებული იყო, ზუსტად გამოერკვია, თუ რამდენად შეიცვალა მოსარჩელის ეკონომიკური მდგომარეობა, რამდენად მნიშვნელოვანია მისთვის სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება. მოსარჩელე ორი შვილის მარტოხელა დედა, ჰყავს მოხუცი, ავადმყოფი დედა და 5 წლის მანძილზე ოჯახის შენახვის მიზნით უამრავი ნივთი გაყიდა. ამასთან, გათავისუფლების შემდეგ მოსარჩელემ უხელფასობის გამო ბანკის წინაშე ვალდებულება ვეღარ შეასრულა და იპოთეკით დატვირთული ბინები დაკარგა. ამდენად, თუ სასამართლო კომპენსაციის

ოდენობის განსაზღვრას მოსარჩელის ეკონომიკურ მდგომარეობას უკავშირებდა, მას საკითხი, თუ რა მატერიალური ზიანი გამოიწვია მოსარჩელის სამსახურიდან უკანონო გათავისუფლებამ, უფრო საფუძვლიანად უნდა გამოეკვლია,

25. კასატორი შუამდგომლობს საქმისათვის საჯარო რეესტრის ამონანერის დართვას, რომელიც ადასტურებს მოსარჩელის ქონების ბანკის საკუთრებად ალრიცხვას. ამ მტკიცებულებათა წარმოდგენის საჭიროება გასაჩივრებული გადაწყვეტილებაში ზემოაღნიშნული მსჯელობის გამო წარმოაშვა. მტკიცებულებებით დასტურდება, თუ რა მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში ჩააყენა კომპანიამ თანამშრომელი უკანონო გათავისუფლებით.

სამოტივაციო ნაწილი:

26. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

27. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულო საკასაციო სასამართლოსათვის, თუ ნამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომელიც დაშვებული იყო საპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

28. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ბრძანების ბათილად ცნობისა და უფლებრივი რესტიტუციის შესახებ მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს შრომის კოდექსის (შემდგომ – სშკ, განჩინებაში მითითებულია და შეფასებულია სშკ-ის ნორმები დასაქმებულის გათავისუფლებისას მოქმედი რედაქციით), 38-ე მუხლის მე-8 პუნქტი (სასამართლოს მიერ დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილებით, დამსაქმებელი ვალდებულია, პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღადგინოს პირი, რომელსაც შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება ან უზრუნველყოს ის ტოლფასი სამუშაოთი, ან გადაუხადოს მას კომპენსაცია სასამართლოს მიერ განსაზღვრული ოდენობით) და 44-ე (შრომითი ურთიერთობისას მხარის მიერ მეორე მხარისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით) მუხლი, ასევე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომ – სსკ) 394.1 (მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება) და 408.1 (იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო აანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება) მუხლები.

29. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დასაქმებული უკანონოდ გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დამსაქმებლის ბრძანება ბათილად ცნო და მოსარჩევლის უფლებრივი რესტიტუციის სახედ კომპენსაციის გადახდა დაადგინა. კასატორის პრეტენზიის მიხედვით, სასამართლო ვალდებული იყო, პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღედგინა დასაქმებული ან უზრუნველეყო მოპასუხე კომპანიაში ტოლფას სამუშაოზე დასაქმებით.

30. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ 38-ე მუხლის მე-8 პუნქტში მითითებულია დამსაქმებლის ვალდებულება, რომელიც რამდენიმე შესაძლებლობას მოიცავს, კერძოდ, ნორმა დამსაქმებელს ავალდებულებს, პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღადგინოს პირი, რომელსაც შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება ან უზრუნველყოს ის ტოლფასი სამუშაოთი, ან გადაუხადოს მას კომპენსაცია სასამართლოს მიერ განსაზღვრული ოდენობით. მითითებული რეგულაციით დამსაქმებლისათვის დადგენილია უკანონოდ გათავისუფლებული დასაქმებულის პირვანდელ სამუშაოზე აღდგენა, ხოლო, თუკა შეუძლებელია, მაშინ მომდევნო რიგითობით დადგენილი ვალდებულებების შესრულება (სუსგ წეს-1135-2018 31.05.2019წ.; სუსგ წეს-951-901-2015, 29.01.2016).

31. მოცემულ შემთხვევაში, უდავოა, რომ მოსარჩევლის მიერ დაკავებულ თანამდებობას ახალი საშტატო ნუსხა აღარ ითვალისწინებს. რაც შეეხება ტოლფას თანამდებობას, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ იმ შემთხვევაში, თუ აღარ არსებობს ის თანამდებობა, რომელზე აღდგენასაც ითხოვს მოსარჩევე, კონკრეტული საშტატო ერთეულის არარსებობის მტკიცება ეკისრება დამსაქმებელს, აღნიშნულის დამტკიცების შემთხვევაში კი, მოსარჩელე მხარეზე გადადის იმის მტკიცების ტვირთი, რომელია ტოლფასი (ფუნქციის, სამუშაოს აღნერილობისა და ხელფასის მიხედვით) თანამდებობა, რომელზეც მისი დასაქმება არის შესაძლებელი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკით, სსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სწორედ მოსარჩელემ უნდა მიუთი-

თოს, კონკრეტულად რომელია მანამდე არსებული თანამდებობის შესაბამისი თანამდებობა. აღნიშნული შესაძლებელია გაირკვეს მოპასუხე საზოგადოების საშტატო წუსხისა და შესაბამისი თანამდებობების ფუნქციური დატვირთვის გამოკვლევის შედეგად (სუსგ №ას-890-857-2016, 09.10.2017წ.; №ას-475-456-2016, 24.06.2016წ.).

32. პალატა განმარტავს, რომ სშკ-ის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილის მიზნებისთვის ტოლფასი სამუშაო ნიშნავს, როგორც ფუნქციური დატვირთვით, ისე – შრომის ანაზღაურების მხრივ მსგავს თანამდებობას. სააპელაციო სასამართლომ მოპასუხის მიერ წარმოდგენილი საშტატო წუსხის საფუძველზე დაადგინა, რომ მოპასუხე კომპანიაში ტოლფასი თანამდებობა არ არსებობდა. ამ დადგენილი ფაქტობრივი გარემოების წინააღმდეგ კასატორს დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენია. კასატორს არც კი მიუთითებია წარმოდგენილი საშტატო წუსხიდან რომელი თანამდებობის ფუნქციური დანიშნულება და დასაქმებულის უფლება-მოვალეობები იყო მოსარჩელის პირვანდელი სამუშაოს მსგავსი. მხოლოდ ზოგადი მითითება, რომ სასამართლომ სათანადოდ არ გამოიკვლია არსებობდა და თუ არა ტოლფასი თანამდებობა, არასათანადო შედავებაა.

33. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატის განსჯით, მართებულია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ არ არსებობს მოსარჩელის სამსახურში აღდგენის წინაპირობა. გასაჩივრებული გადაწყვეტილება სამუშაოზე აღდგენაზე უარის თქმის ნაწილში კანონიერია და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობს (სუსკ-ის 410-ე მუხლი).

34. რაც შეეხება კომპენსაციის განსაზღვრის საკითხს, პალატა განმარტავს, რომ სშკ-ის 38-ე მუხლის მე-8 პუნქტით არ ადგენს კომპენსაციის გამოანგარიშების წესსა და კრიტერიუმებს. კომპენსაციის, როგორც დასაქმებულის უფლებრივი რესტიტუციის საშუალების, დადგენა და მისი ოდენობის განსაზღვრა სასამართლოს დისკრეციაა, როდესაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ შრომითსამართლებრივი კომპენსაცია ერთდროულად ფარავს იმ მატერიალურ დანაკარგს, რაც მხარემ უკანონოდ დათხოვნით განცადა და რასაც იგი საშუალოდ შესატყვისი სამსახურის მოძებნამდე განიცდის, ასევე – იმ მორალურ ზიანს, რაც მას უკანონოდ დათხოვნით მიადგა. ამავდროულად, გასათვალისწინებელია უკანონოდ დათხოვნილი სუბიექტის ასაკი, კომპეტენცია, სამსახურის შოვნის პერსპექტივა, ოჯახური მდგომარეობა, სოციალური მდგომარეობა, ასევე, დამსაქმებლის ფინანსური მდგომარეობა, კომპანიის ლიკვიდურობა, გადახდისუნარიანობა და ა.შ. (სუსგ №ას-1540-2019, 30.09.2020წ.).

35. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კომპენსაცია შეძლების-

დაგვარად უნდა უზრუნველყოფდეს სამართლიანი ბალანსის აღ-
ფენას გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის
შემთხვევაში. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს იმ გარემო-
ებას, რომ მხარეებს ხანგრძლივი შრომითი ურთიერთობა აკავში-
რებდათ; შრომითი ხელშეკრულება დადებული იყო განუსაზღვრე-
ლი ვადით და ამ კონტექსტით, მოსარჩელის თანამდებობიდან გა-
თავისუფლებით მიღებული მორკალური წნევის სიმძიმეს; მოსარ-
ჩელების გათავისუფლებიდან დავის საბოლოო გადაწყვეტამდე
განვლილ ხანგრძლივ პერიოდს (გასულია 5 წელზე მეტი); საქარ-
თველოში შრომის ბაზარზე არსებულ მწვავე გამოწვევებს – და,
რადგანაც შეუძლებელია დასაქმებულთა აღდგენა, მიიჩნევს, რომ
კომპენსაციის სამართლიანი და გონივრული ოდენობა მოსარჩე-
ლის სამი წლის ხელფასით უნდა განისაზღვროს. ამდენად, მოპა-
სუხეს უნდა დაეკისროს კომპენსაციის – 36 000 ლარის (დაბეგრი-
ლი) გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ (შდრ. სუსკ №ას-1339-
1259-2017, 30.07.2018წ.; №ას-1540-2019, 30.09.2019წ.).

36. სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო
თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ
კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების
გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა გან-
სახილველად დაბრუნების საფუძვლები. საკასაციო სასამართლო
მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის
სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნე-
ბის საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამა-
ტებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლე-
ბამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, კერძოდ,
პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკ-
მაყოფილდეს, კომპენსაციის დაეკისრების ნაწილში ქუთაისის საა-
პელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის
7 ივლისის გადაწყვეტილების შეცვლით (სარეზოლუციო ნაწილის
მე-5 პუნქტი) მიღებული უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება და
მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისროს კომპენსაციის – 36 000 (დარიცხული) ლარის გადახდა. დანარჩენ ნაწილში გასა-
ჩივრებული გადაწყვეტილება უნდა დარჩეს უცვლელად.

37. რაც შეეხება საქმეზე ახალი მტკიცებულებების დართვის
თაობაზე კასატორის შუამდგომლობას, საკასაციო პალატა განმარ-
ტავს, რომ მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ით-
ვალისწინებს მტკიცებულებების წარდგენის მკაცრად განერილ
პროცედურას და საქმის საკასაციო სასამართლოში განხილვისას,
კანონმდებლობით მხარე ასეთ შესაძლებლობას მოკლებულია – სა-
კასაციო სასამართლო არ წარმოადგენს ფაქტების დამდგენ სასა-

მართლოს. შესაბამისად, არ არსებობს შუამდგომლობის საკასაციო სასამართლოს მიერ დაკმაყოფილების საფუძველი და მტკიცებულებები უნდა დაუპრუნდეს შუამდგომლობის ავტორს.

38. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიერს მხარეებმა საქმის საპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. სსსკ-ის 53-ე მუხლის დანაწესის შესაბამისად, მოპასუხეს დაეკისრება მოსარჩელის სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 850 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 264.3, 411-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ს-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტი და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. სს „დ.ს.კ.ი-ოს“ 6. ს-ძის სასარგებლოდ დაეკისროს 36 000 ლარის (დაბეგრილი) გადახდა;
4. დანარჩენ ნაწილში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად;
5. სს „დ.ს.კ.ი-ოს“ 6. ს-ძის სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანას-

კნელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 850 ლარის ანაზღაურება;

6. 6. ს-ძის შუამდგომლობა საქმეზე ახალი მტკიცებულებების დართვის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს და მტკიცებულებები დაუბრუნდეს შუამდგომლობის ავტორს;

7. განაჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

კომპიუტერისა და იძულებითი განაცდურის მოთხოვნის საფუძვლი

გადაცვაფილება საქართველოს სახელი

№ას-1074-2021

24 მაისი 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. ქოჩიაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
თ. ზამბახიძე,
რ. ნადარაია

დავის საგანი: შრომითი ხელშეკრულების უვადოდ აღიარება, გა-
თავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, გამოსაცდე-
ლი ვადის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, შეფასების ფორმის
ბათილად ცნობა, დისციპლინური სახდელის შეფარდების შესახებ
ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა, იძულებითი გა-
ნაცდურისა და გამოუყენებელი შეცემულების ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ე. ა-ძემ სარჩელით მიმართა ოზურგეთის რაიონულ სასამარ-
თლოს ს.ს.ი.პ. იუსტიციის სახლის მიმართ და მოითხოვა:

1.1. მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის 2020 წლის 1 იანვრიდან
წარმოშობილი მრომითი ურთიერთობის უვადოდ, განუსაზღვრე-
ლი დროით დადებულად აღიარება;

1.2. მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ
ს.ს.ი.პ. იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის – ს. გ-
ძის 2020 წლის 1 აპრილის №249/კ ბრძანების ბათილად ცნობა.

1.3 2020 წლის 3 იანვრის №16/კ ბრძანების ნაწილობრივ ბათი-
ლად ცნობა, მოპასუხის საზოგადოებრივ ცენტრებში შრომითი ხელ-
შეკრულებით დასაქმებული პირების დანიშვნის თაობაზე ს.ს.ი.პ.

იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის ბრძანებებში ცვლილების შეტანის შესახებ იმ ნაწილში, რომელიც ეხება მოსარჩელესთან შრომითი ურთიერთობის წარმოშობიდან პირველი სამითვის გამოსაცდელ ვადად ჩათვლას;

1.4. ს.ს.ი.პ. იუსტიციის სახლის მიერ მიღებული გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსარჩელის შეფასების ფორმის ბათილად ცნობა;

1.5. ს.ს.ი.პ. იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის 2020 წლის 18 მარტის №309/ს და №310/ს ბრძანებების ბათილად ცნობა, მოსარჩელისათვის დისკვიპლინური პასუხისმგებლობის შეფარდების შესახებ;

1.6. მოსარჩელის აღდგენა გათავისუფლებამდე არსებულ ს.ს.ი.პ. იუსტიციის სახლის ლანჩჩუთის საზოგადოებრივ ცენტრში სპეციალისტის (ოპერატორის) პოზიციაზე;

1.7. მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის ანაზღაურების დაკისრება, 2020 წლის 01 აპრილიდან მოსარჩელის სამუშაოზე აღდგენამდე, ყოველთვიურად დაუბეგრავი 750 ლარის ოდენობით.

1.8. მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ გამოუყენებელი შევებულების ანაზღაურების დაკისრება.

2. მოპასუხებ სარჩელი არ ცნო.

3. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკისროვნებული სამუშაოზე აღდგენის ნაწილში მოსარჩელის მოთხოვნა არ დაკავყითალდა. მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის 2020 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილი ურთიერთობა აღიარებულ იქნა უვადოდ, განუსაზღვრელი დროით დადებულად. ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი 2020 წლის 3 იანვრის ბრძანება №16/კ ს.ს.ი.პ. იუსტიციის სახლის საზოგადოებრივ ცენტრებში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების დანიშნვის შესახებ ს.ს.ი.პ. იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ ბრძანება იმ ნაწილში, რომელიც გულისხმობდა მოსარჩელესთან შრომითი ურთიერთობის წარმოშობიდან პირველი სამითვის გათავისუფლელ ვადად ჩათვლას. ბათილად იქნა ცნობილი ს.ს.ი.პ. იუსტიციის სახლის მიერ მიღებული გამოსაცდელი ვადით დანიშნული თანამშრომლის – მოსარჩელის შეფასების ფორმა. ბათილად იქნა ცნობილი ს.ს.ი.პ. იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის – ს. გ-ძის 2020 წლის 1 აპრილის №249/კ ბრძანება მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ. ბათილად იქნა ცნობილი ს.ს.ი.პ. იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის 2020 წლის 18 მარტის №309/ს და №310/ს ბრძანებები მოსარჩელი-

სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის შეფარდების შესახებ. ს.ს.ი.პ. იუსტიციის სახლს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა კომპენსაცია 7500 ლარის ოდენობით. ს.ს.ი.პ. იუსტიციის სახლს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება (ყოველთვიური დაუბეგრავი 750 ლარის ოდენობით) 2020 წლის 1 აპრილიდან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების თარიღამდე. ს.ს.ი.პ. იუსტიციის სახლს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა გამოუყენებელი შეკრულების თანხა (20 სამუშაო დღის).

4. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა მოპასუხებმ, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით – სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 20 აპრილის განჩინებით სააპელაციო საჩივრი არ დაქმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება, შემდეგ ფაქტობრივ-სამართლებრივ საფუძვლებზე მითითებით:

5.1. 2010 წლის 11 მაისს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თავმჯდომარესა და მოსარჩელეს შორის 3 თვის ვადით დაიდო შრომითი ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მოსარჩელე დაინიშნა სააგენტოს ლანჩხუთის სამსახურში მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე. ამავე ხელშეკრულების მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომაც მოსამსახურე გააგრძელებდა საქმიანობას და დამქირავებელს არავითარი პრეტენზია არ ექნებოდა, ხელშეკრულების ვადა გაგრძელებულად ჩაითვლებოდა განუსაზღვრელი ვადით.

5.2. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 10 აგვისტოს ბრძანებით სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ლანჩხუთის სამსახურის მთავარ სპეციალისტს – მოსარჩელეს, 11.08.2010 წლიდან 6 თვის ვადით გაუგრძელდა შრომითი ხელშეკრულების ვადა.

5.3. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 03 თებერვლის ბრძანებით სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ლანჩხუთის სამსახურის მთავარ სპეციალისტს – მოსარჩელეს, 11.02.2011 წლიდან 11.05.2011 წლამდე გაუგრძელდა შრომითი ხელშეკრულების ვადა.

5.4. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 13 მაისის ბრძანებით სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ლან-

ჩხუთის სამსახურის მთავარ სპეციალისტს – მოსარჩელეს, 11.05.2011 წლიდან 11.08.2011 წლამდე გაუგრძელდა შრომითი ხელ-შეკრულების ვადა.

5.5. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თავმჯდომარის 10.08.2011 წლის ბრძანებით, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ლანჩხუთის სამსახურის მთავარ სპეციალისტს – მოსარჩელეს, 11.08.2011 წლიდან განუსაზღვრელი ვადით გაუგრძელდა შრომი-თი ხელშეკრულების ვადა.

5.6. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერ-ვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარის 16.07.2012 წლის ბრძანებისა და შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, მოსარ-ჩელე დაინიშნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემა-ში მოქმედი ს.ს.ი.პ. სახელმწიფო სერვისების განვითარების საა-გენტოს ლანჩხუთის სამოქალაქო რეესტრის სამსახურში მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე, 2012 წლის 16 ივლისიდან განუ-საზღვრელი ვადით.

5.7. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერ-ვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარის 18.04.2018 წლის ბრძანებით, მოსარჩელე დაინიშნა საქართველოს იუსტიციის სამი-ნისტროს სისტემაში მოქმედი ს.ს.ი.პ. სახელმწიფო სერვისების გან-ვითარების სააგენტოს ოზურგეთის სამოქალაქო რეესტრის სამსა-ხურის ლანჩხუთის საზოგადოებრივ ცენტრში ოპერატორად, შრო-მითი ხელშეკრულების საფუძველზე, 2018 წლის 04 მაისიდან 2019 წლის 04 მაისამდე (პირველი 6 თვე გამოსაცდელი ვადით), პირადი განცხადების საფუძველზე.

5.8. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერ-ვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარის 19.04.2019 წლის ბრძანებით, ს.ს.ი.პ. სახელმწიფო სერვისების განვითარების საა-გენტოს ოზურგეთის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის ლანჩხუ-თის საზოგადოებრივი ცენტრის ოპერატორს – მოსარჩელეს, 2019 წლის 04 მაისიდან 2020 წლის 04 მაისამდე გაუგრძელდა შრომითი ხელშეკრულების ვადა.

5.9. ს.ს.ი.პ. იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის სახელზე დაწერილი განცხადების თანახმად, მოსარჩელე ითხოვ-და 2020 წლის 01 იანვრიდან დაენიშნათ ს.ს.ი.პ. იუსტიციის სახლის ლანჩხუთის საზოგადოებრივ ცენტრში.

5.10. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერ-ვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარის 17.12.2019 წლის ბრძანებით, ს.ს.ი.პ. სახელმწიფო სერვისების განვითარების საა-გენტოს ოზურგეთის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის ლანჩხუ-თის საზოგადოებრივ ცენტრის ოპერატორს – მოსარჩელეს, შეუწ-

ყდა შრომითი ხელშეკრულება და 2020 წლის 01 იანვრიდან გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

5.11. ს.ს.ი.პ. იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის 31.12.2019 წლის ბრძანებით, მოსარჩელე 2020 წლის 01 იანვრიდან დაინიშნა ს.ს.ი.პ. „იუსტიციის სახლის“ ლანჩხევთის საზოგადოებრივ ცენტრში სპეციალისტის (ოპერატორი) თანამდებობაზე, არამუდმივ ამოცანათა შესრულების მიზნით, შრომითი ხელშეკრულებით, ერთი წლის ვადით. მისი თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა 750 ლარით. აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშნვისას მოსარჩელეს რამე კონკურსი არ გაუვლია.

5.12. ს.ს.ი.პ. იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის 03.01.2020 წლის ბრძანებით ს.ს.ი.პ. იუსტიციის სახლის საზოგადოებრივ ცენტრებში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების დანიშვნის შესახებ ს.ს.ი.პ. იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის №1 დანართით განსაზღვრული ბრძანებების (მათ შორის, მოსარჩელის ბრძანებაშიც) სარეზოლუციო ნაწილს დაემატა მე-4 ჟუნქტი და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „4. დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობის წარმოშობიდან პირველი სამი თვე ჩაითვალის გამოსაცდელ ვადად“.

5.13. სამუშაო აღწერილობის თანახმად, ს.ს.ი.პ. იუსტიციის სახლის ლანჩხეუთის საზოგადოებრივ ცენტრში სპეციალისტის (ოპერატორის) ფუნქციებია: სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით, საზოგადოებრივი ცენტრებისათვის განსაზღვრულ სერვისებზე დადგენილი პროცედურისა და მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების შესაბამისად განცხადებების მიღება და უფლებამოსილი პირებისათვის მზა დოკუმენტების გადაცემა; მომზადებელთა მომსახურება, მათთვის სათანადო კონსულტაციის გაწევა და მათ მიერ მოთხოვნილ სერვისებზე დადგენილი პროცედურისა და მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების შესაბამისად, პროგრამაში სერვისის მიწოდებისათვის აუცილებელი მონაცემებისა და რეკვიზიტების ასახვა; მომზადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შემოწმება, კანონის ძირითად მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა; უფლებამოსილი ორგანიზაციების შესაბამისი სამსახურების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დაინტერესებული პირებისათვის განმარტება; მომსახურების პროცესში მიღებული განცხადებებისა და თანდართული დოკუმენტების მოწესრიგება, საჭიროების შემთხვევაში, სკანირება და უფლებამოსილი ორგანიზაციისათვის დადგენილი პროცედურის შესაბამისად გადაგზავნის; დამზადებული დოკუმენტებისა და მკაცრი აღრიცხვის ბლანკების დაცულობის უზრუნველყოფა; უფლებამოსილების ფარგლებში ანგა-

რიშებისა და სტატისტიკური მონაცემების მომზადება და შესაბამისი სამსახურებისათვის წარდგენა; ცენტრში არსებული მატერიალური დოკუმენტების გადაცემა შესაბამისი ორგანიზაციებისათვის, დადგენილი პერიოდულობით; მომსახურების პროცესისათვის აუცილებელი ბლანკებისა და საკანცელარიო ნივთების მარაგის ამონტურვის შესახებ უშუალო ხელმძღვანელის ან/და უფლებამოსილი პირის დროული ინფორმირება; ელექტრონული დოკუმენტის ამონაბეჭდის (მატერიალური ასლის) ნამდვილობის შემოწმება შესაბამისი პროგრამული უზრუნელყოფის საშუალებითა და დადგენილი წესის შესაბამისად, ხელმოწერითა და ს.ს.ი.პ. იუსტიციის სახლის შტამპით დამოწმება; მომსახურების დარბაზში სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში საინფორმაციო ბროშურებისა და კორპორატიული ატრიბუტიკის განთავსება; უშუალო ხელმძღვანელის დროული ინფორმირება ყველა იმ საკითხზე, რომელმაც შესაძლოა იმოქმედოს ორგანიზაციის რეპუტაციაზე; პასუხისმგებელი პირის არ ყოფნის/არ არსებობის შემთხვევაში, ს.ს.ი.პ. იუსტიციის სახლის შესაბამის საზოგადოებრივ ცენტრში არსებული ქონების დაცვა, შენახვა და მოვლა-პატრონობა; უშუალო ხელმძღვანელის მიერ გაცემული სხვა დავალებების შესრულება.

5.14. ს.ს.ი.პ. იუსტიციის სახლის ლანჩხუთის საზოგადოებრივი ცენტრის სპეციალისტის – მოსარჩელის მიმართ 13.03.2020 წელს განხორციელებული სამსახურებრივი შემოწმების შესახებ დასკვნის თანახმად: ს.ს.ი.პ. იუსტიციის სახლის შიდა აუდიტის სამსახურმა განახორციელა სამსახურებრივი შემოწმება ს.ს.ი.პ. იუსტიციის სახლის ლანჩხუთის საზოგადოებრივი ცენტრის სპეციალისტის – მოსარჩელის მიერ დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტთან დაკავშირებით. შემოწმებას საფუძვლად დაედო შიდა აუდიტის სამსახურის მიერ ს.ს.ი.პ. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მოქალაქეობისა და მიგრაციის სამსახურის ელექტრონული მართვის სისტემაში (DCM) ს.ს.ი.პ. იუსტიციის სახლის თანამშრომელთა მიერ მიღებული განცხადებების მონიტორინგისას გამოვლენილი გარემოება, კერძოდ: ს.ს.ი.პ. იუსტიციის სახლის ლანჩხუთის საზოგადოებრივი ცენტრის სპეციალისტის მოსარჩელის მიერ 2020 წლის 21 თებერვლს DCM-ის პროგრამაში მიღებული იყო საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნების შესახებ არასრულლოვანი პირის მ. მ. საქმე. აღნიშნულ საქმეზე დართული იყო განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი უცხო სახელმწიფოში გაცემული მ. მ.-ს დაბადების მოწმობა, საოჯახო ამონანერი და მამის თანხმობა, რომლებიც არ იყო სათანადო წესით – აპოსტილით დამოწმებული. აღნიშნულ საქმეზე სსგს-ს მოქალაქეობისა და მიგრაციის სამსახურის მიერ დადგინდა ხარვეზი და 2020

წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილებით განმცხადებელს დაევა-
ლა სათანადო წესით დამოწმებული დოკუმენტების წარმოდგენა.

5.15. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მოქალაქეობის საკით-
ხთა განხილვისა და გადაწყვეტის შესახებ მოქალაქეობის საკით-
ხთა კომისიის 2018 წლის 04 სექტემბრის №2 დადგენილებით დამ-
ტკიცებული დაბულების მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად,
მოქალაქეობის საკითხზე უცხო სახელმწიფოში გაცემული დოკუ-
მენტები წარდგენილი უნდა იქნეს მატერიალური ფორმით, სათა-
ნადო წესით ლეგალიზაციის ან აპოსტილით დამოწმების შემდეგ.
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ს.ს.ი.პ. სახელმწიფო სერვისე-
ბის განვითარების სააგენტოსა და ს.ს.ი.პ. იუსტიციის სახლს შორის
გაფორმებული №02/08/20-46 ხელშეკრულების №5 დანართის პირ-
ველი და მე-14 პუნქტების თანახმად, ს.ს.ი.პ. იუსტიციის სახლში
დასაქმებული პირის ვალდებულებაში შედის ფიზიკური პირისათ-
ვის ძირითადი ინფორმაციის მინოდება მოთხოვნილი მომსახურე-
ბის მისაღებად საჭირო მოქმედებებთან დაკავშირებით. წარმოდ-
გენილი დოკუმენტების შემოწმება – არის თუ არა წარმოდგენილი
კანონმდებლობით გათვალისწინებული სავალდებულო დოკუმენ-
ტები. იმ შემთხვევაში თუ არ არის წარმოდგენილი კანონმდებლო-
ბით გათვალისწინებული დოკუმენტები, განმცხადებლისათვის ზე-
პირი განმარტების მიცემა დოკუმენტის წარმოუდგენლობით გა-
მოწვეული შესაძლო სამართლებრივი შედეგების შესახებ. იმავე
ხელშეკრულების №5 დანართის მე-18 პუნქტის თანახმად, ს.ს.ი.პ.
იუსტიციის სახლში დასაქმებული პირი ვალდებულია განცხადე-
ბის მიღებისას მოქალაქის მიერ კანონმდებლობით გათვალისწი-
ნებული დოკუმენტის წარმოუდგენლობისას, ასევე განცხადებას-
თან დაკავშირებით ხარვეზის დადგენის ალბათობის თაობაზე უფ-
ლებამოსილი პირის გაფრთხილების შესახებ სპეციალურ კომისუ-
რულ პროგრამაში საქმესთან დაკავშირებით გააკეთოს შესაბა-
მისი კომენტარი.

5.16. მოსარჩელემ განმარტა, რომ მ. მ-მ საქმის მიღების დროს,
არასარულწლოვნის დედა გააფრთხილა დოკუმენტების დამოწმე-
ბის საჭიროების შესახებ. თუმცა, მოქალაქემ მოითხოვა მის ხელთ
არსებული დოკუმენტებით განცხადების ჩაბარება. მოქალაქემ და-
მოწმებული დაბადების მოწმობა წარმოადგინა 09.03.2020 წელს,
ხოლო მამის დამოწმებული თანხმობას წარმოადგენდა მოგვიანე-
ბით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმისათვის არსებითი მნიშ-
ვნელობის მქონე გარემოებების შესწავლისა და ურთიერთშეჯე-
რების შედეგად, შიდა აუდიტის სამსახურის მიერ დადგინდა, რომ
მოსარჩელემ 2020 წლის 21 თებერვალს DCM-ის პროგრამაში დაა-
რეგისტრირა არასარულწლოვანი პირის განცხადება, რომელსაც და-

ურთო განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი უცხო სახელმწიფოში გაცემული მ. მ-ს დაბალების მოწმობა, საოჯახო ამონანერი და მამის თანხმობა, რომლებიც არ იყო სათანადო წესით – აპოსტილით დამოწმებული. მოსარჩელემ განმარტა, რომ ასეთი სახით დოკუმენტები და განცხადება ჩაიბარა მოქალაქის მოთხოვნით. შიდა აუდიტის სამსახურის მიერ მოსარჩელის განმარტება არ იქნა გაზიარებული, ვინაიდან განცხადების მიღების დროს სპეციალისტის პროგრამაში არ ჰქონდა შესაბამისი კომენტარი დატოვებული, როსი ვალდებულებაც მას გააჩნდა ხელშეკრულების №5 დანართის მე-18 პუნქტის თანახმად. ამდენად, დადგინდა დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი.

5.17. ს.ს.ი.პ. იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის 18.03.2020 წლის №310/ს ბრძანებით, ს.ს.ი.პ. იუსტიციის სახლის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ, ს.ს.ი.პ. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მოქალაქეობისა და მიგრაციის სამსახურის ელექტრონული მართვის სისტემაში (DCM), ს.ს.ი.პ. იუსტიციის სახლის თანამშრომელთა მიერ მიღებული განცხადებების მონიტორინგის ფარგლებში გამოვლენილი გარემოების საფუძველზე განხორციელებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად, დადასტურებულად ჩაითვალა ს.ს.ი.პ. იუსტიციის სახლის ლანჩქუთის საზოგადოებრივი ცენტრის სპეციალისტის (ოპერატორი) – მოსარჩელის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენა და დასაქმებულის საქმიანობის მარეგულირებელი სპეციალისტი კანონმდებლობის დარღვევისა და სამსახურებრივ მოვალეობათა არაჯეროვანი შესრულების გამო, შეეფარდა დისციპლინური სახდელი – შენიშვნა.

5.18. 16.03.2020 წლს ს.ს.ი.პ. იუსტიციის სახლის ლანჩქუთის საზოგადოებრივი ცენტრის სპეციალისტის მოსარჩელის მიმართ განხორციელებული სამსახურებრივი შემოწმების შესახებ დასკვნის თანახმად: „2020 წლის 31 იანვარს, მოსარჩელემ „საკუთრების უფლების რეგისტრაცია გარიგების საფუძველზე უძრავ ნივთზე“ მოთხოვნით მიიღო მოქალაქეების ზ. ფ. (მინდობილი პირი: ნ. ლ.) და ა. ლ. განცხადება, რომლითაც წარმოდგენილი იყო ნასყიდობის ხელშეკრულება და მინდობილობა, რომელიც ინახებოდა №... საქმეზე. 2020 წლის 10 იანვარს მარეგისტრირებლის გადაწყვეტილებით სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდა, რადგან წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტის (მინდობილობის) მიხედვით, წარმომადგენელს არ ჰქონდა უფლება გაესხვისებინა უძრავი ქონება. შიდა აუდიტის სამსახურმა შეისწავლა განცხადებაზე თანდართული მინდობილობა და დაადგინა, რომ მინდობილ პირს ჰქონდა უფლებამოსილება: ეწარმოებინა სამემკვიდრეო საქმე, განეხორციელე-

ბინა გაყოფა/გამიჯვნისათვის საჭირო პროცედურები და დაედო გარიგება საქუთარ თავთან – გადაეფორმებინა საკუთარ სახელზე. 2020 წლის 03 თებერვალს, მოქალაქეების შეჩერების აღმოსაფხვრელად დამატებით წარმოადგინა კორექტირებული ნასყიდობის ხელშეკრულება და უძრავი ქონების მესაკუთრემ თავად მოაწერა ხელი ხელშეკრულებას, როს საფუძველზეც, 2020 წლის 07 თებერვალს სარეგისტრაციო წარმოება განახლდა და იმავე დღეს დასრულდა გადაწყვეტილებით.

5.19. აღსანიშნავია, რომ თანამშრომლის პროგრამაში აღნიშნულ განცხადებაზე მოსარჩელეს არ ჰქონდა დატოვებული სამსახურებრივი კომენტარი. შიდა აუდიტის სამსახურის მოთხოვნის საფუძველზე, 2020 წლის 02 მარტს წარმოდგენილ განმარტებით ბარათში მოსარჩელემ განმარტა, რომ მოქალაქეებს მიაწოდა ინფორმაცია მინდობილობის გამო განცხადების შესაძლო დახარვეზებასთან დაკავშირებით, მაგრამ მათ მაინც მოითხოვეს ასეთი სახით განცხადების რეგისტრაცია. ამდენად, მან დაარღვია კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებით“.

5.20. ს.ს.ი.პ. იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის 18.03.2020 წლის №309/ს ბრძანებით, ს.ს.ი.პ. იუსტიციის სახლის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ, ს.ს.ი.პ. საჯარო რეესრის ეროვნულ სააგენტოსა და ს.ს.ი.პ. იუსტიციის სახლს შორის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმებული №2020/10/010 ხელშეკრულების №2 დანართით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის საფუძველზე განხორციელებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად, დადასტურებულად ჩაითვალა ს.ს.ი.პ. იუსტიციის სახლის ლანჩხუთის საზოგადოებრივი ცენტრის სპეციალისტის (ოპერატორი), მოსარჩელის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენა და დასაქმებულის საქმიანობის მარეგულირებელი სპეციალური კანონმდებლობის დარღვევისა და სამსახურებრივ მოვალეობათა არაჯეროვანი შესრულების გამო, შეეფარდა დისციპლინური სახდელი – შენიშვნა.

5.21. 31.03.2020 წელს გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსარჩელის შეფასების ფორმის თანახმად, უშუალო ხელმძღვანელის მიერ მისი შეფასება სხვადასხვა კომპონენტებში საბოლოოდ განისაზღვრა 2.44 ქულით, რაც 5 ქულიანი შეფასების სისტემის გათვალისწინებით წარმოადგენდა დაახლოებით საშუალო და არადამაკმაყოფილებელ შეფასებას.

5.22. ს.ს.ი.პ. იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის 03.04.2020 წლის ბრძანებით მოსარჩელე 2020 წლის 01 აპრილიდან გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. გათავისუფლების საფუძველი გახდა გამოსაცდელი ვადით დანიშნული თანამშრომ-

ლის 31.03.2020 წლის შეფასება.

5.23. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია 2010 წლის 11 მაისიდან 2020 წლის 01 აპრილამდე მოსარჩელის მიერ მუდმივად ერთ თანამდებობაზე მუშაობის ფაქტი, რომლის დროსაც არ შეცვლილა მისი სამსახურებრივი ფუნქციები, ამასთან, მოსარჩელე სამსახურში 2010 წელს დასაქმდა სწორედ გამოსაცდელი ვადის წარმატებით გავლის შედეგად, ხელმეორედ ამ ვადის დაწესება 2020 წლის დასაწყისში, ენინააღმდეგებოდა კანონის მოთხოვნებს, ხოლო კანონის მოთხოვნის ამ უხეში დარღვევის ფარგლებში (ე.წ. „გამოსაცდელი ვადის“ ფარგლებში) გამოვლენილ და დამსაქმებლის მიერ განხორციელებულ შემდგომ ქმედებებს: შიდა აუდიტის სამსახურის დასკვნებიდან გამომდინარე დასაქმებულისათვის დისციპლინური სახდელების შეფარდებასა და „არადამაკმაყოფილებელ“ შეფასებას – არ უნდა მისცემოდა სამართლებრივი შეფასება.

5.24. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო (სასგა) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიულ პირია (სსიპ) და ქვეყნის მასშტაბით სახელმწიფო სერვისების ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი მიმწოდებელია. ასევე, სააგენტო 2012 წელს ს.ს.ი.პ. სამოქალაქო რეესტრის ბაზაზე დაარსდა, ხოლო „იუსტიციის სახლი“ კი იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რომლის ფარგლებში სახელმწიფო სერვისების უმრავლესობაა მოქცეული. იუსტიციის სახლი მოქალაქეებს აწვდის იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი ს.ს.ი.პ-ების, სხვადასხვა საჯარო უწყებებისა და კერძო სექტორის სერვისებს, რომლის მიზანია მომხმარებლისათვის, ერთი ფანჯრის პრინციპით, სახელმწიფო და კერძო სექტორის სერვისების მაღალი ხარისხით მიწოდება, სახელმწიფო მომსახურებების განვითარების ხელშეწყობა, მომხმარებლისთვის მრავალფეროვანი და ინოვაციური სერვისების შეთავაზება, რითაც იუსტიციის სახლი მნიშვნელოვნად ამარტივებს საჯარო სერვისების ხელმისაწვდომობასა და მოქალაქეების ურთიერთობას საჯარო სექტორთან;

5.25. 2020 წლის იანვრიდან საზოგადოებრივი ცენტრის ხელმძღვანელი და მმართველი ორგანო ს.ს.ი.პ. სერვისების განვითარების სააგენტო შეიცვალა ს.ს.ი.პ. იუსტიციის სახლით, რომელიც ისევე როგორც სერვისების განვითარების სააგენტო წარმოადგენს იუსტიციის სამინისტროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. იუსტიციის სახლი მასზე დაკისრებული ფუქციების შესრულებას უზრუნველყოფს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და

ტერიტორიული ორგანოების – ფილიალებისა და საზოგადოებრივი ცენტრების მეშვეობით, მათ შორის არის ლანჩხუთის საზოგადოებრივი ცენტრი ცენტრი ფუნქციები ფაქტობრივად იდენტურია სერვისების განვითარების სააგენტოს საზოგადოებრივი ცენტრის ფუნქციებთან, იუსტიციის სამინისტრო საჯარო სამართლის ორგვე პირის მეშვეობით ახორციელებდა და ახორციელებს სამოქალაქო აქტებისა და მოსახლეობის რეგისტრაციას, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სერვისებს, საქართველოს ეროვნული არქივის სერვისებს, სოციალური მომსახურების სააგენტოს სერვისებზე განცხადებების მიღებასა და დოკუმენტების გაცემას და ა.შ. ამდენად, სახელმწიფო, აღმასრულებელი ხელისუფლების ერთ-ერთი ორგანოს – იუსტიციის სამინისტროს და მისი მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების, თავდაპირველად სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საზოგადოებრივი ცენტრის, ხოლო შემდგომ „იუსტიციის სახლის“ დაქვემდებარებაში გადაცემული საზოგადოებრივი ცენტრის მეშვეობით ახორციელებს ერთიდაიგივე სახის სერვისებს და ემსახურება მოქალაქეებს.

5.26. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობა შრომითი სფეროდან გამომდინარეობდა. ამ დავის ფარგლებში შესაფასებელი იყო იმყოფებოდა თუ არა მოსარჩელე ს.ს.ი.კ. იუსტიციის სახლთან უვადო შრომითსამართლებრივ ურთიერთობაში და ჰქონდა თუ არა დამსაქმებელს უფლება დაენესებინა დასაქმებულისათვის გამოსაცდელი ვადა. შესაბამისად, არსებობდა თუ არა გამოსაცდელი ვადის განმავლობაში შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი.

5.27. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დასაქმებულთა შრომითი უფლებების დაცვის კუთხით მნიშვნელოვანია დამსაქმებლის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებებით კეთილსინდისიერად სარგებლობა. დამსაქმებელი კანონით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობისას უფლებამოსილია შეწყვიტოს დასაქმებულთან შრომითსამართლებრივი ურთიერთობა, თუმცა, აღნიშნული უფლება უნდა განხორციელდეს ჯეროვნად, კანონით გათვალისწინებული დანაწესის ზუსტი დაცვით და თანაც, ისე, რომ ადგილი არ ჰქონდეს უფლების ბოროტად გამოყენებას. შრომითი ურთიერთობა ემყარება ხელშემკვრელი მხარეების განსაკუთრებულ ნდობას და ურთიერთგაგებას. დასაქმებულისათვის ხელმისაწვდომი, ხმირად კონფიდენციალური ინფორმაციის გათვალისწინებით, მხარეები შედიან ერთმანეთთან ნდობაში და იღებენ პასუხისმგებლობასაც. პასუხისმგებლობის ფარგლები დამოკიდებულია დასაქ-

მებულის თანამდებობაზე. მართალია, შრომითსამართლებრივი ურთიერთობა წარმოადგენს ისეთ ურთიერთობას, რომელშიც დამსაქმებელი ყოველთვის წარმოადგენს ხელშეკრულების ე.ნ. „ძლიერ“ მხარეს და შესაბამისად, ამ ურთიერთობათა მომწესრიგებელი როგორც საერთაშორისო ასევე ეროვნული სამართლის წყაროები მინშვნელოვანწილად უფრო დასაქმებულთა შრომითი უფლებების დაცვაზეა ორიენტირებული. თუმცა, აღნიშნული მიდგომები აბსოლუტურად გამოუსადეგარი და მცდარი იქნება, თუ გონივრულობის ფარგლებში არ მოვთხოვთ დამსაქმებელს დასაქმებულთა უფლებების დაცვას. მოთხოვნები დამსაქმებლების მიმართ არ უნდა იყოს გადამტებულად მკაცრი, არაგონივრული და არაადეკვატური. დამსაქმებელი უფლებამოსილია აკონტროლის შრომის ნაყოფიერების ხარისხი, შრომით მოვალეობათა შესრულების თანმიმდევრულობა და ასეთის არასებობის შემთხვევაში დასაქმებულთა მიმართ გამოიყნოს მკაცრი სანქციები. თუ დამსაქმებელი ვერ იქნება უფლებამოსილი, რომ წაახალისოს დაქირავებული კარგი მუშაობისათვის, ხოლო ცუდი მუშაობისათვის დასაჯოს იგი, შრომითი ურთიერთობის მომწესრიგებელი სივრცე გარკვეულწილად აღმოჩნდება არაპუნქებრივ მდგომარეობაში;

5.28. 2010 წლის 11 მაისიდან 2020 წლის 01 აპრილამდე, მოსარჩელე მუშაობდა იუსტიციის სამნისტროს სისტემაში შემავალი ს.ს.ი.პ. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და ს.ს.ი.პ. იუსტიციის სახლში, მას შრომითი ურთიერთობა წარმოქმდა დამსაქმებლის მიერ გამოცემული ბრძანებების საფუძველზე, რომელიც უთანაბრდება შრომითი ხელშეკრულების დადებას.

5.29. ს.ს.ი.პ. იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის ბრძანებით მოსარჩელე 2020 წლის 01 აპრილიდან გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, საფუძვლად მიეთითა 2020 წლის 31 მარტის გამოსაცდელი ვადით დანიშნული თანამშრომლის შეფასების ფორმა.

5.30. საქართველოს შრომის კოდექსის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დამსაქმებელს უფლება აქვს, გამოსაცდელი ვადის განმავლობაში, ნებისმიერ დროს მოშალოს შრომითი ხელშეკრულება, თუმცა მხარეთა შორის უვადო შრომითსამართლებრივი ურთიერთობის არსებობის დაფგნის პირობებში, უნდა შეაფასებულიყო სამართლებრივი თვალსაზრისით, რამდენად დასაშვები იყო მოსარჩელესთან გამოსაცდელი ვადის დანიშვნა;

5.31. „შრომის კოდექსის მე-6 მუხლის მე-13 ნაწილის თანახმად, თუ შრომითი ხელშეკრულება დადებულია 30 თვეზე მეტი ვადით, ან თუ შრომითი ურთიერთობა გრძელდება ვადიანი შრომითი ხელშეკრულების ორჯერ ან მეტჯერ მიმდევრობით დადების შედე-

გად და მისი ხანგრძლივობა აღემატება 30 თვეს, ჩაითვლება, რომ დადებულია უვადო შრომითი ხელშეკრულება. ვადიანი შრომითი ხელშეკრულებები მიმდევრობით დადებულად ჩაითვლება, თუ არ-სებული შრომითი ხელშეკრულება გაგრძელდა მისი ვადის გასვლის-თანავე ან მომდევნო ვადიანი შრომითი ხელშეკრულება დაიდო პირველი ხელშეკრულების ვადის გასვლიდან 60 დღის განმავლობაში;

5.32. სააპელაციო პალატამ გაითვალისწინა რომ მოსარჩევე 2010 წლის 11 მაისიდან თანამშრომლობს დამსაქმებელთან – იუსტიციის სამინისტროსთან. ფაქტობრივად, იუსტიციის სამინისტრო თავის ამოცანებს ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირების მეშვეობით, შესაბამისად, ეფექტური ფუნქციონირებისათვის, სამინისტრო უფლებამოსილია კონკრეტული ფუნქცია-მოვალეობის შესრულება ერთი ს.ს.ი.პ-ის ნაცვლად დააკისროს მეორეს ან საერთოდ შექმნას ალტერნატიული სამსახური სხვა ს.ს.ი.პ-ის განსატყირთად ან სხვა მიზნისათვის. ამდენად, კონკრეტული საჯარო სამართლის იურიდიული პირი მასზე დაკისრებულ მოვალეობას ასრულებს დებულების შესაბამისად.

5.33. ს.ს.ი.პ. იუსტიციის სახლის დებულების დამტკიცების შესახებ მინისტრის ბრძანებაში ცვლილების შესაბამისად, კონკრეტულ რაიონებში შეიქმნა საზოგადოებრივი ცენტრები, რომელთაც დაეკისრათ კონკრეტული ამოცანების შესრულება იუსტიციის სამინისტროს მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად. შესაბამისად, სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის/მოპასუხის პოზიცია, რომ ს.ს.ი.პ. იუსტიციის სახლი არის სხვა დამსაქმებელი და მოსარჩევის განხესება თანამდებობაზე გამოსაცდელი ვადით ლეგიტიმური იყო. აპელანტის/მოპასუხის მითითება იმ გარემოებაზე, რომ იუსტიციის სახლს გააჩნდა განსხვავებული ფუნქცია-მოვალეობები არ შეესაბამება რეალობას, რადგან ორივე ს.ს.ი.პ-ს გააჩნია საერთო ძირეული ამოცანები.

5.34. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ ს.ს.ი.პ. „იუსტიციის სახლი“ ახორციელებს სწორედ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სერვისების მინდებას მომხმარებლისათვის. მათ შორის საქმეში წარმოდგენილი ორივე ს.ს.ი.პ. ახორციელებდა და ახორციელებს სამოქალაქო აქტებისა და მოსახლეობის რეგისტრაციას, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სერვისებს, საქართველოს ეროვნული არქივის სერვისებს, სოციალური მომსახურების სააგენტოს სერვისებზე განცხადებების მიღებასა და დოკუმენტების გაცემას, მოქალაქეთა განცხადებების განხილვას, მათ ინფორმირებას კონკრეტულ საკითხებზე და ა.შ.

5.35. დადგენილი იყო, რომ 2010 წლის 11 მაისიდან 2019 წლის დეკემბრამდე 30 თვეზე მეტი ვადით, მოსარჩელე უწყვეტად მუშაობდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეგისტრის სააგენტოს და შემდეგში სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ოზურგეთის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის ლანჩხუთის საზოგადოებრივ ცენტრში ოპერატორის თანამდებობაზე. სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებით მოსარჩელეს შრომითი ხელშეკრულების ვადა ყოველ ჯერზე უგრძელდებოდა გარკვეული ან განუსაზღვრელი ვადით 2020 წლის 01 იანვრამდე. თუმცა იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ შრომითი ურთიერთობა გრძელდებოდა 30 თვეზე მეტი ვადით, შრომის კოდექსის მე-6 მუხლის მე-13 ნაწილის თანახმად, მიიჩნეოდა, რომ მხარეებს შორის დადგებული იყო არა ვადიანი, არამედ უვადო შრომითი ხელშეკრულება. ამდენად, მოსარჩელე სერვისების განვითარების სააგენტოს საზოგადოებრივ ცენტრში ითვლება უვადოდ დასაქმებულ პირად.

5.36. თავად მოსარჩელეს პირადი, თუმცა ფორმალური, განცხადების საფუძველზე, შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან და 2020 წლის 01 იანვრიდან იგი გათავისუფლებულ იქნა დაკავებული თანამდებობიდან, თუმცა ს.ს.ი.პ. იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის – ს. გ-დის 2019 წლის 31 დეკემბრის №1149/კ ბრძანებით, ასევე პირადი განცხადების საფუძველზე, დაინიშნა ს.ს.ი.პ. იუსტიციის სახლის ლანჩხუთის საზოგადოებრივ ცენტრში სპეციალისტის (ოპერატორის) თანამდებობაზე, შრომითი ხელშეკრულებით 01 წლის ვადით. ამდენად, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე წარმოადგენდა იუსტიციის სამინისტროს ს.ს.ი.პ. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს უვადოდ დასაქმებულ პირს და იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილება მისდამი დაქვემდებარებულ ს.ს.ი.პ-ებს შორის ფუნქცია-მოვალეობათა ახლებურად გადანაწილება ვერ გამოიწვევდა დასაქმებულის სამსახურიდან დათხოვნას ან მის დანიშნას სხვა პოზიციაზე გამოსაცდელი ვადით.

5.37. ამასთან, 30 თვითი შრომითი ურთიერთობის უვადოდ მიჩნევისათვის, გასათვალისწინებელი იყო ის გარემოება, რომ სხვა დასაქმებულთან დასაქმების ვადა იმ შემთხვევაში არ ჩაითვლება, როცა დასაქმებული თავისი ნებით იცვლის სამუშაო ადგილს და შრომით ურთიერთობაში შედის სხვა პირთან, რაც მოცემულ შემთხვევში სახეზე არ იყო.

5.38. ვინაიდან, მოსარჩელის განცხადება სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან დათხოვნის შესახებ განპირო-

ბებული იყო სწორედ უფლებამოსილებების ახლებური განაწილებით, შესაბამისად, არ გამოხატავდა მოსარჩელის ნამდვილ ნებას. აღნიშნულს ადასტურებდა ის გარემოებაც, რომ მოკლე დროში (იმავე დღესვე) განწესდა ისევ იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სტრუქტურულ დანაყოფში, ამდენად, მოსარჩელეს რეალურად არ შეუცვლია სამუშაო ადგილი, პოზიცია, ფუნქციები, ძირითადი უფლება-მოვალეობანი და იგი წარმოადგენდა ერთი და იმავე დამსაქმებელთან დასაქმებულ პირს. წინააღმდეგ შემთხვევაში, იუსტიციის სამინისტროს უფლება მისდამი დაქვემდებარებულ სტრუქტურულ დანაყოფთა შორის ფუნქცია-მოვალეობების ახლებური განაწილების შესახებ, შესაძლოა წარმოადგენდეს იარაღს არასასურველი კადრების თანამდებობიდან დათხოვნისათვის. ასეთ შემთხვევაში, ვერ იქნება უზრუნველყოფილი საქართველოს კონსტიტუციოთა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ადამიანის უფლება, ჰქონდეს შრომის სამართლიანი და ხელშემწყობი პირობები, დაცული იყოს სამსახურიდან უსაფუძვლო, თვითონებური და უსამართლო გათავისუფლებისაგან.

5.39. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2020 წლის 01 იანვრამდე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ს.ს.ი.პ. სერვისების განვითარების სააგენტოს საზოგადოებრივ ცენტრში უვადოდ და-საქმებული პირი, 2020 წლის 01 იანვრიდან, მას შემდეგ, რაც საზოგადოებრივი ცენტრი გადავიდა საქართველოს იუსტიციის სახლის სისტემაში და გახდა მისი ტერიტორიული ორგანო, დამსაქმებელთან ასევე იმყოფებოდა უვადო შრომით სამართლებრივ ურთიერთობაში.

5.40. პალატამ აღნიშნა, რომ შრომის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, შესასრულებელ სამუშაოსთან პირის შესაბამისობის დადგენის მიზნით, მხარეთა შეთანხმებით, დასაქმებულთან შესაძლებელია მხოლოდ ერთხელ დაიდოს შრომითი ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით არაუმეტეს 6 თვისა წერილობითი ფორმით.

5.41. როდესაც დამსაქმებელი აპირებს პირის სამუშაოზე მიღებას გამოსაცდელი ვადით, ამის თაობაზე უნდა აღნიშნოს სამუშაოს შეთავაზების განცხადებაში, რადგან გამოსაცდელი ვადით და-საქმება უკავშირდება ისეთ არსებით პირობას, როგორიცაა ხელშეკრულების ვადა, რაც საქართველოს შრომის კოდექსის მე-5 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, ასახული უნდა იყოს შეთავაზებაში. სამუშაოს შეთავაზების შესახებ განცხადებაში ასახული ინფორმაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს შრომითი ხელშეკრულების ჩამოყალიბებაში. განსახილველ შემთხვევაში კი, დამსაქმებელმა

კანონის უხეში დარღვევით სადაც ბრძანებაში მიუთითა „გამოსაცდელ ვადაზე“. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ „გამოსაცდელი ვადა“ არის შესასრულებელ სამუშაოსთან პირის შესაბამისობის დადგენის მიზნით, მხარეთა შეთანხმებით დათქმული ვადა, რომელიც შესაძლებელია დასაქმებულთან დაიდოს მხოლოდ ერთხელ არაუმტეს 6 თვისა. შრომითი ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით იდება მხოლოდ წერილობითი ფორმით.

5.42. საქართველოს შრომის კოდექსის მე-14 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, ბათილია დასაქმებულთან დადებული ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულების ის პირობა, რომელიც ამ კანონს ან იმავე დასაქმებულთან დადებულ კოლექტიურ ხელშეკრულებას ეწინააღმდეგება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულება აუმჯობესებს დასაქმებულის მდგომარეობას, ამავე კოდექსის მე-15 მუხლის თანახმად, შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულების ფაქტობრივად დაწყების მომენტიდან, თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

5.43. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ დამსაქმებლის სურვილი, გამოსცადის შეეფერება თუ არა დასაქმებული შესასრულებელ სამუშაოს, ამართლებს ვადითანი ხელშეკრულების გაფორმებას. თუმცა „გამოცდას“ შეიძლება, ორშერივი მნიშვნელობა ჰქონდეს და დასაქმებულის ინტერესებშიც შედიოდეს. აუცილებელი წინაპირობაა, რომ გამოსაცდელი ვადა უნდა იყოს შრომითი ურთიერთობის დასაწყისი. არ შეიძლება, რომ უკვე დაწყებულ შრომით ურთიერთობას მოსდევდეს გამოსაცდელი ვადა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეჭვქვეშ დადგება გამოსაცდელი ვადის მიზნის არსებობა.

5.44. სააპელაციო პალატამ ასევე მიუთითა რომ „გამოსაცდელი ვადა“ დამსაქმებლისა და დასაქმებულის ურთიერთშეცნობისა და შეფასების ვადაა. კანონი ნათლად ადგენს, რომ გამოსაცდელი ვადა მხოლოდ ერთჯერადი ხასიათისაა და ის გამოიყენება მხოლოდ იმ პირთა მიმართ, რომელთა შრომითი უნარ-ჩევევები უცხოა და-საქმებულისათვის. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ მოსარჩელე დამსაქმებელთან იმყოფებოდა უკადო შრომითსამართლებრივ ურთიერთობაში, შესაბამისად, არ არსებობდა რაიმე სამართლებრივი საფუძველი მისთვის გამოსაცდელი ვადის დაწესებისა და ამ მიზნით მისი შეფასებისა, რის გამოც სადაც გადაწყვეტილება სსკ-ის 54-ე მუხლის საფუძველზე ბათილია.

5.45. მოსარჩელე 2010 წლიდან მუშაობდა იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ ს.ს.ი.პ. სამოქალაქო რე-

ესტრის სააგენტოში, შემდეგ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში. იგი დანიშნული იყო გამოსაცდელი ვადითაც და ამ ვადის გასვლის შემდეგ გააგრძელა დამსაქმებელთან შრომითი ურთიერთობა. იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის ბრძანებით მოსარჩევე 2020 წლის 01 იანვრიდან დაიწინა ს.ს.ი.პ. იუსტიციის სახლის აღმასრულებელი ცენტრში სპეციალისტის (ოპერატორის) თანამდებობაზე, შრომითი ხელშეკრულებით 01 წლის ვადით და 2020 წლის 03 იანვრის №16/კ ბრძანებით შეტანილი ცვლილებით, მოსარჩელესთან წარმოშობილი შრომითი ურთიერთობის პირველი სამი თვე განისაზღვრა გამოსაცდელ ვადად. გასათვალისწინებელია, რომ დამსაქმებელმა თვითხებურად და ცალმხრივად შეცვალა ხელშეკრულების პირობები და დასაქმებულთან შეთანხმების გარეშე შეიტანა ცვლილება ხელშეკრულებაში, რაც ასევე მიუთითებს მიღებული გადაწყვეტილების არალეგიტიმურ ხასიათზე და მის საფუძველზე შემდგომში მიღებულ გადაწყვეტილებებს უკარგავს კანონიერ და სამართლებრივ საფუძველს.

5.46. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილი უკანონო გადაწყვეტილების ბათოლად ცნობის შემთხვევაში ერთგვარ ალტერნატივას სთავაზობს სასამართლოს, სახელდობრ, მიღლოს გადაწყვეტილება დასაქმებულის პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღდგენის, ტოლფასი სამუშაოთი უზრუნველყოფის ან სასამართლოს მიერ განსაზღვრული ოდენობით კომპენსაციის მიუთვნების შესახებ. დადგენილი იყო, რომ ლანჩხუთის საზოგადოებრივ ცენტრში ვაკანტური პოზიცია არ არსებობდა. ამასთან, მოსარჩელეს პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილება, რომლითაც მას უარი ეთქვა სამუშაოზე აღდგენაზე და მის ნაცლად დამსაქმებელს კომპენსაციის სახით დაეკისრა 7500 ლარის (ყოველთვიური ხელფასი 750 ლარი x 10 თვეზე) ანაზღაურება, არ გაუსაჩივრებია. შესაბამისად, ამ გარემოების გათვალისწინებით სააპელაციო პალატამ მიიჩია, რომ არ არსებობდა კომპენსაციის დაკასრების თაობაზე გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლები.

5.47. საქართველოს შრომის კოდექსის 31-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, შრომითი ხელშეკრულების დამსაქმებლის ინიციატივით შეწყვეტისას იგი ვალდებულია დასაქმებულს აუნაზღაუროს გამოუყენებელი შვებულება შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობის პროპორციულად. ამ ნორმის შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მოსარჩელისათვის გამოუყენებელი შვებულების თანხის ანაზღაურების თაობაზე საფუძვლიანი იყო და სწორად იქნა დაკმაყოფილებული.

5.48. რაც შეეხება იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას, სა-აპელაციო პალატამ განმარტა, რომ სამსახურში აღდგენა და გა-ნაცდურის ანაზღაურება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე და 411-ე მუხლების კონტექსტში ის სამართლებრივი შედე-გებას, რაც დამსაქმებლის არამართლზომიერ ქმედებას სდევს თან. განსახილევე შემთხვევაში, დადგენილი იყო, რომ ვაკანტური პო-ზიციის არარსებობის გამო, არ დაკმაყოფილდა სასარჩელო მოთ-ხოვნა სამუშაოზე აღდგენის ნაწილში, რის გამოც მოპასუხეს, მო-სარჩელის სასარგებლოდ, დაეკისრა კომპენსაციის გადახდა. სა-მუშაოზე აღდგენის შეუძლებლობა კი, თავის მხრივ, გამორიცხავ-და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას.

6. აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მო-პასუხემ, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილე-ბაზე უარის თქმა, შემდეგი საფუძვლებით:

6.1. სააპელაციო სასამართლომ, ისევე როგორც პირველი ინ-სტანციის სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას არასწორად შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები, მათ საფუძველზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, არ გაითვალისწინა კასა-ტორის განმარტებები, რამაც გამოიწვია საქმეზე სამართლებრი-ვად არასწორი გადაწყვეტილების მიღება. სასამართლომ არასწო-რად შეაფასა ის ძირითადი საკითხი, რომელიც შეეხება მოსარჩე-ლესა და მოპასუხეს შორის არსებული შრომითი ურთიერთობის ხა-სიათს, კერძოდ კი – მის ვადას. სწორედ აღნიშნული არასწორი შე-ფასებიდან გამომდინარეობს ყველა სხვა დანარჩენი მტკიცება, რო-მელიც პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ძა-ლაში დატოვებისა და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი გახდა.

6.2. სააპელაციო სასამართლო უთითებს, რომ 2010 წლიდან გა-თავისუფლების თარიღამდე დასაქმებულის ფუნქციები არ შეც-ვლილა, რაც ცალსახად არ შეესაბამება სიმართლეს.

6.3. ლანჩჩუთის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის სპეციალის-ტისა და ლანჩჩუთის საზოგადოებრივი ცენტრის დასაქმებულის ფუნქციები ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება. სამოქალა-ქო რეესტრის სპეციალისტის უფლებამოსილებები მოიცავს მხო-ლოდ ერთი მიმართულებით (სახელმწიფო სერვისების განვითარე-ბის სააგენტოს, სამოქალაქო რეესტრის სერვისები) განცხადებე-ბის მიღებას და განხილვას, ხოლო საზოგადოებრივ ცენტრებში და-საქმებულთა უფლებამოსილებები მეტად მრავალმხრივია და ით-ვალისწინებს საზოგადოებრივი ცენტრის მიერ გასაწევ მომსახუ-რებასთან დაკავშირებული განცხადების მიღებასა და რეგისტრა-

ციას, გასაწევ მომსახურებასთან დაკავშირებით მომხმარებლის-თვის ინფორმაციის გადაცემასა და კვალიფიციური კონსულტაციის განვევას. საზოგადოებრივ ცენტრებში დასაქმებულები ახორციელებენ 5 სხვადასხვა სახელმწიფო უწყების (სახელმწიფო სერვისების განვითარებას სააგენტო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, საქართველოს ეროვნული არქივი, სოციალური მომსახურების სააგენტო). ციფრული მმართველობის სააგენტო) 300-მდე სხვადასხვა სერვისის მიწოდებას. მითითებული უფლებამოსილებები საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისგან, შესაბამისად, გასაჩივრებულ განჩინებაში ასახული არგუმენტები, გაურკვეველი და არასწორია.

6.4. დასაქმებულის ფუნქციები 2010 წლის მაისიდან 2018 წლის 4 მაისამდე (როდესაც მოსარჩელე დაინიშნა ოზურგეთის სამოქალაქო რეესტრის ლანჩებუთის საზოგადოებრივ ცენტრში) და 04.05.2018 წლიდან 01.04.2020 წლამდე (ლანჩებუთის საზოგადოებრივ ცენტრში დასაქმების პერიოდი) მკვეთრად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. მართალია საზოგადოებრივ ცენტრში მუშაობის პერიოდში მოსარჩელის უფლებამოსილების სფერო ძირითადად არ შეცვლილა და თთქმის იგივე დარჩა, თუმცა, შეიცვალა მისი ვალებულებები, რომელიც გამომდინარებოდა ს.ს.ი.პ. იუსტიციის სახლის მიერ სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან, რომლებშიც დეტალურად არის განერილი დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, იუსტიციის სახლის თანამშრომელთა მიერ შესასრულებელი ვალდებულებები (მათ შორის, ასეთი ხელშეკრულება გაფორმებულია მოსარჩელის ყოფილ დამსაქმებელთან, ს.ს.ი.პ. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან).

6.5. საზოგადოებრივი ცენტრების მართვა დაექვემდებარა ს.ს.ი.პ. იუსტიციის სახლის კონტროლს, შესაბამისად, განხორციელდა დამსაქმებლის ცვლილება, ს.ს.ი.პ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო რამდე სამართლებრივ ბმაში აღარ არის მის ყოფილ თანამშრომლებთან. უტყუარი ფაქტია, რომ მოსარჩელე ს.ს.ი.პ. იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის 2019 წლის 31 დეკემბრის №1149/კ ბრძანების საფუძველზე, ს.ს.ი.პ. იუსტიციის სახლის ლანჩებუთის საზოგადოებრივი ცენტრის თანამშრომლად დაინიშნა 2020 წლის 01 იანვრიდან. ამ შემთხვევაში, იუსტიციის სახლი წარმოადგენდა ახალ დამსაქმებელს და მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოიშვა ახალი შრომითი ურთიერთობა.

6.6. მოსარჩელემ დასაქმების მიზნით 2019 წლის 10 დეკემბერს მიმართა ს.ს.ი.პ. იუსტიციის სახლს და იმავე დღეს ხელნერილით

დაადასტურა, რომ გაეცნო ს.ს.ი.პ. იუსტიციის სახლის შინაგანაწესს, რომლითაც დეტალურად არის მოწესრიგებული დასაქმებულის გა- მოსაცდელი ვადით დანიშვნის საკითხები. შესაბამისად, მოსარჩე- ლისათვის წინასწარ ცნობილი იყო, რომ მისი დანიშვნა კასატორ- თან განხორციელდებოდა გამოსაცდელი ვადის გათვალისწინებით. მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელისათვის ცნობილი იყო მისი გა- მოსაცდელი ვადით დანიშვნის შესახებ, მან მოპასუხეს დანიშვნის თაობაზე განცხადებით მიმართა, შესაბამისად, დასაქმებულის მხრიდან არსებობდა თანხმობა თანამდებობაზე გამოსაცდელი ვა- დით დანიშვნასთან დაკავშირებით.

6.7. მოსარჩელეს არასადროს გაუხდია სადავოდ ბრძანება, რომ- ლითაც ცვლილება შევიდა მისი დანიშვნის ბრძანებაში და მუშაო- ბის პირველი სამი თვე განისაზღვრა გამოსაცდელ ვადად, აღნიშ- ნული ადასტურებს, რომ მოსარჩელე მას დაეთანხმა.

6.8. სასამართლომ ყურადღების მიღმა დატოვა მოსარჩელის შე- ფასება, ისე მიიჩნია ის პათილად.

6.9. სააპელაციო სასამართლო თავისივე გადაწყვეტილებაში უთითებს, რომ კომპენსაციასთან ერთად იძულებითი განაცდურის დაკისრების საფუძველი არ არსებობდა, თუმცა მიუხედავად სასა- მართლოს აღნიშნული მსჯელობისა, პირველი ინსტანციის სასამარ- თლოს გადაწყვეტილება დარჩა სრულად უცვლელად.

6.10. დაუსაბუთებელია სასამართლოს გადაწყვეტილება შვებუ- ლების გამოუყენებელი დღეების ანაზღლურების თაობაზე. დასაქ- მებული დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა საქართვე- ლოს შრომის კოდექსის მე-9 მუხლის საფუძველზე. შრომის კოდექ- სის გათავისუფლების დროისათვის მოქმედი რედაქცია ზუსტად განსაზღვრავდა შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის იმ საფუძ- ვლებს, რომელი საფუძვლით გათავისუფლების შემთხვევაშიც, და- საქმებული უფლებამოსილი იყო, მოეთხოვა გამოუყენებელი შვე- ბულების ანაზღლურება. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ჩამონათ- ვალი არ ითვალისწინებდა იმ საფუძველს, რომელმაც გამოიწვია მოსარჩელესთან შრომითი ხელშეკრულების მოშლა (გამოსაცდე- ლი ვადის განმავლობაში არადამაკმაყოფილებელი შეფასება), შე- საბამისად, მოთხოვნა არაკანონიერია და არ არსებობს მისი დაკ- მაყოფილების სამართლებრივი საფუძველი. შვებულების გამოუ- ყენებელი დღეების ანაზღლურების საკითხთან მიმართებით, სასა- მართლოს უნდა ემსჯელა გათავისუფლების დროს მოქმედი შრო- მის კოდექსის შესაბამისი რედაქციით, რომელიც გამორიცხავდა შვებულების ანაზღლურებას.

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე- თა პალატის მიერ საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

8. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულო საკასაციო სასამართლოსათვის, თუ ნამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად (საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამონმოს საპროცესო დარღვევები, გარდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), საკასაციო სასამართლო გასაჩინორებული განჩინების კანონიერებას სწორედ საკასაციო საჩივრაში გამოთქმული პრეტენზიების შესაბამისად შეამონმებს. დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

9. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს კვლევისა და შეფასების საგანია იმყოფებოდნენ თუ არა მხარეები ერთმანეთან შრომით ურთიერთობაში განუსაზღვრელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე და გააჩნდა თუ არა მოპასუხეს უფლება 31.12.2019 წლის შრომითი ხელშეკრულების ფარგლებში მოსარჩელისათვის დაწინებინა გამოსაცდელი ვადა.

10. განსახილველ შემთხვევაში, უდავოა, რომ 2010 წლის 11 მაისს, მოსარჩელე 3 თვის გამოსაცდელი ვადით დაინიშნა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ლანჩხუთის სამსახურში მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე, რის შემდეგაც 11.08.2010 წლიდან განუსაზღვრელი ვადით გაუგრძელდა შრომითი ხელშეკრულების ვადა; 2012 წლის 16 ივლისიდან მოსარჩელე მუშაობდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში მოქმედი ს.ს.ი.პ. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ლანჩხუთის სამოქალაქო რეესტრის სამსახურში მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე, განუსაზღვრელი ვადით; 2018 წლის 04 მაისიდან 2020 წლის 04 მა-

ისამდე (პირველი 6 თვე გამოსაცდელი ვადით) მოსარჩელე მუშაობდა საქართველოს ოუსტიციის სამინისტროს სისტემაში მოქმედი ს.ს.ი.პ. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ოზურგეთის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის ლანჩხეუთის საზოგადოებრივ ცენტრში ოპერატორად, საიდანაც პირადი განცხადების საფუძველზე 2020 წლის 01 იანვრიდან გათავისუფლდა და დაინიშნა ს.ს.ი.პ. „იუსტიციის სახლის“ ლანჩხეუთის საზოგადოებრივ ცენტრში სპეციალისტის (ოპერატორი) თანამდებობაზე, ერთი წლის ვადით, პირველი სამი თვის გამოსაცდელი ვადით. აღნიშნულ თანამდებობაზე მისი თანამდებობრივი სარგო შეადგენდა 750 ლარს; მოსარჩელე ს.ს.ი.პ. იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის 03.04.2020 წლის ბრძანებით 2020 წლის 01 აპრილიდან გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან გამოსაცდელ ვადაში მიღებული უარყოფითი შეფასების საფუძველზე.

11. საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ მოსარჩელე მოპასუხესთან დასაქმებული იყო უვადო შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე. ამ კუთხით საკასაციო პალატა იზიარებს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას და მიუთითებს, რომ იუსტიციის მინისტრის 2015 წლის 25 ივლისის №85 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იუსტიციის სახლის დებულებს მე-5 მუხლის პირველი ჟუნტის მიხედვით, იუსტიციის სახლი მასზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებას უზრუნველყოფს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და ტერიტორიული ორგანოების (ფილიალების, საზოგადოებრივი ცენტრებისა და მობილური იუსტიციის სახლების) მეშვეობით. დადგენილია, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 30 დეკემბრის №481 ბრძანებით, ცვლილება შევიდა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იუსტიციის სახლის დებულების დამტკიცების შესახებ“ იუსტიციის მინისტრის 2015 წლის 25 ივლისის №85 ბრძანებაში და იუსტიციის სახლის საზოგადოებრივი ცენტრების ჩამონათვალში მიეთითა ლანჩხეუთის საზოგადოებრივი ცენტრი. ამავე ბრძანების მე-2 მუხლის თანახმად, პირები, რომლებიც 2019 წლის 20 დეკემბრის მდგომარეობით დასაქმებულები იყვნენ საზოგადოებრივ ცენტრებში, სსიპ იუსტიციის სახლში მათი გადანიშვნა შესაძლებელი იყო მენეჯერ-ოპერატორისა და ოპერატორის თანამდებობაზე. მენეჯერ-ოპერატორის თანამდებობა გაუთანაბრდა დებულებით გათვალისწინებულ უფროსი სპეციალისტის თანამდებობას, ხოლო ოპერატორის თანამდებობა – სპეციალისტის თანამდებობას. უდავოა, რომ ორივე საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფუნქციონირების პრინციპები და მიმართულებები იდენტურია და მოსარჩელე ჯერ სერვისების

სააგენტოს მიერ მართული საზოგადოებრივი ცენტრის, ხოლო შემ-დგომ იუსტიციის სახლის ტერიტორიული ორგანოს – საზოგადო-ებრივი ცენტრის მეშვეობით უზრუნველყოფდა ერთიდამავე ფუნ-ქციის შესრულებას. შესაბამისად, ვინაიდან მოსარჩელე 2010 წლის 11 მაისიდან 2020 წლის 01 იანვრამდე, 30 თვეზე მეტი ვადით უწ-ყვეტად იყო დასაქმებული ერთიდამავე ფუნქციით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ ერთი და იგივე დანიშნულების მქონე საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში, შრომის კოდექსის მე-6 მუხლის მე-13 ნაწილიდან გამომდინარე (ამ-ჟამად მოქმედი შპ-ის მე-12 მუხლის მე-4 ნაწილი) შხარეებს შორის დადებული იყო უვადო შრომითი ხელშეკრულება.

12. სადაც პერიდში მოქმედი შრომის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით (ამჟამად მოქმედი შპ-ის მე-17 მუხ-ლის პირველი ნაწილი) შესასრულებელ სამუშაოსთან პირის შესა-ბამისობის დადგენის მიზნით, მხარეთა შეთანხმებით, დასაქმე-ბულთან შესაძლებელია მხოლოდ ერთხელ დაიდოს შრომითი ხელ-შეკრულება გამოსაცდელი ვადით არაუმტეს 6 თვეის. კანონი ნათ-ლად ადგენს, რომ გამოსაცდელი ვადა მხოლოდ ერჯერადი ხასია-თისაა და ის გამოიყენება მხოლოდ იმ პირთა მიმართ, რომელთა შრომითი უნარ-ჩვევები უცხოა დამსაქმებლისათვის (იხ. სუსკ. №ას-419-2022, 27.05.2022 წ.) აუცილებელი წინაპირობაა, რომ გამოსაც-დელი ვადა უნდა იყოს შრომითი ურთიერთობის დასაწყისი. არ შე-იძლება, რომ უკვე დაწყებულ შრომით ურთიერთობას მოსდევდეს გამოსაცდელი ვადა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეჭვქვეშ დადგება გამოსაცდელი ვადის მიზნის არსებობა. „გამოსაცდელი ვადა“ დამ-საქმებლისა და დასაქმებულის ურთიერთშეცნობისა და შეფასე-ბის ვადაა.

აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ ვინაიდან მო-სარჩელე დამსაქმებელთან 2010 წლიდან იმყოფებოდა უვადო შრო-მითსამართლებრივ ურთიერთობაში და მას ერთხელ უკვე გავლი-ლი ჰქონდა გამოსაცდელი ვადა, არ არსებობდა მისთვის 2020 წელს გამოსაცდელი ვადის განმეორებით დაწესების სამართლებრივი სა-ფუძველი.

საქართველოს შრომის კოდექსის მე-14 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, ბათილია დასაქმებულთან დადებული ინდივიდუალუ-რი შრომითი ხელშეკრულების ის პირობა, რომელიც ამ კანონს ან იმავე დასაქმებულთან დადებულ კოლექტიურ ხელშეკრულებას ეწინააღმდეგება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ინდივიდუა-ლური შრომითი ხელშეკრულება აუმჯობესებს დასაქმებულის მდგომარეობას, ამავე კოდექსის მე-15 მუხლის თანახმად, შრომი-

თი ურთიერთობა წარმოიშობა დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულების ფაქტობრივად დაწყების მომენტიდან, თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

ზემოლნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მხრიდან მართებულად იქნა მიჩნეული კანონსაწინააღმდეგოდ შრომითი ხელშეკრულების ის პირობა, რომლითაც მოსარჩელეს დაუწესდა გამოსაცდელი ვადა.

13. ვინაიდან, მოსარჩელესთან შრომითი ხელშეკრულების შენყვეტას საფუძვლად დაედო უკანონოდ დაწესებულ გამოსაცდელ ვადასთან დაკავშირებული შეფასება, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება მართებულად იქნა ცნობილი ბათილად.

14. საკასაციო სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ საქართველოს შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილის მიხედვით (29.09.2020, №7177 (ცვლილებამდე), სასამართლოს მიერ დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილებით, დამსაქმებელი ვალდებულია, პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღადგინოს პირი, რომელსაც შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება ან უზრუნველყოს ის ტოლფასი სამუშაოთი, ან გადაუხადოს მას კომპენსაცია სასამართლოს მიერ განსაზღვრული ოდენობით. ზემოაღნიშნულ ნორმაში მითითებულია დამსაქმებლის ვალდებულება, რომელიც რამდენიმე შესაძლებლობას მოიცავს, კერძოდ, საქართველოს შრომის კოდექსი დამსაქმებელს ავალდებულებს, პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღადგინოს პირი, რომელსაც შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება ან უზრუნველყოს ის ტოლფასი სამუშაოთი, ან გადაუხადოს მას კომპენსაცია სასამართლოს მიერ განსაზღვრული ოდენობით. მითითებული რეგულაციით დამსაქმებლისათვის დადგენილია უკანონოდ გათავისუფლებული დასაქმებულის პირვანდელ სამუშაოზე აღდგენა, ხოლო, თუკი შეუძლებელია, მაშინ მომდევნო რიგითობით დადგენილი ვალდებულებების შესრულება (სუსგ №ას-1135-2018, 31.05.2019;.; სუსგ №ას-951-901-2015, 29.01.2016.) მითითებულ ნორმასთან მიმართებით, საკასაციო პალატამ ასევე განმარტა, რომ საქართველოს შრომის კოდექსი არ განსაზღვრავს კომპენსაციის გამოანგარიშების წესსა და კრიტერიუმებს. კომპენსაციის, როგორც დასაქმებულის უფლებრივი რესტიტუციის საშუალების დადგენა და მისი ოდენობის განსაზღვრა სასამართლოს დისკრეციაა, როდესაც უნდა გათვალისწინებულ იქნეს, რომ შრომითსამართლებრივი კომპენსაცია ერთდროულად ფა-

რავს იმ მატერიალურ დანაკარგს, რაც მხარემ უკანონოდ დათხოვნით განიცადა და რასაც იგი საშუალოდ შესატყვისი სამსახურის მოქებნამდე განიცდის, ასევე, იმ მორალურ ზიანს, რაც მას უკანონოდ დათხოვნით მიადგა (სუსგ-ები საქმე №ას-792-2019, 2021 წლის 18 თებერვალის განჩინება, №ას-536-2021, 2021 წლის 21 სექტემბერის განჩინება).

განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან უდავოდ იყო დადგენილი, რომ ლანჩხუთის საზოგადოებრივ ცენტრში ვაკანტური პოზიცია არ არსებობდა, საკასაციო პალატას მიაჩინია, რომ მოსარჩელის სასარგებლოდ დამსაქმებელს მართებულად დაეკისრა კომპენსაციის სახით 7500 ლარის (ყოველთვიური ხელფასი 750 ლარი x 10 თვეზე) ანაზღაურება.

15. ამასთან, საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის პრეტენზიას კომპენსაციასთან ერთად იძულებით განაცდურის დაკისრების უსაფუძვლობასთან დაკავშირებით, რადგან სადავო ურთიერთობის დროს მოქმედი საქართველოს შრომის კოდექსის 32-ე მუხლის შესაბამისად, იძულებითი განაცდურის დაკისრება დასაქმებულის სამუშაოზე აღდგენის თანმდევ სამართლებრივ შედეგად განიხილებოდა. ამგვარადვე იყო ფორმულირებული მოსარჩელის მოთხოვნაც 2020 წლის 04 ივნისს სასამართლოში წარდგენილ სარჩელშიც და შემდეგ, 2020 წლის 11 აგვისტოს წარდგენილ დაზუსტებულ სარჩელშიც, რომლითაც მოსარჩელე ითხოვდა იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას სამუშაოზე აღდგენამდე. მართალია, საქართველოს შრომის კოდექსში 2020 წლის 29 სექტემბერს განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ამავე კოდექსის 48-ე მუხლის მე-9 პუნქტით (ცვლილება: №7177, ძალაშია: 05.10.2020-დან) განისაზღვრა დასაქმებულის უფლება – პირვანდელ ან ტოლფას სამუშაო ადგილზე აღდგენის ან მის ნაცვლად დაკისრებული კომპენსაციის გადახდის გარდა, მოითხოვოს იძულებითი განაცდურის ანაზღაურება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღიდან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების თარიღიდან მათი წარმოშობის დროისა და შესაბამისად, 2020 წლის 29 სექტემბერს კანონში განხორციელებული ცვლილებები ვერ გავრცელდება სადაც პერიოდზე. მართალია, სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებულ განჩინებაში მიუთითებს, რომ კომპენსაცი-

ასთან ერთად იძულებითი განაცდურის დაკისრების საფუძველი არ არსებობს, მაგრამ მიუხედავად სასამართლოს აღნიშნული მსჯელობისა, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დატოვებული იქნა უცვლელად.

ამდენად, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მხრიდან სამუშაოზე აღდგენის სანაცვლიდ მოსარჩელის სასარგებლოდ დაკისრებულ კომპენსაციასთან ერთად მოპასუხისათვის იძულებით განაცდურის დაკისრების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა, რაც აღნიშნულ ნაწილში გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველია.

16. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, კერძოდ, პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეებითა პალატის 2021 წლის 20 აპრილის განჩინება, რომლითაც ძალაში დარჩა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება იძულებითი განაცდურის დაკისრების ნაწილში და მიღებული უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება იძულებითი განაცდურის მოთხოვნის ნაწილში ე. ა-ძის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

17. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის

პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ვადიანი გასაცემის ან გადასახდელის შესახებ სარჩელზე დავის საგნის ფასი განისაზღვრება არა უმეტეს სამი წლის განმავლობაში გასაცემი ან გადასახდელი თანხების ერთობლიობით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ არაქონებრივ დავასთან ერთად განიხილება მისგან ნარმოშობილი ქონებრივ-სამართლებრივი დავა, დავის საგნის ფასი განისაზღვრება უფრო მაღალი ღირებულების მოთხოვნის მიხედვით.

მოცემულ შემთხვევაში, ს.ს.ი.პ. იუსტიციის სახლის სააპელაციო საჩივარში, საჩივრის ფასი მითითებულია 35152.17 ლარი, რაც მოიცავს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფარგლებს: სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული კომპენსაციის თანხას – 7500 ლარს, დაკისრებულ იძულებითი განაცდურის თანხას ყოველთვიურად 750 ლარს სამ წელზე გაანგარიშებით – 27000 ლარს და 20 დღის გამოუყენებელ შევებულებას – 652.17 ლარს. სარჩელის ფასის შესაბამისად სააპელაციო სასამართლოში გადახდილია სახელმწიფო ბაჟი 35152.17 ლარის 4% – 1406.08 ლარის ოდენობით.

კასატორმა სრულად გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და საკასაციო საჩივრის ფასი მიუთითა 25500 ლარი, რის შესაბამისადაც გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი 5% – 1275 ლარი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 42-ე მუხლის მიხედვით, თუ სარჩელის აღძვრის მომენტში შეუძლებელია დავის საგნის ღირებულების ზუსტად განსაზღვრა, სახელმწიფო ბაჟის ოდენობას წინასწარ განსაზღვრავს მოსამართლე, შემდეგ კი ხედება დამატებით გადახდევინება ან ზედმეტად გადახდილის უკან დაპრუნება საქმის გადაწყვეტისას დადგენილი სარჩელის ფასის შესაბამისად.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფარგლების მხედველობაში მიღებით, როგორც სააპელაციო სასამართლოში, ისე საკასაციო სასამართლოში საჩივრის ფასი შეადგენს 17152 ლარს და 17 თეთრს ($7500+9000+652.17$), შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოში გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობა განისაზღვრება 686 ლარით და 08 თეთრით (17152.17 ლარის 4%), ხოლო საკასაციო საჩივრზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟი განისაზღვრება 857 ლარით და 60 თეთრით (17152.17 ლა-

რის 5%). ს.ს.ი.პ. იუსტიციის სახლს სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან – 1406.08 ლარიდან უნდა დაუბრუნდეს ზედმეტად გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 720 ლარი, ხოლო ე. ა-ძეს ს.ს.ი.პ. იუსტიციის სახლის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 360 ლარის (იძულებითი განაცდურის დაკისრების ნაწილში საჩივრის ფასის – 9000 ლარის 4%) გადახდა სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის სანაცვლოდ, დაემაყოფილებული მოთხოვნის პროპორციულად. ასევე, ს.ს.ი.პ. იუსტიციის სახლს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან – 1275 ლარიდან, უნდა დაუბრუნდეს ზედმეტად გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 857.60 ლარი, ხოლო ე. ა-ძეს ს.ს.ი.პ. იუსტიციის სახლის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 450 ლარის (იძულებითი განაცდურის დაკისრების ნაწილში საჩივრის ფასის – 9000 ლარის 5%) გადახდა საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის სანაცვლოდ, დაკისრების მოთხოვნის პროპორციულად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ფ ა:

1. ს.ს.ი.პ. იუსტიციის სახლის საკასაციო საჩივარი დაკისრების ნაწილობრივ.

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის

2021 წლის 20 აპრილის განჩინება, რომლითაც ძალაში დარჩა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება იძულებითი განაცდურის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

3. ე. ა-ძეს სარჩელი ს.ს.ი.პ. იუსტიციის სახლის მიმართ იძულებითი განაცდურის დაკისრების შესახებ მოთხოვნის ნაწილში არ დაკისრებილდეს.

4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 20 აპრილის განჩინება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად.

5. ე. ა-ძეს ს.ს.ი.პ. იუსტიციის სახლის სასარგებლოდ დაეკისროს 810 (რვასათო) ლარის გადახდა სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის სანაცვლოდ.

6. ს.ს.ი.პ. იუსტიციის სახლს სააპელაციო საჩივარზე გადახდი-

ლი სახელმწიფო ბაჟიდან (1406.08 ლარიდან), დაუბრუნდეს 720 ლარი (თარიღი: 03.02.2021, საგადასახადო მოთხოვნა: №03118; საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: ...).

7. ს.ს.ო.პ. იუსტიციის სახლს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან (1275 ლარიდან), დაუბრუნდეს 857 ლარი და 60 თეთრი (თარიღი: 07.06.2021, საგადასახადო მოთხოვნა: №14111; სააპიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: ...).

8. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

3. პასუხისმგებლობა

მიზანმიზნი ზიანისთვის მატერიალური პასუხისმგებლობა

განრიცხვა საქართველოს სახელით

№ას-445-2019

29 სექტემბერი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ერემაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. კაკაბაძე,
ლ. შიქაბერიძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურების დაკისრებისა და სამუშაოდ გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება

აღნერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩევლის მოთხოვნა:

1.1. 2016 წლის 12 სექტემბერს ი. ტ-ვამ (მოსარჩევე, შემდგომში (შემდეგში: მოსარჩევე, აპელანტი ან კასატორი) სარჩევი აღდრა შპს „მ-ის“ (შემდგომში მოპასუხებ, მოწინააღმდეგე მხარე) მიმართ ზიანის ანაზღაურების დაკისრებისა და სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნით.

1.2. მოსარჩევლის განმარტებით, 2014 წლის 6 ივნისიდან შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მოპასუხე კომპანიაში დასაქმებული იყო ა-ს სერვის-ცენტრის მენეჯერის თანამდებობაზე. მასზე დაკისრებულ მოვალეობებს ასრულებდა პირნათლად. სამუშაოს მაღალკალიფიციურად შესრულების გამო მიღებული აქვს პრემიაცია.

1.3. 2016 წლის 26 მარტს კომპანიის თანამშრომელმა ავტოსაგზაო შემთხვევას შედეგად დააზიანა სამსახურებრივი ავტომანქანა, რაზეც დაიწყო გამოძიება, თუმცა შემდგომში შეწყდა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო.

შპს „მ-ის“ დირექტორის მიერ 2016 წლის 01 ივნისს მიღებული იქნა ბრძანება, რომლის 1-ლი პუნქტით დაეკისრა ავტოსაგზაო შემთხვევით გამოწვეული მატერიალური ზარალის ანაზღაურება, ხოლო ბრძანების მე-3 პუნქტის თანახმად კი გათავისუფლდა დაკა-

ვებული თანამდებობიდან. მოსარჩელის განმარტებით, დირექტორის ბრძანება უკანონო და დაუსაბუთებელია, რაღაც ავტომანქანა, რომელიც დაზიანდა რ. ტ-ვას მართვისას, მასზე გაპიროვნებული არ ყოფილა და ამ სატრანსპორტო საშუალებით სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე სარგებლობდა როგორც თავად, ასევე კომპანიის სხვა თანამშრომლები. ავტოსაგზაო შემთხვევის დღეს, რ. ტ-ვას სწორედ ამ მიზნით გადაეცა ავტომანქანა. შესაბამისად, ავტომანქანის დაზიანებით გამოწვეული მატერიალური პასუხისმგებლობა მას არ უნდა დაეკისროს. ამდენად, მისთვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში ბრძანება (1-ლი პუნქტი) უკანონოა. ასევე უკანონოა ბრძანების მე-3 პუნქტი, რომლის მიხედვით იგი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, ვინაიდან მას შრომის კანონმდებლობა და შრომის შინაგანაწესი არ დაურღვევია.

2. მოპასუხის პოზიცია:

მოპასუხე შპს „მ-მა“ არ ცნო სარჩელი და მიუთითა შემდეგზე:

2.1. მოსარჩელე იყო კომპანიის მენეჯერი და შესაბამისად, მატერიალურად

პასუხისმგებელი პირი, რის გამოც სადავო ბრძანებით ავტომანქანის დაზიანებით გამოწვეული მატერიალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დაეკისრა კანონიერად. ი. ტ-ძე მთელი მისი მუშაობის პერიოდში მოპასუხე სანარმოში მის სახელზე იყო გაპიროვნებული ავტომობილი მიცუბიში ლ-200. საქმეში არსებული ბრძანებების თანახმად მასვე ეკისრებოდა მატერიალური პასუხიმგებლობა ამ ავტომობილზე. მასვე განსაზღვრული პქონდა ყოველთვიური ლიმიტი საწვავზე.

2.2. 2016 წლის 26 მარტს, არასამუშაო დღეს, მოსარჩელემ სანარმოს ავტომობილი უფლებამოსილების გადამეტებით სარგებლობაში და სამართავად გადასცა შპს „მ-ის“ შტატგარეშე ოპერატორ რ. ტ-ვას, რომელმაც მოახდინა ავტოვარია, რის შედეგადაც დაზიანდა ავტომობილი და ზარალი მიადგა შპს „მ-ს“.

2.3. ავტოვარიის შესახებ მოსარჩელემ არაფერი აცნობა სადაზღვევო კომპანიას, სადაც ეს ავტომობილი იყო დაზღვეული. სანარმოსათვის ცნობილი გახდა, რომ რ. ტ-ვა ავტომობილს მართავდა ნასვამ მდგომარეობაში, რის გამოც სადაზღვევო კომპანიას მოეხსნა ვალდებულება ავტოსაგზაო შემთხვევის ანაზღაურებისათვის. ავტოსაგზაო შემთხვევის დროს დაზიანებული ავტომობილის აღდგენისათვის კი საჭიროა 8060 ლარი.

2.4. არასწორია მოსარჩელის განმარტება, თითქოს რ. ტ-ვას ავტოვარია შეემთხვა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, რადგან რ. ტ-ვა არის კომპანიის ტრაქტორისტი და მის სამ-

სახურებრივ მოვალეობაში არ შედიოდა ი. ტ-ვაზე გაპიროვნებული ავტომობილის არც მართვა და არც ამ ავტომობილით სარგებლობა.

2.5. ი. ტ-ვა დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა ა-ს სერვის-ცენტრში მივლინებული უფლებამოსილი ჯგუფისათვის და-ვალების შესრულებაში დაბრკოლების შექმნის, კომპანიის ხელ-მძღვანელი პირების სიტყვიერი განკარგულებების შეუსრულებ-ლობისა და ა-ს სერვის-ცენტრში გამოვლენილი უხეში დარღვევე-ბის გამო.

2.6. კომპანიის აუდიტორმა და პროცედურებისა და ინსპექტი-რების განყოფილებამ საწარმოში გამოავლინეს მთელი რიგი დარ-ღვევები, კერძოდ, კომპანიის კუთვნილი ა-ს სერვის-ცენტრზე მი-მაგრებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის უნებროვოდ და უკა-ნონოდ კერძო ფიზიკურ პირებზე სარგებლობაში გადაცემა. ასევე სერვის-ცენტრის დაქვემდებარებაში მყოფი ბრიგადის მენეჯერე-ბის და ოპერატორების მიერ შესრულებული აღურიცხავი სამუშა-ოები, რის შედეგადაც როგორც ფინანსური, ისე მატერიალური ზა-რალი მიადგა კომპანიას.

მოპასუხის მოსაზრებით, არასწორია მოსარჩელის განმარტება იმის თაობაზე, რომ მასზე პრემია გაცემული იქნა დაკისრებული სამუშაოს სანიმუშოდ შესრულებისთვის, რადგან ამ სახის ფულა-დი ანაზღაურება გაცემულ იქნა საწარმოს ყველა თანამშრომელ-ზე.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება:

3.1 სენაკის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 27 ივნისის გა-დაწყვეტილებით, მოსარჩელე ი. ტ-ვას სარჩელი სამსახურიდან გა-თავისუფლებისა და მატერიალური პასუხისმგებლობის დაკისრე-ბის შესახებ ბრძანების გაუქმების, სამსახურში აღდგენისა და გა-ნაცდურის ანაზღაურების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა.

4. მხარის სააპელაციო საჩივარი:

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასა-ჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმა-ყოფილება.

5. სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დასკვნები:

5.1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2019 წლის 28 იანვრის განჩინებით, სააპელაციო საჩი-ვარი არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

5.2. სააპელაციო პალატა სრულად დაეთანხმება პირველი ინ-სტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ და სამარ-თლებრივ გარემოებებს და დამატებით განმარტა:

5.2.1. შპს „მ-ის“ შინაგანაწესის თანახმად:

მუხლი 1.2 – შინაგანაწესის მოთხოვნათა შესრულება სავალდებულოა კომპანიაში დასაქმებული ნებისმიერი პირისათვის და მათი დარღვევა იწვევს შესაბამის პასუხისმგებლობას;

მუხლი 2.2 – დასაქმებული ვალდებულია: ე) არ დაუშვას ისეთი ქმედება, რომელიც შეაფერხებს დანექსაბულების მუშაობას და შელახავს მის ინტერესებს თუ ავტორიტეტს; ვ) გამოიჩინოს თავზიანობა კოლეგების მიმართ.; მუხლი 8.2 – საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის დებულების შესაბამისად შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლებია: ზ) დასაქმებულის მიერ მისთვის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულებების უხეში დარღვევევა; მუხლი 9.1 – დისციპლინური დარღვევისათვის კომპანიაში დასაქმებული პირის მიმართ, მის მიერ ჩადენილი დარღვევის სიმძიმის და ჩადენის გარემოებების გათვალისწინებით, შეიძლება გამოყენებული იქნეს დისციპლინური პასუხისმგებლობის შემდეგი ზომები: ...ვ) სამუშაოდან დათხოვნა/შრომითი ხელშეკრულების მოშლა, კანონით დაგენილი წესით და შემთხვევაში; მუხლი 9.2 – დისციპლინური პასუხისმგებლობის შეფარდების საფუძვლებია: ე) დაწესებულებისათვის შეგნებულად ან დაუდევრობით მატერიალური/ქონებრივი ზიანის მიყენება/განადგურება ან არსებითი ზიანის წარმოშობის საფრთხის შექმნა (ზიანი მიადგა დასაქმებულზე მიმაგრებულ ან/და მის დროებით სარგებლობაში გადაცემული მატერიალური ღირებულების მქონე ქონებას ან/და სახეზეა შესაბამისი ქონების დაზიანების ან/და განადგურების ფაქტი; ზ) შრომის დისციპლინისა დარღვევა; მუხლი 12.2 – შინაგანაწესი წარმოადგენს სამუშაოზე მიღების ბრძანების განუყოფელ ნაწილს.

5.2.2. 2016 წლის 1 ივნისს შპს „მ-ს“ და ო. ტ-ვას შორის დადგებული შრომითი ხელშეკრულების თანახმად:

მუხლი 1.1 – დამსაქმებელი დასაქმებულს ნიშნავს შპს „მ-სი“ ას სერვის-ცენტრის მენეჯერის თანამდებობაზე;

მუხლი 1.2 – დასაქმებულის შრომითი და თანამდებობრივი უფლება მოვალეობები (შესასრულებელი სამუშაო) განსაზღვრულია კომპანიის შინაგანაწესში და განერილია დანართი №1-ში, რაც წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;

მუხლი 1.3 – შპს „მ-ის“ შინაგანაწესი წარმოადგენს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს;

მუხლი 2 – დასაქმებული ვალდებულია: 2.1. დაიცვას ხელშეკრულების პირობები და დამსაქმებლის უფლებამოსილი პირის მიერ გამოცემული დასაქმებულის მიერ შესასრულებელი სავალდებულო ნორმები; 2.2. უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალის-

წინებული შესასრულებელი სამუშაოს კვალიფიციური და კეთილ-სინდისიერი შესრულება, აგრეთვე ხელშეკრულებით მასზე ნაკის-რი უფლება-მოვალეობების შესრულებისას დაიცვას კომპანიის წესდება, შინაგანანების და შიდა ადმინისტრაციული აქტების მოთხოვნები; 2.4. უზრუნველყოს შრომითი და საშემსრულებლო დის-ცილინის დაცვა შინაგანანების მოთხოვნათა შესაბამისად, აგრეთვე შეასრულოს თანამდებობით (დანართი №1) გათვალისწინებული სამუშაო; მუხლი 2.5. არ დაუშვას ისეთი ქმედება, რომელიც შეაფერხებს დამსაქმებლის მუშაობას, შელახავს მის ავტორიტეტს, კომპანიას მიაყენებს მატერიალურ და მორალურ ზიანს; მუხლი 2.6. მზრუნველობით მოეპყრას დამსაქმებლის ქონებას და მიიღოს ყველა ზომა ზიანის თავიდან ასაცილებლად. მას სრული ინდივიდუალურ მატერიალური პასუხიმგებლობა ეკისრება კომპანიის იმ ქონებაზე (ტექნიკური ან სხვა საშუალებებზე), რომელიც მასზეა გადაცემული სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მიზნით; მუხლი 2.9. ინდივიდუალურად (პირადად) უზრუნველყოს დამსაქმებლისათვის იმ მატერიალური ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა დასაქმებულის მოქმედებით ან მისთვის მიბარებული ქონების განადგურებით; მუხლი 4.1 – ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს კანონით ან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

5.2.3. ამავე ხელშეკრულების დანართი №1-ის თანახმად (შპს „მ-ის“ სერვისცენტრის მენეჯერის სამუშაო ადგილის აღნერილობა/თანამდებობრივი ინსტრუქცია):

1. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით და დამხმარე საშუალებებით აგრარულ სფეროში დასაქმებულ სუბიექტებთან მომსახურების ხელშეკრულების გაფორმება;

2. ბრიგადის მენეჯერებისა და ტექნიკის ოპერატორების მიერ ტექნიკური უსაფრთხოების ზომების დაცვის ზედამხედველობა;

3. იკისროს უშუალო პასუხიმგებლობა ბრიგადის მენეჯერებთან ერთად კონტრაქტორი სუბიექტების მიერ მომსახურებისთვის დაწესებული საფასურის დროულად გადახდის ორგანიზებასა და დადგენილი წესით გადახდილი ან გადასახდელი საფასურის კომპანიის საბანკო ანგარიშზე აკუმულირებისათვის;

4. უზრუნველყოფს მენეჯერებისა და ტექნიკის ოპერატორების მიერ ტექნიკური უსაფრთხოების ზომების დაცვის ზედამხედველობას;

5. აგროსერვისული და საფინანსო-საბუღალტრო სამსახურისათვის მათ დაქვემდებარებაში მყოფი ბრიგადის მენეჯერების მიერ განეულ საქმიანობაზე პერიოდული საქმიანობის წარდგენა;

6. ახორციელებს კომპანიის სახელით კლიენტებისთვის განე-

ულ მომსახურებაზე შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმების და სამუშაოების დროულად და ხარისხიანად ჩატარების კონტროლს;

7. სხვადასხვა სანარმოებისა და ორგანიზაციების, იურიდიული და ფიზიკური პირების მოთხოვნილების დადგენა შპს-ს პროფილით საქმიანობასთან დაკავშირებით, მათთან სამეურნეო კავშირების დამყარება და საქმეში ხელშეწყობა;

8. ბრიგადის მენეჯერების მუშაობაზე აგროსერვისული მომსახურეობის სამსახურთან ერთად კონტროლის განხორციელება და სამუშაოთა აღრიცხვა/ანალიზი, მათი სამოქმედო გეგმის ანალიზი;

9. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განახლების ხელშეწყობისათვის მექანიზაციისა და ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად წინადადებების მომზადება;

10. შეადგინოს საშუალო ვადიანი გეგმა შესაბამის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებში მომსახურების განვის ან სამუშაოების შესრულების შესახებ;

11. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სტანდარტებისა და დადგნილი რეგლამენტის შესაბამისად მოვლასა და შენახვაზე ზედამხედველობის განხორციელება;

12. სხვა ვალდებულებების შესრულება, რაც დაკავშირებული იქნება დაქვემდებარებული სერვის-ცენტრის მართვასთან, რეგიონალური სერვის ცენტრების კოორდინაციორის, აგროსერვისული სამსახურის უფროსის და კომპანიის დირექტორის მითითებების შესაბამისად.

5.2.4. შპს „მ-ის“ ბალანსზე რიცხულ და სარგებლობაში არსებულ ავტომანქანებზე მატერიალური პასუხისმგებელი პირებისა და საწვავის ყოველთვიური ლიმიტის განსაზღვრის შესახებ შპს „მ-ის“ დირექტორის 2016 წლის 01 თებერვლის №12ა ბრძანებით დამტკიცდა შპს „მ-ის“ ბალანსზე რიცხულ და სარგებლობაში არსებულ ავტომანქანებზე მატერიალური პასუხისმგებელი პირები წინამდებარე ბრძანების დანართი №1-ის შესაბამისად და საწვავის ლიმიტი დანართი №2-ის შესაბამისად. აღნიშნულის თანახმად კი დადგენილია, რომ 13 ერთეულ MITSUBISHI L 200 მოდელის ავტომანქანზე მატერიალურ პასუხიმგებელ პირებად განისაზღვრნენ უშუალოდ სერვის-ცენტრის მენეჯერები, მათ შორის ა-ს სერვის ცენტრზე გამოყოფილ ავტომანქანზე მოცემული სერვის ცენტრის მენეჯერი – ი. ტ-ვა, რომლის სახელზეც გაიცემოდა საწვავიც.

5.2.5. შპს „მ-ის“ დირექტორის 2016 წლის 02 ივნისის №52 ბრძანებით – შპს „მ-ის“ 2015 წლის 16 ნოემბრის №81 ბრძანების შესაბამისად, შექმნილი საინვენტარიზაციო კომისიის სხდომის ოქმის

(24.12.2015წ.) თანახმად, ინვენტარიზაციის შედეგად სერვის-ცენტრში გამოვლენილი ნაკლოვანებების გამო, კომპანიის შინაგანა-ნების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამი-სად, ი. ტ-ვას გამოეცხადა შენიშვნა.

5.2.6. შპს „მ-სი“ მომუშავე თანამშრომლებს 2016 წელს წახალი-სების მიზნით მიეცათ პრემია შობის ბრწყინვალე და აღდგომის დღესასწაულებთან დაკავშირებით.

5.3. სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა სარჩელთან მიმართებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითებულ სა-მართლებრივ შეფასებებს და დამატებით მიუთითა შემდეგი:

5.3.1. 2016 წლის 01 ივნისის ბრძანების 1-ლი პუნქტის თანახ-მად, მოსარჩელე შპს „მ-სი“ ა-ს სერვის-ცენტრის მენეჯერ ი. ტ-ვას დაეკისრა ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზიანებული ავტო-მობილის MITSUBISHI L200, სახ ... აღდგენის ხარჯები, ხოლო მე-3 პუნქტის მიხედვით, ი. ტ-ვა გათავისუფლდა დაკავებული თანამ-დებობიდან საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირვე-ლი ნაწილის „ზ“ პუნქტისა და კომპანიის შინაგანანების მე-2 მუხ-ლის „ე“-„გ“ ქვეპუნქტების, მე-9 მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტები, შრომის ხელშეკრულების მე-2 პუნქტის 2.5. და 2.6. ქვეპუნქტების საფუძველზე.

5.3.2. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრო-მის კოდექსის“ 44-ე მუხლის თანახმად, შრომითი ურთიერთობისას მხარის მიერ მეორე მხარისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურ-დება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილე-ბელია მხარეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევისა, რო-ცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (ფელიქტის), უსა-ფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა სა-ფუძვლებიდან.

5.3.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ პირი სატრანსპორტო საშუალებას იყენებს მფლობელის ნებართვის გარეშე, იგი ვალდებულია, მფლობელის ნაცვლად აანაზღაუროს ზიანი. ამასთან, მფლობელი ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი, თუ სატრანსპორტო საშუალე-ბის გამოყენება შესაძლებელი გახდა მისი ბრალის გამო. ამ ნაწი-ლის პირველი წინადადება არ გამოიყენება, თუ მოსარგებლე მფლო-ბელის მიერ დანიშნულია სატრანსპორტო საშუალების სამართა-ვად ან, თუ ეს სატრანსპორტო საშუალება მას გადაცემული ქონდა მფლობელისაგან.

5.3.4. უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული ერთგვა-

როვანი პრაქტიკის თანახმად, სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლით გათვალისწინებულ გამორნაკლისს საფუძვლად უდევს ის გარემობა, რომ სატრანსპორტო საშუალება პოტენციური საფრთხის წყაროა და მისი მოხმარება განაპირობებს შედარებით მაღალი ხარისხით საზიანო შედეგების მიღების შესაძლებლობას, ვიდრე სხვა ჩვეულებრივი საქმიანობისას. ავტოსატრანსპორტო საშუალების ამგვარი თვისების გამო იგი მომეტებული საფრთხის წყაროდაა მიჩნეული და, მიუხედავად იმისა, რომ მისი მოხმარება სამართლებრივად წებადართულია, პასუხისმგებლობა მომეტებული საფრთხის წყაროდან მომდინარე ზიანისათვის, ჩვეულებრივ, სამოქალაქო-სამართლებრივ პასუხისმგებლობასთან შედარებით უფრო მკაცრია – ზიანის ანაზღაურების ვალდებულება მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელს ბრალის მიუხედავად ეკისრება. აღნიშნული გამოწვეულია იმ მატერიალური ობიექტების ფლობითა და სარგებლობით (ექსპლუატაციით ან ნებისმიერი ფორმით მისი გამოყენებით), რომელსაც განსაკუთრებული ხარისხობრივი თვისება აქვთ და ადამიანის მხრიდან მასზე სრული კონტროლის დამყარება შეუძლებელია (იხ. სუსგ №ას-494-463-2010, 9 ნოემბერი, 2010 წელი).

5.3.5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, სატრანსპორტო საშუალების მფლობელად მიიჩნევა პირი, ვინც იურიდიული საფუძვლით ახორციელებს ამ ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას. განსახილველ შემთხვევაში კი შპს „მ-ის“ დირექტორის 2016 წლის 01 თებერვლის №12ა ბრძანების საფუძველზე, პალატას დადგენილად მიაჩნია, რომ საწარმოს ბალანსზე რიცხული და სარგებლობაში არსებული MITSUBISHI L 200 მოდელის ავტომანქანებზე მატერიალურ პასუხიმგებელ პირად ას სერვის ცენტრში განისაზღვრა ამავე ცენტრის მენეჯერი – ი. ტვა. ალსანიშვანია, რომ მის სახელზევე იწერებოდა საწვავიც.

5.3.6. მხარეთა შორის სადავო არაა ის გარემოება, რომ რ. ტ-ვამ შპს „მ-ის“ კუთვნილი სამსახურებრივი MITSUBISHI-L200 მარკის ავტომანქანის მართვისას დაარღვია საგზაო მოძრაობის წესები და მოახდინა ავტოსაგზაო შემთხვევა, რამაც გამოიწვია ავტომანქანის დაზიანება. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დასტურდება, რომ ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზიანებული ავტომანქანის აღდგენის ფასი, საბაზრო ფასების გათვალისწინებით, საორიენტაციოდ შეადგენს – 8060 ლარს.

5.3.7. საქმეში წარმოდგენილი უდავო სახის მტკიცებულების – შრომითი ხელშეკრულების თანახმად, ი. ტ-ვა ვალდებულია: მზრუნველობით მოეპყრას დამსაქმებლის ქონებას და მიიღოს ყველა ზომა ზიანის თავიდან ასაცილებლად. მას სრული ინდივიდუალურ მა-

ტერიალური პასუხიმგებლობა ეკისრება კომპანიის იმ ქონებაზე (ტექნიკაზე ან სხვა სამუალებებზე), რომელიც მასზეა გადაცემული სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მიზნით (მუხლი 2.6); ინდივიდუალურად (პირადად) უზრუნველყოს დამსაქმებლისათვის იმ მატერიალური ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა და-საქმებულის მოქმედებით ან მისთვის მიბარებული ქონების განადგურებით (მუხლის 2.9).

5.3.8. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ დამდგარ ზიანზე პასუხისმგებელი სუბიექტია სწორედ ო. ტ-ვა, რადგან მან საკუთარი გაუფრთხილებელი ქმედებით ვერ უზრუნველყო მის მფლობელობაში არსებული სატრანსპორტო საშუალების სათანადო დაცვა. აღსანიშნავია ის, რომ საქმეში წარმოდგენილი შრომითი ხელშეკრულებებიდან ირკვევა, რომ რ. ტ-ვა შპს „მ-სი“ დასაქმებული იყო ჯერ მეეზოვედ, ხოლო შემდგომში ბრიგადის ტექნიკის ოპერატორის თანამდებობაზე. ამდენად, მის ფუნქციებში არ შედიოდა მის მიერ დაზიანებული ავტომობილით სარგებლობა. შესაბამისად, ო. ტ-ვამ სამსახურის აეტომობილი სარგებლობაში გადასცა არაუფლებამოსილ პირს. ამასთან, პალატა მიუთითებს, რომ როდესაც მფლობელის ნების საფუძველზე მოსარგებლისათვის გადაცემული სატრანსპორტო საშუალება, ასეთ შემთხვევაში, პასუხისმგებლობა მაინც ეკისრება სატრანსპორტო საშუალების მფლობელს, მიუხედავად იმისა, მის მიერ მიყენებულია თუ არა ზიანი.

5.3.9. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო აანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება.

5.3.10. ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ო. ტ-ვას სწორად დაეკისრა სანარმოსთვის მიყენებული ზიანის აანაზღაურების ვალდებულება, რის გამოც არ არსებობს გასაჩივრებული ბრძანების ამ ნაწილში ბათილად ცნობის საფუძვლები.

5.3.11. საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ პუნქტის თანახმად დამსაქმებელს მინიჭებული აქვს უფლებამოსილება შრომითი ხელშეკრულების პირობების უხეში დარღვევის საფუძველზე შრომითი ხელშეკრულება შეუწყვიტოს დასაქმებულს. სახელდობრ, მითითებული ნორმის თანახმად შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია დასაქმებულის მიერ მისთვის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან კოლეგიური ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევა. შესაბამისად, სამსახუ-

რიდან გათავისუფლების მართლზომიერების შეფასების მიზნით, დადგენილ უნდა იქნეს დასაქმებულის მიერ მასზე დაკისრებული ვალდებულებების უხეში დარღვევის ფაქტი. ამ მიმართებით, პალატა ყურადღებას ამახვილებს შრომის კოდექსის ჩანაწერზე მასზედ, რომ დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია არა ვალდებულების დარღვევა, არამედ ვალდებულების უხეში დარღვევა, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სამსახურიდან დათხოვნის მართლზომიერების მიზნით შეფასებულ უნდა იქნეს სამსახურებრივ მოვალეობათა შეუსრულებლობის ფაქტი, დარღვევის ხარისხი, დარღვევის სიხშირე, დასაქმებულის ბრალეულობა, ასევე ის სამართლებრივი შედეგები, რაც დარღვევას მოჰყვა.

5.3.12. ი. ტ-ვასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების თანახმად, საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის დებულების შესაბამისად შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლებია: ზ) დასაქმებულის მიერ მისთვის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანანესით დაკისრებული ვალდებულებების უხეში დარღვევა (მუხლის 8.2); ამავე ხელშეკრულების თანახმად, დისციპლინური პასუხისმგებლობის შეფარდების საფუძვლებია: ე) დაწესებულებისათვის შეგნებულად ან დაუდევრობით შატერიალური/ქონებრივი ზიანის მიყენება/განადგურება ან არსებითი ზიანის წარმოშობის საფრთხის შექმნა (ზიანი მიადგა დასაქმებულზე მიმაგრებულ ან/და მის დროებით სარგებლობაში გადაცემული მატერიალური ღირებულების მქონე ქონებას ან/და სახეზე შესაბამისი ქონების დაზიანების ან/და განადგურების ფაქტი; ზ) შრომის დისციპლინის დარღვევა (მუხლის 9.2); ხოლო დისციპლინური დარღვევისათვის კომპანიაში დასაქმებული პირის მიმართ, მის მიერ ჩადენილი დარღვევის სიმბიმის და ჩადენის გარემოებების გათვალისწინებით, შეიძლება გამოყენებული იქნეს დისციპლინური პასუხისმგებლობის შემდეგი ზომები: ... ვ) სამუშაოდან დათხოვნა/შრომითი ხელშეკრულების მოშლა, კანონით დადგენილი წესით და შემთხვევაში (მუხლი 9.1).

5.3.13. საქმის მასალებიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ, გაიზიარა პირველი ინსტანციის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და დადგენილად მიაჩნია, რომ ინვენტარიზაციის შედეგად სერვის-ცენტრში გამოვლენილი მთელი რიგი დარღვევები, რაც გამოიხატა იმაში, რომ საწარმოს ტერიტორიაზე ვერ იქნა ნანახი საწარმოს გარკვეული სახის სამეურნეო ტექნიკა, ამავე საწარმოს ტექნიკით ზედმეტად ხდებოდა სხვადასხვა პირების მიწის ფართების დამუშავება, რაც დაფიქსირებული იქნა ჯიბიეს მონიტორინგის მიერ, სრულად არ ხდებოდა საწარმოსათვის ასა-

ნაზღაურებელი ხვნის ღირებულების გადახდა. ამასთან, ი. ტ-ვამ ხელი შეუშალა ინვენტარიზაციის მიზნით მისულ ინსპექტორებს მუშაობაში, კერძოდ, გამოვლენილ დარღვევებზე ახსნა განმარტებების მიცემაში. შემდგომში კი საერთოდ მიატოვა ისინი საწარმოს ტერიტორიაზე, რითაც არ დაემორჩილა ხელმძღვანელობის მითითებას ხელი შეეწყო ინპექტორებისათვის ინვენტარიზაციის ჩატარების ჩატარებაში. აღსანიშნავია, რომ ი. ტ-ვა იყო საწარმოს მენეჯერი, შესაბამისად, ის როგორც კარგი მენეჯერი პირველ რიგში უნდა ყოფილიყო დაინტერესებული ინვენტარიზაციით და მისი შედეგებით. პალატას მიაჩნია, რომ შან სათანადოდ არ შეასრულა მასზე დაკისრებულ მოვალეობები, რისი შესრულებაც დადგენილია, რომ მას ევალებოდა შინაგანაწესით და სამსახურებრივი ფუნქციებით. მოსარჩელის მითითება იმის თაობაზე, რომ მისი მხრიდან დარღვევებს ადგილი არ ჰქონია, გაზიარებული ვერ იქნება, რადგან აღნიშნული გარემოებები დასტურდება საქმეში არსებული მოხსენებით ბარათებით, სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხული პირების – შპს „მ-ის“ პროცედურებისა და ინსპექტორების განყოფილების მთავარ ინსპექტორ დ. კ-სა და შიდა აუდიტის განყოფილების აუდიტ გ. ხ-დის ჩვენებებით და გაფრთხილების ბრძანებით. დადგენილია, რომ მოსარჩელე იყო მენეჯერი, შესაბამისად, მისი ფუნქცია იყო ზედამხედველობა გაენია სერვის-ცენტრის გამართული მუშაობისათვის, რაც მას არ შეუსრულებია. პირიქით, მისი არაეფექტური ხელმძღვანელობის პირობებში, ზიანი მიადგა დამსაქმებლის ინტერესებს, მათ შორის ქონებრივსაც.

ი. ტ-ვას მიერ ჩადენილი დარღვევის ხარისხის შეფასების მიზნით, პალატა მიზანშენონილად მიიჩნევს, ყურადღება გაამახვილოს მის მიერ დაკავებული პოზიციის სპეციფიკაზე, რაც პოზიციის მენეჯერულ ხასიათში ვლინდება, ასევე იმ პასუხისმგებლობაზე, რომელიც მითითებულ პოზიციაზე დასაქმებულ პირს მოეთხოვებოდა.

5.3.14. განსახილველ შემთხვევაში, პალატამ მიიჩნია, რომ სახეზე ხელშეკრულების, შრომის შინაგანაწესისა და მენეჯერის სახელმძღვანელოთი განვითარილი ქცევის იმ სტანდარტების დარღვევა, რაც დასაქმებულის მიმართ დამსაქმებლის ნდობას აქარნყოდებს, სახელდობრ, მოცემულ შემთხვევაში, საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებით – შპს „მ-ის“ პროცედურებისა და ინსპექტირების განყოფილების მთავარ ინსპექტორ დ. კ-სა და შიდა აუდიტის განყოფილების აუდიტ გ. ხ-დის მიერ შედგენილი მოხსენებითი ბარათისა და აღნიშნულ პირთა მოწმის სახით დაკითხვისას მიცემული ჩვენებებით დადგენილია, რომ ა-ს სერვის-ცენტრში სერვის-ცენტრზე რიცხული ტექნიკური საშუალებებისა და ექ-

სპლუატაციის პირობების და განკარგვის მდგომარეობის შემოწმებისას გამოვლენილ იქნა სერიოზული დარღვევები, ამასთან დაფიქსირებულ იქნა შემოწმების ჩამტარებელი პირებისათვის შემოწმების ჩატარებაზე ხელშეშლის ფაქტი, ნაცვლად იმისა, რომ მოეხდინა ასეთზე ხელშეწყობა, რაც შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში შრომის არსებითი პირობის დარღვევას წარმოადგენს, მით უფრო მაშინ, როდესაც მითითებულ გადაცდომას მენეჯერი ჩადის, რომელსაც უპირველესად მოეთხოვება ისეთი ქმედების თავიდან აცილება, რაც შეაფერხებს დაწესებულების მუშაობას და შელახავს მის ინტერესებს.

პალატა ასევე განმარტავს, რომ ესა თუ ის ქმედება, ცალკე აღებული, მნიშვნელოვან დარღვევას შეიძლება არ წარმოადგენდეს, აღნიშნული ქმედება საზოგადოების თვალში შეიძლება გასაკიცხიც არ იყოს, უფრო მეტიც, ქმედება, თავისი არსით, შეიძლება საზოგადოების მონონებასაც კი იმსახურებდეს, თუმცა, პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ შრომის ხელშექრულების დარღვევის კონტექსტში, დასაქმებულის ქმედების განსჯა, მისი შეფასება და სანქცირება დამსაქმებლის გადასახედიდან, მის ინტერესებში და, რაღაც თქმა უნდა, სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით მოწმდება. ამ მიმართებით დგინდება, თუ რა თავისებურებით ხასიათდება ყოველი კონკრეტული სამუშაო, რა პრიორიტეტები აქვს დამსაქმებელს, რა დონის დისციპლინას მოითხოვს შესასრულებელი სამუშაო, რა სახის უარყოფით შედეგებთან არის დაკავშირებული ესა თუ ის დარღვევა და ა. შ.

განსახილვები შემთხვევაში, ი. ტ-ვას მიერ ჩადენილი გადაცდომების ხასიათის, მისი თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების და დამსაქმებელი ორგანიზაციის ინტერესების გათვალისწინებით, პალატას მიაჩნია, რომ დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლება და დამსაქმებლის მხრიდან ადეკვატურ, გონივრულ და პროპორციულ ღონისძიებას წარმოადგენდა, აღნიშნული კი გამორიცხავს სამუშაოდან გათავისუფლების ბრძანების გაუქმების, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

5.3.15. ზემოაღნიშნული მსჯელობების თანახმად, საპელაციო პალატამ დაასკევნა, რომ ი. ტ-ვას სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება კანონიერია და იგი უცვლელად უნდა იქნეს დატოვებულა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 386-ე მუხლის შესაბამისად, თუ სააპელაციო საჩივარი დასაშვებია და საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უბრუნდება, სააპელაციო სასამართლო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას საქმეზე. იგი თა-

ვისი განჩინებით უარს ამბობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე ან გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით იღებს ახალ გადაწყვეტილებას საქმეზე.

5.3.16. განსახილველ შემთხვევაში იმის გათვალისწინებით, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ ი. ტ-ვას სასარჩელო მოთხოვენების დაკმაყოფილებაზე უარის თქმით კანონიერი გადაწყვეტილება მიიღო, პალატა მიიჩნია, რომ აღნიშნული გარემოება, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 386-ე მუხლის თანახმად ი. ტ-ვას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმითა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების საფუძველია.

5. საკასაციო საჩივრი:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 28 იანვრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

5.1. საკასაციო საჩივრის საფუძვლები:

5.1.2. კასატორი არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს შეფასებებს და განმარტა, რომ გადაწყვეტილება საკმარისად არ არის დასაბუთებული და დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ შეუძლებელი მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება.

კასატორის განმარტებით, ქუთაისის სააპელაციო საამართლომ ავტომანქანის დაზიანებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების დასაბუთებისას იდენტურად გაიმეორა ის შეცდომები რაც სენაკის რაიონულმა სასამართლომ დაუშვა ზოგიერთი ნორმის გამოყენებისა და საქართველოს უზენაესი სასამართლო პრაქტიკის არასწორად განზოგადებისას. სააპელაციო სასამართლომ მისი განჩინების 4.6.-4.17 პუნქტებში მოიყენა სამართლებრივი მსჯელობები, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები და განმარტებები რომელიც ეხება სატრანსპორტო საშუალების მფლობელის მიერ მესამე პირის მიერნებული ზიანის მესაკუთრის მიერ ანაზღაურების გალდებულებას. ეს მსჯელობა სწორი იქნებოდა ასეთ გარემოებასთან რომ გვერდეს საქმე, თუმცა ჩვენ ვიხილავთ ავტომანქანით როგორც მომეტებული საფრთხის მატარებელი ნივთით არა მესამე პირისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების შემთხვევას, არამედ სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში, გადაცემული ნივთის დაზიანების გამო ზიანის ანაზღაურების სამართლებრივ საფუძვლებს, რაც აბსოლუტურად სხვადასხვა სამართლებრივი ნორმებით რეგულირდება, კერძოდ: სასამართლომ სამართლებრივ შეფასებაში დაუშვა უსწორობები, კერძოდ არ გამოიყენა კანონი რომელიც უნდა გამოიყენებინა და გამოყენებული

კანონი არასწორად განმარტა.

5.1.3. კასატორი მიუთითებს, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა გასაჩივრებული ბრძანების პირველი პუნქტი, რომელიც შეიცავს ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზიანებული ავტომობილის აღდგენის ხარჯების ი.ტ-ვასთვის დაკისრებას, გულისხმობს ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას და სამართლებრივად მოწესრიგებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმებით, თუმცა სასამართლოს ავინყდება, რომ აღნიშნული ურთიერთობები საქართველოს ორგანული კანონით შრომის კოდექსითაც რეგულირდება, რომლის 45-ე მუხლი წერილობითი ფორმით შესრულებულ ორმხრივ შეთანხმებას ითხოვს მატერიალური პასუხისმგებლობისთვის. სასამართლო ასკვნის, რომ შპს „მ-ის“ საკუთრებაში არსებული მანქანა რომელსაც მართავდა რ. ტ-ვა და ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზიანდა მატერიალური პასუხისმგებლობით ჰქონდა ჩაბარებული ი. ტ-ვას, შესაბამისად სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად იგია ვალდებული ანაზღაუროს შპს მ-ისთვის მიყენებული ზიანი. ნორმის სასამართლოსმიერი განმარტება არასწორია, ვინიდან ეს მსჯელობა ეხება მესაკუთრის, მფლობელის და მოსარგებლის პასუხისმგებლობის განაწილების საკითხს სატრანსპორტო საშუალებით როგორც მომეტებული საფრთხის მქონე ობიექტით მესამე პირებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას, ჩვენს შემთხვევაში მესამე პირების მიმართ რაიმე სახის ზიანი არ დამდგარა, ავტომანქანა გადავიდა გზიდან და ჩავარდა თხრილში, შესაბამისად დაზიანდა მხოლოდ მესაკუთრის ქონება. როგორც თავად სასამართლო აღნიშნავს ი. ტ-ვა, რ. ტ-ვა და შპს მექანიზატორი შრომით სახელშეკრულებო ურთიერთობებში იმყოფებოდნენ ერთმანეთთან, შესაბამისად მესაკუთრის ქონების დაზიანების საკითხი განხილული უნდა იქნეს სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ფარგლებში, რასაც სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლი კიარა ამავე კოდექსის 108-ე და 992-ე მუხლები არეგულირებს.

5.1.4. კასატორი დამატებით აღნიშნავს, რომ გასაჩივრებულ განთავისუფლების ბრძანებაში – მის მესამე პუნქტში ნათლად არის მითითებული, რომ ი. ტ-ვას სამსახურიდან განთავისუფლების საფუძველს წარმოადგენს შპს „მ-ის“ 2016 წლის 29 ივნისის №181 16/26 ბრძანებით ა-ს სერვისცენტრში მივლინებულ უფლებამოსილი ჯგუფისთვის დავალების შესრულებში დაბრკოლების შექმნა, კომპანიის ხელმძღვანელი პირების სიტყვიერი განკარგულების შესრულებლობა და გამოვლენილი უხეში დარღვევები, რომელიც ასახულია პროცედურებისა და ინსპექტირების განყოფილების მთა-

ვარი სპეციალისტის დ. კ-ის და აუდიტორის ხ-ბის 2016 წლის 1 ივნისს შედგენილ მოხსენებით ბარათში. პირველ რიგში აპრიორად უნდა ითქვას რომ თავად განთავისუფლების ბრძანების შინაარსი-დან გამომდინარე ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად რ. ტ-ვას მიერ სატრანსპორტო საშუალების დაზიანების ფაქტი არაფერ შუაშია ი. ტ-ას განთავისუფლებასთან.

განთავისუფლების აღნიშნული ფაქტობრივ საფუძველს წარმოადგენს მხოლოდ დ. კ-ის და ხ-ბის 2016 წლის 1 ივნისს შედგენილ მოხსენებით ბარათში მოცემული გარემოებები. აღნიშნულ მოხსენებით ბარათში ვერსად ვერ ვნახავთ დასკვნებს და მსჯელობებს ი. ტ-ვასთვის გადაცემული ქონების განადგურების, დაზიანების ან დაკარგვის თაობაზე, ამასთან მოხსენებითი ბარათის დასკვნით ნანილში აღნიშნულია, რომ საჭიროა გატარდეს შესაბამისი ზომები ს-თან არსებული გარკვეული ქონების დასაბრუნებლად და საჭიროა საწარმოს ქონების ჰერიოდული შემოწმება მსგავსი პრეცენდენტის თავიდან ასაცილებლად.

ერთი მხრივ, თავად აღნიშნული მოხსენებითი ბარათი არ იძლევა რაიმე ისეთი სახის დარღვევებზე მითითებას, რომელიც შრომის შიდა განაწესის ზემოთ მითითებული მუხლების შემადგენლობას მოგვცემდა და მეორეც, ი. ტ-ვა არ ეთანხმება აღნიშნულ მოხსენებით ბარათში მოყვანილ გარემოებებს, შესაბამისად ასეთის არსებობის მტკიცების ტვირთი ეკისრება დამსაქმებელს, რომელსაც არცერთი სახის კონკრეტული მტკიცებულება არ ნარმოუდგენია მოხსენებით ბარათში მითითებული ფაქტობრივი გარემოების დასაბასტურებლად, თუნდაც მესამე პირების ახსნა-განმარტებები, მტკიცებულებები რომლითაც დასტურდება რომ ი. ტ-ვას როგორც მატერიალურ პასუხისმგებელ პირს მიღება-ჩაბარების აქტით გადაეცა ესა თუ ის ქონება და ასე შემდეგ. ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული ბრძანება არის დაუსაბუთებელი და უკანონო როგორც სამართლებრივი ასევე ფაქტობრივი თვალსაზრისით. ყოველივე ზემოთ აღნიშნული ცხადყოფს, რომ ი. ტ-ვას არანაირი შრომითი ხელშეკრულება და შიდა განაწესით გათვალისწინებული ვალდებულებები არ დაურღვევია. მოპასუხე ვერ ადასტურებს და ვერ ასაბუთებს ასეთის არსებობას. იგი უთითებს შრომის ხელშეკრულების და შიდა განაწესის ისეთი მუხლების დარღვევაზე, რომელსაც საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ დასტურდება.

6. საკასაციო სამართალნარმოების ეტაპი:

6.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 25 აპრილის განჩინებით წარმოებაში იქნა მიღებული ი. ტ-ვას საკასაციო საჩივარი სამოქალაქო საპროცე-

სო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამონმებლად.

6.2. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს მოწინააღმდეგ მხარის საკასაციო შესაგებელში დაფიქსირებულ პოზიციაზე უფლებამონაცვლეობის დადგენის თაობაზე, კერძოდ მოწინააღმდეგ მხარემ განმარტა, რომ შპს „მ-ს“ (ს.კ ...) შეცვალა სახელწოდება და ეწოდება შპს „ს.მ.ლ. და ს.კ-ა“. საკასაციო პალატა ხელმძღვანელობს მხარის მიერ წარმოდგენილი ამონაწერებით მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან და აღნიშნავს შემდეგს:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად სადაც ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევაში (მოქალაქის გარდაცვალება, იურიდიული პირის რეორგანიზაცია, მოთხოვნის დათმობა, ვალის გადაცემა და სხვა) სასამართლო დაუშვებს ამ მხარის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ იურიდიული პირის მიერ მხოლოდ სახელწოდების შეცვლა არ წარმოადგენს რეორგანიზაციის ფორმას, ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, სახეზე არ არის უფლებამონაცვლეობის დასადგენად საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული წინაპირობა.

6.3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 17 თებერვლის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მტკიცებულებათა ერთობლივად გაანალიზებისა და საკასაციო საჩივარის იურიდიული დასაბუთებულობის არსებითად განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ მოსარჩელის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

7. სსსკ-ის 410-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო არ დააქმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: а) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა ან გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

სსსკ-ის 407.2 მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალ-

დებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია. დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსა-მართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით, არ წარმოუდგენია დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

განსახილველ შემთხვევაში, დავა შეეხება შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების დაკისრებას, სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობას, სამუშაოზე აღდგენას და განაცდურის ანაზღაურებას. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატის განსჯის საგანია ი. ტ-ვას სარჩელის საფუძვლიანობა და ქვემდგომი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილების (განჩინების) კანონიერება.

8. საკასაციო პალატა უპირველეს ყოვლისა ყურადღებას მიაქცევს ზიანის ანაზღაურების სამართლებრივ საფუძველზე და განიხილავს კასატორის შედაგებას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის გამოყენების საფუძვლიანობასთან მიმართებით. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის პოზიციას, რომ მოცემული შრომითსამართლებრივი დავის გადასაწყვეტად არ უნდა იქნეს გამოყენებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის დანაწესი, ვინაიდან აღნიშნული მუხლი ადგენს ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზარალებული პირის უფლებას, აინაზღაუროს მიყენებული ზიანი პირდაპირ ზიანის მიმყენებელი პირის დამსაქმებელი ორგანიზაციისგან, რაც მოცემული დავის გადასაწყვეტად არარელევანტური მოწესრიგებაა. საკასაციო პალატის მოსაზრებით, იმ პირობებში, როდესაც სააპელაციო სასამართლოს მიერ დავა არსებითად სწორად არის გადაწყვეტილი და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის გარდა, ასევე, მითითებულია საქმის გადაწყვეტილისთვის არსებითი მოწესრიგებები, ზემოაღნიშნულ საკითხთან მიმართებით კასატორის მოსაზრების მართებულობა ვერ განაპირობებს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებას.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ განსახილველ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნის საფუძვლიანობა სშკ-ის 44-ე (შრომითი ურთიერთობისას მხარის მიერ მეორე მხარი-სათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საქართველოს კანონ-

მდებლობით დადგენილი წესით), სსკ-ის 394.1 (მოვალის მიერ ვალ-დებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია, მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება), 408.1 (იმ პირმა, რომელიც ვალ-დებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მა-ვალდებულებელი გარემოება) და 409-ე (თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება) მუხლების დანაწესიდან გამომდინარეობს.

სსკ-ის 394.1 მუხლით გათვალისწინებული ზიანის დაკისრების-თვის ვალდებულების დამრღვევი უნდა მოქმედებდეს მართლსა-წინააღმდეგოდ და ბრალეულად, ხოლო, ზიანი ამგვარი ქმედების უშუალო შედეგს უნდა ნარმოადგენდეს. მართლსაწინააღმდეგო მოქმედება არამართლზომიერი მოქმედებაა. მართლსაწინააღმდე-გოდ მოქმედებს ის, ვინც არღვევს სამართლებრივ დანაწესებს, სამართლის ნორმათა მოთხოვნებს. როცა პირი არ ასრულებს ხელ-შეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, იგი მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებს. რაც შეეხება, ზიანის მიმყენებლის ქმედების ბრალეულობას, ზემოხსენებული ნორმით გათვალისწინებული პასუხის-მგებლობისას, ბრალი ივარაუდება, ამ ვარაუდის გაქარწყლების მტკიცების ტვირთი მოვალეს ეკისრება.

საქმეში წარმოდგენილი უდავო სახის მტკიცებულების – შრო-მითი ხელშეკრულების თანახმად, ი. ტ-ვა ვალდებულია: მზრუნვე-ლობით მოეპყროს დამსაქმებლის ქონებას და მიიღოს ყველა ზომა ზიანის თავიდან ასაცილებლად. მას სრული ინდივიდუალურ-მატე-რიალური პასუხიმგებლობა ეკისრება კომპანიის იმ ქონებაზე (ტექ-ნიკზე ან სხვა საშუალებებზე), რომელიც მასზეა გადაცემული სამ-სახურებრივი მოვალეობის შესრულების მიზნით (მუხლი 2.6); ინ-დივიდუალურად (პირადად) უზრუნველყოს დამსაქმებლისათვის იმ მატერიალური ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა და-საქმებულის მოქმედებით ან მისთვის მიბარებული ქონების განად-გურებით (მუხლის 2.9).

განსახილველ შემთხვევაში, შპს „მ-ის“ დირექტორის 2016 წლის 01 თებერვლის №12ა ბრძანების საფუძველზე, სააპელაციო პალა-ტამ მართებულად მიიჩნია დადგენილად, რომ სანარმოს ბალანსზე რიცხული და სარგებლობაში არსებული MITSUBISHI L 200 მოდე-ლის ავტომანქანებზე მატერიალურ პასუხიმგებელ პირად ა-ს სერ-ვის ცენტრში განისაზღვრა ამავე ცენტრის მენეჯერი – ი. ტ-ვა. აღსანიშნავია, რომ მის სახელზევე იწერებოდა საწვავიც.

მხარეთა შორის სადაც არაა ის გარემოება, რომ რ. ტ-ვამ შპს

„მ-ის“ კუთვნილი სამსახურებრივი MITSUBISHI-L200 მარკის ავტო-მანქანის მართვისას დაარღვია საგზაო მოძრაობის წესები და მო-ახდინა ავტოსაგზაო შემთხვევა, რამაც გამოიწვია ავტომანქანის დაზიანება. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დასტურდება, რომ ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზიანებული ავტომანქანის აღდგენის ფასი, საბაზო ფასების გათვალისწინებით, საორიენტაციოდ შეადგენს – 8060 ლარს.

12. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატის შეფასებით, სააპელაციო პალატამ მართებულად მიიჩნია დადგენილად, რომ დამდგარ ზიანზე პასუხისმგებელი სუბიექტია სწორედ ი. ტ-ვა, რადგან მან საკუთარი გაუფრთხილებელი ქმედებით ვერ უზრუნველყო მის მფლობელობაში არსებული სატრანსპორტო საშუალების სათანადო დაცვა. აღსანიშნავია ის, რომ საქმეში წარმოდგენილი შრომითი ხელშეკრულებებიდან ირკვევა, რომ რ. ტ-ვა შპს „მ-სი“ დასაქმებული იყო ჯერ მეეზოვედ, ხოლო, შემდგომში ბრიგადის ტექნიკის ოპერატორის თანამდებობაზე. ამდენად, მის ფუნციებში არ შედიოდა მის მიერ დაზიანებული ავტომობილით სარგებლობა. ამდენად, ი. ტ-ვამ სამსახურის ავტომობილი სარგებლობაში გადასცა არაუფლებამოსილ პირს. შრომითი ურთიერთობის ფარგლებში სწორედ მას ეკისრებოდა პასუხისმგებლობა ნივთის მართლზომიერ განკარგვაზე. აქედან გამომდინარე, ავტო-საგზაო შემთხვევის ეპიზოდში დგინდება ი. ტ-ვას, როგორც დასაქმებულის ბრალეული ქმედება.

13. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის გათვალისწინებული ზიანის დაკისრებისთვის ვალდებულების დამრღვევი უნდა მოქმედებდეს მართლსანინააღმდეგოდ და ბრალეულად, ხოლო ზიანი ამგვარი ქმედების უშუალო შედეგს უნდა წარმოადგენდეს. მართლსანინააღმდეგო მოქმედება არამართლზომიერი მოქმედებაა. მართლსანინააღმდეგოდ მოქმედებს ის, ვინც არღვევს სამართლებრივ დანაწესებს, სამართლის ნორმათა მოთხოვნებს. როცა პირი არ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, იგი მართლსანინააღმდეგოდ მოქმედებს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება.

საქმის გარემოებათა შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ ზემოაღნიშნული ავტოსატრანსპორტო საშუალება მოპასუხემ სარგებლობაში გადასცა კომპანიაში დასაქმებულ სხვა პირს, რომელმაც

ექსპლუატაციისას მანქანა დააზიანა. საკასაციო პალატის მოსაზრებით, იმ პირობებში, როდესაც მას, როგორც მენეჯერს სრულად და ამომწურავად ჰქონდა განსაზღვრული შრომითი მოვალეობები, გადასცა ავტომობილი რ. ტ-ვას, რომელსაც სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისთვის არ ესაჭიროებოდა აღნიშნული ავტომობილის მართვა. ამდენად, სწორედ მოსარჩელის მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა ავტომანების მფლობელობაში გადაცემის სამართლებრივი საფუძვლის დადასტურებაც, რაც საქმის მასალების მიხედვით არ მომხდარა.

14. ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მართებულად დაასკენა, რომ ი. ტ-ვას სწორად და შრომითი ურთიერთობით განსაზღვრული მონესრიგების შესაბამისად დაეკისრა სანარმოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, რის გამოც არ არსებობს გასაჩივრებული ბრძანების ამნილში ბათილად ცნობის საფუძვლები.

15. საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ პუნქტის თანახმად დამსაქმებელს მინიჭებული აქციულებამოსილება შრომითი ხელშეკრულების პირობების უხეში დარღვევის საფუძველზე შრომითი ხელშეკრულება შეუწყვიტოს დასაქმებულს. სახელფობრ, მითითებული ნორმის თანახმად შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია დასაქმებულის მიერ მისთვის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან კოლექტური ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევა. შესაბამისად, სამსახურიდან გათავისუფლების მართლზომიერების შეფასების მიზნით, დადგენილ უნდა იქნეს დასაქმებულის მიერ მასზე დაკისრებული ვალდებულებების უხეში დარღვევის ფაქტი. ამ მიმართებით, პალატა ყურადღებას ამახვილებს შრომის კოდექსის ჩანაწერზე მასზედ, რომ დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია არა ვალდებულების დარღვევა, არამედ ვალდებულების უხეში დარღვევა, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სამსახურიდან დათხოვნის მართლზომიერების მიზნით შეფასებულ უნდა იქნეს სამსახურებრივ მოვალეობათა შეუსრულებლობის ფაქტი, დარღვევის ხარისხი, დარღვევის სიხშირე, დასაქმებულის ბრალეულობა, ასევე ის სამართლებრივი შედეგები, რაც დარღვევას მოჰყვა.

ი. ტ-ვასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების თანახმად, საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის დებულების შესაბამისად შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლებია: ზ) დასაქმებულის მიერ მისთვის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანაწესით დაკისრებული ვალდე-

ბულებების უხეში დარღვევა (მუხლის 8.2); ამავე ხელშეკრულების თანახმად, დისციპლინური პასუხიმგებლობის შეფარდების საფუძვლებია: ე) დაწესებულებისათვის შეგნებულად ან დაუდევრობით მატერიალური/ქონებრივი ზიანის მიყენება/განადგურება ან არსებოთი ზიანის წარმოშობის საფრთხის შექმნა (ზიანი მიადგა და-საქმებულზე მიმავრებულ ან/და მის დროებით სარგებლობაში გა-დაცემული მატერიალური დირებულების მქონე ქონებას ან/და სა-ხეზეა შესაბამისი ქონების დაზიანების ან/და განადგურების ფაქ-ტი; ზ) შრომის დისციპლინის დარღვევა (მუხლის 9.2); ხოლო და-ციპლინური დარღვევისათვის კომპანიაში დასაქმებული პირის მი-მართ, მის მიერ ჩადენილი დარღვევის სიმძიმის და ჩადენის გარე-მოქების გათვალისწინებით, შეიძლება გამოყენებული იქნეს დის-ციპლინური პასუხისმგებლობის შემდეგი ზომები: ... ვ) სამუშაო-დან დათხოვნა/შრომითი ხელშეკრულების მოშლა, კანონით დაგე-ნილი წესით და შემთხვევაში (მუხლი 9.1).

16. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ მარ-თებულად გაიზიარა ქეყმდებომი ინსტანციის მიერ დადგენილ ფაქ-ტობრივი გარემოებები და დადგენილად მიაჩნია, რომ ინვენტარი-ზაციის შედეგად სერვის-ცენტრში გამოვლენილი მთელი რიგი დარ-ღვევები, რაც გამოიხატა იმაში, რომ სანარმოს ტერიტორიაზე ვერ იქნა ხანახი სანარმოს გარკვეული სახის სამურნეო ტექნიკა, ამა-ვე სანარმოს ტექნიკით ზედმეტად ხდებოდა სხვადასხვა პირების მიზის ფართების დამუშავება, რაც დაფიქსირებული იქნა ჯიპიეს მონიტორინგის მიერ, სრულად არ ხდებოდა სანარმოსათვის ასა-ნაზღაურებელი ხვნის ლირებულების გადახდა. ამასთან, ი. ტ-ვამ ხელი შეუშალა ინვენტარიზაციის მიზნით მისულ ინსპექტორებს მუშაობაში, კერძოდ, გამოვლენილ დარღვევებზე ახსნა განმარ-ტებებების მიცემაში. შემდგომში კი საერთოდ მიატოვა ისინი სა-ნარმოს ტერიტორიაზე, რითაც არ დაემორჩილა ხელმძღვანელო-ბის მითითებას ხელი შეეწყო ინსპექტორებისათვის ინვენტარიზა-ციის ჩატარებაში. აღსანიშნავია, რომ ი. ტ-ვა იყო სანარმოს მეწ-ჯერი, შესაბამისად, ის როგორც კარგი მეწჯერი პირველ რიგში უნდა ყოფილიყო დაინტერესებული ინვენტარიზაციით და მისი შე-დეგებით. პალატას მიაჩნია, რომ მან სათანადოდ არ შეასრულა მას-ზე დაკისრებულ მოვალეობები, რისი შესრულებაც დადგენილია, რომ მას ევალებოდა შინაგანაწესით და სამსახურებრივი ფუნქცი-ებით. მოსარჩელის მითითება იმის თაობაზე, რომ მისი მხრიდან დარღვევებს ადგილი არ ჰქონია, გაზიარებული ვერ იქნება, რად-გან აღნიშნული გარემოებები დასტურდება საქმეში არსებული მოხსენებითი ბარათებით, სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხული პირების – შპს „მ-ის“ პროცედურებისა და ინსპექტი-

რების განყოფილების მთავარ ინსპექტორ დ. კ-სა და შიდა აუდიტის განყოფილების აუდიტ გ. ხ-ძის ჩვენებებით და გაფრთხილების ბრძანებით. დადგენილია, რომ მოსარჩევე იყო მენეჯერი, შესაბამისად, მისი ფუნქცია იყო ზედამხედველობა გაენია სერვის-ცენტრის გამართული მუშაობისათვის, რაც მას არ შეუსრულებია. პირიქით, მისი არაეფექტური ხელმძღვანელობის პირობებში, ზიანი მიადგა დამსაქმებლის ინტერესებს, მათ შორის ქონებრივსაც.

კასატორმა საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ვერ წარმოადგინა ზემოთ აღნიშნული გარემოებების გამაბათილებელი მტკიცებულებები, ამდენად საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს ინვენტარიზაციის ეპიზოდში დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიმართ საკასაციო საჩივრში წარმოდგენილ პრეტენზიას.

17. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ წარმოდგენილ შეფასებას მენეჯერის პოზიციის სპეციფიკას-თან დაკავშირებით – განსახილველ შემთხვევაში, პალატა მიიჩნევს, რომ სახეზეა ხელშეკრულების, შრომის შინაგანაწესისა და მენეჯერის სახელმძღვანელოთი განერილი ქცევის იმ სტანდარტების დარღვევა, რაც დასაქმებულის მიმართ დამსაქმებლის ნდობას აქარნყლებს.

მოცემულ შემთხვევაში, საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებით – შპს „მ-ის“ პროცედურებისა და ინსპექტირების განყოფილების მთავარ ინსპექტორ დ. კ-სა და შიდა აუდიტის განყოფილების აუდიტ გ. ხ-ძის მიერ შედგენილი მოხსენებითი პარათისა და აღნიშნულ პირთა მოწმის სახით დაკითხვისას მიცემული ჩვენებებით დადგენილია, რომ ა-ს სერვის-ცენტრში სერვის – ცენტრზე რიცხული ტექნიკური საშუალებებისა და ექსპლუატაციის პირობების და განკარგვის მდგომარეობის შემოწმებისას გამოვლენილ იქნა სერიოზული დარღვევები, ამასთან დაფიქსირებულ იქნა შემოწმების ჩამტარებელი პირებისათვის შემოწმების ჩატარებაზე ხელშეწლის ფაქტი, ნაცვლად იმისა, რომ მოეხდინა ასეთზე ხელშეწყობა, რაც შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში შრომის არსებითი პირობის დარღვევას წარმოადგენს, მით უფრო მაშინ, როდესაც მითითებულ გადაცდომას მენეჯერი ჩადის, რომელსაც უპირველესად მოეთხოვება ისეთი ქმედების თავიდან აცილება, რაც შეაფერებს დანესებულების მუშაობას და შელახავს მის ინტერესებს.

18. პალატა ასევე განმარტავს, რომ ესა თუ ის ქმედება, ცალკე აღებული, მნიშვნელოვან დარღვევას შეიძლება არ წარმოადგენდეს, აღნიშნული ქმედება საზოგადოების თვალში შეიძლება გასაკიცხიც არ იყოს, უფრო მეტიც, ქმედება, თავისი არსით, შეიძლება საზოგადოების მოწოდებასაც კი იმსახურებდეს, თუმცა, პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ შრომის ხელშეკრულების დარღვევის

კონტექსტში, დასაქმებულის ქმედების განსჯა, მისი შეფასება და სანქცირება დამსაქმებლის გადასახედიდან, მის ინტერესებში და, რაღა თქმა უნდა, სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით მოწმდება. ამ მიმართებით დგინდება, თუ რა თავისებურებით ხასიათდება ყოველი კონკრეტული სამუშაო, რა პრიორიტეტები აქვს დამსაქმებელს, რა დონის დისციპლინას მოითხოვს შესასრულებელი სამუშაო, რა სახის უარყოფით შედეგებთან არის დაკავშირებული ესა თუ ის დარღვევა და ა. შ.

19. განსხილველ შემთხვევაში, ი. ტ-ვას მიერ ჩადენილი გადაცდომების ხასიათის, მისი თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების და დამსაქმებელი ორგანიზაციის ინტერესების გათვალისწინებით, პალატას მიაჩინა, რომ დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლება დამსაქმებლის მხრიდან ადეკვატურ, გონივრულ და პროპორციულ დონისძიებას წარმოადგენდა, აღნიშნული კი გამორიცხავს სამუშაოდან გათავისუფლების ბრძანების გაუქმების, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღლაურების თაობაზე სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

20. ზემოაღნიშნული მსჯელობების გაზიარებით პალატა მიიჩნევს, რომ ი. ტ-ვას საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განჩინება კანონიერია და იგი უცვლელად უნდა იქნეს დატოვებული.

21. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, სააპელაციო სასამართლოს დასკვნები არსებითად სწორია. ვინაიდან, კასატორმა ვერ წარმოადგინა გასაჩივრებული განჩინების დაუსაბუთებლობის დამადასტურებელი სათანადო შედავება და მტკიცებულებები, არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების კანონისმიერი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ი. ტ-ვას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელი დარჩეს ქუთასის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 28 იანვრის განჩინება;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეზღუდვები

გადაცყვაფილება საქართველოს სახელით

№ას-1232-2022

28 აპრილი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ა. წულაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მიქაბერიძე,
გ. მიქაუტაძე

დავის საგანი: პირგასამტებლოს გადახდა, უსაფუძვლოდ მიღებული თანხის დაბრუნება

აღწერილობითი ნაწილი:

1. სს „ს. ბ-მა“ სარჩელით მიმართა ხაშურის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხე თ. დ-ძის მიმართ და მოითხოვა მოპასუხისთვის პირგასამტებლოს – 20945.62 ლარის დაკისრება და მოსარჩელის-გან უსაფუძვლოდ მიღებული თანხის – 8428.38 ლარის დაპრუნების დავალება. მოპასუხემ აღიარა დასაქმების შეზღუდვის საკომპენსაციო თანხის სახით 6585.6 ლარის მიღების ფაქტი და ამ ნაწილში სასარჩელო მოთხოვნა ცნო.

2. ხაშურის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებით სს „ს. ბ-ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; თ. დ-ძეს სს „ს. ბ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა უსაფუძვლოდ მიღებული თანხის – 6585.6 ლარის გადახდა; პირგასამტებლოს დაკისრების ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

3. პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები დაადგინა:

3.1. თ. დ-ძე 2019 წლის 4 ოქტომბერიდან დასაქმებული იყო სს „ს. ბ-სი“, საცალო ბიზნესის ბანკირის პოზიციაზე. დასაქმებულის შრომის ანაზღაურება შეადგენდა 1400 ლარს. შრომითი ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ დასაქმების შეზღუდვის სპეციალურ პირობებზე, რაც ასახულია შრომითი ხელშეკრულების №3 დანართში;

3.2. მითითებული დანართის პირველი პუნქტის შესაბამისად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ხელშეკრულების ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის, მათ შორის ვადის გასვლის შემთხვევაში, დასაქმებელს ჰქონდა უფლება, საკუთარი გადაწყვეტილებით და დასაქ-

მებულისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე, შეეზღუდა დასაქმებულის უფლება, ემუშავა ფინანსურ სფეროში და/ან გაეწია საკონსულტაციო ან მსგავსი სერვისები (უშუალოდ ან მასთან დაკავშირებული პირების მეშვეობით) კონკურენტულ ფინანსურ ინსტიტუტებისთვის იმ ქვეყანაში/ქვეყნებში, სადაც ოპერირებს დამსაქმებელი და/ან მისი შეილობილი კომპანიები, შემდეგი პირობებით. იმავე დოკუმენტის 1.1. პუნქტის მიხედვით, დასაქმების სპეციალური პირობების მოქმედების ხანგრძლივობა არ უნდა ყოფილიყო 6 (ექვს) თვეზე მეტი ხელშეკრულების შეწყვეტის დღიდან. 1.3 პუნქტის თანახმად, დასაქმებულის კომპანიაციის მიზნით, დასაქმების სპეციალური პირობების მოქმედების პერიოდის ამონურვამდე, დამსაქმებელი ყოველთვიურად გადაუხდიდა დასაქმებულს თანხას მისი ყოველთვიური შრომის ანაზღაურების ოდენობით. ამასთან, ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, დასაქმებულზე არ გავრცელდებოდა დამატებითი შეღავათები, ბონუსები, კომპენსაციები და დამსაქმებელი არ განახორციელებდა დასაქმებულის ხარჯების ანაზღაურებას. დანართის 1.5 პუნქტის თანახმად, ამასთან, ხელშეკრულების ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის შემთხვევაში დასაქმებულს უნდა შეეტყობინებინა დამსაქმებელსთვის თავისი დასაქმების გეგმების და მათი ცვლილებების შესახებ მომდევნო 6 თვის განმავლობაში (მათ შორის მესამე პირის წინაშე არსებული ნებისმიერი ვალდებულებების ჩათვლით);

3.3. დანართის მე-3 პუნქტის თანახმად, დასაქმებულის მიერ გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში იგი ვალდებული იქნებოდა გადაეხადა დამსაქმებულის-თვის პირგასამტეხლო ხელშეკრულების შეწყვეტამდე 12 თვის განმავლობაში დამსაქმებლის მიერ დასაქმებულისათვის გადახდილი ნებისმიერი სახის ანაზღაურების ოდენობით (შრომის ანაზღაურების და სხვა კომპენსაციის ჩათვლით). ამასთან, აღნიშნული პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებდა დასაქმებულს დანართით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან და არ ართმევდა დამსაქმებელს ზიანის (ზარალის) ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას;

3.4. შრომითი ხელშეკრულება შეწყდა დასაქმებულის ინიციატივით 2020 წლის 30 დეკემბერს. ამავე დღეს თ. დ-ქმ დამსაქმებლისგან მიიღო წერილობითი შეტყობინება დამსაქმებლისაგან შრომითი დასაქმების შეზღუდვის დაწესების შესახებ, რომლის შესაბამისადაც დამსაქმებელმა განუმარტა მოპასუხეს, რომ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტიდან – 2021 წლის 1 იანვრიდან 6 თვის განმავლობაში ეზღუდებოდა „ს. ბ-ის“ ან/და მისი შვილობილი თუ

აფილირებული კომპანიების საქმიანობის სფეროში, მათ შორის, სა „ლ. ბ-სი“ მუშაობის უფლებას;

3.5. 2021 წლის 1 იანვრიდან მხარეთა შორის შრომითი ურთიერთობა შეწყდა და თ. დ-ქემ მუშაობა დაიწყო სააქციო საზოგადოება „ლ. ბ-სი“ ბიზნესმრჩევლად, რის შესახებაც მისი ყოფილი დამსაქმებლისთვის არ უცნობება;

3.6. თ. დ-ქემ სს „ს. ბ-თან“ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტიამდე ერთი წლის განმავლობაში დასაქმებლისგან მიიღო შრომის ანაზღაურება 20945.62 ლარის ოდენობით;

4. ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა, რომ არ დგინდებოდა თუ რა ცოდნა და კვალიფიკაცია მიიღო დასაქმების პერიოდში თ. დ-ქემ და რაში გამოიხატა მოპასუხის მიერ მიღებული ცოდნის სს „ლ. ბ-სი“ გამოყენება. სასამართლოს შეფასებით, მხოლოდ იმის აღნიშვნა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეზღუდვის შესახებ გაფრთხილების მიუხედავად, მოპასუხე მაინც დასაქმდა კონკურენტ ბანკში და მოსარჩევლისაგან ანაზღაურება მიიღო, პირგასამტებლოს მოთხოვნის ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველს არ ქმნიდა.

5. საშურის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მხოლოდ მოსარჩელემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სააპელაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა. ამდენად, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხის-თვის უსაფუძვლოდ გადაცემული თანხის სახით, 6585.6 ლარის გადახდის დაკისრების ნაწილში შესულია კანონიერ ძალაში.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 20 ივნისის განჩინებით „ს. ბ-სი“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა საშურის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება.

7. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი შეფასება.

8. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მხოლოდ დასაქმების შეზღუდვა იმ გარემოებების გაანალიზების და დასაბუთების გარეშე თუ რა ფორმით და რა სახის ზიანი შეიძლება მიაყენოს დასაქმებულმა დამსაქმებელს, დაუსაბუთებელია და მხოლოდ ცალკე აღებული უფლების გამოყენება, ისე რომ არ იქნეს გათვალისწინებული დასაქმებულისათვის მიყენებული შესაძლო ზიანი უფლების ბოროტად გამოყენებას ემსახურება (საქართველოს სამოქალაქო

კოდექსის 115-ე მუხლი). სააპელაციო პალატის მოსაზრებით, თუ გაცითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ დასაქმების შეზღუდვის ამოქმედების შემთხვევაში დამსაქმებელი დასაქმებულს უხდის მხოლოდ ხელფასის სახით მისაღებ თანხას, ხოლო დასაქმების შემთხვევაში იგი მიიღებდა დამატებით შემოსავალს (მაგალითად პონუსის სახით), ან უფრო მაღალ ხელფასს, დასაქმების შეზღუდვის გამოყენება დაუსაბუთებლად და მისი ძირითადი მიზნის გარეშე, ენინაალმდეგება კანონმდებლობას.

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 20 ივლისის განჩინება სს „ს. ბ-მა“ საკასაციო წესით გაასაჩივრა.

10. კასატორი აღნიშნავს, რომ დასაქმებულთან დადებული შეთანხმება პირგასამტებლოს განსაზღვრის თაობაზე შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსის დანაწესეს, ხოლო, მოპასუხის მხრიდან კონკურენტ დაწესებულებაში მუშაობის დაწყება მიზნევა ვალდებულების დარღვევად. ამდენად, დასაბუთებულია ბანკის მოთხოვნა პირგასამტებლოს დაკისრების შესახებ. რაც შეეხება უსაფუძვლოდ გადახდილი კომპენსაციის უკან დაბრუნებას, კასატორი მიუთითებს, რომ მოპასუხეს, გარდა დარიცხული თანხის ოდენობისა, ასევე უნდა დაეკისროს ორგანიზაციის მიერ საშემოსავლო გადასახადის სახით გადახდილი 1842.79 ლარის დაბრუნება.

11. საქართველოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 7 ოქტომბრის განჩინებით სს „ს. ბ-ის“

საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, ხოლო 2022 წლის 16 დეკემბრის განჩინებით – საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშეებად.

სამოტივაციო ნაწილი:

12. საკასაციო სასამართლო, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და საქმის მასალების გაცნობის შედეგად, მიზნევს, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაქმაყოფილდეს – გასაჩივრებული განჩინების გაუქმებით მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდება.

13. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში მთავარ სადაცვო საკითხს წარმოადგენს შრომითსამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე პირგასამტებლოს და უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების მიხედვით თანხის დაკისრების საფუძვლიანობა.

14. საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლზე, რომლის თანახმად, პირგასამტებლონ წარმოადგენს მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულ ფულად თანხას, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის. ამავე კოდექსის 418-ე მუხლიდან პირველი ნაწილიდან გამომდინარე, ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ პირგასამტებლო.

15. საკასაციო სასამართლო პირგასამტებლოს აქცესორული ბუნებიდან გამომდინარე, ყურადღებას გაამახვილებს ძირითადი ვალდებულების ნამდვილობის საკითხზე, კერძოდ, საქართველოს შრომის კოდექსის 46-ე მუხლის მესამე ნაწილის (სამართალურთიერთობის დროს მოქმედი 46-ე მუხლის მეხუთე ნაწილი), თანახმად, შრომითი ხელშეკრულებით შეიძლება, დადგინდეს დასაქმებულის ვალდებულება, შრომითი ხელშეკრულების პირობების შესრულებისას მიღებული ცოდნა და კვალიფიკაცია არ გამოიყენოს სხვა, კონკურენტი დამსაქმებლის სასარგებლოდ. ეს შეზღუდვა შესაძლებელია გამოიყენებულ იქნეს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტიდან 6 თვის განმავლობაში, იმ პირობით, რომ ამგვარი შეზღუდვის მოქმედების პერიოდში დამსაქმებელი დასაქმებულს გადაუხდის ანაზღაურებას არანაკლებ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას არსებული ოდენობით.

16. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ მხარეთა შორის შეთანხმებული იყო კონკურენციის შეზღუდვა, კერძოდ, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში და მისი შეწყვეტიდან ექვსი თვის განმავლობაში თ. დ-ძე იღებდა ვალდებულებას, ბანკში მუშაობისას მიღებული ცოდნა და კვალიფიკაცია არ გამოიყენებინა კონკურენტი ფინანსური ინსტიტუტების ან სხვა პირთა სასარგებლოდ, იმ პირობით, რომ ამგვარი შეზღუდვის მოქმედების პერიოდში დამსაქმებელი მას 6 თვის განმავლობაში გადაუხდიდა შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას არსებული ხელფასის განაკვეთის შესაბამის ანაზღაურებას. ხოლო აღნიშნული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში კი, დასაქმებულს დამსაქმებლის სასარგებლოდ დაეკისრებოდა პირგასამტებლოს გადახდა, 12 თვის ხელფასის ოდენობით. ამდენად,

17. სადაც არ არის ის გარემოება, რომ მხარეთა შორის შრომითი ხელშეკრულება შეწყდა დასაქმებულის ინიციატივით, რის შემდგომაც – ხელშეკრულების შეწყვეტიდან მეორე დღეს თ. დ-ძე დასაქმდა მოსარჩევის კონკურენტ საწარმოში – სს „ლ. ბ-სი“. ამასთანავე საგულისხმოა, რომ ხელშეკრულების შეწყვეტისას, სს „ს. ბ-მა“ შეთანხმებული პირობის თანახმად, დასაქმებულს აცნობა

კონკურენციის აკრძალვისა და ამის სანაცვლოდ შესაბამისი კომპენსაციის გადახდის თაობაზე. აღნიშნულის საპასუხოდ მოწინააღმდეგე მხარეს ყოფილი დამსაქმებლისთვის არ უცნობებია კონკურენტ ფინანსურ დაწესებულებაში დასაქმების შესახებ. ამდენად, მხარეთა შორის შეთანხმებული პირობა დასაქმებულისთვის შესაბამისი კომპენსაციის გადახდის სანაცვლოდ, კონკურენტ ფინანსურ დაწესებულებაში 6 თვის განმავლობაში დასაქმების აკრძალვის შესახებ შეესაბამება შრომის კოდექსით გათვალისწინებულ დანაწესს, ამიტომ ნამდვილია და გააჩნია შესასრულებლად სავალდებულო ხასიათი. შესაბამისად, ამავე ვალდებულების დარღვევისთვის მხარებს შეეძლოთ პირგასამტებლოს გათვალისწინებაც. საკასაციო პალატას დადგენილად მიაჩნია, რომ მოპასუხებ დაარღვია შრომის ხელშეკრულებით შეთანხმებული კონკურენციის აკრძალვის პირობა, რაც უნდა შეფასდეს ვალდებულების დარღვევად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კი, სს „ს. ბ-ის“ სასარჩელო მოთხოვნა პირგასამტებლოს დაკისრების თაობაზე საფუძვლიანია.

18. ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში წარდგენილ შესაგებელში მოპასუხე პირგასამტებლოს დაკისრების დასაბუთებულობასთან ერთად, მის ოდენობასაც ხდიდა სადავოდ და მიუთითებდა, რომ ხელშეკრულებით შეთანხმებული პირგასამტებლო შეუსაბამოდ მაღალია. სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტებლო. ამრიგად, ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად, მხარებს შეუძლიათ, გაითვალისწინონ პირგასამტებლო და განსაზღვრონ მისი ოდენობა, თუმცა თუ კი პირგასამტებლოს ოდენობა შეუსაბამოდ მაღალია, მოპასუხის მოთხოვნის საფუძველზე, სასამართლოს მინიჭებული აქვს მისი შემცირების უფლებამოსილება. „პირგასამტებლოს შემცირების საფუძველია, ერთი მხრივ, ის, რომ კრედიტორი პირგასამტებლოს მიღებით არ გამდიდრდეს და მოვალეს არ დააწვეს მძიმე ტვირთად პირგასამტებლოს გადახდა, (შესაბამისად, პირგასამტებლო არ იქცეს ერთგვარ სადამსჯელო ღონისძიებად), ხოლო მეორე მხრივ კი, – პირგასამტებლო იყოს ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი, საპირნონე და გონივრული. აღნიშნულში მოიაზრება სახელშეკრულები თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპის დაცვით პირგასამტებლოს გონივრულ ოდენობამდე შემცირება. აღსანიშნავია, რომ პირგასამტებლოს ოდენობის განსაზღვრა სასამართლოს მიერ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გარემოებათა ყოველმხრივი შეფასების შედეგად დგინდება და რაიმე გან-

სხვავებული სტანდარტი, რომელიც განაზოგადებს პირგასამტებლოს მათემატიკურ მაჩვენებელს სასამართლო პრაქტიკით არ არის დადგენილი. სასამართლომ უნდა დაიცვას ის სამართლიანი ბალანსი, რომელიც სამოქალაქო-სამართლებრივი ვალდებულების დარღვევას მოჰყვა“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 25 მარტის №ას-186-2021 განჩინება).

19. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ კონკურენციის წესის დარღვევისთვის ხელშეკრულებით განისაზღვრა პირგასამტებლო მისი სს „ს. ბ-სი“ არსებული ხელფასის 12 თვის ჯამური ოდენობით, რაც შეადგენს 20945.62 ლარს.

20. საკასაციო პალატა, ვალდებულების დარღვევის შინაარსისა და შედეგების გათვალისწინებით, გამართლებულად მიიჩნევს მოპასუხის არგუმენტაციას სასამართლოს მიერ პირგასამტებლოს შემცირებასთან დაკავშირებით, ამასთანავე, ითვალისწინებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას და ადგენს პირგასამტებლოს ოდენობის შემცირებას 2618.20 ლარის ოდენობამდე.

21. საკასაციო საჩივრის ფარგლებში, მოსარჩელე ასევე სადავოდ ხდის კონკურენციის აკრძალვის გამო გადახდილი კომპენსაციის ნაწილს მოპასუხისთვის დაკისრებაზე უარის თქმის საკითხს. საგულისხმოა, რომ მოპასუხებ მითითებული მოთხოვნის ნაწილი შესაგებლით აღიარა დარიცხული თანხიდან საშემოსავლო გადასახადის დაკავების შედეგად მიღებული თანხის ოდენობის ნაწილში. ამდენად, საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანია მითითებული საშემოსავლო გადასახადის შესაბამისი ოდენობით თანხის დაკისრების საფუძვლიანობა.

22. საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება თუ ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში. უსაფუძვლო გამდიდრების სამართლებრივი ინსტიტუტის მიზანი არის უსაფუძვლოდ და გაუმართლებლად შეძენილი ქონების დაბრუნება და ამგვარად ქონებრივი მიმოქცევის წონასწორობისა და სამართლიანობის აღდგენა. ამ მიზნით ქონებრივი შეღავათი იმ პირს უნდა დაუბრუნდეს, რომლის ხარჯზეც მოხდა სხვა პირის ქონების გაზრდა, ანუ მისი უსაფუძვლო გამდიდრება. ამ ინსტიტუტის უმთავრესი დანიშნულება არის არა ქონებრივი დანაკლისის შევსება, მაგალითად. ზიანის ანაზღაურება, არამედ ქონებ

რიცი ნამატის ამოღება, პირის თავდაპირველ ქონებრივ-სამართლებრივ მდგომარეობაში აღდგენა, ანუ გამდიდრების გათანაბრება (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 17 თებერვლის №ას-1381-2022 განჩინება). ამდენად, იმისთვის, რომ პირს უსაფუძვლო გამდიდრების ნორმის საფუძველზე დაეკისროს პასუხისმგებლობა, უცილებელი წინაპირობის სახით, სასამართლომ უნდა დაადგინოს მოპასუხის გამდიდრების ფაქტი. განსახილველ შემთხვევაში, სადაც ფულადი სახსრები მოსარჩელემ საშემოსავლო გადასახადის სახით გადახადა. მაშასადამე, აღნიშნული გადახდის შედეგად თ. დ-ძე არ გამდიდრებულა, რაც დაუსაბუთებელს ხდის საკასაციო საჩივრით სადაცოდ გამხდარი დაუკისრებელი კომპენსაციის – 1842.79 ლარის დაკისრების შესახებ მოთხოვნას. ამასთანავე, საგულისხმოა, რომ კასატორი ასრულებს საგადასახადო აგენტის ფუნქციას, რომელმაც, საგადასახადო კოდექსის მე-20 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილ შემთხვევაში და დადგენილი წესით უნდა შესარულოს გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულება, ხოლო 154-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილებიდან გამომდინარე, მასევ ევალება საგადასახადო დეკლარაციების წარდგენა. ამრიგად, სს „ს. ბ-ია“ უფლებამოსილია, მიმართოს საგადასახადო ორგანოს უსაფუძვლოდ გადარიცხული თანხიდან გამომდინარე გადახდილი გადასახადის დაპრუნების მოთხოვნით.

23. რაც შეეხება საპროცესო ხარჯის განაწილებას, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით, თუ საპეტლაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. მითითებული საკანონმდებლო აქტის 55-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით განეული ხარჯები და სახელმწიფო ბაჟი, რომელთა გადახდისაგან განთავისუფლებული იყო მოსარჩელე, გადახდება მოპასუხეს ბიუჯეტის შემოსავლის სასარგებლოდ, მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმავე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით კი, თუ საპეტლაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. ამრიგად, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სარჩელსა და საჩივრებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილის ანაზღაურება,

სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების პროპორციულად, ხოლო დანარჩენი ნაწილი უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტში გა-დახდილად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 55-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ც ჟ ვ ი ტ ა:

1. სს „ს. ბ-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილ-დეს;
2. ნაწილობრივ გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 20 ივლისის განჩინება პირგასამტებლოს გადახდის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. სს „ს. ბ-ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
4. თ. დ-ძეს (3/6 ...) სს „ს. ბ-ის“ (ს/6 ...) სასარგებლოდ დაეკისროს პირგასამტებლოს – 2618.20 ლარის ანაზღაურება;
5. დანარჩენ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სა-მოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 20 ივლისის განჩინება დარ-ჩეს უკვლელად;
6. თ. დ-ძეს (3/6 ...) სს „ს. ბ-ის“ (ს/6...) სასარგებლოდ დაეკისროს სარჩელზე, სააპელაციო საჩივარზე და საკასაციო საჩივარზე გა-დახდილი ბაჟის ნაწილის – 314.18 ლარის გადახდა;
7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება სა-ბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
www.supremecourt.ge